373
ᲒᲐ

[illegible]

198

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ
ᲓᲐ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡᲐ

335.8

კრიზისი
სოციალ-ფედერალიზმისა

[illegible]

კრიზისი
სოციალ-დემოკრატიისა

[illegible]

[illegible]
[illegible] „[illegible]" [illegible]
[illegible]

წინასიტყვაობა

იყო ისეთი დრო, როდესაც გამძლავრებული სოც.-დემოკრატია არ ზოგავდა არავითარ საშუალებას ანარხისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც საზღვარ გარედ ისე ჩვენში.

დღეს კი ისეთი დრო დადგა, რომ სოციალ-ფედერალისტები სარგებლობენ რა რეაქციით და ჩვენი საზოგადოების რეაქციონური ნაწილით, არ ზოგავენ არავითარ საშვალებას სოც.-დემოკრატიის და ანარხისტების წინააღმდეგ, რაც შესაძლებელი გახდა მათთვინ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი ბრძოლა მარცხნით გაადვილებულია მარჯვნიდგან ზურგის გამაგრებით; ეს უკანასკნელი გარემოება ისე უეჭველი და ცხადია, როგორც ქვეყნის ბრუნვა და ბრწყინვალე მზის შუქი. ცხადია, რადგან ყოველივე პოლიტიკურ პარტიას განსაზღვრული ადგილი უჭირავს და მაშასადამე ყოველივე პოლიტიკურ პარტიას მარჯვნით ჰყავს მეზობელი პოლიტიკური პარტია, რომელიც მისი მტერია მხოლოდ მაშინ, როდესაც საშვალი პოლიტიკური პარტია მოქმედებს მარჯვენა მეზობელის წინააღმდეგ და არა მაშინ, როდესაც საშვალო ტანის პოლიტიკური პარტია ებრძვის მის მარცხენა მეზობელს ან მეზობლებს; ის კი არა საშვალო პოლიტიკ. პარტიის მარჯვენა მეზობელი მით უფრო გამსჭვალულია სიმძულვარით, რამოდენათ მისი მარცხენა მეზობლები უფრო და უფრო დაშორებული არიან მისგან.

ყოველი მემარჯვენის სიმძულვარე ნიუტონის „კანონის“ თანხმათ დაახლოვებით პირდაპირ პროპორციონალურია მისი მემარცხენე მეზობლის სიშორის კვადრატისა და უკულმა პრო-

წინასიტყვაობა

იყო ისეთი დრო, როდესაც გამძლავრებული სოც.-დემოკრატია არ ზოგავდა არავითარ საშუალებას ანარხისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც საზღვარ გარედ ისე ჩვენში.

დღეს კი ისეთი დრო დადგა, რომ სოციალ-ფედერალისტები სარგებლობენ რა რეაქციით და ჩვენი საზოგადოების რეაქციონური ნაწილით, არ ზოგავენ არავითარ საშვალებას სოც.-დემოკრატიის და ანარხისტების წინააღმდეგ, რაც შესაძლებელი გახდა მათთვინ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი ბრძოლა მარცხნით გაადვილებულია მარჯვნიდგან ზურგის გამაგრებით; ეს უკანასკნელი გარემოება ისე უეჭველი და ცხადია, როგორც ქვეყნის ბრუნვა და ბრწყინვალე მზის შუქი. ცხადია, რადგან ყოველივე პოლიტიკურ პარტიას განსაზღვრული ადგილი უჭირავს და მაშასადამე ყოველივე პოლიტიკურ პარტიას მარჯვნით ჰყავს მეზობელი პოლიტიკური პარტია, რომელიც მისი მტერია მხოლოდ მაშინ, როდესაც საშვალი პოლიტიკური პარტია მოქმედებს მარჯვენა მეზობელის წინააღმდეგ და არა მაშინ, როდესაც საშვალო ტანის პოლიტიკური პარტია ებრძვის მის მარცხენა მეზობელს ან მეზობლებს; ის კი არა საშვალო პოლიტიკ. პარტიის მარჯვენა მეზობელი მით უფრო გამსჭვალულია სიმძულვარით, რამოდენათ მისი მარცხენა მეზობლები უფრო და უფრო დაშორებული არიან მისგან.

ყოველი მემარჯვენის სიმძულვარე ნიუტონის „კანონის“ თანხმათ დაახლოვებით პირდაპირ პროპორციონალურია მისი მემარცხენე მეზობლის სიშორის კვადრატისა და უკუღმა პრო-

პორციონალურია სიახლოვის კვადრატისა. ამიტომ, რამდენად უახლობელესია მეზობელ მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიასთან რომელიმე მემარცხენე პოლიტიკური პარტია და რამოდენად ეს უახლობელესი მემარცხენე ხელს უწყობს მისი მემარჯვენე მეზობლის სიმძულვარის განხორციელებას უშორეს მემარცხენეების წინააღმდეგ, იმოდენად ზურგ გამაგრებულია ის—ის რეაქციონურია ან შეუგნებლად, ან განზრახ.

ამ გვარია დღევანდელი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა იმ დასებისა, რომლებიც სრულიად უსამართლოთ თავის თავს ახალი ცხოვრების შემქნელის, რევოლიუციონური მოღვაწეების სახელს უწოდებენ.

ასეთია მდგომარეობა, ცხოვრება, მოქმედება და ერთი სიტყვით, ბუნება ჩვენში რეაქციის გამო გამძლავრებული პოლიტიკური პარტიებისა: სოც.-დემოკრატიისა და სოც.-ფედერალისტთა. სოციალ-ფედერალისტთა პარტიას ისე, როგორც სოც.-დემოკრატიისას მათი პოლიტიკო-სოციალური ბუნების და იმ ადგილის გამო, რომელიც მათ უჭირავთ პოლიტიკურ პარტიათა კლასსიფიკაციის იერარქიაში-მათი სიახლოვის გამო მემარჯვენეთაკენ და მათი პოლიტიკური ანუ ხელმწიფოებრივი ცხადი ხასიათის გამო სრულიად დაავიწყდათ „თავიანთი“ მოვალეობა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, მოვალეობა, რომელსაც ისინი ჩემობდ ნ არა იმისთვის, რომ ამ გვარი დაჩემება მათი ბუნებისაგან გამომდინარეობდა, არამედ იმისთვის, რომ თითეული მათგანი ცდილობდა საზოგადოებრივი ძალის ხელში ჩაგდების პრინციპის თანახმათ, ხელში ჩაეგდოთ რევოლიუციის ძალები თავიანთ მისწრაფებათა და არა კულტურის პირდაპირ მწარმოებელთა მისწრაფებების განსახორციელებლად. მათი ფარული და ნამდვილი მისწრაფება ცხადია:

„ისინი ეოველოვის გამოდიან საზოგადოებრივი ძალის ხელში ჩაგდების პრინციპიდგან და მიისწრაფვიან რევოლიუციის ხელში

ჩასაგდებად, განმანთავისუფლებელი მოძრაობის და მოქმედების ხელში ჩასაგდებად, მიესწრაფებიან თავისუფლების მონაპოვრისაკენ, ე. ი. თავისუფლებას ჰკლავენ, სწორედ იმ თავისუფლებას, რომლისკენაც ესწრაფოდა და ესწრაფვის პირდაპირი მწარმოებლები კულტურისა, რომელიც იგივე თავისუფლებაა, ჰკლავენ სწორედ იმ თავისუფლებას, რომლის საშვალებით მიახწიეს ან ცდილობენ მიახწიონ პატრონობას.

მათ, ორთავეთ სწამთ საზოგადოებრივ ძალის ხელში ჩაგდების საჭიროება არა მარტო არსებული წეს-წყობილების შესაცვლელად, არამედ მომავალი სოციალურ რევოლიუციის მოსახდენად და განსავითარებლად,—სოციალიზმის დასამყარებლად, ცხადია მაშასადამე, რომ ისინი დღეს გაბატონებული კლასის ბურჟაზიის, დემოკრატიის ადგილს იჭერენ, შეენაცვლებიან მათ და სრულიად არ არიან თავის ბუნებით წინააღმდეგი, გაბატონებული კლასების ბუნებისა.

დღეს ისე დაავიწყდათ ს.-ფედერალისტთა და ს.-დემოკრატიულ პარტიას „თავიანთი“ მოვალეობა, რომ ლ:მის მათი პარტიული ყნოსვა შეეზილოს სამუდამო დღევანდელ რეაქციონურ „დუხს“ ებრძვიან ერთი ერთმანეთს, რაც ჩვენ ხელს არ გვიშლის, და ერთი ერთმანეთის ბრძოლაში დაქანცული და გართული ხშირად კავშირდებიან და ორივე ერთად ებრძვიან ყოველი მსგავსი და უმსგავსო საშვალებით ერთად ერთ („პარტიას“), პირდაპირ მოქმედების ასოციაციას, რომელიც ნათლად ხედავს, როგორც მიზანს, ისე ამ მიზნის შესაფერ, ხელის შემწყობ და მაშასადამე ზნეობრივ საშვალებას, ტაქტიკას. ყოველივე გეოლოგიური ცვლილება მით უფრო შეფერხებულია, რამოდენათ უფრო დიდი სიღრმიდგან იწყება და იმოდენად უფრო მძლავრი, თვალსაჩინო არის, რამოდენად შეფერხებული იყოს და რამოდენად უფრო შორი დედამიწის სიღრმიდგან იწყებოდა, ყოველივე სოციალური ცვლილება მით უფრო შეფერხებულია, რამოდე-

ნად მეტი აწევს მას ზევიდგან პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპლოატაციის ნაკეცები, რამოდენად ღრმა არის ის სოციალური უფსკრული, რომლის ძირზედაც იჩენს თავს ალი, იმ ცეცხლისა, რომელიც სწვავს და ადნობს სიცოცხლეს სოციალურ ურღმეს გულში ისე, როგორც დედამიწის გულში ტრიალებს უზარმაზარი ძალები გადადუღებულ სხეულებისა, მაგრამ სამაგიეროდ, სოციალური ცხოვრების გულში ურღმესად დამარხული ძალები იმოდენად უფრო მძლავრად იჩენენ თავს, რამოდენად უფრო ღრმა იყო მათი სოციალური მდგომარეობის აუტანლობა—ის შეუდრეკელი იქმნება თავის მსვლელობაში და უკიდურესი, ანარქიული ისე, როგორც ის აუტანელი მდგომარეობა, რომელმაც გადაადუღა ის სოციალურ მდგომარეობის გულში, როგორც დედამიწის გულში სხეულები ცეცხლმა.

ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ჩვენივე თავის წინაშე გავსწინდოდ გზა და გავაადვილოდ ამით ცხოვრების ისეთი ფორმა დი შიინაარსი, რომლებიც ისე გვესაჭიროვება ჩვენ, როგორც თევზს წყალი, როგორც ფრინველს პური, რადგან ყოველ მოდგმას ესაჭიროება ისეთი მიდამო, რომელიც ხელს უწყობს მის არსებობას, ყოველ ახალ მოდგმას თავის შესაფერი ახალი მიდამო ესაჭიროება და მაშასადამე, ახალ მომავალ—რომელიც მოდის—სოციალურ მოდგმასაც უნდა შეეფერებოდეს ახალი სოციალური მიდამო.

ამიტომ ჩვენ ვეცდებით მოვსპოთ დაბრკოლებანი, დავიწყოთ ეს მოსპობა არა ტოტებიდგან, არამედ ფესვებიდან ინ სოციალურ მცონარეთა, რომლებიც თავიანთ უზარმაზრი სოციალური მახინჯობით აბნელებენ და ჩრდილავენ ერთბაშათ სოციალურ მზეს.

შ. გოგელია.

თფილისი 15 მარტი.

P. S. ჩვენ სრულიად პრეტენზია არ გვაქვს ვცნათ საკმაოთ ეს ორგვარი კრიტიკა და ვეცდებით საქმე ბოლომდის მივიყვანოთ.

ეს ორი კრიტიკა სხვა და სხვა ხასიათისაა: ერთი, რომელიც შეეხება [1]) სოც.-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის პროექტს, რომელიც მესამე კონფერენციაზე მიღებულ იქმნა, წარმოადგენს „სოციალიზ"-ფედერალიზმის, ე. ი. მათ თეორიულ საფუძვლების კრიტიკას; მეორე, რომელიც საფრ. სოციალ-დემოკრატიას შეეხება, არის სოც.-დემ. ტაქტიკის და პრაქტიკის კრიტიკა; ამიტომ ჩვენ ვეცდებით, მივაწოდოთ მკითხველთ ს.-ფედერალისტების ტაქტიკის და პრაქტიკის კრიტიკა, რითაც სხემა ს.-ფედერალიზმის კრიტიკისა სრული იქმნება და არა თვით კრიტიკა, რომელიც მის არსებობასთან ერთად გათავდება; მეორე მხრით ვეცდებით მივაწოდოთ მკითხველთ მარქსიზმის კრიტიკა, ე. ი. ს.-დემოკრატიული პარტიის თეორიული საფუძვლების კრიტიკა, რითაც მათი კრიტიკის სხემაც სრული იქნება და არათვით კრიტიკა, რომელიც მათ არსებობასთან ერთათ გათავდება.

[1]) ს.-ფ ,,მასალების'' და პირვ. პრ. პრ. კრიტიკა უკვე დაწერილი იყო მესამე კონფერენციამდი და მას შემდეგ ეს პროექტი უკვე მიღებული პროგრამაა და არა პროექტი. ის უცვლელად იქმნა მიღებული.

შენიშვნები ს.-ფედერალისტთა მასალების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მეორე პროექტის გამგე პრინციპები გამოთქმული არიან ძლიერ მოკლეთ, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი პროექტი პროექტია, ე. ი. ჩონჩხია ხორც შეუსხმელი, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი პროექტი ვითარცა პროექტი უნდა ჰგავდეს იმას, რასაც ის შეეხება, როგორც ჩონჩხი ადამიანს, რადგან პროექტი, ვითარცა პროექტი, პროექტია და ფორმულა იმის, რასაც ის შეეხება,—მიუხედავად ყველა ამისა ბ-ნი ფანოსი ავტორი „მასალებისა“ თხოულობს, რომ პროექტი უნდა იყოს ნამდვილად სრული და დამთავრებული შენობა, რომლის პროექტსაც ის წარმოადგენს.

მაშინ როდესაც პროგრამის მეორე პროექტის პირველი მუხლი შე'დგება 27 სტრიქონისაგან, მასალების კრიტიკა ამ 27 სტრიქონისა შესდგება დაახლოვებით 280 სტრიქონისაგან. დაახლოვებით ამ გვარსავე პროპორციაში არიან მეორე პროექტის სხვა მუხლები და მათი კრიტიკა „მასალების“ უცნაური ავტორისა. ასე რომ, ვინიცობაა, თუ მარქსის კაპიტალის სამი ტომის კრიტიკას იკისრებდა, მაშინ ჩვენ საოცარ მოვლენას ვნახავდით ლიტერატურაში: „კრიტიკა მარქსის „კაპიტალისა“, 30 ტომი, თხზულება ფანოსისა“. მკითხველებზე მიგვინდვია გამონახოს ამ გვარ კრიტიკულ საუნჯეში ბრწყინვალე და ღრმა აზრები, თუმცალა ეს იმგვარადვე ძნელია, როგორც ერთი მარცვალი პურის პოვნა ერთ

ცალ ქვილში ანუ ადვოკატის გრძელ „რეჩში“ საბუთის რომელიმე ნიშანის

ვეძიოთ ეხლა ჭეშმარიტების მარცვალი იმ აზრთა საქვილეში, რომელსაც მისმა ავტორმა „მასალები“ დაარქვა.

მეორე პროექტის პირველი მუხლის კრიტიკა „მასალების“ „ავტორის“ მხრით იწყება ცოდნის სამსჯავროს პროკურორის ბრალდებით, რომლითაც ის მეორე პროექტის ავტორს მიაწერს რომ: „მეცნიერების განდიდება და მეტაფიზიკის ანუ ფილოსოფიის დამცირება ჩვენი დროის მოდაა. მაგრამ ისეთი მოდა, რომლის ვითომდა მიმდევრობით ხშირად უფრო თავს ირთობენ და იტუუებენ, ვიდრე ნამდვილად მისდევენ. მეცნიერების, ასეთ, გარეგანის, ანუ ეკეთ რომ ვთქვათ, სიტყვიერის და არა არსებითის მიმდევრობის კვალი ნათლად ეტყობა იმ პირველ პრინციპსაც, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ,“ შემდეგ ამისა კი მოჰყვება ავტორის აზრით „დაშტკიცება“ ამგვარი ბრალდების. ჩვენ კი ვეცდებით წინააღმდეგ ავტორის მსჯელობის სისტემისა, ჯერ გავარჩიოთ მისი „კრიტიკა“ და შემდეგ გამოვიტანოთ აზრი, „დადგენილება“ ამ „კრიტიკის“ თაობაზე, დაიწყებთ იმით, რითაც „მასალების“ „ავტორმა“ დაამთავრა და გავათავებთ იმით, რითაც „მასალების“ ავტორმა“ დაიწყო: ჩვენი გარჩევის გაფორმულებით.

რით ჩანს პროგრამის მეორე პროექტის ასეთი ყოფაქცევა აზროვნების სარბიელზე?

იმით რომ ვითომ II-რე „პროექტის ავტორი ეარჰყოფს რომ ბუნების გარეშე ე. ი. ბუნების საზღვრის გადალმა, ან დროის ან სივრცის მხრივ, რაიმე ძალა არსებობდეს. ეს უარეოფა იგულისხმებს ბუნების განსაზღვრულებას სივრცისა და დროის მხრივ, მაგრამ ამ განსაზღვრულებიდან ლოდიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს სწორედ ის შეხედულება, რომელსაც პროექტი ხაზგასმით ეარყოფს“.

რას ამბობს ამ შეშთხვევაში მეორე პროექტის I მუხლი?

აი რას: „არც ბუნების ზევით ან ქვევით, არც მის უმალ ან მის ბოლოს და არც მის გარეშე, არავითარი ძალა არ არსებობს,“ რადგან (აქ იწყება დასაბუთება, რომელიც გამგე პრინციპებთან ერთად ვრცლად მოყვანილი დიდ სივრცეს დაიჭერდა, რაც „მასალების“ „ავტორმა ან ვერ მიხვდა ან არ უნდოდა მიმხვდარიყო პარტიული თვალის ტკივილის გამო) ბუნებას არ აქვს არც ზევითი, არც ქვევითი, რადგან მას ცენტრი არ აქვს; ის კი არა, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ დედამიწა სფერის მსგავსი არისო, შეუძლებელი გახდა აბსოლიუტური ზევითის და ქვევითის წარმოდგენა. არ არსებობს არავითარი ძალა ბუნების უმალ ან ბოლოს ერთი იმ მოსაზრებით, რომელიც ზევით ვთქვით და რომლითაც მას არც ზევით და არც ქვევითი აქვს, და მეორე იმ მოსაზრებით, რომ მაშინ ეს იქმნებოდა ბუნების, ბუნებრივი ძალების და ნივთიერების შექმნა ზესთა ბუნებრივი ძალის მიერ, ე. ი. ეს იქნებოდა არაფრისგან არაფრის შექმნა, ex nihilo nihil. არ არის ბუნების გარეშე მყოფი ძალა, რადგან ყოველივე ბუნების გარეშე მყოფი ძალა მხოლოდ სიტყვაა უშინაარსო, flatus vocis, აი ამიტომ ამბობს პროექტი „ბუნებას არ აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული, არავითარი პირველი მიზეზი არ განაგებს ბუნების არსებობას, [1]) რადგან ამგვარი მიზეზი მხოლოდ სიტყვაა, ბგერა და არა რეალური მოვლენა, ფაქტი, ის ნაყოფია მეტყველებისა და არა აზროვნებისა, მეტყველებასაც აქვს დიდი მნიშვნელობა აზრის და მის სიმბოლოთა (ცრუ და რეალური) განვითარებაში (Д. Романес, Духовн. эвол. человѣка).

---

[1]) „მასალის“ „ავტორი,“ როგორც თავის პაწია სულის ავტორი, ვერ ახერხებს წარმოიდგინოს ყოველი რაც კი შეეხება მისგან განსხვავებულად მოაზრეს და არ მოიხმაროს, პარტიული მიზნით: ის სიტყვა „არსებას“ უსწორებს და ხმაროობს „არსებობას,“ მართალია, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ვინ გაასწორა კორექტურა?

„მასალების ავტორი ამბობს, რომ პროექტის პირველი მუხლიდგან მოყვანილი ადგილი გულისხმობს ორ წინააღმდეგ აზრებს—ბუნების საზღვრიანობას და უსაზღვროებას; როგორ შეიძლება ეს ორი ერთიმეორის წინააღმდეგი აზრი ერთდაიმავე დროს დაეტიოს ერთდაიმავე პსიჰიურ სივრცეში? ჩვენ არ გვგონია ეს შესაძლებელი და თუ „მასალის“ „ავტორი“ ირწმუნება, რომ გულისხმობსო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მასალების ავტორი მიმხვდარა ამას, ე. ი. წარმოუდგენია ის რაზედაც მეორე პროექტს აგულისხმევიებს ე. ი. მიმხვდარა, იმასრაც ვითომ ნაგულისხმევია, მაშასადამე თვით ჰფიქრობს დიალექტიურად. სხვა გვარ შეუძლებელი იყო მისი მხრით გულისხმობა ორი უკულმართი აზრისა ერთსა და იმავე დროს მოწინააღმდეგის ნაწერში.

თუ გიჟი, რომელიც ფიქრობს, რომ მას ცხვირის მაგიერად უზარმაზარი წურბელა აქვს და ცდილობს, რომ მოიგლიჯოს ეს წურბელა, თუ ეს გიჟი წავიდა თავის წარმოდგენაში იქამდი, რომ ყველას მიაწერა ამგვარი მდგომარეობა, თუ ის ამასთანავე თავისუფალი სინდისისგან თავისუფალია სოციალურადაც მოახდინოს სხვის ცხვირზე ის ოპერაცია, რასაც ის თავის ცხვირზე ახდენს, მაშინ ვაი იმათ ბრალს, ვინც მოელანდება ხელის საწიერზე!

თუ შეტაფიზიკოსმა და ნადიალექტიკვარმა გო-ბრამ იშოვა ვისიმე აზრი საღეჭად, ვაი ამ აზრის ბრალი! ის არც აციებს და არც აცხელებს, მიაწერს სხვას სწორედ იმას, რაც მას უნდა მოიგლიჯოს თავის თავისაგან და ამ გვარსავე მანიპულიაციის მოხდენას მოინდომებს სხვისი საღი აზრის გასასწორებლად.

მეორე პროექტის პირველი მუხლი ამბობს, რომ „ცდა ბუნების ფიზიკურ ძალთა გარეშე მყოფ მიზეზის საშვალებით ბუნების ცხოვრების ახსნისა არის ცდა მეტა-ფიზიკური და მაშასადამე, ყოველ მეცნიერულ მნიშვნელობას მოკლებული,

რადგან ამგვარი ცდა იქნება ცდა პირველ მიზეზის დადგინების:—პირველი მიზეზი კი ისეთი კითხვაა, რომელიც აზროვნების, შეგნების ცდის და წარმოდგენის პირობების გარეშე იმყოფებაო, ის არავითარ ცნობის და ცოდნის გვარში არ შედის,—ის ანტიმეცნიერულიაო.“

რასაკვირველია, ჩვენი „ფილოსოფოსი“ მიხვდა (?) მხოლოდ კუდს მთელი აქ მოყვანილი ადგილიდგან და ისიც მხოლოდ ეგონა, რომ მიხვდა. მან ხელი წაავლო მხოლოდ დასკვნას, კუდს და ეგონა, რომ ხარი რქებით დავიჭირეო.

პროექტის ამ ადგილას ის ასე უპასუხებს: „პირველი მიზეზის კითხვა აზროვნების გარეშე იმყოფებაო—მტკნარი სიცრუვეა, რაც აზროვნების გარეშე იმყოფება, იმაზე ვერც ვერავინ იაზროვნებდა, პირველი მიზეზის შესახებ კი მთელი ფილოსოფიური სისტემებია შეთხზული: პირველ მიზეზზე ჩვენი პროექტის ავტორიც აზროვნებს“ „ის შეგნების გარეშეაო, ესეც არაა მართალი... კაცობრიობას ისეთი შეგნება (?) ჰქონდა რომ მსოფლიო ღმერთმა გააჩინა, რომ ღმერთია მიზეზთა მიზეზი და დასაწყისი მთელი ქვეყნიერებისა.“ კარგი და პატიოსანი, გამოდის რომ პირველი მიზეზი მოაზრებულია.

თუ დასკვნა გააბათილეთ უსათუოდ დასკვნის საფუძვლებიც გაგიბათილებიათ.

II-რე პროექტი ამბობს: ბუნების ცხოვრების ახსნა ბუნებრივ, ფიზიკურ ძალთა გარეშე მყოფ მიზეზის, „ძალის“ საშუალებით არა ბუნებრივი ზესთაბუნებრივი, მეტაფიზიკურია, ერთი სიტყვით, ის, რაც არ არის ბუნებრივი ან ზესთა ბუნებრივია ან სუპრანატურალურიაო, ის, რაც არ არის ფიზიკური, მეტაფისიკურიაო, ის, რაც მეტაფიზიკური და ზესთაბუნებრივია, ის, რაც პირველი მიზეზია და, მაშასადამე, როგორც, პირველი უპირობო და აბსოლიუტურია დროში და სივრცეში, რის გამო ის შედარებითი არ არისო, მაშინ როდესაც აზ-

როვნებისათვის შედარებითება აუცილებელია, აზროვნება შედარება არისო და მაშასადამე ყოველი შეუდარებელი, აბსოლიუტი მხოლოდ სიტყვა, ლაპარაკი, აკუსტიკა, ბგერათა კომბინაციაა,—ის მხოლოდ ამ მხრივ არის ბუნებრივი, და როგორც აბსოლიუტი, სიმბოლოა, რომელსაც არაფერი რეალური, აზრიც კი არ შეეფერება, ის, როგორც პირველი მიზეზი, რომელსაც არ აქვს თავისი მიზეზი ანტიმეცნიერულია, რადგან მეცნიერული კვლევა შეეხება ურთიერთობის დამყარებას მოვლენათა შორის და იქ კი, სადაც მოვლენათა ჯაჭვი წყდება, თუ ეს შესაძლებელია, და იწყება მოვლენა, წყდება ურთიერთობაც. აბსოლიუტი, პირველი მიზეზი უარყოფაა შედარებითისა, აზროვნება კი შედარებაა, მაშასადამე, პირველი მიზეზი აზროვნებას გარეშეა, როგორც აბსოლიუტი შედარებითობის სფერის გარეშე, თუ ყოველივე ბუნებრივი შედარებითია, მაშინ აბსოლიუტი, პირველი მიზეზი ზესთაბუნებრივია—ის მხოლოდ ფანოსის აზრით ცარიელ თავში იმყოფება, რადგან თუ შეუძლებელს ვივარაუდებთ და თვით ფანოს ფილოსოფოსის თავში აზრებს ვიგულვებთ, მაშინ მაინც შედარებითი იქნებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფანოზ ფილოსოფოსის თავში არიან.

მტკნარი სიცრუე ის კი არ არის, რომ პირველი მიზეზი აზროვნების გარეშეა და იმყოფება სიტყვათა, ბგერათა კომბინაციის, მეტყველების (Рѣчь) სფერაში, არამედ მტკნარი სიცრუეა თქმა იმისი, რომ პირველი მიზეზი აზროვნებაშიაო, რადგან პირველი მიზეზის თაობაზე ისეთი ფილოსოფიური სისტემებია დაწერილი, შეთხზული, როგორც ფანოს ფილოსოფოსისა, რომელშიდაც შეიძლება უთვალავი სიტყვები იყოს შეთხზული, მაგრამ რაც შეეხება აზრების შეთხზვას ნურას უკაცრავათ, როგორც მათთან, ისე ფილოსოფოს ფანოსთან; ამ გვარ უაზრო სიტყვათა თხზულებას ადვოკატები ძლიერ გულმოდგინეთ ეწევიან; ვეჭობ, რომ „ფილოსოფოსი“ ფანოსი ადვოკატია ან მათი ბიძაშვილი.

არც ის არის მართალი, რომ ის შეგნების გარეშე არისო, გაჰკივის ადვოკატური ფილოსოფიის ავტორი: კაცობრიობას დიდხანს ჰქონდა შეგნება ქვეყნის შემქნელი ღმერთისაო. ინდოეთში ვირი ხეზე გავიდაო. თუ ინდოეთში ვირი ხეზე გავიდა და ღმერთი ოდესღაც კაცობრიობის შეგნებაში შევიდა, მაშინ აჰა ვირი და აჰა ხე, აჰა სიტყვა ღმერთი და აჰა „ფილოსოფოსი“ ფანოსი, ეცადოს და წარმოიდგინოს, შეიგნოს ის, რასაც ჰქვია სიტყვა „ღმერთი“; ერთი მიშველოს და წარმომადგენინოს ისეთი სიმრგვლე, რომელსაც წრე შიგნით აქვს და ცენტრი გარეთ, ვინძლო მათემატიკაში პრემია მივიღო ამ გვარი ახალი გეომეტრიული შეგნების და წარმოდგენის აღმოჩენისათვის. არც ის არის მართალი და მტკნარი სიცრუეა ცრუ ფილოსოფოს ფანოსის პირში, ვითომც მეორე პროექტის ავტორი თვით აზროვნებდეს პირველ მიზეზზე, რადგან მეორე პროექტის ავტორი ხმაროობს „პირველ მიზეზს“, როგორც სიტყვას, რომელსაც არავითარი აზრი არ აქვს: ის მაზედ მხოლოდ ლაპარაკობს, მაშინ როდესაც ჩვენი „ფილოსოფოსი“ თავს ატყუებს და ჰგონია, რომ პირველი მიზეზის წარმოდგენა მაქვსო, ის ნამდვილი ფილოსოფიური დონკიხოტია ან დონკიხოტური ფილოსოფოსი, რადგან მას უაზრო სიტყვა ღრმა ფილოსოფია ჰგონია ისე, როგორც დონკიხოტს ქარის წისქვილი-მტრის ლაშქარი.

დიახ! ფილოსოფიური აზრი ლობიოს მარცვალი არ არის, რომ ყოველ ქოთანში ერთგვარად მოიხარშოს.

სასაცილოა, მაგრამ ამასთანავე სამარცხვინო, როდესაც ჩვენი „ფილოსოფოსი“ ბრძანებს, რომ ყოველი აბსტრაქცია წარმოდგენის გარეშე იმყოფებაო.“ ამგვარი აზრების, ამგვარი ფილოსოფიური უვიცობის გამოჩენა, საქართველოს გავერანებულ ფილოსოფიის ბაღჩაში თუ შეიძლება, თორემ სხვა ენის ლიტერატურაში ძლიერ სახიფათო გაბედულება იქნება. მხოლოდ ჩვენში შეიძლება ითქვას და ურცხვად დაი-

წეროს, რომ რწმენა (ღმერთის ან პირველ მიზეზის) შეგნება, მცნება არის, ე. ი. შეუგნებელი, წარმოუდგენელი (L,inconcevable), უცოდნელი (L, inconaissable) შეგნებული, წარმოდგენილი და ცნობილი არისო.

ამგვარ აზრებს ალბათ ჩვენი „ფილოსოფოსი“ სწერდა იმ დღეს, როდესაც ის მარცხენა ფეხზე ადგა. ვნახოთ ეხლა რას სწერს ის იმ დღეს, როდესაც მარჯვენა ფეხზე დგება.

მისი აზრით შეუძლებელია ან „იყოს ან წინად ყოფილიყოს ადამიანთა შორის (იქნება გარნა ადამიანთა საზოგადოებისა კიდევ იყოს სადმე ფილოსოფოსები, ვთქვათ, ცხოველებში; თუ ფორმალური მხარე იხელმძღვანელა ჩვენმა „ფილოსოფოსმა“ შეიძლება გამოსძებნოს დიდ-ყურათა მოდგმაში თავისი კოლეგები) ისეთი ახირებული ფილოსოფოსი, რომლის აზრითაც ბუნების შეგნება ბუნების შეგნებით კი არა, სხვა რამ საშუალებით უნდა ხდებოდეს... მაგრამ ამ ტავტოლოგიის „გამგე პრიციპად“ გამოცხადება ვერავითარი ფილოსოფიაა.“

მარცხენა ფეხზე ამდგარი ჩვენი „ფილოსოფოსი“ ამბობდა, რომ კაცობრიობას ქვეყნის შემქნელ ღმერთის შეგნება და წარმოდგენა ჰქონდაო და მარჯვენა ფეხზე ამდგარი კი ამბობს, რომ სად იყო ისეთი ფილოსოფოსი, რომელსაც ბუნების ახსნა განეზრახა არა ბუნებრივი, ზესთაბუნებრივი ე. ი. ქვეყნის შემქნელი ღმერთის (რადგან შემქნელი ყოველთვის მის ქმნილების ზევით და გარედ სდგას) საშუალებით და როდესაც ადამიანთა შორის მათ ვერ ჰპოულობს, ეძებს მათ დიდყურათა სამეფოში, ის კი ავიწყდება, რომ მარცხენა ფეხზე ადგომის ეპოქაში, თვით „ფილოსოფოსი“ იცავდა პირუტყულ ფილოსოფიას. რა არის თუ არა პირუტყული ფილოსოფია ის ფილოსოფია, რომელიც მიებჯინება და ფეხს აღარ გადადგამს ერთ რომელიმე მოვლენის იქით აღიარებს მას უკანასკნელ, პირველ მიზეზად. შესწყვეტს

აზროვნებას, მსჯელობას, ცოდნას (перестанет познавать) და შეუდგება ღმერთს რწმენითა მისითა, სადაც რწმენა იწყება იქ ცოდნა თავდება, სადაც ღმერთია, იქ ბუნება თავდება. ერთ ერთი ამ სიტყვათაგანი, როგორც უაზრო უნდა ამოვშალოთ ადამიანთა შეცთომათა სიიდან.

„მასალების“ „ავტორის აზრით რა საჭირო იყო „ამ ტავტოლოგიის „გამგე პრინციპად“ გამოცხადება.“ ნუ თუ სულ ერთია ათეისტობა და თეისტობა. თუ ადამიანი თეისტია, თეისტია და ის არის, თუ ათეისტია, ათეისტია და ის არის, მაგრამ ნახევრად თეისტობა ან ნახევრად ათეისტობა შეუძლებელია, უხერხულია. თუ ბუნებას მართველი არ ჰყავს და ჩვენ ათეისტები ვართ, რადგან ნახევრად ათეისტობა ძლიერ უხერხულია, მაშინ, ნუთუ შედეგი ამისა, ცხადი არ არის სოციოლოგიაში, ნუ თუ ჩვენ სოციალურადაც ათეისტები არ უნდა ვიყვნეთ მაშინ!? თქვენთვის ბ-ნო ფანოს სულ ერთია ათეისტობა და თეისტობა და მაშასადამე ბატონობა და მონობა საზოგადოებაში, მაშინ იმედია თუ მონა იქმნებით არ შეიწუხებთ თავს და თუ სხვა იქნება თქვენი მონა, მიშინ არ ურჩევთ აჯანყებას, რადგან სულ ერთია და არ ღირს დროს დაკარგვა მდგომარეობის შეცვლისთვის.

erare hummanum est, ადამიანი უცოდველი არ არის, ჩვენი „ფილოსოფოსიც,“ ადამიანია, თუმცაღა მას თავი შეიძლება ზეკაცად მიაჩნდეს, როგორც გოგოლის გმირს თავისი თავი ესპანიის ხელმწიფედ, და, მაშასადამე, ჩვენი „ფილოსოფოსიც,“ თუ თვით არ გამოირიცხავს თავს ადამიანთა მოდგმიდან, ადვილად შესცდებოდა რამეში—ჩვენ ეს გვწამს, მაგრამ სირცხვილია, როდესაც ადამიანი, თუმცაღა მიმხვდარია თავის უვიცობას, მაინც ურცხვად გაიძახის თავის ღრმა ცოდნაზე და ცდილობს სამუდამოდ, თუნდ დროებით მოგაცეს მთელ იდეიურ მოძრაობას საქართველოში სიტყვათა ბრალ-ბრალის საშუალებით.

V 3735

თუ ჩვენ რიხიან „ფილოსოფოს“ დაეკითხებით, გეტყვის, რომ „ახსნის, შეგნების და გამარტივების მიზნად ყოველთვის მეცნიერების თვალში (რომელი მეცნიერების? რომელიც თქვენ არ იცით და სხვამ იცის, თუ თქვენ რომ მეცნიერება (?) იცით) მიზეზობრივი კავშირის ანუ ურთიერთობის დამყარება ყოფილა..., აქ კი ეს კავშირი, ეს ურთიერთობა გადაქცეულია თვით ახსნის, შეგნების და გამარტივების საგნად“.

უვიცი რაც ნაკლებს ილაპარაკებს უფრო ცოტა ტყუილებს იტყვის, მაგრამ ამ მოსაზრებას „ფილოსოფოსი“ არ ემსახურება. ცხადია მოყვანილი ადგილის ხაზ-გასმული სიტყვებიდგან, რომ მიზეზობრივი კავშირი მიღებულია თავიდგანვე, როგორც აპრიორული შეგნება, რომელსაც არავითარი შესწორება (провѣрка) არ სჭირია. იქნება ამ ვაჟბატონს თავის თავი კანტის მიმდევრად მიაჩნდეს ამ შემთხვევაში, მაგრამ ეს შეცდომაა ისე, როგორც გოგოლის გმირის მიერ თავის თავის ესპანიის მეფეთ წარმოდგენა. ამას გარედ ცხადია, რომ თვით კანტი, რომლის ფილოსოფიურ სკოლაში დაიბადა დოგმატიზმი თვით უაღრესი დოგმატიკოსი იყო. საკმარისი არ არის, რომ თავს კრიტიკოსი უწოდოს ვინმემ და უკიდურესად დოგმატიური აზრები კი დაბადოს და წარმოსთქვას. თუ პრინციპი მიზეზობრივი კავშირისა, მიღებულია ერთხელ და სამუდამოდ ისე, როგორც დრო და სივრცე (კანტის ფილოს.), ცხადია, რომ ამ გვარი აპრიორული ფილოსოფია დოგმატიურია, რადგან აპრიორული პრინციპი არ ითმენს, უარჰყოფს შესწორებას (провѣрка), შესწორების უარყოფა კი უარჰყოფს კრიტიკას და, მაშასადამე, ამყარებს დოგმატიკას, ვინაიდგან შესწორება გულისხმობს ეჭვს იმაში რის შესახებაც მისი საჭიროება დაიბადება. დღეს უკვე გამორკვეულია (მ. გიუიო და სხვები), რომ დრო, სივრცე და მიზეზობრივი კავშირი ცდისაგან წარმოსდგებიან და არა ცდა მათგან.

ნუთუ სირცხვილი არ არის მეცნიერების სახელით ლაპარაკი, მსგავსად გონებრივად ნეტარ ხსენებული სოციალ-დამოკრატიისა, მაშინ როდესაც ჩვენმა ფილოსოფოსმა არც კი იცის არც ფორმალურად და არც არსებითად, რა არის მეცნიერება. მეცნიერება იმაზე კი არ არის მიმართული მხოლოდ, რომ შეიტყოს კავშირი მოვლენათა შორის—ეს პირველი ნაბიჯია, რომელიც მეცნიერებამ განვლო და რომელზედაც სდგას არა მარტო მარქსიზმი და სოციალ-დეიოკარატია, არამედ ჩვენი „ფილოსოფოსიც,“ მიუხედავად იმისა, რომ ის დღეს ს.-ფ. და რევოლიუციონერს ეძახის თავის „თავს.“ მას ისე ესმის რევოლიუციის ფილოსოფია, როგორც მე მისი სოციალიზმი და როგორც მთავრობას რევოლიუცია ან დოგმატიკოსს კრიტიკა.

მარტო კავშირის დამყარება ველურსაც-კი შეუძლია, დაე დაგვილოცნია „ფილოსოფოსისათვის“ ველურობა, თუნდაც ეს სოც.-დემოკრატიული და მარქსისტულიც იყოს. ველურმა კარგათ იცის, რომ მას სწვავს ცეცხლი, მაგრამ ძლიერ ცუდათ იცის ამ შემთხვევაში რაოდენობითი ურთიერთობა, რომელიც არსებობს მის დამწველ ცეცხლის და მის დამწვარ სხეულის შორის. მუშამ და გლეხმა უმეტეს შემთხვევაში ძლიერ კარგათ, თვით ფანოს „ფილოსოფოსზე“ უკეთ იციან როგორ ეწვისთ მათ კუჭი სიმშილისაგან, მაგრამ ძლიერ ცუდათ იციან რაოდენობითი ურთიერთობა შრომისა და კაპიტალის შორის. პირველყოფილი ველურის და ფანოს „ფილოსოფოსის მარქსისტული და სოც.-დემოკრატიული უბრალო ცოდნა (მიზეზობრივი კავშირისა) არის თვისებითი, მეცნიერული კი რაოდენობითი ცოდნაც არის ამასთანავე—ანალიზი და სინტეზი რაოდენობითი და თვისებითია. დიახ ფანოს „ფილოსოფოსო,“ ყოველი კავშირი მოვლენათა შორის ახსნილი და შეგნებული უნდა იქმნას; თუ თქვენ არ გინდათ მუშებმა ახსნან და შეიგნონ ეს ურთიერთობა, რომელიც თქვენთან

აქვთ (?) ან ექმნებათ, ეს სთქვით, მეცნიერების სახელს რად ჰფიცავთ, როდესაც მისი არაფერი იცით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სხვას ვერ წაართმევთ უფლებას ჩაუკვირდეს თქვენთან ურთიერთობას; ნუთუ ამის შემდეგ თქვენ სხვაზე გეთქმით დემაგოგობა. კაცს ეგონება, რომ, თითქოს თქვენ ერთ დროში მარქსისტი ყოფილიყო და იქიდგან შეგრჩენოდეთ მათი პირველ ყოფილი, ველურთა ფილოსოფია მიზეზობრივობის შესახებ და დემაგოგიური ფიცი მეცნიერების სახელით, იმ მეცნიერების, რომელიც თქვენ და მათ თანასწორად კარგათ იცით.

ეხლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ „რევოლიუციონური“ ფილოსოფიის შეხედულებაზე შესახებ მიზეზობრივობის „კანონისა“.

ჩვენი აზრით „ცხადია, რომ, თუ მიზეზობრიეობა არსებობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი კანონიც არსებობს, წინააღმდეგ მიზეზობრივობის კანონი უარყოფს მიზეზობრივობისა თავის კანონის ფორმულის გარეშე... მიზეზი причина causa) არის ისეთი რამ, რომელიც მოქმედებს, უამისოდ ის შეუძლებელია. ის რაც მოქმედებს, შეამთხვევს (причиняетъ) —მიზეზია იმისი, რასაც ის შეამთხვევს, ის კი, რაც შემთხვევეულია შედეგია, მაშასადამე მიზეზობრივობა ანტროპომორფისტულია—ადამიანის თვისებაა, რომლითაც ის შეამთხვევს (причиняетъ) და რომელსაც ის ხედავს უახლოესად. შემდეგ ეს თვისება შემთხვევისა (причиненія)—მოქმედებისა—გაპიროვნებულია (дѣйствіе гипостазированно) და გადაქცეულია სახელარსებითად, აქედგან არსებითობათ (сущность, entitê), უნივერსალად. თვით კანონი მიზეზობრივობისა შესდგება იმაში, რომ „ყოველს, რაც იწყება აქვს თავისი მიზეზი,“ მაგრამ არაფერი არ იწყება, არაფერს დასაწყისი არ აქვს, რადგან „დაწყება“ არარაობის წყვდიადისაგან წარმოშობაა. ამასთანავე მოვლენათა, „მიზეზის“ და „შედეგის“

ურთიერთობის მუდმივობა (ПОСТЯНСТВО) არის ის, რასაც მიზეზობრივობის კანონს ეძახიან, ამ გვარი ურთიერთობა-კი, მუდმივი, კანონი—არ არსებობს, რადგან მაშინ მოვლენები, მიზეზები და შედეგები, რომელთა ურთიერთობა წარმოშობს მიზეზობრივ კანონს—მუდმივ ურთიერთობას— თვით მუდმივად და უძრავად არიან მიჩნეული, რაც ფაქტიურად და ლოგიკურად არ არის მართალი, მაშასადამე „მიზეზობრივობა“—ურთიერთობა—არ გულისხმობს უსათუოდ კანონს და პირდაპირადაც უარჰყოფს ყოველ კანონს.

ჩვენ უბადრუკ „ფილოსოფოსს“ კი მიზეზობრივობა მიჩნეული აქვს, როგორც საფუძველი კვლევისა, საფუძველი, რომელსაც არავითარი შემოწმება და შესწორება არ უნდა; მუდმივი ურთიერთობა, მიზეზობრივი კანონი არსებობს, ჩვენ ამსთან ხელი არ გვაქვს, არავითარი ეჭვი არ შეიძლება ამის თაობაზე, ჩვენ მისი „აზრით“ მხოლოდ უნდა ვეცადოთ ეს კავშირი მოვლენათა შორის, კანონი მიზეზობრივობისა ხელში დავიჭიროთ და ჩავაწვინოთ შიგ მოვლენები მათ შორის კანონის დასამყარებლათ და თუ, ვინიცობაა, სინამდვილე შიგ არ დაეტია, როგორც პროკრუსტის საწოლზე, მაშინ გადავჭრათ სიგრძე, მოვჭრათ ზედმეტი და დასახიჩრებული სინამდვილე—ხიმერა—დავსახოთ სინამდვილეთ და ვემსახუროთ მას; დაგვილოცნია თქვენთვის ახირებულო ვაჟბატონო თქვენი აშენებული ქიმერათა ეკლესია.

დაახლოვებით ნათესავი „აზრია“ გამოთქმული ამ ახირებული „ფილოსოფოსის“ შემდეგ სიტყვებში, ის ამბობს, რომ „ცდა, ე. ი. ჯამი ყველა იმისა, რაც კი მისაწდომია ადამიანის მგრძნობელობისთვის, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯამი მოვლენებისა შეადგენს მეცნიერების საგანს და არა აზროვნების საფუძველს. ცდაზე აზროვნება დამყარებული კი არა, როგორც, პროექტი გვეუბნება: ცდა აზროვნების საგანია და სარბიელია. ფაქტების და მოვლენების ურთიერთო-

ბის ანალიზი“ კი არაა, რაზედაც აზროვნება („ინდუქციადედუქცია) ემყარება როგორც პროექტი გვასწავლის, არამედ იგი მხოლოდ ერთი ნაწილია აზროვნების შინაარსისა.“ აი სანამდი მივიდა სიტყვიერი, ადვოკატური „ფილოსოფია“ ჩვენი „ფილოსოფოსისა“! ის ამბობს, რომ ცდა ჯამია ყველა მოვლენებისა, რომ „ჯამი მოელენებისა შეადგენს მეცნიერების საგანს“, ე. ი. მოვლენების ჯამი ცდაა, თვით ცდა მოვლენაა, მაშასადამე მოვლენა (ცდა) მოვლენების ჯამია, თუ მაგალითებრ ამგვარად არითმეტიკა ავხსენით, გამოვა, რომ რიცხვი რიცხვის ჯამია, რაოდენობა რაოდენობის და სხვა. ტავტოლოგია ფილოსოფიად მიაჩნია ჩვენ „ფილოსოფიის“ უბედურ გმირს, რად არ მიაჩნია ფილოსოფიურ აზრად მეორე პროექტის 1-ლი მუხლის აზრი, რომლითაც „ბუნება... უნდა იქნას შეგნებული თვით ბუნებისა და მის მოქმედების შეგნების საშუალებით,“ ე. ი. ბუნებრივია ყოველი: „ადამიანი და მისი დაწესებულებანი“ და მაშასადამე საშუალება ამ ბუნებრივ მოვლენათა შესასწავლად უნდა იქნას ბუნებრივი და არა ზესთა-ბუნებრივი, ე. ი. კანტისებური—აპრიორული, ჩვენ უბადრუკ გმირს, ფილოსოფიის დონკიხოტს კი თავის „ფილოსოფიურ“ „თავში“ დაბუდებული ტავტოლოგია მიუწერია მეორე პროექტისათვის და ებრძვის მის მიერვე შექმნილ „ფილოსოფიურ“ ქარის წისქვილებს; მახლას, ფილოსოფიის საქმეს და იმ სოციალიზმს, რომელსაც დონკიხოტი ეყოლება სათავეში. ცხადია ამასთანავე, რომ კანტი მძლავრი მეტაფიზიკოსი იყო, ცხადია აგრეთვე, რომ მეტაფიზიკური სიმძლავრე არ ამტკიცებს რეალურ და ბუნებრივ მოვლენათა ცოდნის სიმძლავრეს, ცხადია აგრეთვე, რომ ჩვენ „ფილოსოფოსს“ უნდა კანტის ფილოსოფიას დაემყაროს, მაშინ როდესაც ის გაიძახის, რომ „მოვლენების ჯამი შეადგენს მეცნიერების საგანს და არა აზროვნების საფუძველსო.“ მეცნიერება აზროვნებაა ერთგვარი და მაშასადამე

მეცნიერება და აზროვნება ყოფილა მოვლენათა საფუძველი, ე. ი. მეცნიერება, აზროვნება მოვლენაა იმ გვარადვე, როგორც ყოველივე სხვა, რაც ჩვენ ვიცით ან შეგვიძლია ვიცოდეთ, და რადგან კანტისავე აზრით და ტერმინოლოგიით ჩვენ ნოუმენის, „ნივთის თავის თავად“ ცოდნა არ შეგვიძლია, ამიტომ გამოდის, რომ მოვლენათა საფუძველი ყოფილა ისევ ისე მოვლენა (აზროვნება, მეცნიერება). დიდი ჭკუის პატრონი არ არის დაზღვეული დიდი სისულელისაგან; ნიუტონმა უკანასკნელად აპოკალიპსის დაცვა დაიწყო, კანტმა „ლაქიის“ დანახვიდგან სარწმუნოების საჭიროება გამოიყვანა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სუსტი ჭკუის პატრონი მხოლოდ დიდი ჭკუის პატრონისაგან დიდ სისულელეს თუ გადმოიღებს ჩვენ „ფილოსოფოსსავით“ და არა ღრმა აზრს, რომელიც სახელს უთქვამს მათ პატრონს. მძლავრი მოაზრე ორიგინალია აზროვნებაშიც, უაზრობაშიც და სისულელეშიც, პაწაწკუნანი კი სრულიად მოკლებული არიან ღრმა აზრს ორიგინალურსაც და არა ორიგინალურსაც და კულტურას ეწევიან სისულელისას, და ისიც ნასესხები სისულელის.

სამარცხვინოა სწორედ პროგრამების და პარტიული თეორიების შედგენის, გარჩევის, გაკრიტიკების თავის თავზე მიღება ისეთი მოაზრისაგან, რომლისთვინაც „ცდა აზროვნების საგანია და სარბიელია. ფაქტების და მოვლენების ურთიერთობის ანალიზი, კი არაა, რაზედაც აზროვნება (ინდუკცია-დედუქცია) ემყარება, როგორც პროექტი გვასწავლის, არამედ იგი მხოლოდ ერთი ნაწილია აზროვნების შინაარსისა,“ ე. ი. ცდა აზროვნების შინაარსის ერთი ნაწილია, მაშასადამე თვით ცდა, აზროვნება, შინაარსი ყოფილა, და რადგან ცდის და აზროვნების შინაარსი ობიექტი და სუბიექტია, გამოდის, რომ აზროვნება და ცდა ნაწილი ყოფილა თავის შინაარსის—ობიექტის და სუბიექტის და თუ ცდა, აზროვნება შედარება ობიექტის და სუბიექტის—აზროვნების შინაარსის

ნაწილია, მაშინ აზროვნება, ცდა შინაარსი ყოფილა ან შინაარსის შინაარსი.

ამ გვარია აბსურდი, რომლითაც ჩვენი „ფილოსოფოსის“ თავი გატენილია გასქდომამდის.

„მასალების“ „ავტორს“ ეუბნებიან: „ეს მეთოდი“ (ინდუქცია-დედუქცია) „აზროვნებას ცდაზე, ფაქტებისა და მოვლენათა ურთიერთობის ანალიზზე, ამყარებს,“ ის კი შეშინებულივით გაიძახის თავისას: „ფაქტების და მოვლენების ანალიზი“ კი არაა, რაზედაც აზროვნება („ინდუქცია-დედუქცია“) ემყარება“ და სხვა; მერე ვინ მოგახსენათ, რომ აზროვნება ინდუქცია და დედუქცია არისო (იხილე 8 გვ. პირვ. მასალ.), ეუბნებიან მეთოდიაო, ის იძახის, არა თქვენ თვით აზროვნება მიგაჩნიათ ინდუქცია-დედუქციადო.

დონკიხოტობა ამაზე მეტი არ შეიძლება! მეთოდიო, მეთოდი ბატონო ფილოსოფიის ფანოსო! ინდუქცია-დედუქცია პროცესია, მეთოდია, იარაღია კვლევისა, აზროვნებისა. ცდა მოხმარებული (прикладная) ინდუქცია-დედუქციაა და ეს უკანასკნელი კი გონებრივი, პსიხიური ცდაა, არც ერთი მათგანი, არც აზროვნება და არც მისი პროცესი, არც ინდუქცია-დედუქცია და ცდა, არც მეთოდი და მისი წარმოება, არც „ობიექტი“ და „სუბიექტი“ არ უსწრებენ (не преемственны во времени) ერთი მეორეს დროში.

„აზრი,“ რომელიც ერთ მათგანს წარმოშობს მეორედგან და აღიარებს ერთ მათგანს დასაბამად, თვით უარჰყოფს თავის თავს—აბსურდია უაღრესი, თვით ფანოს „ფილოსოფოსის“ „ფილოსოფიასავით“.

საოცარია კრიტიკა მეორე პროგრამის მეხუთე გამგე პრინციპისა. უბადრუკ გმირს „ფილოსოფიისას“ თავისი უვიცობა გაუხვევია ფილოსოფიურ ქურქში და ისიც ვითომ ფილოსოფიურ ქურქში და კრილოვის არაკის ოთხფეხ გმირსავით ღრიალებს: „ერთად ერთი დანიშნულება და ერთად ერ-

თი მიზანი შემეცნების თეორიისა არის დასაბუთება ცოდნის სარწმუნოებისა (достовѣрность), რატომ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენი ცოდნა სარწმუნოდ, რა არის ამ სარწმუნოების კრიტერიუმი"... „შემეცნების თეორიას მხოლოდ ერთი პოსტულატი აქვს, სახელდობ ის, რომ სარწმუნო ცოდნა—ისეთი ფაქტია, რომლის უარყოფაც არ შეგვიძლიან." გულის ამღვრევია სწორედ ფილოსოფიაში ფანოსი ან მისი მსგავსი; არ არის ღირსეული ისეთი საქციელი, რომლითაც ადამიანი, სოკრატისა არ იყოს, ჰკისრულობს ისეთ საქმეს, რომლისაც მას არა თუ არ გაეგება რა, არამედ თუმცა ღა კარგად გაეგება თავისი უვიცობა, მაგრამ მაინც ჰკისრულობს არა მის საკბილო საქმეს.

ნუთუ გარდა თავის თავისა „მასალების" „ავტორს" ყველა სულელად მიაჩნია, რომდესაც ის გაიძახის ერთი მხრით რთული წინადადების თავში, რომ მიზანი შემეცნების თეორიისა არის დასაბუთება ცოდნის სარწმუნოებისა და ამ წინადადების ბოლოში მეორე მხრით გაიძახის, რომ ეს ისეთი ფაქტია, რომლის უარყოფა არ შეგვიძლიანო"! თუ ფაქტია, რომელსაც ვერ უარვყოფთ, მისი დასაბუთების საჭიროება რაღა ეშმაკია! ჩვენთვის მხოლოდ ერთი რამ არის ისეთი ფაქტი. რომლის უარყოფა არ შეგვიძლია, ეს ის ფაქტია, რომ ან ჩვენი „ფილოსოფოსია" სულელი, ან მისი ლოღიკა, რომელსაც ის ემსახურება, ან კიდევ ერთიც და მეორეც—თაყვანცემული ახასიათებს თაყვანმცემლის სარწმუნოებას. ამას გარედ, ცხადია, რომ „ფილოსოფოსისთვის", რომელიც „მასალებიდგან" გამოიცქირება ლოღიკა მოკლებულ ბუნებაში, რომლის ულოღიკობა ტყუილად უკვირს მას, რადგან თვით არ არის უცოდველი ამ საქმეში. აი ამ „ფილოსოფოსისთვის", ცხადია, შემეცნების სინამდვილე, სარწმუნოება (достовѣрность) უკვე მიღებული, უეჭველია და მხოლოდ მისი „აზრით" კითხვა იმაშია, რომ ჩვენ ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენ თავს, თუ, რატომ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენი ცოდ-

ნა სარწმუნოდ“. ჯერ „ფილოსოფოსს“ დაემტკიცებია, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა და შემდეგ ეკითხა, რატომ არის ის სარწმუნო; ეს ერთი, მეორე ის, რომ ყოველი საჭიროება დამტკიცებისა, რასაც თვით „ფილოსოფოსი“ აღიარებს, არის უარეყოფა სარწმუნოებისა.

სარწმუნოება (достовѣрность) შემეცნებისა ნამდვილი რელიგია, რწმენაა, რაიც უარჰყოფს თვით ამ შემეცნებას, ცოდნას, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს. იძახის „უნდა,“ რათ უნდა დამტკიცდეს უეჭველობა ცოდნისა, შემეცნებისა (ნუ თუ ეს დოგმატიკოსობა არ არის) და არა მისი საეჭველობა. ვინ დაამტკიცა, რომელმა ფილოსოფოსმა და მეცნიერმა, გარნა ჩვენი „ფილოსოფოსისა“, დღემდი უეჭველობა ცოდნისა, შემეცნებისა? თუ ფიქრობთ, რომ კანტმაო, ეგ ისე ძლიერ ტყუილია, როგორც მისი მიმდევარი ფანოს „ფილოსოფოსის ფილოსოფია.“ ნუ თუ კრიტიკულია ის აზრი კანტისა, რომლითაც თვით აზრი (ისესხა ლეიბნიც-ვოლფიდგან) თავის თავის კრიტერიუმია, ნუ თუ კრიტიკულია ისეთი იდეალისტური თეორიები, რომლებისათვინაც აპრიორული საფუძველია, აპოსტერიორული კი ზედნაშენი, ან ისეთი „მატერიალისტური“ თეორიები, რომლებიც აპოსტერიორულს საფუძვლად უდებენ აპრიორულს. ნუ თუ მონიზმი იდეალისტური, ან მატერიალისტური მონიზმი არაა. არა ესენი მოპარდაპირე დოგმატიური ფილოსოფიები არიან. ერთიც და მეორეც petitio principi-ზე არიან დამყარებული, ორივენი ცდილობენ სარწმუნოების თეორია იყვნენ—რელიგია. ნუ თუ არ ესმის ჩვენ „ფილოსოფოსს“, როდესაც ამბობს, რომ „უნდა მიგვაჩნდეს (დააკვირდით ზმნა ნახმარია პირველი პირით въ первомъ лицѣ) ჩვენი (ესეც პირველი პირი) ცოდნა სარწმუნოდ“. მერე ვინ უნდა დაამტკიცოს ამ ჩვენი ცოდნის სარწმუნოება? ისევ ჩვენ, რასაც თვით „ფილოსოფოსი“ ვერ უარჰყოფს, თუ თავს არ მოიგიჟიანებს,

რაც მხოლოდ სასამართლო პრაკტიკაში არის მიღებული დამნაშავესაგან გამამართლებელ ხრიკად, ეს ხრიკი კი მხოლოდ ნაშობი შვილია ადვოკატთა, რომელთა პროფესიასთან არაფერი საერთო აქვს ფილოსოფიას, გარნა ადვოკატური ფილოსოფიისა—მრავალწყლიანობისა აზრთა უდაბნოში.

„რა არის ამ სარწმუნოების კრიტერიუმი?“, რა უნდა იყოს ჩვენო „ფილოსოფოსო“, თუ არა ამ კრიტერიუმის უარჰყოფა, რაც თქვენივე სიტყვებიდან გამოდის მიუხედავად იმისა, რომ თქვენ თვით ეძებთ ამ კრიტერიუმს.—ნუ თუ შემეცნების, ცოდნის, ჭეშმარიტების სარწმუნოება უარჰყოფა არაა ყოველი კრიტერიუმისა; იქ სადაც სარწმუნოებაა შემეცნებისა, იქ სადაც სარწმუნო, უცილობელი (**достовѣрный**) ჭეშმარიტებაა, იქ დოგმატია, რომელიც დაყოფას და მაშასადამე ზომას, კრიტერიუმს არ ითმენს, ის **დასაწყისია თავის თავის** და დასასრულიც—ის აპსურდია, როგორც ფანოსის „ფილოსოფია“. ის კრიტერიუმი, რომელიც თავის თავზეა შეჩერებული და გაყინული, უარჰყოფაა კრიტერიუმის და კრიტიციზმისა. სრულიად ტყუილად უნდა ჩვენ „ფილოსოფოსს“ გაგვხვიოს თავის კარლიკურ ტანსაცმელში, როდესაც ის გალიუცინაციით შეპყრობილი თავის წარმოდგენილ ფილოსოფიურ და მეცნიერულ პიედესტალიდგან აფრთხილებს კაცობრიობას, როგორც ფილოსოფიის და მეცნიერების ქრისტე მაცხოვარი, რომ კურთხეულ არიან ჩემი პირით მეცნიერების მიერ ურწმუნონი მეორე პროგრამისა, რამეთუ მეორე პროგრამის მეხუთე პრინციპს „ამ კრიტიკასა და კრიტიციზმთან არაფერი არა აქვს საერთო (დიახაც), ყოვლის უწინარეს ისეთ თეორიებს, რომლებიც თავის შინაარსით ამ თეორიის ფალსიფიკაციას წარმოადგენენ და **იმის სახელით ცოდნის** წარმოდგომის და წარმოშობის (იქნება უნდოდა ეთქვა უბადრუკ „ფილოსოფოსს“ ევოლიუციის) თეორიებს ასაღებენ, როგორც ამას ჩვენი პროექტის მეხუთე

გამგე პრინციპი შვრება“. კათაკმეველნო განვედით „კრიტიციზმიდგან“, ღრიალებს „ფილოსოფოსი“, არა „ფილოსოფოსო“, არ გავალთ კანტის „კრიტიციზმიდან“, რადგან იქ არასოდეს არ ვყოფილვართ, კრიტიკულ-ევოლიუციონურ-თეორიიდგან კი თქვენ ვერ გაგვაძევებთ, რადგან ამ გვარ შემეცნების თეორიას გადალმა უმეცრების სამეფოა, სადაც ჩვენი „ფილოსოფოსი“ მეფობს თავის ერთგულ ქვეშევრდომებით.

აბსურდული ფილოსოფია ან ფილოსოფიური და მეცნიერული აბსურდები, რომლებიც აქამდე ჩვენმა „ფილოსოფოსმა“ გადმოალაგა მათ სალაროდგან, თავის „ფილოსოფიით“ გასიებულ „თავ“დგან“ და მამაც უვიცობით გამედიდურებული გულიდგან ალმოხეთქა ჭექა-ქუხილით სავსე ადვოკატური ფილოსოფიური „რეჩი,“ წარმოადგენს მისი სალაროს „ფილოსოფიურ“ მარგალიტებს, ის კი, რასაც ამის შემდგომ ლაპარაკობს წარმოადგენს თხემს, მწვერვალს ამავე აბსურდებისა. აი ესენიც: „მაგრამ შემეცნების თეორიას ის კი არ მოეთხოვება, ამბობს „ფილოსოფოსი“ რომ ცოდნა ცვალებადობის მხრივ წარმოაყენოს წინ, პირიქით სწორედ ის, რომ ამ ცვალებადობის მიუხედავად მტკიცედ გაუსვას ხაზი ცოდნის სარწმუნოებას და ამ სარწმუნოების ნიადაგი ალმოაჩინოს. მართალია, ცოდნა ცვალება შინაარსის მხრივ, ვითარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ შესაწყნარებლად არა ვთვლით, რომ ამის გამო უარყოფილ იქნას ცოდნის ყოველივე სარწმუნო მნიშვნელობა; ეს საყოველთაო ფაქტი (?) კი იმას ამტკიცებს, რომ მიუხედავად ცვალებადობის და განვითარებისა ცოდნა ადამიანისათვის ცოტა რამ სიმტკიცეს და უცვალებლობასაც შეიცავს.“ სამწუხაროა პარტიისათვის ამ გვარ იდეოლოგთა სულის ექიმად მოწვევა, იდეოლოგთა, რომლებიც თვით არ დაზდილან, დამთავრებულან სულიერად. თურმე შემეცნების თეორიამ ცოდნა ცვალებადობის მხრივ კი არ უნდა წამოაყენოს წინ, არამედ ყო-

ველ ტეორიისაგან და მეცნიერებისაგან გარჩევით მან უნდა თუ არ უარყოს, ჩრდილში მაინც უნდა დატოვოს ევოლიუციონური მსოფლ—მხედველობა და „ბირიქით,“ ე. ი. წინააღმდეგ ამისა უნდა დარჩეს ისევ ის უძრავი და მეტაფიზიკური თეორია, როგორიც ის იყო წმიდა მამების ან ძველი და ახალი მეტაფიზიკოსების მსოფლმხედველობაში, ის უძრავი, ანტი ევოლიუციონური უნდა იყოს წინააღმდეგ ევოლიუციონიზმისა, დიახ გაუსვით „მტკიცე ხაზი ცოდნის სარწმუნოებას“, უცვლელობას, გაუნვითარებლობას წინააღმდეგ ევოლიუციონისტური თეორიისა, „წამოაყენეთ წინ“ და თქვენ უსათუ ოდ წინ გაუძეხვით, ამით იქნება შემთხვევა მისცეთ რევოლიუციისაგან დაოსებულ ხალხს დაინახოს გამართობელი სურათი რეაქციონურ თეორიაზე, ფილოსოფიურ კიბოზე შემჯდარი ამხედრებულ პოლიშინელისა. „მართალია, ამბობს „ფილოსოფოსი, ცოდნა იცვლება,“ მაგრამ საუკეთესო ფაქტია მისი სარწმუნო მნიშვნელობა. თუ, საოცარო ადამიანო, მართალია ცვალებადობა, მაშინ უცვლელობა და მუდმივობა, საყოველთაობა ცოდნის სარწმუნოებისა ტყუილია ისე, როგორც თქვენი ფილოსოფია, თუ არაა მართალი ცვალებადობა, მაშინ მართალია ცოდნის სარწმუნო ხასიათი ისე, როგორც თქვენი „ფილოსოფია,“ ან ერთია მართალი ან მეორე, მაგრამ იქნებ ვცდები და თქვენ თქვენ მიერვე ათვალწუნებულ დიალექტიკას და სოფისტიკას ემსახურებით, იქნებ თქვენი ლოღიკური პრინციპი ურიგდება ამ აზრს, რომლითაც თქვენ მიგაჩნიათ, რომ **с одной стороны нельзя не сознаться. а с другой нельзя не признаться.** იქნება ამაშიც ვცდებოდე—ვნახოთ.

„ჩვენ შესაწყნარებლად არა ვთვლით, ამბობს „ფილოსოფოსი“, რომ ამის გამო (ცვალებადობის მიუხედავად ა. შ.) უარყოფილ იქმნას ცოდნის ყოველივე სარწმუნო მნიშვნელობა“, ე. ი. ყოველივე სარწმუნოების მნიშვნელობა კი

არა, არამედ ნაწილი, ან კიდევ ცოდნის სარბიელი, სივრცე გაყოფილია ორ სრულიად, სავსებით წინააღმდეგ სამფლობელოდ: ერთი ევოლიუციონისტურია, ცვალებადი და მეორე სტატიკური, კონსერვატიული, და უცვლელი, მუდმივი, ერთი ფიზიკურია (ევოლიუციონური, ბუნებრივი) და მეორე მეტაფიზიკური, ჩვენც ეს გვინდოდა ცხად გვეყოდა სწორედ ეს მიგვაჩნია დიალექტიურ წაჯექ-უკუჯექობათ.

„ფილოსოფოსის“ „აზრით“ საყოველთაო მნიშვნელობა ცოდნის სარწმუნოებისა საყოველთაო ფაქტი არის. თუ საყოველთაოა, რად გვეკამათებით ჩვენ და ჩვენსავით მოაზრეთ, რამდენი მკვდარი და ცოცხალი არ არის თქვენი თანახმა? მაშასადამე ნუ თუ ამგვარი საყოველთაობა მიგაჩნია თქვენ ფაქტად?

ამის თაობაზე უკვე ვთქვით, მხოლოდ დაუმატებთ, რომ ეს ისეთივე ფაქტია, როგორც ფანოსის „ფილოსოფოსობა“. „მიუხედავად ცვალებადობის და განვითარებისა ცოდნა ადამიანისათვის ცოტა (რამოდენი? ერთი უნცი, დრაჰმა თუ ტონა?) რამ სიმტკიცეს და აუცილებლობასაც შეიცავს“, ამბობს „ფილოსოფოსი“, ე. ი. ცოდნა ცვალებადია, მოძრავია, მაგრამ იგივე ცოდნა უცვლელი და უძრავია და თუ მაინცა და მაინც ჩვენ გავჯიუტდით, მაშინ ცოტა ცოდნა მაინც უნდა დაუტოვოთ უძრავად, რათა ფანოსი „ბეზრაბოტნად“ არ დარჩეს და რამე საქმე გაიჩინოს მეტაფისიკაში, თუნდაც ეს წყლის ნაყვა იყოს. თურმე ცოდნა აუცილებლობასაც შეიცავს მიუხედავად თავის მოძრავ და ცვალებად ხასიათისა ე. ი. თუმცა ღა ცოდნა მოძრავია, ისტორიულია, ჟამიერია, მიუხედავად ამისა ის ფატალურია, ე. ი. ის წინ და წინ განსაზღვრულია, ე. ი. ეს მისი განსაზღვრული ხასიათი ფანოსმა იცის, რადგან ამაში ფანოსი ირწმუნება, არისო, ე. ი. მსოფლიოს ფორმულა ხელში უგდია ფანოს „ფილოსოფოსს“ და ჯერ არ ყოფილი მომავალი „მომენტების“ აუცილებლობა ცოდნაში განუჭვრე-

ტია მას, ე. ი. ჩაუდენია ის, რაც ვერავის ვერ მოუხერხებია. დახეთ ფანოსს! აფსუს, რა კაცი მოაკლდება საქართველო!, როცა ეს უებარი და უბადლო „ფილოსოფოსი“ გარდაიცვლება. საბრალოა საქართველო, ამგვარ შავით შემოსილ მომავალ მგლოვიარობის მოლოდინში.

დიახ, ჩვენ ფაქტად მიგვაჩნია, და დროში და სივრცეში მოწესებულ (организованый) გამოცდილებით (expërience) ვიცით, რომ ყოველივე ცოდნა შედარებითია და არა სარწმუნოებითი (достовѣрный), ისტორიულია, დროებითია, ჟამიერია და არა დრო გარეშე მყოფი, ევოლიუციონურია მოძრავია და არა კონსერვატიული, სტატიკური და უძრავი, წარმობილია და არა წარმომშობელი, რადგან ის მხოლოდ განსაკუთრებულ ორგანოსაგან, რომელიც წარმოიშვა, განუყოფელია; რომელიმე ცოდნა იარსებებს მთელ საუკუნოებს, რადგან მის წარმოშობას და განვითარებას მოუნდა მთელი საუკუნოები, მაშინ როდესაც ზოგი მცნება იარსებებს მხოლოდ ერთ „წამს,“ რადგან ის წარმოსდგა და ვითარდებოდა წამიერად; შესაძლებელია ისეთი გარომოებაც, რომელშიდაც დიდი ხნის განმავლობაში წარმოშობილი, განვითარებული და აშენებული ცოდნა დაინგრეს ერთ წამში ისე, როგორც მთელი არსენალი მთელი თავისი ასაფეთქებელი შინაარსითი აშენებული და დამზადებული დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება აფეთქდეს და დაირღვას ერთ „წამში“.

ჩვენი „ფილოსოფოსი“ შემდგარა თვით განდიდების თხემზე, თითქოს ფილოსოფიურ და მეცნიერულ აზრთა იალბუზის მწვერვალზე იყოს და იქიდგან ღაღადებს თავის ალბათ „უცვლელ და უეჭველ“ ჭეშმარიტებას; ეს მეცნიერების და ფილოსოფიის მედროშე, თავის წარმოდგენაში, რასაკვირველია, ამბობს, რომ „მართალია ცოდნა იცვლება თავის შინაარსის მხრივ, ვითარდება, მაგრამ ამის და მიუხედავად ჩვენ შესაწყნარებლად არა ვთვლით“ და სხვა და სხვა, ე. ი. ცო-

დნა თავისი შინაარსით იცვლება, მაგრამ თავის ფორმით (დრო, სივრცე, კანტის თეორიით) კი ის უცვლელია, რადგან მიუხედავად ამისა ფანოს „ფილოსოფოსი“ „შესაწყნარებლად არა სთვლის, რომ ამის გამო უარყოფილ იქმნას ცოდნის ყოველივე სარწმუნო მნიშვნელობა.“ ერთი აგვიხსენით, „ფილოსოფოსო,“ რომელსაც მარქსიზმი შეგძულებიათ, იქნება იმისთვის, რომ ს.-დემოკრატიას ებრძოდით და არა იმისთვის, რომ შიგ შეცდომები გენახოთ, რომ, როგორ სწარმოებს ფორმის უცვლელობა შინაარსის ცვალებადობასთან ერთად, რასაკვირველია თქვენ „თავში“, რადგან რეალურად, ბუნებაში ეს ცხადათ შეუძლემელია. იქნება თქვენ თავი არ გქონდესთ და თავის მაგიერ, რომელიც უბრალო მომაკვდავთ აბიათ, როგორც ორგანო აზროვნებისა, თქვენ რაღაც თავზე უმაღლესი სააზროვნო ორგანო გქონდეთ ან святые дары; ამ გვარი ფაქტი ცნობის მოყვარეობათ ღირს, არა თუ ზოოლოგისათვის, არამედ ჩვენ უბრალო მომაკვდავთათვისაც. ნუ თუ ისეთი ფორმა არის ცალკე რომელსაც თავისი შესაფერი შინაარსი არ ჰქონდეს, ან თუ არის წინააღმდეგი შესაძლებელი. ცხადია, რომ „ფილოსოფოსი“ იმავე დროს სოციალისტი ავტორიტარისტი ბრძანდება შემეცნების თეორიაში, აქაც სახელმწიფო უნდათ დაისახონ იდეალად, სახელმწიფო, რომლის ცენტრალური, კანონმდებელი ორგანო, სული იქნება.

ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ ქათმის წიხლზედ, რომელიც კრილოვის არაკის ოთხფეხ გმირსავით მიარტყა ფანოს „ფილოსოფოსმა“ მისგან მოძულებულ და მეცნიერებისაგან ძლეულ დიალექტიკას და სოფისტებს გარდა იმისა, რომ ყოველი ყოველია და უმცირესი სოფისტი და დიალექტიკოსი სჭარბობს უდიდეს ფანოს „ფილოსოფოსსაც“ კი. იქნება ფანოს „ფილოსოფოსს“ ჰგონია, რომ თუ სოფისტების დიალექტიკა გააბათილა ევოლიუციონურმა თეორიამ და მეცნიერულმა ინდუქცია-დედუქციამ, ამასთანავე მათი პრინციპი

შედარებითობისა (относительности), განსაკუთრებით პროტაგორას სენსუალიზმი და შედარებითობის პრინციპიც უარჰყო. სულ ტყუილად ჰგონია ეს ჩვენ ნაძალადევ მზარეულს ფილოსოფიური ბოზბაშისა.

ჩვენი უბადრუკი გმირი ამბობს, რომ პირველი მუხლი გამგე პრინციპებისა მეორე პროგრამაში პლატონიურ სიყვარულს უცხადებს მეცნიერებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ვითომ იმავე პროგრამის მეხუთე პრინციპში უარჰყოფს ამავე „ცოდნის სიმტკიცეს“. „საიდგან წარმოსდგება ეს წინააღმდეგობა“, ჰკითხულობს ფანოს „ფილოსოფოსი“ ცნობილ არაკის მსაჯულსავით. ერთი აგვიხსენით ადვოკატურ „ფილოსოფოსო“, ერთი და იგივეა მეცნიერება და მეცნიერების სიმტკიცე? თუ მტკიცე მეცნიერება, უბრალოდ მეცნიერება, ადამიანური და ზეკაცთა მეცნიერება ერთი და იგივე არ არიან ისე, როგორც ფილოსოფია და ფანოსის „ფილოსოფია,“ მაშინ სად არის ეს წინააღმდეგობა? პირველ პარაგრაფში გაკვრითაა ნათქვამი ბუნებრივ და ბუნების მეცნიერებაზე წინააღმდეგ ზესთაბუნებრივ და ზესთაბუნების მეცნიერებისა (?), უკვე რომ ვთქვათ სარწმუნოებისა, მეხუთე კი ფორმულაა თვით ამ ბუნებრივ, ევოლიუციონურ და კრიტიკულ შემეცნების, ცოდნის და მეცნიერების თეორიისა. დიახ, არის მეცნიერება და მეცნიერება, ისე როგორც ფილოსოფოსი და „ფილოსოფოსი“, როგორც არის ევოლიუციონური ფილოსოფია და გონებრივი. კუჭის კატარის შემყრელი ფანოსის „ფილოსოფია.“

ჩვენ ცვალებადი, შედარებითი მეცნიერება მიგვაჩნია მეცნიერებად და არა გაყინულ დოგმატიკოსთა მეცნიერება, თუნდაც ეს კანტი იყოს, ან კანტის მომხრეთა, და დაობებული „მეცნიერება“. ეს „ჭკუათა“ მყოფი ვაჟბატონი ამბობს, რომ, თუ ფიზიკო-ბიოლოგიური თეორიით, (რომელიც მას

ისე გაეგება, როგორც თავისივე „ფილოსოფია“) ვიხელ-
მძღვანელებთ, მაშინ ცოდნის სარწმუნოების კითხვა ცოდნის
წარმოშობის კითხვათ გადაიქცევა, თითქოს ფიზიკო-
ბიოლოგიური, ევოლიუციონური თეორია ცოდნისა შეს-
დგებოდეს ერთი გაყინული „მომენტის“ შესწავლისაგან;
მახლას ევოლიუციონისტო! რაც წარმოიშობა ის ვითარდება,
ევოლიუციაში არის და ამ განვითარების და ევოლიუციის
შესწავლა გვაჩვენებს ყოველმხრივ ხასიათს, წარმოშობილისა და
აი სწორედ აქ ჩნდება და ცხადი ხდება სარწმუნო, ურწმუ-
ნო, თუ კრიტიკული ხასიათი წარმოშობილისა. ვერავინ
იტყვის გარეშე მორწმუნეისა, რომ სული, გონება, აზრი და
სხვა ამ გვარი პირველყოფილია და დროში უწინ არსებობდა,
ვინემ სხეულები, ძალა, მოძრაობა და სხვა ამ გვარი სხეულების
თვისებები. ვერვინ იტყვის კიდევ გარეშე მორწმუნეისა, რომ
მოძრავი სხეულები, ე. ი. ნივთიერება, მოძრაობა, ძალა და
ენერგია არ არსებობდა პსიხოლოგიურ მოვლენებზე ადრეო,
მაგრამ შეუძლებელია ამასთანავე დაშორება, ერთი მეორესა-
გან დაცალცალკევება გარეშე აბსტრაგციისა, განყენებისა
და ილიუზიისა, დროსი, სივრცისა, ძალისა და ენერგიისა,
მოძრაობისა, ნივთიერებისა, ფორმისა, შინაარსისა, არც
ერთი ამ უნივერსალთაგანი არ არიან ერთი მეორესაგან
წარმოშობილი, თვითეული მათგანი ცალკე შეუძლებელია.
რადგან არ არის ისეთი ფაქტი, სიტყვიერ მექანიკურ თქმის
გარეშე, რომლითაც ბუნებრივი მოვლენა მოკლებული იყოს
ამ მხარეებს.

დიახაც, რომ ცხადია ყველასთვის გარდა უვიცთა ანგალიუ-
ცინაციაში მყოფთა და ფანოზ „ფილოსოფოსისა,“ რომელსაც
აზროვნების ზნეობა ნებას აძლევს დაიცვას ფაქტიურად და და-
ჰგმოს ფორმალურად მეტაფიზიკა. შემეცნებას, „სულს“ აქვს

თავისი ფილოგენიური ისტორია ისე, როგორც ონტოგენიური. გარეშე ბიოლოგიური არსებისა არ არსებობს პსიჰიური მოვლენა და ამ ორ მოვლენათა შესწავლა ერთი მეორისაგან განცალკევებულად, განყენებულად, არა ფიზიკო-ბიოლოგიურად შეუძლებელია და აი ამ შეუძლებელს იცავს მეტაფიზიკა და მასთან ერთად მეტაფიზიკის „პროხვოსტი," მეტაფიზიკის უკან მიმყოლი კუდი. ნუ თუ ჰგონია „ფილოსოფოსს", რომ ვისმეს შეცდომაში შეიყვანს და თავს მეცნიერების ლომად მოაჩვენებს, **если уставится в неподвижную точку лбом и т. д.** ჩვენ „მეცნიერების" „გუშაგს" მოზეზრდა იმ მეცნიერების დაცვა, რომელიც ვერ დაიმორჩილა და გაბრაზებული ამით ამბობს: „ბუნების მეტყველის მიზანი ისაა, რომ ამ ურთიერთობის (რომელიც სუბიექტს და ობიექტს შორის არსებობს, როგორც ამას „ფილოსოფოსი" ბუნების მეტყველს მიაწერს.) შინაარსი გამოიკვლიოს, იმისათვის სულ არ არსებობს კითხვა, თუ რამდენად სარწმუნოა ამ ურთიერთობის შედეგი იმისთვის სრულიად საკმაოა, რომ ეს შედეგი არსებობს". ჯერ ცოტა გაწყდა და ჯვარს კინალამ ეცვა ჩვენი „ფილოსოფოსი" მეცნიერებისა თვის, რომელიც მან სწორედ ისე იცის, როგორც ჩვენმა სოც.-დემოკრატებმა მარქსიზმი, მაგრამ აქ კი ველარ მოითმინა და ჩლიქები ჰკრა მისგან მომაკვდავად წარმოდგენილ ბუნების მეტყველს.

დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, როდესაც სიტყვა „ბუნების მეტყველი" დაგვიძახეთ, მაგრამ თავის თავს იშოლტავთ. როდესაც ამით გვკიცხავთ. ეს „ფილოსოფოსი" და „მეცნიერი" გვკიჟინებს იმას, რასაც თვით ჩვენ ვაღიარებთ. ის ამბობს, რომ ბუნების მეტყველი ურთიერთობის, აზროვნების შინაარს იკვლევსო. რა არის ურთიერთობის, აზროვნების შინაარსი? ურთიერთობის და ამ შემთხვევაში აზროვნების შინაარსი, პირობა არის ობიექტი და სუბიექტი, წრე და ინდივიდი, მაშასადამე გამოდის, რომ ბუნების მეტყველი

ბუნების მოვლენათა შესასწავლად საჭიროდ სთვლის შესაგნებ და გასათვალისწინებელ მოვლენის პირობების განხილვას, ე. ი. უნდა შეისწავლოს პირობები, რომელშიაც მოვლენა სწარმოებს, თუ უნდა მოვლენის შესწავლა სასურველად დაამთავროს. დიახ, მეცნიერება იმიტომ არის კიდეც მეცნიერება, რომ ის ბუნებრივ პროცესის გათვალისწინებას ცდილობს ბუნებრივი საშვალებით—მოვლენათა პირობების შესწავლით მოვლენათა შესასწავლად და შესაგნებათ—და აი სწორედ ამიტომ არის მეცნიერება მომხრე სინტეზ-ანალიზის ექსპერიმენტალურ და გონებრივ კვლევის პროცესში და არა დოგმატიური ინტუიციის; მომხრეა ექსპერიმენტალური აპოსტერიორული საშვალების და არა სპეკულატიური და აპრიორული მეთოდის მოვლენათა შეგნების მეცადინეობაში; ამიტომ არის მეცნიერება მომხრე ინდუქცია-დედუქციისა, რომელიც, როგორც მეთოდი აზროვნებისა გულისხმობს, როგორც ექსპერიმენტალურ მეთოდს კვლევისა, ისე სინტეტიურ-ანალიტიურ ჰროცესს აზროვნებისა. ყველა ამიტომ კი მეცნიერება უარჰყოფს ყოველივე აპრიორულ-მეტაფიზიკურ (კანტის და სხვათა ფილოსოფია), სტატიკო-დოგმატიურს (იმავე კანტის და სხვათა) ფილოსოფიას და აღიარებს შესაწყნარებლად ევოლიუციონურ ფილოსოფიას. ამ უკანასკნელი აქტით კი მეცნიერული ფილოსოფია, la Philosophie naturelle, უარჰყოფს დიალექტიურ პროცესს აზროვნებისა და ბუნების განვითარების, რადგან დიალექტიური პროცესსი დამყარებულია მოვლენების შინაგან უკუღმართობაზე, ე. ი. თვით დიალექტიკა შეიცავს უკუღმართობას და ამასთანავე საფუძველად უდებს ბუნებას დუალიზმს, რომელიც ამავე დროს მისი საფუძველიცაა; რადგან ის კომპრომისია, სინტეზია იმის, რასაც ის უარჰყოფს, და იმის, რაც მას მიაჩნია—დიალექტიური პროცესი თხუზულებაა უცვლელ, სტატიკო-მეტაფიზიკური, არხიული ილიუზიისა და ასტატიკო-ფიზიკური, დაუწყებელ და მაშასადამე დაუსრულებელ, არხოსს მოკლებულ ცვალებად ბუნებისა.

„თუ ბუნების მეტყველს ძალა დაატანეთ და შემეცნების თეორია მოსთხოვეთო“, მაშინ ცოდნის სარწმუნოების კითხვა ცოდნის მუდმივობის კითხვაში გაითქვიფებაო და სხვა, ამბობს „ფილოსოფოსი“ და იბერება, **начиная пыхтѣть и надуваться, чтоб с волом сравняться;** მაგრამ ცნობილია, თუ რა მოჰყვა და მოჰყვება ამ გაბერვას. დიახ, „ფილოსოფოსო“, ჩვენ ბუნების ნეტყველების ცოდნა მიგვაჩნია საჭიროდ ფილოსოფოსისათვის და ცხადია, რომ, თუ ადვოკატმა არ მიატოვა არა მარტო ადვოკატური პრაკტიკა, არამედ თვით ადვოკატური მეთოდი აზროვნებისა და მეცნიერების უვიცობისა, ისე შეუძლებელია მისგან ფილოსოფოსი გამოვიდეს.

როდესაც მეცნიერებამ და მეცნიერულმა მასალამ ულალატა და ამ ნიადაგზე უნიადაგობამ შეაწუხა ჩვენი „ფილოსოფოსი“, მაშინ წვდა ლოლიკას, მაგრამ შინაარსი აქაც დაავიწყდა, რომ მეცნიერულ შინაარსს მოკლებული ლოლიკა იგივე მეტაფიზიკური სპეკულაცია არის.

ფიზიკო-ბიოლოგიური თეორიის დასაბამს, ამბობს „ფილოსოფოსი“, „შეადგენს ერთის მხრივ ცოდნის სუბიეკტი, მეორე მხრივ ცოდნის ობიეკტი. რას წარმოადგენს ეს ცოდნის ობიეკტი“, კითხულობს „ფილოსოფოსი“ და იგივე გულთა მხილავი მიუგებს, რომ ვითომ ჩვენ ვაცალკევებთ ერთი მეორესაგან ცოდნას და მის ობიეკტს და ამიტომ, ამბობს იგი, რომ „მას ჰგონია რომ არა“. ვინ სთხოვა დახმარება გაგვიწიე და აგვიხსენი ობიეკტის და მისი ცოდნის ერთი მეორესაგან დაუშორებლობაო, არ ვიცი! იქნებ პარტიულმა და პოლემიკურმა სიბრმავემ სხვაც ბრმათ მოაჩვენა? აი ჩვენ რას ვამბობთ: ყოველი ურთიერთობა გულისხმობს ურთიერთობის წევრებს, ესე იგი თუ ურთიერთობა არსებობს, არსებობს ურთიერთობის წევრებიც, თუ ურთიერთობის წევრები არსებობენ არ'ებობს მათი ურთიერთობაც, დებულება

წალმაც და უკულმაც სწორია, ამ დებულებას ვერც ფილოსოფიის „პროხვოსტი“ უარჰყოფს და ვერც კანტი, იმ პირობით კი, რომ არ გავიდნენ გარეშე შემეცნებისა., სადაც არავითარი ცოდნა არ არსებობს და სადაც სეირნობა არავისთვის არ არის ხელსაყრელი. სუბიეკტის და ობიექტის და მათი ურთიერთობის დაშორება შემეცნების დრო და სივრცეში შეუძლებელია. разчленить друг от друга членов отношенія с одной стороны, а с другой отношеніе членов в области времени и пространства познанія оказывается немыслимым. აზროვნება, შემეცნება—ურთიერთობის დამყარებაა; იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ჩვენს გარედ და ჩვენ და წრეს შორის შეეფერება ჩვენი შინაგანი ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში აზროვნება, შემეცნება იგივე ურთიერთობაა, მაშასადამე აზროვნება, შემეცნება დაუშორებელია თავის შინაარსისაგან, თავის, როგორც ურთიერთობის, წევრებისაგან, нѣт отношенія без членов этого отношенія и обратно. მაშასადამე ტყუილად იკისრა „ფილოსოფოსმა“ სხვის აზრებში ხელის ფათური მაშინ, როდესაც თვით არ გამორკვეულა თავის უვიცობაში; ამ სხვის გულში ხელის ფათურმა კი ჩვენ „ფილოსოფოსს“ საუბედუროდ თავისთვინ და თავის ბუქსირისათვის დაასვა დონკიხოტის სამარცხვინო ბეჭედი. დაგვაცალკევებინა ისინი რის განცალკევება ჩვენ არ გვიფიქრია. Бывают, оказывается „философы“ с Огненной земли.

„თუნდ ეს ურთიერთობა ვაღიაროთ, ამბობს „კრიტიკოსი“, ჯიდრე თვით ობიექტის თვისებები არ გვეცოდინება, შეუძლებელია რაიმე აზრი ჰქონდეს იმის და სუბიექტის, ურთიერთობას.“ ნეტავი თუ!

ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, როგორ ახერხებს „ურთიერთობის ღიარებას“, რასაკვირველია ურთიერთობის წევრებისა, ამ წევრების თანადაუსწრებლად, რადგან ჯამათოდ ურთიერ-

თობა არ არსებობს და თუ ურთიერთობასთან ერთად ობიექტიც ნაგულისხმევი და მიღებულია, მაშინ ნუ თუ ობიექტი არ შედის შემეცნებაში, რაც შესაძლებელია მხოლოდ ობიექტის თვისებების შემეცნებით, ცოდნით; ობიექტის ურთიერთობა სუბიეკტთან ნუ თუ შესაძლებელია, თუ ობიექტის და სუბიეკტის თვისებები არ არიან ცნობილი—ყოველივე მოქმედებს მეორეზე თავის თვისებებით, ყოველივე ცნობილია, ურთიერთობაში მოყვანილია მხოლოდ თვისებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ობიეკტი და სუბიეკტი შეირთოდენ (совпали бы), ჩვენ არც აბსოლიუტური ობიეკტი გვწამს მარქსიზმსავით, რადგან ეს არქიულია და ამასთანავე petitio principi.—მეტაფიზიკური „მცნება", ის კი არა, ნიშანი, სიტყვაა მხოლოდ; არც აბსოლიუტური სუბიეკტი გვწამს იდეალისტებსავით და „კრიტიკოსსავით", რადგან ესეც არქიულია, მხოლოდ უკუღმა, და ამასთანავე ესეც petitio principi—მეტაფიზიკური „მცნებაა", ის კი არა, ბგერა და სიტყვაა უშინაარსო და უაზრო, როგორც პირველი. „ის ფილოსოფია, გვეუბნება „კრიტიკოსი", ის მსოფლ-მხედველობა, ის ცოდნა, რომელიც დამყარებული არ არის შემეცნების თეორიისაგან განსაზღრულს ცოდნათა სარწმუნო ხასიათის საფუძველზე, წარმოადგენს დოგმატიურს მსოფლ-მხედველობას ან პირიქით კრიტიკული მსოფლ-მხედველობა ისაა, რომელიც ემყარება შემეცნების თეორიით განსაზღრულს ცოდნის სარწმუნო ხაფუძველს. პროექტი, როგორც ვნახეთ, ისეთს შემეცნების თეორიის ნიადაგზე სდგას, რომელიც ერთის მხრივ ვერ არკვევს ცოდნის სარწმუნო ხასითის საფუძველს და მეორის მხრივ თითონვე იგულისხმებს ცოდნის წინამორბედ ცოდნის ობიექტს." აი სანამდი მიაღწია ურცხვობა ჩვენ „ფილოსოფიის დოკტორისა," უკეთ ვთქვათ, ფილოსოფიის დონკიხოტისა.

რას ქვია დოგმატი და დოგმატიური? რას ჰქვია კრიტიკა და კრიტიციზმი?

დოგმა, დოგმატი, dogma, dokeo ჰქვია ისეთ პრინციპს, რომელიც მიღებულია, როგორც აბსოლიუტური, უცვლელი, უეჭველი და უცილობელი, დოგმა პრინციპია, რომელზედაც არავითარი ეჭვი არ შეიტანება და მაშასადამე არ განიცდის არავითარ მსჯელობას—დოგმა არის სიმბოლო სარწმუნოებისა—ის რელიგიოზური სარწმუნო მუხლი (article deffoi) არის და არა ცოდნა (როგორც ეს „კრიტიკოსს“ ჰგონია). მაგალითად ამ გვარია ჩვენი „კრიტიკოსის“ სიმბოლო (და არა ცოდნა) სარწმუნოებისა, რომელიც შესდგება ცოდნის სარწმუნოებაში, უეჭველობაში. ის ამბობს, რომ „მიუხედავად ცვალებადობისა“ ცოდნა „სიმტკიცეს და აუცილებლობასაც შეიცავს“.

ვნახოთ ეხლა, რა არის დოგმატიზმი?

დოგმატიზმი ისეთი თეორიაა, რომლითაც ადამიანს მინიჭებული აქვს თვისება აბსოლიუტური, უძრავი უცილობელი ჭეშმარიტება მხოლოდ გონების საშვალებით შეიგნოს—ინტუიციის, გამოცხადების (откровеніе) საშვალებით, რომლითაც ადამიანს აქვს ნიჭი ისეთი ჭეშმარიტების შეგნებისა, რომელსაც არავითარი დამტკიცება არ სჭირია და მაშასადამე მისი რწმენის საგანს შეადგენს, თუ რწმენას შეიძლება საგანი ჰქონდეს და არა ილიუზია საფუძვლად. ძებნა ცოდნის სარწმუნოებისა, რასაც საგნათ ისახავს დოგმატიური ფილოსოფია და მისი „პროხვოსტები,“ წარმოადგენს დოგმის ძებნას, ეს ძებნა გულისხმობს, რომ ამ ფილოსოფიას და მის „პროხვოსტებს“ ჩვენში და უცხოეთშიაც, მიაჩნიათ დოგმის, სარწმუნო ცოდნის შეძენის შესაძლებლობა და არა თუ შესაძლებლობ , არამედ ის ზოგს უკვე ასრულებულ ფაქტად მიაჩნია, როგორც მაგალითად ჩვენ „კრიტიკოსს“. ცნობილია ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა და დღეს შესუსტდა, ევოლიუციონიზმის გამარჯვების გამო, დოგმატიზმის, სკეპტიციზმის და პრობაბილიზმის შორის.

დოგმატიზმის სხვა და სხვა ჯიში, როგორც წითელი

ძაფი მისდევს პლატონური, ნეოპლატონურ, პერიპატეტიურ, სტოიურ, კარტეზიულ სპინოზასი და ლეიბნიცის ფილოსოფიებს; არ გადაურჩა იმას კანტიც, მიუხედავად იმისა, რომ ის იუმმა (სკეპტიკი) გამოაღვიძა დოგმატიური ძილისაგან კანტისავე თქმით, რადგან ის ისევ ისე დააძინა ლეიბნიც-ვოლფმა, რომელთა მიმდევარი კანტი იყო, ამავე დოგმატიური ძილით; მისთვის თუმცაღა ყოველი ცოდნა ექსპერიმენტალურია, მაგრამ ფორმები, საფუძველი ამ ცოდნისა აპრიორული—დაუმტკიცებელი—დოგმატიურია, უცვლელია და ამ უძრავ, აპრიორულ ფორმებში სწარმოებს ექსპერიმენტალური ცოდნა. თვით კანტის ფილოსოფიის დოგმატიზმი გაიზარდა ფიხტეს-შელინგის ფილოსოფიაში და მიაღწია თავის განვითარების უდიდეს მომენტს—მომენტს სიმახინჯისას—ჰეგელის ფილოსოფიაში; აქ კი გაიხრწნა და წარმოშვა თავის განახრწენიდან ჯუჯა, გიბრიდი რეალისტურ (ნომინალისტურის წინააღმდეგ) მატერიალიზმისა—დოგმატიურ—დიალექტიური მატერიალიზმისა მარქსიზმის სახით; ერთ დროში, თუ არ ვცდებით, ფანოსი მარქსისტი ბრძანდებოდა. აქ კი შეწუხებული თავის სასირცხოობით და სიმახინჯით დაუბრუნდა ისევ კანტს იმ იმედით, რომ იქნება ამ ჯუჯის და დახავსებულ, გახრწნილ მეტაფიზიკის დავარდნილ ლომთან შეუღლებით მეტაფიზიკის ნაბოლვარას და ფინიას გაეუმჯობესებინა თავისი ფინიური და მახინჯური ჯიში; მაგრამ ამაოდ—დიად და ჯუჯა მახინჯების შეუღლებიდგან ყოველ შემთხვევაში ისევ მახინჯი გამოვა, მნიშვნელობა არ აქვს მისი ახოვნების ვარიაციას ამ ორ საზღვარს შორის.

ყოველ დადგინებას საფუძველი აქვს. დოგმატიზმი სკეპტიციზმი და პრობაბილიზმი ვერ ასცილდებიან ამ გზას. დოგმატიზმი ფაქტად აღიარებს ცოდნის სარწმუნოებას და ემყარება ამ ფაქტზე,—უამისოდ ის შეუძლებელია.

სკეპტიციზმი საეჭვოთ აცხადებს ყოველ ცოდნას და

არაფერს უარჰყოფს, არც არდგენს აბსოლიუტურად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გადაიქცევა ნიღილიზმათ— აბსოლიუტურ ეჭვად. პრობაბილიზმი კომპრომისია დოგმატიზმს და სკეპტიციზმს შორის. თუ დოგმატიზმი და სკეპტიციზმი, როგორც აბსოლიუტური თეორიები შეუწყნარებელი არიან, მაშინ უსაჭიროობა პრობაბილიზმისა (ფილოსოფოს კარნეადის მიერ წამოყენებული პირველად) ცხადია.

დოგმატიზმი, როგორც თეორია უძრავ, უეჭველ, აუცილებელ, აპრიორულ და სარწმუნოებრივი ხასიათისა, აღიარებს უცვლელ ჭეშმარიტებას ინტუიციურს და გამოცხადებულს (откровеніе), აპრიორულს, ე. ი. ტრასცენდენტურს, ე. ი. ყოველ ცდის უწინ და გარეშე (იხილე კანტი Critique de la raison pure) მყოფს, მაშასადამე ის უარსჰყოფს ამ შემთხვევაში ცდას (experience) და ამასთანავე ცოდნას, რომელსაც შინაარსს, მასალას, სხეულს აცლის და აღიარებს სარწმუნოებას, რადგან აპრორიული, ტრანსცენდენტური გარეშე და მაღლა სდგას დამტკიცებაზე, რომელსაც ის არ საჭიროებს; უარს ჰყოფს ანალიზს, როგორც უძრავი თეორია უძრავ ჭეშმარიტებათა, რადგან უძრავი და უცვლელი უარყოფაა დაყოფისა, ანალიზისა და მაშასადამე უარჰყოფს სინტეზსაც, რომელიც უანალიზოდ შეუძლებელია; უარ ჰყოფს ინდუქცია-დედუქციას, რადგან იქ სადაც უძრაობაა ზოგადისა, უნივერსალისა, ინდუქცია, რომელიც მოძრაობაა კერძოდგან ზოგადისკენ და არა უკუღმა, შეუძლებელია, შეუძლებელია ამიტომვე დედუქცია და აგრეთვე იმიტომ, რომ უძრავი ზოგადიდგან კერძოსკენ მოძრაობა შეუძლებელია და დედუქცია კი შეიძლება მოძრავ ზოგადისგან, რომელიც მხოლოდ მოძრავ კერძოსაგან მიიღება. ყველა ამ მოსაზრებით კი კანტიზმი და ყოველი დოგმატიზმი უარყოფაა ევოლიუციისა.

დოგმატიკოსი ამბობს: მრწამს-ვიცი, მორჩა და გათავდა,— სკეპტიკი: ვეჭობ,—პრობაბილისტი: შესაძლებელია; ერთი

კვდრად დაბადებულ ცოდნას ჰბადებს ან დაბადებისთანავე ეშაფოდზე გაჰყავს ცოდნა, მეორე ცოდნის, მეცნიერების კარის ზღურბლის წინ სდგას და არ იცის, რა ჰქნას, მესამე თვით ზღურბლზეა გაჩერებული და ხან ერთი მხრით და ხან მეორე მხრით იცქირება.

დავიხსომოთ ყველაფერი, რაც ვსთქვით დოგმატიზმზე და დოგმაზე და ვნახოთ რა არის კრიტიკა და კრიტიციზმი.

კრიტიკა (Krinein, fuger, суждение, განსჯა) ისეთი გონებრივი აკტია რომლითაც იზომება, ფასდება კრიტიკის საგანი. ყოველ გაზომვას, დაფასებას სჭირია დასაფასებელი, საზომი „ერთეული“—კრიტერიუმი. თუ ეს კრიტერიუმი, კრიტიკის საგნის საზომი „ერთეული“ უძრავია, უცვლელია, მაშინ კრიტიკის საგნის დაფასება და გაზომვა დამთავრდება ერთხელ და სამუდამოდ, რითაც კრიტიკა უსარგებლო და უარყოფილი ხდება, ამასთანავე უძრავი ერთეული კრიტიკის საგნისა—კრიტერიუმი—თვით დაუფასებელი და გაუზომველი რჩება, რადგან, როგორც უძრავი და უცვლელი არ ითმენს დანაწილებას და მაშასადამე დაფასებას და გაზომვას. მოკლებული კი ამ უკანასკნელებს კრიტიკის უზომველი კრიტერიუმი ხდება უარყოფად კრიტიკისა; რადგან ეს უკანასკნელი შეუძლებელია უკრიტერიუმოდ; მაშასადამე, კრიტიკის საფუძველი უძრავი და უცვლელი კი არ უნდა იქმნას, არამედ დაუსრულებლად ცოცხალი, მოძრავი და ცვალებადი, რათა მისი დანაწილება და მაშასადამე ანალიზი და დაფასება შესაძლებელი დარჩეს. განსაზღვრული მომენტიდგან, შეასრულებს თუ არა თავის დანიშნულებას კრიტიკა, უნდა განაგრძოს წინ და უკან თავისი მოღვაწეობა. ამ გვარი ცვალებადი, მოძრავი და მაშასადამე დასანაწილებლად მოხერხებული ცვალებადი საზომი, კრიტერიუმი ცვალებად კრიტიკის ცვალებადისავე საგნისა უნდა იქმნას ცდა (experience) ურომლისოთაც კრიტიკა როგორც გონებრივი აკტი ვერ ია-

რსებებს და ის კი არა, ცდა, რომელიც გულისხმობს მოქმედებას და ზედ მოქმედებას, გულისხმობს ამავე დროს ობიეკტს და სუბიეკტს, პირობებს, შინაარსს მისი მოძრაობისა, შინაარსი, პირობები ცდისა, ობიეკტი და სუბიეკტი, ინდივიდი და წრე (საზოგადოთ) კი მოძრავი და ცვალებადი არიან, მაშასადამე ცვალებადია კრიტერიუმი ჭეშმარიტებისა,—ცდაც —მათი ურთიერთობა, ფორმა და ამავე დროს შინაარსი აზროვნების, შემეცნების და ცოდნისა. მაშასადამე, ჭეშმარიტება— „სარწმუნო“ ცოდნა—არ არის უძრავი, არამედ პირიქით ცვალებადი და მოძრავია, კრიტიკა მოქმედებაა რომლითაც სწარმოებს შერჩევა ცვალებად ჭეშმარიტებისა. კრიტიციზმი-კი ისეთი თეორიაა ცოდნისა, კრიტიკული მოქმედებისა, რომელიც ცდილობს დაფასებას (оцѣнька), დაახლოვებით დაზომვას და დალაგებას იმისას, რასაც ის არჩევს და ამ მოქმედებაში ის დროებით ემყარება იმ საზომ „ერთეულზე,“ კრიტერიუმზე, რომელიც მას ცდამ და ინდუქციამ მისცა ხელში; მაგრამ კრიტიკის მოქმედება აქ არ თავდება, რადგან ის საზომი „ერთეული,“ კრიტერიუმი, რომლის საშვალებითაც ის აფასებდა თავის საგანს და რომელიც ინდუქციამ მისცა ხელში იმ გვარადვე ცვალებადია, როგორც თვით ინდუქცია, რომელმაც ხელში მისცა კრიტერიუმი და მაშასადამე კრიტიკა ანალიზია და კრიტიციზმი ანალიტიური თეორიაა ცოდნისა. საქმე აქ არ თავდება და კიდევ უფრო შორს მიდის. ის გარემოება, რომლითაც, როგორც ზევით ვთქვით, კრიტერიუმი ნაყოფია ცდის და ინდუქციის, რომლებიც ცვალებადი არიან, გამოიწვევს შედეგს, რომელიც თავის რიგზე თვით კრიტერიუმს ცვალებადს ჰყოფს, ეს კრიტერიუმია საერთო ზომა, როგორც მიღებული კერძოდგან კერძოსაკენ, და ბოლოს საერთოსკენ გადასვლით—ინდუქციით—, **როგორც ცვალებადი თვით მოითხოვს** ანალიზს, რომლითაც ცხადი ხდება კრიტერიუმის უკან ჩამორჩენა; ამ გვარად ინდუქციის, სინტეზის საშვალებით მიღებული კრიტერიუმი, საერ-

თო ზომა ხდება გარჩევის, კრიტიკის, ანალიზის საფუძვლად, მაგრამ თვით ეს მოხმარება ბადებს საჭიროებას ხელახალი კრიტერიუმისა, საერთო ზომისა ინდუქციის და სინტეზის საშვალებით, რის შემდგომ მოჰყვება ხელახალი დაზომვა, გარჩევა, კრიტიკა, ანალიზი—ხელახალი დაფასება (переоцѣнька старыхъ цѣнностей); და ეი ამ გვარად დაფასებულის ხელახლად დაფასების საჭიროებიდგან, ცოდნის ისტორიული, ევოლიუციონური, ცვალებად, უმუდმივო ხასიათისაგან ცხადია, როგორც მზის შუქი—უარყოფა უძრავი, მუდმივი კრიტერიუმისა (აპრიორული დრო, სივრცე კანტის ან სხვათ), თვით კრიტიკისათვის და მაშასადამე ცოდნისათვისაც—უარეოფა კანონისა შემეცნების თეორიაში. C'est assez bou rles vogants et inutile pou rles aveugles

ნუ თუ ამის შემდეგ ეთქმის ჩვენ „კრიტიკოსს", რომ „წარმოადგენს დოგმატიურ მსოფლ-მხედველობას" ისეთი თეორია, რომელიც „დამყარებული არ არის შემეცნების თეორიისაგან განსაზღვრულ ცოდნათა (დიახ, „კრიტიკოსი" განსაზღრულიცაა და შემოფარგლულიც) სარწმუნო საფუძველზე," ე. ი. უძრავ საფუძველზე. ამ უძრაობას კომენტარია აღარ უნდა, იყავით უძრავი ბატონო! იქნება ნაკლებად მოსწამლოდ ცოდნის ჰაერი. ნუ თუ ცხადი დოგმატიზმი არ არის თქმა იმისი, რომ „კრიტიკული მსოფლ-მხედველობა ისაა, რომელიც ემყარება შემეცნების თეორიით განსაზღრულს ცოდნის სარწმუნო საფუძველს," ე. ი. უძრავ საფუძველს, ნუ თუ არ სცხვენია „კრიტიკოსს" იმის თქმა, რომ ნამდვილი კრიციტიზმი დოგმატიზმიაო და ნამდვილი დოგმატიზმი კრიტიციზმიაო. Ну и Критик же! потерял стыд, т. е. критическое отношеніе к самому себѣ и держит себя непристоинно даже в безотвѣтственном перед обществом болаганѣ грузинской литературы.

გადავიდეთ ეხლა ისტორიულ საკითხზე, რომლის თა-ობაზედაც, უდროობის გამო, ჩვენ ცოტა რამეს ვიტყვით, მხოლოდ მთლიანობის დასაცავად.

ჩვენი „კრიტიკოსი“ ისტორიის კითხვის გარჩევის დროს ბრძანებს თითქმის დასაწყისშივე ისეთ რამეს, რასაც ჩვენ უარვყოფთ და აქედგან ისეთი დასკვნა გამოყავს იქავე ქვევით, რომელსაც ჩვენ ცხადათ ვაღიარებთ და „კრიტიკოსი“ კი ითვისებს, როგორც თავისას, მიუხედავად იმისა, რომ გადა-უწერია კრაპოტკინის ბროშიურიდგან [1]). „კრიტიკოსი“ ამბობს, რომ „ბუნების კანონი შინაარსის მხრივ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევებით შენიშნულს მოვლენათა განსაზღვრულ ურთიერთობის სიმტკიცის (постоянство) გამოთქმას“ ⁄ მხოლოდ ამის შემდეგ ამბობს, რომ „ბუნების კანონი წარმოდგომის მხრივ არის მხოლოდ გაზოგადება (обобщеніе) ადამიანის გონების მი-ერ რეალურ მოვლენათა ურთიერთობისა.“ ნეტავი ვინ მოახსენა ასეთი ღრმა აზრი ჩვენ „ფილოსოფოსს“ ალბათ სხოლასტიურ მეტაფიზიკის რეალისტებმა, რომელთა აზრით ჯერ ზოგადი არსებობს რეალურად და შემდგომ ამ რეალურ ზოგადიდგან გა-მომდინარეობს კერძოს გარდა ყოველი გონების შექმნილი ზოგადი, ჯერ გონება არსებობს და შემდგომ ამიდგან გამომ-დინარეობს ბუნების მრავალ-ფეროვნება და სხვა-და-სხვა-სხვა-ობა; ამ გვარ აზრთან მჭიდრო კავშირი აქვს. კანტის ფილო-სოფიას, რომელიც ყოველი ცდის საფუძველად სდებს დრო-ის და სივრცის აპრიორულ და უძრავ ზოგად იდეებს. წი-ნააღმდეგ „რეალიზმისა,“ რომელიც იგივე მეტაფიზიკაა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანმა ჯერ „გონების,“ ე. ი. მექანიკურად განზრახ შემოფარგვლის, ძალად უვიცობის მეთოდით— განყენებითი მეთოდით (метод умышленнаго ограниченія или принужденнаго неведенія— метод абстракцій), საშვა-

---

[1]) ანარქია, მისი ფილოს. და იდეალი.

ლებით თან და თან გაფცქვნა სხეულებით სავსე ბუნება თან და თან შეამცირა განსხვავებანი ბუნებაში და შემდეგ ამისა შერჩა ხელში აჩრდილი ამ ბუნებისა, აჩრდილი, რომელზედაც გამუდმებულმა სპეკულაციამ იქამდის მიიყვანა, რომ ბოლოს ამ აჩრდილმა დაიბუდა მის თავში, შეიქმნა უძრავი, მტკიცე მუდმივი (постоянный). და აი, ეს „გონების“ ნაწარმოები ილიუზია, მუდმივობა ურთიერთობისა, ამ გზით მიღებული, და ზოგადობაში აყვანილი და განცალკევებული მოახვია ბუნების კანონად ბუნებას, სწორედ იმ ბუნებას, რომლის ძალით დამახინჯებით მახინჯ ნაწარმოებსაც ეს ილლიუზია—კანონი—წარმოადგენს. ტყუილია „კრიტიკოსის“ თქმა, ვითომ მეცნიერებას, ვისმეს შეემჩნიოს მოვლენათა შორის ურთიერთობის სიმტკიცე, მუდმივობა (постоянства) გარეშე ილიუზიისა და სიტყვათა მექანიკური ასოციაციისა. მუდმივი, მტკიცე ურთიერთობა—კანონი—მაშინ არის შესაწყნარებელი, როდესაც დამტკიცებული იქმნება მუდმივი, უცვლელ მტკიცე ურთიერთობაში—კანონში—მყოფ მოვლენათა უცვლელი, მუდმივი და მტკიცე ხასიათი, როგორც ეს მიაჩნია „კრიტიკოსს“. მაგრამ ბუნებაში უძრავ ურთიერთობის დამტკიცება არავის შეუძლია, რადგან თვით დამტკიცება გულისხმობს ბუნების მოძრაობას, რომელიც საჭიროა მისი არსებობის დამამტკიცებელში აზრის წარმოსაშობად. თვით კანონი, როგორც ფორმულა მტკიცე უძრავ ურთიერთობისა, როგორც გან-საზღვრა, არის მოძრაობის უარყოფა კანონის ფარგლის, საზღვრის გადალმა; ამ შემთხვევაში, ბუნებას, რომ კანონი ჰ საზღვარი ჰქონებოდა დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც ციკლი, სერია მოვლენათა და მათ ურთიერთობის ცვალებადობისა დამთავრდებოდა ჰ დაიწყებოდა განმეორება მოვლენათა და მათ ურთიერთობათა, რაც არა თუ არ მართლდება ფაქტიურად, რადგან ცვალებადობის ფაქტები ჩვენ თვალწინ სწარმოებს, არამედ შეუძლებელია წარმოსადგენადაც, რადგან მოძრაობა, როგორც მოძრაობა,

უარყოფაა განმეორებისა, და მაშასადამე კანონისა; მოძრაობა განმეორებას უარჰყოფს, „განმეორებას“, ურომლოთაც კანონი შეუძლებელია. მაშასადამე თუ თქმულს მივიღებთ სახეში, მაშინ მიუცილებელია დასკვნა, რომლითაც ეგრედ წოდებული „ბუნების კანონი“ ნაყოფია მეტყველების (рѣчь), მექანიკური ოპერაციისა Романесъ, Дух. эвол. гел.-Знал. рѣчи в эвол. духа), და თუ ესეც მივიღეთ, ცხადია მაშინ, რომ „მეცნიერების“ მიერ „აღმოჩენილ“ „ბუნების კანონებს“ სულ ტყუილად და უბრალოდ ვახვევთ თავზე ბუნებას. მაშასადამე სულ ტყუილად გვარცხვენს ჩვენ მეტაფიზიკოსის სახელით ჩვენი „კრიტიკოსი“, რადგან თუ მეტაფიზიკობა სასირცხო არის, მაშინ თვით უნდა დარცხვენილიყო, თუ ამ ნიჭს მოკლებული არაა ეს ვაჟბატონი, რადგან თვით აღიარებს, რომ მას სწამს უძრავი ბუნება და მისი უძრავი კანონები [1]) და მრავალი სხვა.

საკვირველია, როდესაც ამის შემდეგ კრიტიკოსი მიითვისებს ჩვენგანვე შეხედულებას მსოფლიო კოწიაწზე (тяготѣніе) და ჩვენვე გვიმასპინძლდება (იხ. კროპოტკინის ბროშ... „ანარქ. მისი ფილოს. და იდეალი“).

სასაცილოა „კრიტიკოსიდგან“ „მომქმედ ძალების“ მეტაფიზიკურ ცნებად (?) ღიარება, რადგან, თუ პირველი პროგრამის პროექტი მასალების შემდგომ დაიბეჭდა, მაშინ დამწერისთვის ეკითხნა ან თუ უწინ დაიბეჭდა ჩაეხედნა შიგ და მეორე გვერდის პირველ სტრიქონზე ქვევიდან ნახვიდა: „მომქმედ ძალებს“.

ჩვენი „კრიტიკოსი“ და უცნაური „ფილოსოფოსის“ ტიპი გვეუბნება, რომ ეს ახსნა იმას კი არ ნიშნავს, ვითომც სხეული იმიტომ იწევდეს ძირს, რომ მიმზიდველობის კანონი

---

[1]) კანონი და მოძრავი შეუძლებელია ისე, როგორც ფანოსის მეცნიერება ან რკინის ხე.

არსებობს არამედ პირიქით თვით მიზიდველობის კანონი იმიტომ არსებობს, რომ თავისუფალი სხეული ქვევითკენ იწევს". მთელი ეს წინადადება ერთ და იმავე დროს მეორე პროგრამის პროექტს შეცდომას მიაწერს და „მასალის" „ავტორს" ჭეშმარიტებას, ამასთანავე ტყუილია ეს წინადადება საერთოდ, როგორც ერთ რწმუნებაში ისე მეორეში. ამ გვარ შემთხვევათა ერთად გამოთქმას ფანოს „ფილოსოფოსი" თუ მოახერხებდა თორემ სხვა ვერა.

„ფილოსოფოსს" და „კრიტიკოსს„ ჰგონია, რომ „მიმზიდველობის კანონი იმიტომ არსებობს, რომ თავისუფალი სხეული ქვევითკენ იწევს." „მართალია, რომ თავისუფალი სხეულის ქვევითკენ დაწევა და მოძრაობა—მიზეზია მიმზიდველობისა (იხ. კროპოტკინი ანარქ. მისი ფილოს.) მაგრამ სრულიადაც მართალი არ არის თვით მიმზიდველობის კანონი, რომელიც შესდგება იმაში, რომ კოწიაწი, მიმზიდველობა პირდაპირ პროპორციონალურია მასათა და უკუღმა პროპორციონალურია მანძილის კვადრატისა, არაა მართალი, რადგან პროპორცია მათემათიკურ (დიფერენციალურ და ინტეგრალურ ანგარიშის გამოკლებით), არითმეტიკულ, გეომეტრიულ და სხვა მეტაფიზიკურ უნივერსალთა, რეალურ არსებობას მოკლებულ უტოპიათა, ზოგადთა შორის ნომინალურად თუ არსებობს, თორემ რეალურად არავითარი პროპორცია არ არსებობს ბუნებაში, არ არსებობს შეგნებაშიც, რომელიც მოკლებულია დროის ორ ინტერევალთა თანასწორობის და მაშასადამე ზომის სწორ უძრავ საშვალებას—ერთეულს, უამისოდ კი პროპორცია და შესაზომითობა შეუძლებელია. ამ გვარ გარემოებაშია სივრცის, მასსის და მოძრაობის გაზომვის საქმეც, რაც არ მოესსენება, ჩემი ანგარიშით, „კრიტიკოსს". თუ კანონი ბუნების მოვლენათა ურთიერთობისაგან წარმომდგარად მივიღეთ, მაშინ კანონიც ბუნებრივი და საგალდებულოა, ამ

დასკვნას ვერ ასცდება „კრიტიკოსი„, მაგრამ ამით ბუნება უძრავი ხდება, რადგან კანონი ბუნების მიერ წარმოშობილი მიჩნეულია „კრიტიკოსის“ და „მეცნიერების„ მიერ უძრავად, მტკიცეთ, თუნდაც ეს კანონი ნიუტონის იყოს [1]). თუ უკანასკნელ დასკვნას, ბუნების უძრაობას ასცდა ჩვენი „კრიტიკოსი“ და მისი მსგავსი უფრო ნიჭიერი „მეცნიერები“, მაშინ ვერ ასცდებიან მეორეს, რომლითაც მოძრავი ცვალებადი ბუნება წარმოშობს უძრავ ურთიერთობას—კანონს. ამ გვარია სცილა და ხარიბდა, რომლებიც შეხვდებათ „კრიტიკოსებს“, მეტაფიზიკებს და „მეცნიერებს“ თავიანთ მოღვაწეობის გზაზე. ჩვენთვის სულ ერთია, რომელიც მოინელებს მათ, შედეგი ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა აზროვნების და კაცობრიობისათვის.

რაც შეეხება იმას, რომ მეორე პროგრამის აზრის ანალოგიით შეიძლებოდეს თქმა, რომ კანონი უწინ არსებობს მოვლენაზე და ფაქტზეო მტკნარი სიცრუეა, რადგან მეორე პროექტი ცხადად ამბობს რომ, „ჩვენის აზრით ნამდვილ მეცნიერების ნიადაგზე ისტორიის ფილოსოფია მაშინ დადგება როცა ის უკუაგდებს ყოველგვარ ფეტიშიზმს, როცა ის ისტორიულ განვითარების პირველ მიზეზის ძებნას მიანებებს თავს“... „ისტორია არის კონკრეტულ მოვლენათა: ხალხთა, პირადობათა, მათ დაწესებულებათა დამოკიდებულების და საურთიერთო ზეგავლენის სასოგადო მეცნიერება“... „მისი მეთოდი არ შეიძლება იყოს მხოლოდ განყენებით—ლოდიკური, არც მეთოდი წინააღმდეგობათა განხილვისა, არამედ უნდა ისარგებლოს „სამეცნიერო მეთოდით—ინდუქცია-დედუქციით—ანალიზ-სინტეზით“... „ცხადია მის კერძო მოვლენებზე, მის მამოძრავებელ ერთ ერთ ძალაზე შეჩერება მხოლოდ იმისთვის არის საჭირო,

---

[1]) ნიუტონი აპოკალიპსსაც კი იცავდა, მაგრამ ჩვენ ვერ ვიკისრებთ ამას მისი სახელით, ეს ,,კრიტიკოსისთვის'' დაბვითმია.

რომ ფეხი მოგიკიდოთ, რომ კერძო მოვლენათა და ფაქტორთა განხილვით გამოვარკვიოთ მათ შორის არსებული კავშირი“, ესე იგი სწორედ ის „კანონი“, რომელსაც აქ მეორე პროგრამა კერძო მოვლენათა განხილვის შემდეგ ამყარებს და არა უწინ, როგორც ამას ურცხვად მიაწერს „კრიტიკოსი“, როდესაც ის ამბობს რომ ისეთი მეტაფიზიკოსი, რომელმაც (ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო) „ცხადია ყოვლის უწინარეს იმ ძალების აღმოჩენას მიჰყო ხელი, რომელთა მოქმედებაც წარმოშობავს მისი შეხედულებით ისტორიულ ფაქტებს“. ნუ თუ ცხადი არაა რომ „კერძო მოვლენათა და ფაქტორთა (მომქმედთა ა. შ.) განხილვით“ „მათ შორის არსებული კავშირის“ გამორკვევა, როგორც მეორე პროექტი ამბობს, არ არის ისტორიულ ფაქტებისგან დაწყებული და მათი საშვალებით მიღებული მომქმედი, ე. ი. მამოძრავებელი ძალების პოვნა?

ნუ თუ ამის შემდეგ მეორე პროგრამის ფალსიფიკაცია „კრიტიკოსის“ მიერ და შემდგომ დონკიხოტივით თავის მიერ შექმნილ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა დონკიხოტობა არ არის??

ნუ თუ მეორე პროგრამის თქმა, რომ მამოძრავებელ, ერთ-ერთ ძალაზე შეჩერება იმისთვის არის საჭირო, რომ „ფეხი მოგიკიდოთ“ მოვლენათა შორის კავშირის დასამყარებლად, არ არის იმის თქმა, რომ დრეებითია ეს ძალა და არა მეტაფიზიკური.

ნუ თუ მაგალითებრ, ხალხი, ინდივიდი, პროლეტარიატი, გლეხობა, როგორც მეორე პროგრამა ამბობს არ არიან მომქმედი ძალები და, მაშასადამე, ამ მომქმედ ძალების ხსენება მეტაფიზიკაა?

ნუ თუ ამ მომქმედ ძალების მამოძრავებელი ძალების: რწმენა, მატერიალური მდგომარეობა, მოთხოვნილება და სხვა ამ გვართა ხსენება მეტაფიზიკის სამსხვერპლოზე მეცნიერების დაკვლაა?

ჩვენ ვერ მიმხვდარვართ რად ჰკითხულობს „კრიტიკოსი“, რომ: „ნუ თუ ამ მომქმედ ძალებს და მიზეზებსაც თავისი მომქმედი ძალა და მიზეზი აქვთ? იქნება მას სურს, რომ ჩვენც ისე მეტაფიზიკურად ვიაზროვნოდ, როგორც მას, და აქ შევწყვიტოთ ჩვენი მსჯელობის ძაფი მიზეზობრივობასთან ერთად? რად ლაპარაკობს სხვის პსიხოლოგიაზე, რომელსაც თვით სრულებით მოკლებული არის, რადგან სადაც უძრავი მომქმედი ძალები და უმოძრავო მამოძრავებელია იქ პსიხიკა ან მოსპობილია ან პსიჰიატრიას ექვემდებარება; ჩვენ გვწამს, რომ უკანასკნელ შემთხვევას „კრიტიკოსის“ თავში ადგილი არ აქვს და იძულებული ვართ პირველი შემთხვევა ვივარაუდოთ.

იქნება გვიჩვენოს „კრიტიკოსმა“, რომ ძალები არ არსებობენ და თუ არსებობენ, რათ არ უნდა მოქმედებდენ და არ ამოძრავებდენ—ეს ცნობის მოყვარეობათ ღირს.

ჩვენი პარტიული „ფილოსოფოსი“ არ კმარობს თავის გონებრივ გაროზგვას და დამცირებას თავისითვე და ცდილობს ზნეობაც ჩამოიშოროს. ამ მეცადინეობაში იქამდის მივიდა, სადაც უძლური ღვარძლის და ნაღვლის მიერ წარმოშობილი სისულელის ჰერკულესის სვეტი ასვია და ზედ ამ სვეტის წვერზე ჩამოეხრჩო. რად გჭიროდათ ანარქიზმის საბუდარის მიკვლევა და გამოქექვა? ერთი გვიბრძანეთ, რა პარტიული სრასასახლე ან იდეოლოგიური ინვენტარი გაქვთ თქვენ? აბა ერთი გვიჩვენეთ სად არის? შვეიცარიელებზე ამბობენ, რომ უცხოელები არ ყოფილიყო, არც შვეიცარიელები იქმნებოდა ქვეყანაზეო და ეს მართალია ისე, როგორც ის, რომ კადეტები, მარქსიზმი, სოციალდემოკრატია, სოციალისტ-რევოლიუციონერები და ანარქისტები არ არსებულიყვნენ ამ ქვეყნად, თქვენი არსებობა შეუძლებელი იყო და თუ ეხლა არსებობთ მხოლოდ, როგორც ქიმერა ან მახინჯი, რომელიც ამ სხვა და სხვა მცნებათ და მოძღვრე-

ბათა აღრევამ წარმოშვა და რომელიც სოციალურ ტერა-ტოლოგიის საგანს წარმოადგენს.

რად ხმიანობს და გაიძახის: „ჰარმონია არეულობისა-განო?“ რად აბრთხობს თქვენს პოლიციურ სულს არეულობა და რად დრტვინავთ იმაზე, რომ არიან ისეთი პირები, ჯგუ-ფები და ასოციაციები, რომელთაც არ უნდათ თქვენი თქმით „არც ერთი“ „შემავიწროებელი“ და ჩვენი თქმით პოლიციური ძალა და ამის შემდეგ, როგორც სოციალ-დე-მოკრატის ნამდვილი ამონაკვნესი გაიძახის, ეს არის ლო-ზუნგი: Laissez faire, Laissəz passer? ან ისინი ვისთვისაც თქვენ პროპაგანდას ეწევით ყველა უვიცად მიგაჩნიათ და ან თქვენ თვით ვერ გაგირჩევიათ, იქნება, უვიცობით, იქნება, სოციალ-დემოკრატიული დემაგოგიური განზრახვით ადამ სმიტის ბურჟუაზიული თეორია და თავისუფლება ანარქიუ-ლი თეორიისაგან და თავისუფლებისაგან.

ჩვენმა „მეცნიერმა“, რომელიც აეროლიტივით გადმო-ვარდნილა ჩვენ ბოგანო დედამიწაზე მზის სისტემის ერთ-ერთ ვარსკვლავიდან, რომელმაც ვერც ჩვენი „ფილოსოფო-სი“ და „მეცნიერი“ დაიტია და ვერც მისი „ფილოსოფია“ და „მეცნიერება“, თან წამოიღო და გადმონერგვას უპირებს ციურ— არარსებულ—მეტაფიზიკურ მეცნიერებას (?) უბადრუკ მიწაზე და სურს ეს უკანასკნელი ამით გააბედნიროს.

აი ეს საოცარი მეცნიერება, ჩვენმა „ფილოსოფოსმა“, როგორც პრომეთეოსმა სინათლე, ღმერთებს მოსტაცა ადა-მიანთა ბნელი თავების გასანათლებლად.

„არსებითი განსხვავება, ამბობს „ფილოსოფოსი“ მარ-სიდგან, ბუნების მეცნიერებისა და ისტორიისა ისაა, რომ ამ უკანასკნელს აინტერესებს ინდივიდუალურ მოვლენათა ჯაჭვი, პირველი კი, ე. ი. ბუნების მეცნიერება პირიქით დაინტერე-სებულია მოვლენათა საერთო, საზოგადო ხასიათის შესწავლით“. ხაზგასმული ადგილი ცხადათ გვიჩვენებს „ფილოსოფოსის“

მეცნიერების შემდეგ კლასსიფიკაციას. ერთი მხრით ყოფილა ბუნების მეცნიერება, მეორე მხრით კი ისტორიული; ერთი ამათგანი „ფილოსოფოსისავე“ თქმით „ბირიქით“ დაინტერესებულია, ე. ი. ისინი ერთი მეორის წინააღმდეგ საგნებს წინააღმდეგისავე მეთოდით განიხილავენ, ერთი სიტყვით, ბუნების მეცნიერება არ არის ისტორიული და ისტორიული მეცნიერება არ არის ბუნებრივი, ამიტომ მეთოდი და საგანი ბუნების მეცნიერებისა არ არის ისტორიული მეცნიერების მეთოდი და ამ უკანასკნელი მეცნიერების მეთოდი არ არის ბუნების მეცნიერების მეთოდი. ამასთანავე „ბუნების მეცნიერება ხელოვნურად სცდილობს მოვლენათა შესასწავლად ისეთი სხვა და სხვა კომბინაციები მოახდინოს, რომ ამ კომბინაციების საერთო ჯამში შესასწავლ მოვლენას სრულიად დაეკარგოს თავისი ინდივიდიალური ხასიათი და მხოლოდ იმ მხრივ ღა სჩანდეს, რა მხრივაც იგი საერთო თვისებათა განსაზღვრული კომპლექსია.“ ერთი სიტყვით ცხადია, რომ ბუნების მეცნიერება ხელოვნურ არა ბუნებრივ მეთოდს ხმაროობს და „მოითხოვს რომ იდეალური ცნებები [1]) იქმნას შემუშავებული ინდივიდუალურ მოვლენების განხილვით“ ესე იგი ბუნების მეცნიერების მიზანი ყოფილა არა-ბუნებრივის შესწავლა.

ეს დასკვნა რომ „ფილოსოფოსის“ ღრმა „გამოკვლევის“ და „აზროვნების“ ენერგიის ნაყოფია, ჩანს თვით ამ „მოაზრე“ და „მეცნიერის“ სიტყვებიდგან. ის ამბობს, რომ ამ იდეალურ მცნებათა შემუშავების შემდეგ და მათი „დახმარებით გამოირკვეს ჰიპოტეტიურ და არა ინდივიდუალურ მოვლენათა შორის არსებული ბრობლეშატიური შესაძლებელი და არა ნამდვილი, ე. ი. რეალურად ბუნებაში არსებული ურთიერთობა“, ე. ი. ბუნების მეცნიერებამ თავისი მეთოდით, ბუნებ-

---

[1]) ცნება ყველა იდეალურია და მაშასადამე იდეალური აქ არა რეალური, არა ბუნებრივის აზრით არის ნახმარი.

რივით, რასაკვირველია, უნდა შეიმუშავოს იდეალური, არა რეალური, არა ბუნებრივი მეცნიერება და ამ არა რეალურ და არა ბუნებრივ მცნებით აღჭურვილი (კარგი საჭურველია და ჩვენ „ფილოსოფოსის“ ახოვან ტანს ძლიერ უხდება) გამოარკვიოს ჰიპოტეტიური, არა რეალური, არა ნამდვილი, ბუნებაში არ არსებული მოვლენათა შორის ურთიერთობა არა ინდივიდუალ, კონკრეტულ, არა ნამდვილ და რეალურად ბუნებაში არსებული ურთიერთობა. კარგი მეცნიერებაა! ადგენს ჰიპოტეზას (ინდუკტიურად? ნუ თუ შესაძლებელია!) და ჰიპოტეზის საშვალებით შეისწავლის ჰიპოტეთიურსავე მოვლენებს, აშენებს ფაქტს, მოვლენას და ამ ჰიპოტეტიურ მოვლენების შორის ამყარებს ჰიპოტეტიურსავე და არა ნამდვილს ან „რეალურად ბუნებაში არსებულ ურთიერთობას“.

ჯერ ნეტავი ამ საოცარ ფილოსოფოსს დაემტკიცებია თავისი მსჯელობის საფუძველი, რომლითაც ბუნების მეცნიერება და ისტორიული მეცნიერება წინააღმდეგნი და ერთი მეორეს „პირიქითი“, მისი თქმით, და გამომრიცხავია. რა „ფილოსოფოსის“ საქმეა წყლის ქიმიური ფორმულის ხმარება ან გადმოწერა, იმ ქიმიის, რომლისაც მას, არც როგორც დილეტანტს და არც როგორც სპეციალისტს, არ გაეგება რა ისე, როგორც ფილოსოფიისა.

თუ მაინცა და მაინც ჩვენი „ფილოსოფოსი“ ცდილობს, ჩვენ დროში, იმ დროში, როდესაც ფილოსოფია და ფილოსოფოსობა მიუც ლებლად თხოულობს ენციკლოპედიურ ცოდნას ყველა მთავარ მეცნიერულ საგნებისა და ამასთანავე სპეციალურ ცოდნას ერთ ამ საგნებისას—იკისროს მძიმე ულელი აზროვნების ლამპრობისა, რათ არ გვიჩვენა დასაბუთებული მეთოდოლოგია თვითეული მეცნიერებისა მათ შინაარსას განხილვის მხრივ მოკლედ და ამის შემდეგ საერთო ფილოსოფიური მეცნიერებათა ერთ მსოფლ-მხედველობაში გაერთიანებული ცოდნის მეთოდი! ეს ხელობა არც

მარსიდგან გადმოვარდნილი ფილოსოფოსის საქმეა ისე როგორც არც მეტაფიზიკის ადვოკატური დაცვა გონების სასამართლოში. ჩვენ ვიცით, რომ აზროვნების და მეცნიერების—ბუნების შესწავლის—ისტორიაში იყო ისეთი დრო, როდესაც ცდა, ინდუქცია, სინტეზი აკრძალული იყო და გაბატონებული იყო სპეკულაცია და განყენებითი დედუქტიური მეთოდი. მაგრამ, როდესაც ადამიანის გონება შევიწროებულ იქმნა ამ უნაყოფო ნიადაგზე მიმაგრებით, როდესაც დაამთავრა თავისი დაცალიერებული სარბიელის კვლევა, რომელიც მოკლებული იყო საზრდოს, როგორც უდაბნო წყაროს და რომელიც მას დოგმის სახელით მოახვიეს და დააძალეს, მან სცადა გადასცდენოდა ამ სპეკულიატიურ სარბიელს, მაგრამ ეს ცდა პირველ ხანებში ძლიერ ძვირად უჯდებოდა; რამოდენ უფრო და უფრო ილტვოდა ადამიანი ბუნების შესწავლისაკენ, იმოდენათ უფრო და უფრო სჭყლეტდა და ამცირებდა მისი მისწრაფების და მოქმედების გარემოცულობას დოგმატი და მეტაფიზიკა, და აი სწორედ ამიტომვე მით უფრო და უფრო უსაზღვროდ იზრდებოდა შევიწროებულ აზრის ნიჭი წინააღმდეგობისა, რამოდენად იზრდებოდა და უახლოვდებოდა ამ ზრდაში თავის საზღვარს მისი შემავიწროებელი ძალა. ბოლოს, როგორც ყოველმა ამ ქვეყნად, უფრო შეზელილმა და შეფერებულმა ბუნებასთან, ბუნების მეცნიერების შესწავლამ მოიკიდა თან და თან ფეხი, და თან და თან განაძევა ქიმერები, და ილიუზიები და მათი წარმომშობი სპეკულაციის ნაყოფები და განყენების მისწრაფებანი და საშვალებები ყოველივე აღმოჩენები მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებში მათემათიკაში, მექანიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ფიზიოლოგიურ პსიხოლოგიაში, ანტროპოლოგიაში და სხვა მოხდა ცდაზე დამყარებულ ინდუქტიურ-დედუქტიურ მეთოდის საშვალებით და არა დიალექტიურით ან სპეკულიატურით და განყენებით. ამ გვარად ერთი მხრით ჩვენ ვხე-

დავთ ნატურალისტებს, რომლებიც მოღვაწეობენ ეგრედ წოდებულ სწორ საბუნებისმეტყველო საგნებში და ამთავრებენ საქმეს ადამიანის მიერ ბუნების ცოდნის შეძენის სასარგებლოდ. მეორე მხრით ისეთი კაცები, როგორც მენიე, კონტი, სპენსერი და სხვა გამოჩენილი სოციოლოგები ხმარობენ იმავე ინდუქტიურ დედუქტიურ მეთოდს პირველყოფილ ადამიანთა, მათ ზნე-ჩვეულებათა, წარმოება განაწილებათა შესასწავლად, რის გამო ადამიანთა საზოგადოებრივ განვითირების ისტორია იმ გვარადვე დამაგრდა და დადგა მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც თვით გეოლოგია, ბიოლოგია. ის იმ გვარადვე ბუნებრივი და ბუნების მეცნიერება შეიქმნა ბუნებრივი მეთოდით—ინდუქცია დეედუქციით. ის ადამიანთა საზოგადოებრივ განვითარებას იმ გვარადვე სწავლობს, როგორც მეცნიერება ცხოველთა და კრისტალთა ინდივიდუალურ და საერთო, ჯიშთა განვითარების ისტორიას. „მხოლოდ მაშინ, ამბობს კროპოტკინი, როდესაც ანტროპოლოგიის, ე. ი. ადამიანის ფიზიოლოგიურ განვითარების ისტორიის, მისი სარწმუნოების ისტორიის შესწავლა დაიწყეს სწორედ ისე, როგორც შეისწავლებიან ხოლმე ყველა დანარჩენი ბუნების მეცნიერებანი, შესაძლებელი გამოჩნდა, არა თუ ახალი შუქის მოფენა ამ ისტორიაში, არამედ შესაძლებელი გახდა სამუდამოდ განთავისუფლება მეტაფიზიკისაგან, რომელიც სწორედ ისე აბრკოლებდა ამ შესწავლას, როგორც ბიბლიის გადმოცემანი ასი წლის უკან აბრკოლებდენ დედამიწის ისტორიის შესწავლას—გეოლოგიას.“ „რადგან ადამიანი ბუნების ნაწილია, ამბობს იგივე კროპატკინი, რადგან მისი „სული“ ცხოვრება ისე, როგორც პირადი და საზოგადოებრივი, ისეთივე ბუნების მოვლენა არის, როგორც ყვავილის ზრდა ან ჭიანჭველის ვონებრივი და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება, ამიტომ არ არის მიზეზი კვლევის მეთოდის შე-

ცვლისა, როდესაც ყვავილიდგან ადამიანზე ან წავების სოფლიდგან ადამიანთა ქალაქებზე გადავდივართ.“

„ბუნების მეცნიერულმა მეთოდმა დაამტკიცა თავისი ძალა იმით, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ის მოიხმარეს, მეცნიერება უფრო წინ წავიდა, ვინემ პირველ ორი ათასი წლის განმავლობაში, და როდესაც ის მოიხმარეს ადამიანთა საზოგადოებების შესასწავლად, მაშინ ვერსად ვერ ნახეს ისეთი წერტილი, სადაც ის უნდა მიეტოვებინათ და მიბრუნებოდენ საშვალო საუკუნის სხოლასტიკას, რომელიც მხოლოდ აბრკოლებდა მეცნიერებას“.

ერთი ეხლა ეს გვიბრძანეთ რა განსხვავებული ნიშანი აქვთ ისტორიულ მიზეზობრიობას და ბუნების მეცნიერებისას. თუ იმით, რომ ისტორია „დაინტერესებულია ინდივიდუალურ მოვლენათა ჯაჭვით“ (какаво философское выраженіе!) და „ბუნების მეცნიერება დაინტერესებულია(?) მოვლენათა სერრო, სზოგადო სსიათით“, უნდა ჩვენ „ფილოსოფოსს“ სთქვას, რომ ეგრედ წოდებული სწორი ბუნების მეცნიერება განყენებულია და ბუნების მოვლენების განყენებულ მხარეებს იკვლევსო და ისტორია კი, როგორც მეცნიერება იკვლევს კონკრეტულ მოვლენებსო და ამას თანავე უნდა სთქვას, რომ პირველს თავისი მეთოდი აქვს და მეორეს თავისი, უნდა ეთქვა ბარემ და არ ეღეჭნა ისე, როგორც „სემინარისტს“. ერთი ბრძანეთ, ნუ თუ ინდივიდუალური მოვლენა არ არიან კრისტალები, რომელსაც ბუნების მეცნიერება სწავლობს, ნუ თუ კრიტისტალოგრაფია ინდუქტიურ და სინტეტიურ მეთოდით არ შეისწავლის და იკვლევს თავის საგანს?

ნუ თუ ინტროპოლოგია, რომელიც სოციალოგიაში შედის არ არის ადამიანურ უნდივიდუმის პიროვნების ყოველ მხრივ შესწავლა, ნუ თუ ქიმია ინდივიდუალურ სხეულების შესწავლა არაა!

ნუ თუ ისტორიოგრაფია, ის რასაც თქვენ თქვენი უვი-

ცობით ისტორიას ეძახით, ხალხთა, კლასთა ჯგუფთა პიროვნებათა აღწერა და შესწავლა არ არის, არა თუ მარტო ინდუქცია-სინტეზის, არამედ ინდუქცია-ანალიზის საშვალებით.

მახლას, თქვენს მეცნიერებას!

იქნება თქვენ მარქსის აზრი გინდოდათ გადაგელეჭათ, მიუხედავად მარქსიზმის თქვენ მიერ დაწიხვლის შემდეგ, მაგრამ ეს ხომ ის იქნება, რაზედაც ფრანგები ამბობენ: le chién vien â son vomissement.

ვისგან-ვისგან, მაგრამ მარქსიზმისთვის თქვენი ტლინკები ქათმის წიხლი იქნება ან ის რაც არაკის ლომისთვის ერთგვარი ცხოველის წიხლები.

იქნებ მართლა გინდოდათ ხელახლა გადაგელეჭნათ მარქსის ნათქვამი და გეთქვათ, მარქსივით რომ: „ამას გარედ ეკონომიურ ფორმების ანალიზის დროს ვედარ გვემსახურება ვერც მიკროსკოპი და ვერც ქიმიური რეაქტივები აბსტრაგციის (განყენების) ძალამ უნდა დაიჭიროს ერთის და მეორეის ადგილი. სამოქალაქო საზოგადოებისთვის სამშრომელო წარმოების ნაყოფის სასაქონლო ფორმა ანუ საქონლის ღირებულების ფორმა შეადგენს ეკონომიურ უჯრედს.“ ექნება ამგვარი რამე ნებავდა „ფილოსოფოსს“. ჯერ კარგათ გამოღეჭეთ და გამოსთქვით, რომ ვიცოდეთ მაინც რაშია საქმე.

„ფილოსოფოსის“ ნათქვამიდგან, რომლითაც (გ. 8, 9 „მას“.) ის ამბობს რომ ბუნების მეცნიერებაში საქმე ინდივიდუალური მოვლენების განხილვით იწყებაო და აბსტრაქციით თავდებაო და შემდგომ ამ აბსტრაქციით აღჭურვილი იძიება ჰიპოტეზაო, ცხადია, რომ იწყება ინდივიდუალური, კონკრეტული მოვლენებისგან და თავდება აბსტრაქციით ზოგადი ხასიათით, მაშინ როდესაც ისტორიაში მისი ნათქვამის აზრით იწყება აბსტრაქციით და თავდება ინდივიდუალური მოვლენებით. ცხადია აქედგანა, რომ მას უნდა იხმაროს ისტორიაში განყენებითი მეთოდი და არა მეთოდი განხილვისა (**наблюденія**) და ინდუქციისა (**наведеніе**), მაშასადამე ტყუილად აქი-

ცინებს გამწარების კუდს და ეარშიყება ინდიქტიურ-დედუქ-ტიურ მეთოდს, როდესაც ის ამბობს, რომ რა საჭირო იყო ინდუქცია-დედუქციის საჭიროების მოხსენება პროგრამაში, რადგან უკვე ინდუქცია-დედუქციით სარგებლობდა და სარ-გებლობსო, თუ მხედველობაში ამასთანავე ზევით ნოყვანილ კრაპოტკინის აზრს ინდუქციის ხმარებაზე მივიღებთ სახეში.

მიუხედავად მარქსიზმის ფორმალური სიძულვილისა, მას კიდევ თავის თავს ურჩევნია ეს მისგან გაფასებული და გა-შობილი სიმბოლო სარწმუნოებისა, მან მაინც დასვა კითხვა მეცნიერულ დიაგნოზის და „ისტორიულ“ პროგნოზისა და ისევ სოციალ-დემოკრატიული პროგნოზი არჩია.

„ფილოსოფოსი“ და „მეცნიერი“ არ კმაყოფილდება მე-ცნიერული დიაგნოზით და აუმჯობესებს მეცნიერებას მაჰ-მადის სარწმუნოებით და ფატალიზმით ისტორიაში; ის ამ-ბობს, „ამ მაგალითზე მშვენივრად სჩანს, რომ ბუნების მეც-ნიერება მხოლოდ ჰიპოტეტიურ მიზეზობრივ ურთიერთობის ცო-დნას გვაძლევს და არა იმ მიზეზობრივის ურთიერთიერთო-ბისას, რომელიც ინდივიდუალურად და კონკრეტულად არსებობს რეალურს ბუნებაში.“

„ისტორიისათვის ასეთი საერთო, ჰიპოტეთიური ცოდნა არა-ვითარს დირებულებას არ წარმოადგენს. ისტორიის საგანი და მიზანი ის კი არაა, რომ გამოიკვლიოს, რა მოხდება ან რა მო-ხდებოდა ესა და ეს სათუო პირობები რომ განხორციელდეს ან რომ განხორციელებულიყოს, იმისი მიზანი და საგანი პირი-ქით მხოლოდ ის ინდივიდუალური მოვლენებია, რომელნიც რეალ-ურად განხორციელდნენ ან განხორციელდებიან აუცილებლივ.

„ისტორიის პრობლემა, რომელსაც ჩვენი პროგრამის პრო-ექტი სრულებით ვერა ჰხედავს, და მხოლოდ მოდის გემოვ-ნების დასაკმაყოფილებლად ადგენს ვითომ და გამგე პრინ-ციპებს ისტორიისთვის,—ისაა რომ დამტკიცდეს შესაძლებ-ლობა და ნაჩვენებ იქნას გზა ე. ი. მეტოდი კონკრეტულ მო-

ვლენათა ისეთი შესწავლისა, რომელიც ბუნების მეცნიერებასავით სათუო, ჰიპოტეთიური მიზეზობრივ ურთიერთობის ცოდნას კი არა, რეალურ ინდივიდუალურ ურთიერთობათა ცოდნას მოგვცემს“.

ამ გვარია ის ისტორიულ კვლევათა საწარმოვო იარაღი, რომლის ამოჩენას კი არ გვპირდება ჩვენი „ფილოსოფოსი,“ არამედ კიდეც აღმოუჩენია, როგორც ჩანს. რომ ბუნების მეცნიერება არ ვარგა საწინასწარმეტყველოდ მაგაში ჩვენც თანახმა ვართ, მაგრამ სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ მოკლედ, რასაკვირველია, მანამ უნდა ვთქვათ აქავე, რომ ჩვენი „ფილოსოფოსი“ ახირებული „ფილოსოფოსი“ და „მეცნიერია“, რადგან ის ისეთ კითხვის გადაწყვეტას ჰლამის, რომელიც მისი საკბილო სრულებით არ არის, არ არის რადგან ის კითხვასაც ვერ სვამს ისე, როგორც ეს საჭიროა. კითხვის გაფორმულება კი თვით დილეტანტისთვისაც კი საჭიროა.

ისტორიული პროგნოზის, წინასწარმეტყველების აზრი შეკავშირებულია განუყრელად ერთ და იმავე დროს იმ აზრთან, რომლითაც ერთი მხრით ცნობილია არა მარტო მიზეზობრივი კავშირის არამედ მიზეზობრივი კავშირის ურთიერთობის მუდმივ კანონის აუცილებელი ბატონობა მსოფლიოს მოვლენათა შორის; მეორე მხრით მიღებულია რა მხედველობაში წარმატება იმ უზარმაზარ პროვინციებში, რომელიც ადამიანის აზრმა დაიპყრო ეგრედ წოდებულ სწორ მეცნიერებაში, და თუ ამასთანავე მიღებულია აგრეთვე, წინასწარმეტყველებანი, პროგნოზი, [1]), რომელიც მან შეიძლო ამავე ბუნებრივ ისტორიულ სწორ მეცნიერებაში, მაშინ ბუნებრივად იბადება კი-

---

[1]) ხშირად ისტორონომ დევერიეზე უჩვენებენ ამ შემთხვევაში, მაგრამ ჩვენ ეს პროგნოზად არ მიგვაჩნია და განსაკუთრებული შეხედულება (რასაკვირველია ჩვენი აზრით, დასაბუთებული) გვაქვს ამ შემთხვევაში.

თხვა ისტორიულ პროგნოზის შესაძლებლობისა, ამიტომ ბუნერივი ისტორიულ პროგნოზის შესაძლებლობა დაკავშირებულია ისტორიულ პროგნოზის შესაძლებლობასთან. ამგვარი კითხვა ფილოსოფიის და მეცნიერების ისტორიაში წამოყენებულია უმთავრესად ისეთ მოაზრეების მიერ, რომლებსაც სწორ მეცნიერებათა ღრმა ცოდნასთან ერთად ჰქონდათ ღრმა ფილოსოფიური აზროვნება და დიდი ინტერესი საზოგადოებრივ მოვლენებისა. ასეთი იყვნენ, მეტი რომ არ ვთქვათ, ლეიბნიცი, კონდორსე, დიუბუა-რეიმონდი და ასეთია მრავალი ფილოსოფიის „პროხვოსტები“ და ჩვენი „ფილოსოფოსიც“.

ლაპლასის აზრით „რომელიმე გონებამ რომ იცოდეს განსაზღვრულ მომენტში[1]) ყოველი ძალები რომლებიც მოქმედებენ ბუნებაში და იცოდეს საურთიერთო მდებარეობა საგნების, რომლებიც ბუნებას შეადგენენ, და თუ ეს გონება საკმაოდ მძლავრი იქნება ამ მასალების (данныя) გასაანალიზებლად. მაშინ ის გამოსთქვამდა ერთ და იმავე ფორმულაში, როგორც მსთფლიოის უდიდეს სხეულთა მოძრაობას, ისე უმსუბუქეს ატომის მოძრაობას: მას არაფერი მორჩებოდა უცოდნელი, და მომავალი, და წარსულიც გაიშლებოდა მის თვალების წინ“.

ამ აზრით ჩაგონებული დიუბუა-რემონდი ამბობს, რომ ამ გვარად ისე, „როგორ ასტრონომი გვიწინასწარმეტყველებს იმ დღეს, როდესაც კომეტა მრავალი წლების შემდეგ ხელახლა ამოცურავს ცის კამარაზე სამყაროს სილრმის სივრციდან, ისე ეს სული შეიძლება თავის შეფარდებულებაში (уравненіе) იმ დღის ამოკითხვას, როდესაც ბერძნული ჯვარი ხელახლა გაბრწყინდება სოფიის ჯამეზე (мечет), ან როდის დასწვავს ინგლისი თავის უკანასკნელ ნატეხს „ქვანახშირი-

[1]) ლაპლასის აზრით აწმყო მდგომარეობა მსოფლიოსი შედეგია წინა წასრული მდგომარეობის და მიზეზია მომავალი მისი მდგომარეობის; ამ დებულებას საფუძვლად უდებს თავის მსჯელობას. ამ გვარია ა. პუანკარეს აზრიც.

სას“. მიუხედავად ამისა მრავალია ისეთნიც, რომლებიც არ ეთანხმებიან პროგნოზის იდეას, რადგან მიუხედავად მოლოდინისა, ჩვენი ანტიკრიტიკა ვრცელდება, ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ საფუძველი დავანგრიოთ ამ კითხვისა და რაც შეიძლება მოკლედ. ერთი საფუძველი ისაა, რომლითაც პროგნოზი ბუნებრივ-ისტორიულ მეცნიერებაში დამაგრებულია კანონის იდეით. თუ მიზეზობრივობა არსებობს, თუ ურთიერთობა მოვლენათა შორის არსებობს ეს არ ნიშნავს, რომ მიზეზობრივობის, მოვლენათა ურთიერთობის კანონი ე. ი. მუდმივობა არსებობს, წინააღმდეგი დღეს ცხადია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფილ უნდა იქმნას ევოლიუცია, მოძრაობა, ცვალებადობა და მიჩნეულ უნდა იქმნას უძრაობა, სტატიკური მდგომარეობა და განმეორება (იდანტიურობა) მოვლენათა. კანონის თაობაზე ზევითაც გამოვსთქვით რამოდენიმე აზრი. ამასთანავე უნდა ვსთქვათ კიდევ, რომ ყოველთვის ნავარაუდევია მოვლენის გამოანგარიშების შესაძლებლობა, მაგრამ მაშინ განსაზღვრული მდგომარეობა, „მომენტი“ მსოფლიოს მდგომარეობისა მიღებულია, როგორც შედეგი მსოფლიოს უწინდელი, წარსული მდგომარეობისა, „მომენტისა“, რომელიც ამასთანავე მიზეზიც არის მომავალი მდგომარეობის; მაშასადამე მსოფლიო დასრულებულად არის მიჩნეული, როგორც დასაწყისში ისე აწმყოში და ყველა მისი შემადგენელი საგნები ცნობაში არიან მოყვანილი. ყველა ეს—მსოფლიოს დასრულებულობა (законченое понятіе овселенной)—შეუძლებელია და მაშასადამე მისი გამოანგარიშება, როგორც დაუწყებ-დაუსრულებელის, შეუძლებელია განსაზღვრულ „მომენტამდი“, არც თუ ეს მომენტია გაყინული ის მკრივი (сплошная) სიდიდეა და კიდევ მომენტებისაგან შესდგება, ის ცვალებადია; ერთი სიტყვით, სრული წარსულის ცოდნა შეუძლებელია. შეუძლებელია მაშასადამე მომავლის გამოანგარიშება, რომელიც დამყარებულია შეუძლებელი დიფერენ-

ციალური „ურავნენიეს“ შედგენაზე წარსულ მსოფლიოს მდგომაერეობის, „მომენტის“ და მომავალ მის მდგომარეობის, „მომენტის“ შორის; ან სამყარო უნდა გაიყინოს და გაშეშდეს ან ანგარიში შეუძლებელია.

ეხლა თუ ბუნებრივ-ისტორიული პროგნოზი შეუძლებელია, მაშინ შეუძლებელია ისტორიულიც, რადგან უკანასკნელი პირველთან დაკავშირებულია და მისგან გამომდინარეობს; და თუ განვაცალკევებთ ისტორიას ბუნებისაგან, მაშინ შეიძლება კითხვის დასმა, მაგრამ გადაწყვეტა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება ისტორიულ პროგნოზის სასარგებლოდ, როდესაც ისტორიულ მოვლენათა ურთიერთობის უძრაობას ხელახლა და განსაკუთრებით დავამტკიცებთ, როდესაც ისტორიულ მიზეზობრივობას კი არა, არამედ ისტორიულ მოვლენათა მიზეზობრივ ურთიერთობის კანონს დავამტკიცებთ. ამ კანონებზე ბევრი ლაპირაკი კი აღარ ღირს, რადგან ყველა კანონებთა შორის ისტორიული კანონები ყველაზე უფრო, არა თუ საცილობელი, არამედ საეჭვო არიან [1]) „ფილოსოფოსი“ ამბობს, „რომ ისტორიისათვის ისეთი საერთო ჰიპოტეტიური ცოდნა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს“.

მაშასადამე თვით სთვლის ყოველ ღირებულობას მოკლებულად, ჰიპოტეტიურად, და მაშასადამე აპროგნოზულად ბუნებრივ-ისტორიულ მეცნიერებას, რითაც თვით ანგრევს თავის საფუძველს და სწვავს იმ ხომალდებს, როლებსაც ისტორიაში უნდა მიეყვანა.

საქართველოს „კანტი“ გვეუბნება, რომ ისტორიის მიზანი ისეთი მოვლენებია, რომლებიც „განხორციელდებიან აუ-

---

[1]) ჩვენ არ ვიცით და იქნებ „ფილოსოფოსი“ ან ვინმე მისი ნაცნობი აბერხებდეს დამტკიცებას საზოგადოთ ბუნებაში კანონის არსებობას და ქერძოთ ისტორიაში.

ცილებლადო“. ცხადია რომ მომავალში მოვლენები განხორციელდებიან, მაგრამ სრულიად ცხადი არ არის, რომელი მოვლენები. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს „კანტს“, რომელსაც ისტორიის კურსი ჩვენ სოციალ-დემოკრატებთან და მარქსისტებთან დაუმთავრებია, ეძებს ისტორიულ მეცნიერებით აღჭურვილი, როგორც პამპულა, ისეთ ისტორიულ ცოდნას, რომელიც საშვალებას მისცემს მომავალ აუცილებელ ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინებისას, შეაძლებიებს გათვალისწინებას ისეთი მოვლენებისას, რომლებიც „განხორციელდებიან აუცილებლივ“. ცოტა არ იყოს მაჰმადიანური ფატალიზმია და არა თუ დაახლოვებითი პროგნოზი, ვგონებ, აბსოლიუტიზმიც. კარგია აბსოლიუტური, დოგმატიური და პროგნოსტიური ისტორია, მაშინ მომავლის ისტორიას წინ-წინ დასწერდენ მეცნიერები და ჩვენი „კრიტიკოს-ფილოსოფოს-ისტორიკოსი“ კი თავის მომავალ აბდა-უბდათა ისტორიას.

გადმოქვცა რა თავისი „კრიტიკა“ „ფილოსოფოსმა“ მეორე პროგრამის ისტორიულ შეხედულობაზე, ხელი მიჰყო კლასთა ბრძოლის შეხედულებას მეორე პროგრამაში. და ეს ღირსეული ხელობა ისე შეასრულა, როგორც „ფილოსოფოსს“ ეკადრება. მეორე პროგრამა კლასთა წარმოშობაში ემყარება იმ თეორიას, რომელსაც მეზობლობა ჰქვია და რომლის შინაარსი ის არის, რომ ყოველივე ცვლილება სწარმოებს წრის გავლენით და ცვლილებით. ეს ისეთი ფაქტია დღეს, რომ მის უარ მყოფელი თვით ევოლიუციის და ტრანფორმიზმის უარმყოფელად ითვლება, თვით მცნება წრის გავლენის ფაქტისა ისეთი ვრცელია, როგორც ევოლიუციონიზმი ან ტრანსფორმიზმი.

წრე შესდგება 1, კოსმიურ, 2, ბიოლოგიურ, 3, ინდივიდიალურ, და 4, სოციალურ წრისაგან; კოსმიური წრე

შესდგება: ფიზიკურ (მზის სინათლე მაგალითად), ტელურიულ, გეოგრაფიულ, ოროგრაფიულ და სხვათაგან. ბიოლოგიური წრე შესდგება: მცენარეების და ცხოველებისაგან. ინდივიდიალური წრე შესდგება: თვით ადამიანის ან ცხოველის (მაგ, ჭიანჭველის და ფუტკრის) ანატომიურ კონსტრუკციისაგან: სააზროვნო, მოსანელებელ და სამუსკულო აპარატებისაგან უმთავრესად და ამ აპარატების და საერთოთ ფიზიოლოგიურ ფუნქციებისაგან. სოციალური წრე შესდგება: ეკონომიურ მოთხოვნილებათა, მდგომარეობისაგან, ამ მდგომარეობის დაკმაყოფილების საშვალებათაგან (წარმოება მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საჭიროებათა და საშვალება წარმოების ორგანიზაციის და ნაწარმოებთა განაწილების, რასაც განსაზღვრულ საფეხურზე წარმოების ორგანიზაციისა და განაწილებისა ჰქვია პოლიტიკა), ერთი სიტყვით პოლიტიკური პირობები, ჰიგიენური პირობები, სასწავლებელი წიგნები, ოჯახი და სხვა. ამ გვარია წრე, რომელშიდაც მოქცეულია ყველა ელემენტები, რომლებიც საჭირო არიან ინდივიდუმის და საზოგადოების ევოლიუციის და ტრანსფორმაციისათვის.

ვირს ყური, მოჭრეს და ამიტომ ადამიანებში გაერიაო. თუ „კრიტიკოსმა“ არ იცოდა, რა მცნებას გამოხატავს სიტყვა „წრე“ და რა ხილია მეზოლოგია, რად გაერია კრიტიკოსთა შორის, როგორც რქა მოტეხილი ურქოებში. ერთი მიბრძანეთ რათ არ ვარგა ამგვარი და არა „კრიტიკოსისეული“ წრე კლასთა გენეალოგიისათვის! ეს კიდევ არაფერი, საქმე იმაშია, რომ პროგრამმა ამბობს: „ყველა ადამიანთა საზოგადოებაში—**იმ ველურ საზოგადოებათა გამორიცხვით, რომელნიც** დღემდის **ჰივეულ ეოფილ მდგომარეობაში დარჩენილან**“; მიუხედავად ამ სიტყვებისა მეტიჩარა ფილოსოფიაში და მეცნიერებაში გაიძახის რომ, თუ კლასთა არსებობის და წინააღმდეგობის **მიზეზი წრის სხვა და სხვაობის გავლენაა**, ადამიანთა

საზოგადოებაში კლასების არსებობა და კლასთა ბრძოლა თვალსაჩინო ისტორიის დასაწყისი უნდო ყოფილიყო“, მაგრამ ისტორია სულ სხვას გვეუბნებაო ამბობს ჩვენი „ისტორიკოსი“. რათ გინდათ ის ისტორიოგრაფია; რომელიც თქვენ არ იცით და პრეტენზია კი დიდი გაქვთ, აკი მეორე პროგრამა გეუბნებათ, რომ ზოგ „პირველ ყოფილ“ და ველურ საზოგადოებათა გამოკლებითო. თქვენ იქნება ხუთ მცნებათაგან ერთი დაგეკარგათ თორემ სხვა გვარად ამ მოვლენის ახსნა შეუძლებელია. ეხლა კი გეუბნებით, რომ წრე, არა თუ ველურთა საზოგადოებას არ რიცხავს, არამედ არც ცხოველთა საზოგადოებას.

ყოველი მოვლენა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ განსაზღვრულ მომენტში მიუცილებლად გულისხმობს მის წინამორბედ მოვლენას, რომელიც საჭიროა განსახილველ მოვლენის არსებობის და ხასიათის დასასაბუთებლად.

მიუცილებლად ყოველი შემდეგი მოვლენა მოითხოვს უკუმდეგს, რომლისაგანაც ის გამომდინარეობს გენეალოგიურად. წინამორბედი მოვლენა, უკუმდეგი არ არის არავითარ შემთხვევაში სადე დაუყოფელი ელემენტი, რომლისაგანაც მისი შემდეგი ელემენტი მომდინარეობს, რადგან ერთი გაუყოფელი ელემენტი ვერ წარმოშობს შემდეგ ელემენტებს, ვინაიდგან ერთი დაუყოფელი, მაშინ განსხვავებული იქმნება თავის თავისაგან და არა იგივე ერთი, რომელიც იდანტიურობას წარმოადგენს, იდანტიურობა კი პირდაპირი უარყოფაა გენეალოგიისა, წარმოშობისა, განვითარებისა,— მოძრაობისა. ამ რიგად ყოველი განსახილველად აღებული მოვლენის წინამორბედი მოვლენა, „მიზეზი,“ არის რთული რომლისაგანაც ის წარმოიშობა, როგორც საშოდგან, წრისგან, რომელიც, როგორც რთული შეიცავს, როგორც თავის გამანაყოფიერებელ თესლს, ისე თესლის ნიადაგს, სწორედ იმ პირობებს, რომელიც შესაძლებელათ ხდის არა თუ წარმო-

შობას, არამედ მის განვითარებასაც. მაშასადამე წრე, რომელიც შეიცავს განვითარების პირობებს, რა გვარიც უნდა იყოს ეს განვითარება, წარმოადგენს ყოველ გვარ ევოლიუციის, ცვალებადობის პირობებს, და აი სწორედ ამისთვის ყოველი ბუნებრივი მოვლენა პირობითია და არა უცვლელი, კანონიერი, კანონ შეწონილი; ეს პირობები განსაზღვრავენ ხასიათს პირობითისას, ე. ი. წარმოშობილისას (условія, опредѣляющія самое существованіе и характер оубсловленнаго.) ეს წრე პირობათა წარმოადგენს იმ მიდამოს, რომლის ელემენტებთა შორის სწარმოებს შერჩევა, რომლის საშვალებითაც სწარმოებს ევოლიუცია, ცვალებადობა შერჩევის ელემენტებისა, შერჩევის, რომელიც განუყრელია დროში და სივრცეში წრისგან ისე, როგორც პირობა, საგანი და საშვალება ერთი მეორესაგან და ამნაირად, წრე საზოგადოთ— ბუნება— შეიცავს ყოველ პირობას, საგანს და საშვალებას— ბუნებას ამ შხრით არავითარი საზღვარი არ აქვს და მაშასადამე არ აქვს საზღვარი არც სოციალურ მოვლენებში. შერჩევა ბუნებაში საზოგადოდ და კერძოთ ბიოლოგიურ მოვლენებში ორ გვარია: ერთი ბუნებრივი და მეორე, ეგრედ წოდებული ხელოვნური, ე. ი. ისევ ბუნებრივი, მაგრამ მისი დამახასიათებელია ადამიანის მონაწილეობა შერჩევაში. ეს შერჩევა, როდესაც ის ბუნებრივია, მაშინ ის არის დახასიათებული ხანგრძლივობით და იმით, რომ შერჩევა სწარმოებს იმათ სასარგებლოდ, ვინც ირჩევიან, რადგან საერთო მათი შემრჩევი ბუნება სავსებით გამოიხატება იმათში ვინც მის მიერ არიან შერჩეულნი, რომლებიც მაშასადამე თავიანთი ბუნების მიხედვით შეერჩევიან ერთიმეორეს; როდესაც შერჩევა ხელოვნურია, ე. ი. შერჩევაში ადამიანის ხელი გაერევა (მაგალ. როდესაც ორ ცხოველს შეაუღლებს „უკეთესი“ ჯიშის მისაღებად), მაშინ შერჩევა დახასიათებულია სიჩქარით (ვისთვის?) და იმით რომ შერჩევა სწარმოებს არა იმათ სასარგებლოდ, ვინც შერჩეული არიან, არამედ შემრჩევლის, ამ შემთხვევაში ადამიანურ კერძო ინდი-

ვიდის სასარგებლოდ. ბუნებრივ შერჩევის ნაყოფი ორგანიზმი უფრო შეზელილია (приспособлен) ბუნებასთან და ამიტომ უფრო რეალური და გამძლეა, მუდმივია ხანგრძლივობის მხრივ, მაშინ როდესაც ხელოვნური შერჩევის ნაყოფი უფრო სუსტი და არა რეალური, ეფემერულია.

ბიოლოგიური შერჩევა როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი მოყვანილია ორგანიზაციაში იმით, რასაც ბიოლოგიაში შეზელას, შეგუებას (приспособленіе), ცვალებადობას ეძახიან და აგრეთვე იმით, რასაც მემკვიდროებას ეძახიან, მემკვიდრეობა, რომელიც იგივე შეზელა და ცვალებადობა არის, მხოლოდ ხანგრძლივი.

ბიოლოგიური ბუნებრივი შერჩევა, ერთი მხრით როგორც ხანგრძლივი პროცესი წარმოადგენს მემკვიდრეობას, როგორც ხანგრძლივ პროცესს, რომელიც, როგორც თვით ბუნებრივი შერჩევის პროცესი, ხანგრძლივია შემრჩეველთათვის, იმიტომ რომ ის სწარმოებს შემრჩეველთა საზიანოდ და შერჩეულთა სასარგებლოდ, რომელთათვის მეორე მხრით ჩქარი, განუწყვეტელი პროცესია.

ბიოლოგიური ხელოვნური შერჩევა, როგორც პროცესი, ჩქარი, პროგრესიული, მამოძრავებელი პროცესია შემრჩელელისათვის, რადგან მის სასარგებლოდ სწარმოებს, მაგრამ ის ხანგრძლივი, მემკვიდრეობითი, კონსერვატიული და რეგრესიულია შერჩეულთათვის, რადგან შერჩეულთა საზიანოდ და შემრჩეველთა სასარგებლოთ სწარმოებს.

ბიოლოგიური ხელოვნური შერჩევა როგორც ეფემერული ხასიათის და როგროც პროცესი, წარმოადგენს არა თავისუფალ იძულებითი ორგანიზაციას, რადგან შერჩევა შემრჩეველთა სასარგებლოთ და შერჩეულთა საზიანოდ სწარმოებს.

ბიოლოგიური ბუნებრივი შერჩევა, როგორც განუწყვეტელი ხანგრძლივი, რეალური და არსებითი პროცესი წარ-

მოადგენს იძულებას მოკლებულ საკავშირო ორგანიზაციას, თავისუფალ კავშირს.

როლი ადამიანის, რომელიც თავის სასარგებლოდ შეარჩევს, შეიზილავს ხელოვნურ შერჩევაში, ბუნებრივ შერჩევაში შესრულებულია ცხოვრების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ ბრძოლაში, რომელიც შეიზილავს მებრძოლთ. ამ გვარად წრე საზოგადოდ, და, ბიოლოგიური კერძოდ, მოქმედებს შერჩევით და შერჩევის დიფერენციაციით: წარმოშობს ხანგრძლივ და ეფემერულ პროცესების ანუ მემკვიდრეობის და შეგუების საშვალებით ხანგრძლივ და ეფემერულ ორგანიზაციებს: ინდივიდუალურს ისე, როგორც კოლექტიურს. (ბიოლოგიურ ინდივიდებს და ჯიშებს). ერთი სიტყვით, არსებობის პირობათა წრე—ბუნება—წარმოშობს არსებობისათვის პირდაპირ ბრძოლას, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივ შერჩევას ისე, როგორც ხელოვნურ შერჩევას ადამიანი და ორივე შერჩევა წრის გავლენით, ხანგრძლივი შეზელის (მემკვიდრეობის) და ცვალებადობის საშვალებით წარმოშობენ ისე ხანგრძლივს, როგორც ეფემერულ ორგანიზმებს. ისე ინდივიდიალურ, როგორც ჯიშებს.

თუ მივიღებთ უკვე შემუშავებულ ბუნების მოვლენათა ევოლიუციის საერთო სხემას სახეში, ჩვენ ვნახავთ, რომ არა ორგანიულ სხეულების ევოლიუციის უმაღლეს და ურთულეს განვითარებას გამოხატავენ კრისტალები, რომლებიც წარმოადგენენ პირობითი მუხლს საერთო განვითარებისას და საფუძველს, ელემენტებს ორგანიული განვითარებისას, ორგანიული გავითარების უმაღლეს პირობითი მუხლს წარმოადგენს მოაზრე ბიოლოგიური ინდივიდი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ამ გვარადვე სათუო მუხლს, საფუძველს, ელემენტს სოციალური განვითარებისას. ამ რიგათ კრისტალებს შეაქვთ ორგანიულ ევოლიუციაში არა ორგანიულ არსებობის ხასიათი შედეგ ორგანიულ განვითარების რომელიმე „მომენტში“ ცოცხალ მო-

აზრე არსებას შეაქვს სოციალურ არსებობაში, როგორც არაორგანიულ არსებობის, ისე ორგანიულ არსებობის ხასიათი; მაშასადამე, წრე, რომელიც ამგვარად უფრო და უფრო ვითარდება და იცვლება განაგრძობს მოქმედებას თავის უკანასკნელ განვითარების სოციალურ „მომენტში“, რომელიც ყველა უწინდელ „მომენტებს“ გულისხმობს, რის გამო სოციალურ მოვლენათა ევოლიუცია, როგორც ინდივიდუალური მოვლენებისა, ისე ჯგუფურისა, როგორც ხალხთა, ისე „პიროვნებათა, როგორც სოციალურ პატარა ჯგუფთა, ისე ეგრედ წოდებულ, სოციალურ კლასთა ანუ სოციალურ ჯიშთა ცხოვრება განიცდის ცვალებადობას თავიანთ არსებობის პირობების წრისაგან, პირობების, რომლების კონკურსი წარმოშობს მას. ყველა ეს საკმაოა ჯერჯერობით სოციალურ დიფერენციაციის ასახსნელად წრის, მიდამოის გავლენის მეოხებით.

რაც შეეხება იმ დებულებას „კრიტიკოსისას“, რომ „თუ კლასთა არსებობის მიზეზი წრის სხვა და სხვაობის გავლენაა, კლასების მოსასპობად აუცილებლად საჭიროა მოისპოს თვით გავლენა წრის სხვა და სხვაობისა. გვაქვს რაიმე საბუთი ვიფიქროთ რომ ეს გავლენა მოისპობა?—გონია, რომ არა,“ დასკვნის ჩვენი „გულისხმიერი“ „ფილოსოფოსი“. ჭიანჭველა ერთი ბადია წყალიც კი ზღვათ მოეჩვენება. ზღვაა და ოკეანესავით ვრცელი და ღრმაა „ფილოსოფ. კრიტიკოსის“ „აზრები“! ამ აზრთა „მორევს“ მიუხედავად მისი სივრცის და სიღრმისა ჩვენ უნდა გავუკეთოთ „სტოკი“, საიდგანაც ეს ღრმა აზრები წყლის „კანავოში“ ჩადინდება და შეუმსუბუქებს ჩვენ ფილოსოფოსს „აზრებით“ დამძიმებულ და ჩაკიდულ თავს.

საქმე იმაშია, რომ თუ ბუნებრივი და ხელოვნური პირობები არსებობს, არსებობს მაშინ ბუნებრივი და ხელოვნური წრეც, თუ ბუნებრივი და ხელოვნური წრე არსებობს, არსებობს მაშინ ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევაც, და არსებობს

მაშასადამე ბუნებრივი და ხელოვნური შეზელვა, შეგუება, ე. ი. ბუნებრივი და ხელოვნური მემკვიდრეობა და შეზელვა წრესთან; ყველა ამიტომ კი არსებობს სოციალური ბუნებრივი და ხელოვნური წრე; თუ ბუნებრივი ხელოვნური სოციალური წრე არსებობს, მაშინ ბუნებრივი და ხელოვნური სოციალური შერჩევაც თუ კი ეს უკანასკნელი არსებობს, მაშინ ბუნებრივი და ხელოვნური, სოციალური შეგუება (ანუ ბუნებრივი და ხელოვნური სოციალური მემკვიდრეობა და შეგუება) არსებობს სოციალურ ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ბრძოლაში. ამასთანავე ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტები, რომლებიც გვაძლევენ ნებას ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი სოციალური შერჩევა, ბუნებრივი და მაშასადამე თავისუფალი კავშირი მიმართული თავისუფალი კავშირის, ბუნებრივი შერჩევის წევრების მიერ თავიანთ ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იქმნა შეცვლილი ხელოვნურ „სოციალურ“ შერჩევით, ე. ი. იძულებითი-პოლიტიკურ-თავისუფლებას მოკლებულ კავშირით, რომელთა წევრების შერჩევა მიმართული იყო და დღესაც არის უფრო უმეტესად ხელოვნური, ნაიძულევი პოლიტიკური-თავისუფლებას მოკლებული, ძალად შერჩეული კავშირის წევრების ცხოვრების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ ბრძოლისკენ კი არა, არამედ ძალად, ხელოვნურად პოლიტიკურ შემრჩეველთა, მაიძულებელ ორგანიზაციის წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, მაშასადამე მაიძულებელი ორგანიზაცია, როგორც ხელოვნური შერჩევა და როგორც არის დამაბრკოლებელი ახალი წრე. მაგრამ ბუნებრივ შერჩევის კავშირს დასაწყისი არ უჩანს ბუნების წყვდიადში და ხელოვნური, იძულებული ორგანიზაცია კი დაწყებულია. იმას კი რასაც დასაწყისი აქვს, უსათუოდ დასასრულიც ექმნება, ის რაც ხელოვნური და ეფემერულია მსწრაფლ გარდამავალია, ის კი რაც უფრო ხანგრძლივი რეალური და მყარია (усточив во времени) უფრო შეზე-

ლილი და უფრო ცხოველი და დროს მომჭმელია, მიუხედავად ნაყოფისა ჩვენ ვხედავთ, რომ, თუ ყოველ შეცდომას „კრიტიკოსს“ „კრიტიკაში“ კვალ და კვალ მივსდიეთ, მაშინ ამას ბოლო აღარ ექმნება, რადგან შეცდომათა რიცხვნი ისე ბევრია, როგორც ის პიედესტალი, რომელიც „კრიტიკის“ საშვალებით „კრიტიკოსმა“ თვით აიგო.

მხოლოდ უნდა მოვახსენოთ, რომ ვინც კლასთა მოსპობაზე ლაპარაკობს და სხვათა შორის თვით მარქსი და უკუდო ან კუდიანი მარქსისტები, სულ ყველა ამათ სოციალური კლასები „სოციალურ უცვლელ ჯიშად“, მეტაფიზიკურ (არის სოციალური მეტაფიზიკაც) სოციალურ კატეგორიებათ მიაჩნიათ, მიუხედავად ერთგული ფიცისა „მეცნიერების“ სახელით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებობენ სოციალური ცვალებადი ჯგუფები, ასოციაციები, რომლებიც, როგორც ხელოვნურად შერჩეულნი შესწავლენ არსებობას, მაგრამ განაგრძობენ არსებობას, როგორც თავისუფალი კავშირები. ეს კავშირები დღეს შეადგენენ ორ განსხვავებულ მოპირდაპირე ინტერესის მქონე ბუნებრივ პროფესიონალურ კავშირთა—სინდიკატთა—ასოციაციებს, ფედერაციებს—კავშირებისაგან შემდგარს,—ორ მოპირდაპირე საზოგადოებას—ერთი იძულებითი, ძალით მწარმოებელი და გამნაწილებელი სხვის ნაწარმოებთა თავის სასარგებლოდ და მეორე საზოგადოების საზარალოდ, მეორეს მხრით—მეორე საზოგადოება, რომელიც იძულებულია თავის საზარალოდ და სხვის სასარგებლოდ აწარმოვოს.

ჩვენი „მეცნიერ-ფილოსოფოსი“ „კრიტიკოსი“, აწ უკვდავთა სიაში შეტანილი განაგრძობს, რომ „წრის სხვა და სხვაობის გავლენა ადამიანზე არსად ისე ძლიერი და განსხვავებული არ უნდა იყოს, როგორც ჩრდილოეთის ცივ ადგილებში ერთის მხრივ, და ეკვატორის მახლობლად მეორის მხრივ. პროექტის „ისტორიული კანონი“ რომ მართალი იყოს, ჩრდი-

ლოეთში და ეკვატორის მახლობლად მცხოვრები ადამიანები უკიდურეს მოწინააღმდეგე კლასებს უნდა წარმოადგენდნენ, მაგრამ... ისტორია ბოდიშს იხდის ჩვენი პროექტის წინაშე, რომ იმის კანონებს არ ემორჩილება და სხვა გზაზე დაიარება.“

უკაცრავათ გახლავართ მკითხველო, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ უბადრუკ „კრიტიკოსს“ აზრის დეზინტერია უნდა ჰქონდეს. ჩვენ გვაკვირვებს არა შეუგნებლობა თავის უვიცობისა „კრიტიკოსის“ მიერ, არამედ ის თავხედობა, რომლითაც ეს უვიცობა „კრიტიკოსს“ თავხედათ გამოაქვს ბაზარზე და დოგმატიური კილოთი თავზე ახვევს მკითხველთ.

თუ ამ დალოცვილს არაფერი გაეგებოდა მეცნიერების, რად მიჰყო მას ხელი, როგორც მეწაღემ ხაჭაპურის კეთებას.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ბუნება—ცხოვრების პირობათა წრე—წარმოშობს „ბრძოლას ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“—ბუნებრივ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს ბუნებრივი შერჩევის საშვალებით, ბუნებრივ შერჩევის, რომელშიდაც „ბრძოლა ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ თამაშობს იმ როლს, როგორც ხელოვნურ შერჩევაში ადამიანი, რასაც მოჰყვა ბიოლოგიაში ინდივიდუმების და ჯიშების წარმოშობა, ცვალებადობა და მათი ბრძოლა.

ეს ბრძოლა ბიოლოგიურ ინდივიდუმთა და ჯიშთა შორის, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური (ჭიანჭველების მიერ პატარა ცხოველების მოშინაურება და გაშენება, მაგალითად, და სხვა ჯიშის ჭიანჭველათა დამონება) იქნა გადატანილი სოციალურ ცხოვრებაში, სადაც მათ შეეფერება ბრძოლა, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური, როგორც თავისუფალ კავშირთა შორის ისე ხელოვნურ, იძულებით, პოლიტიკურ კავშირების შორის; ბრძოლა თავისუფალ კავშირებისა გარედ იქნა გადატანილი თვით კავშირების შიგნით, რითაც თავისუფალი კავშირები გადაიქცენ

იძულებითი კავშირად, რადგან იქ სადაც კავშირთა ბრძოლა და იძულება არ არის, არამედ ბრძოლაა კავშირის გარეშე— ბრძოლა კავშირთა, კავშირი ბრძოლისათვის, მაშინ როდესაც ეს ბუნებრივი კავშირი ბრძოლისათვის იქნა გადაქცეული ხელოვნურ კავშირად ბრძოლისათვის იჩინა თავი გამწვავებულმა ბრძოლამ მის შიგნით და ეს ბრძოლა მით უფრო მწვავე და ულმობელია, რამოდენად მათ ფარგალში უფრო და უფრო იზრდებიან თავისუფალი ინდივიდუალური და კოლექტიური ძალები ერთი მხრით, და ხელოვნური და მაიძულებელი—მეორე მხრით, რადგან მათ შეუძლიათ ზრდა მხოლოდ ერთი მეორის შეგვიწროებით საერთო ფარგალში ანუ საერთო სივრცეში.

ერთი მიბრძანეთ ბატონებო, სად არის საერთო სივრცე და ფარგალი „ჩრდილოეთში და ეკვატორის მახლობლად მცხოვრები ადამიანების“ შორის? დიახ, წრის სხვა და სხვაობამ, დაუდგრომელობამ წარმოშვა „პირველყოფილ ადამიანთა“ შორის ბრძოლა ისე, როგორც ადამიანურ ჯგუფთა შორის; წრის ცვალებადობამ დაბადა მათ შორის ბრძოლა; „კლასები“, როგორც საზოგადოებრივი, მოვლენა არსებობენ ერთ, საერთო სივრცეში პოლიტიკურ საზოგადოებაში, მაშინ როდესაც ბუშმენი და „კრიტიკოსი“ არ წარმოადგენენ ერთი პოლიტიკური საზოგადოების წევრებს. რომ ამით ნიადაგი ჰქონდესთ მათ ბრძოლას, როგორც ერთი პოლიტიკური საზოგადოების სხვა და სხვა კლასების წევრებს; და თუ მოხდება, რაც შესაძლებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში მთელ ჯიშების (ჭიანჭველების და ადამიანების ცხოვრებისათვის ბრძოლაში) და ადამიანთა გვარების დამონავების ფაქტებს ისტორიაში, და ვივარაუდებთ, რომ ქართველები, როგორც „ნაცია“ ისე გამძლავრდებიან, რომ ბოტოკუდების მეზობლები გახდებიან, მაშინ მოსალოდნელია, რომ ფანოზ „ფილოსოფოსი“, როგორც გამარჯვებული საქართველოს

ბრწყინვალე მოქალაქე და დამფუძნებელი ბოტოკუდი ან ბუშმენი იმავე გამარჯვებული საქართველოს პარტიათ გახდებიან ერთი საზოგადოების ორი სხვადასხვა, მოწინააღმდეგე კლასების წევრები ⁄ მათ შორის გამწვავებული იქმნება კლასიური ბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ბოტოკუდური ⁄ ბუშმენიური ძლიერ ახლოა „კრიტიკოსის“ რწმენა და ცოდნასთან, რადგან იმას ისე, როგორც ბუშმენს, მიაჩნია ნაციონალურ კითხვაში ბუნების სხვა და სხვაობის გავლენა, მაგრამ არ მიაჩნია ამ ბუნებისავე სხვა და სხვაობის გავლენით გადაქცევა ისტორიაში ჯიშთა, გვართა და „ნაციათ“ წოდებულთა, მონებათ, ყმებათ და ბოლოს კლასის წევრებად.

ამ გვარად ცხადია, მაშასადამე, რომ თუ ბიოლოგიური ინდივიდუმები და ჯიშები წარმოშვა წრემ, რომელშიდაც გაჩაღებულია ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ბრძოლა და თუ ეს ბოძოლა სწარმოებს ბუნებრივი— თავისუფალი და ხელოვნური—იძულებითი შერჩევის საშვალებით ინდივიდებთა და ჯიშებთა შორის, მაშინ ცხადია ისიც, რომ სოციალური პიროვნება და კლასი წარმომდგარი ბიოლოგიურად, ბიოლოგიურ და კოსმიურ წრის გავლენის ქვეშ, წარმომდგარია სოციალურად არსებობის- უმაღლეს სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ ბრძოლისაგან სოციალური—თავისუფალი და ხელოვნური—იძულებითი შერჩევის საშვალებით.

უკანასკნელად უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი „კრიტიკოსი“ ბუშმენურ კრიტიკას არ კმაროობს და ჰკისრულობს მეტიჩრულად, სოციალდემოკრატიულად ისტორიის მაგიერ ბოდიშის მოხდას და არ ხედავს, რომ ისტორიას ამცირებს თავისი თავის ისტორიის წარმომადგენლად დასახვით და ის ისტორია, რომელიც მისი ნაჩვენები გზით დაიარება, არის ისტორია მეტიჩარათა და ლოშის ქურქში გახვეულ მოღვაწეობისა ცოდნის სარბიელზე.

სოციალ-ფედერალისტთა პირველ პროგრამის პროექტი.

პირველი პროექტის შინაარსი დაყოფილია სამ ნაწილად: 1, საზოგადო შესავალი, 2, ძირითადი პრინციპები, 3, სადღეისო პროგრამა ანუ მიღებული ტერმინოლოგიით პროგრამა—მინიმუმი.

ამ დანაწილებისაგან ცხადათ ჩანს მთელი არქიტექტურა პირველი პროგრამისა. საზოგადო შესავალიდგან, როგორც თვით სათაური გვეუბნება ჩანს, რომ ეს საზოგადო შესავალი წარმოადგენს მიმოხილვას იმ ელემენტებისას, რომლების გარჩევისაგან უნდა იყოს მიღებული ძირითადი პრინციპები და დასაბუთებული სადღეისო პროგრამა, პროგრამა-მინიმუმი, ამას გარედ, პირველი პროგრამის საზოგადო შესავალი, ვინაიდგან შესავალი უნდა წარმოადგენდეს კვინტესენციას, კონსპექტს იმ ფილოსოფიისას, რომელსაც პროგრამის პირველი პროექტი ემყარება, აგრეთვე პროგრამა, როგორც მისი ნათვლის სახელი ამტკიცებს უნდა იყოს სოციალისტური, ფედერალისტური და რევოლიუციონური.

მაშასადამე პირველი პროგრამის უმთავრესი მიზანია: 1, დასაბუთება და მოტივის ჩვენება როგორც ძირითადი პრინციპებისა, ისე პროგრამა—მინიმუმისა; 2, შემუშავება მსოფლ მხედველობისა, რომელმაც უნდა ემსახუროს, როგორც მუშა იდეამ მაქსიმუმისთვის (ძირ. პრინც.) და მინიმუმისთვის მოტივების ძებნაში; 3, პროგრამა სოციალისტური უნდა იყოს; 4, პროგრამა ამავე დროს ფედერალისტური უნდა იყოს; 5, პროგრამა ყველა ამასთან ერთად რევოლიუციონური იყოს.

ვნახოთ აკმაყოფილებს, თუ არა ყველა ამ მთავარს, მის მიერვე აღნიშნულ მიზნებს პირველი პროგრამა?

პირველი კითხვა, რომელიც პირველი პროგრამის გამოსავალს, ინიციალურ წერტილს წარმოადგენს, შესდგება ძირითად უკუდმართობაში, რომელზედაც დამყარებულია, როგორც მოტივზე, საჭიროება სოციალური ტრანსფორმაციისა სასურველ მიმართულებით.

როგორია ეს ძირითადი უკუდმართობა პირველი პროგრამის სიტყვებით?

აი როგორი: „ეოვველ მხრივი (?) პროგრესი უტუარი ფაქტია და ჩვენის (?) ცივილიზაციის სიდიადე განსაცვიფრებელია; მაგრამ ეველა ამას საშინელი ჩრდილი ახლავს და განთლებული ქვეყნიერობა მოშხამულია ადამიანთა უსამართლო ურთიერთობით, როგორც ცივილიზაციის პირველ ბარბაროსულ ხანებში, ისე ახლაც ვხედავთ, რომ ხალხთა უდიდესი მასა ღრმა უმეცრებაში ცხოვრობს... რომ ეს მასა აუტანელ შრომას ეწევა, როცა უმცირესობა განცხრომაშია, რომ ადამიანთა შორის ისევ მეფობს მხეცური ბრძოლა არსებობისათვის... სწორედ იქ, სადაც ეს სიმდიდრე მეტია, უკიდურესი გაჭირვებაც იქ ბუდობს.''

ეს ტირადა არა თუ ლიტერატურულად უსუსურია, არამედ თავის თავზე შეუსაბამოდ დიდი აზრის მქონე ადამიანის ერთ თავად გათქვეფილი სისულელეებია.

სანამ წმ. ვიტის დიალექტიურ თამაშზე და გეგელის დიალექტიკაზე რამეს ვიტყოდეთ, მანამ საჭიროა მკითხველის ყურადღება ხაზგასმულ სიტყვებზე მივაქციოთ.

მთავარი დებულება, პირველი პროგრამისა დიალექტიურ უკუღმართობის საჩვენებლად სოციალურ ცხოვრების სიღრმის უფსკრულში, შესდგება (ყური დაუგდეთ!) „ეოვველ მხრივ პროგრესში", რომელიც ამასთანავე „უტუარი ფაქტია." მაშასადამე პროგრესი ეოვველ მხრივია, ე. ი. არ არის დარჩენილი

ისეთი კუნჭული, ისეთი წერტილი სოციალურ სივრცის ზიგზაგებშიაც კი, სადაც ყველაფერი პროგრესის სინათლით არ იყოს განათლებული და გამსჭვალული. დავიხსომოთ ეს.

მეორე მხრით იგივე იანუსის ბაგენი გვეუბნება: „მაგრამ უკვლა ამას საშინელი ჩრდილი ახლავს“ და „ქვეყნიერება მოშხამულია ადამიანთა უსამართლო ურთიერთობით,“ ე. ი. იმავე ყოველ მხრივ პროგრესით შეპყრობილ და გაჟღენთილ ქვეყანაში იმავე სოციალურ სივრცეში, რომელიც სავსებით, ყოველ მხრივ მოცულია პროგრესით, დატეულია კაბალისტიური რამ საშვალებით ან ეშმაკეული დიალექტიური ძალის მეოხებით ჩრდილი, აჩრდილი, რომელიც მეფისტოფელივით შეპარულა წმიდა მონასტერში, სადაც პროგრესს, როგორც ფეტიშს უნთია არა კელაპტარი, არამედ ფანოსი (რაც ბერძნულად „მაიაკს“ ჰქვია) და ნუ იტყვით თურმე, ეს ჩრდილი, რომელიც დასკუპებულა სწორედ იმ ტახტზე, რომელზედაც პროგრესი ზის, ამასთანავე „საშინელიც“ ყოფილა. განა უნდა გვიკვირდეს! თუ პროგრესი ყოველ მხრივია, მაშინ აჩრდილი „საშინელი“ მაინც უნდა იყოს და თუ პროგრესმა მთელი თავის სხეულით სავსებით მოიკავა სამეფო ტახტი საზოგადოებაში, მაშინ პროგრესის ანტიტეზა აჩრდილი მაინც უნდა იყოს, რომ იმავე სამეფო ტახტზე მოიკალათოს. ეს აღმოჩენა მოლოდინზე მეტია, თუ პირველი პროგრამის გენიალურ ხელმძღვანელის გენიალურ გონების გენეალოგიას ვიქონიებთ სახეში მარქსისტობიდგან დაწყებული.

პირველი პროგრამის იმავე სიტყვებიდგან, რომელიც ხაზგასმით მოვიყვანეთ, ჩანს, რომ „განათლებული ქვეყნიერობა მოშხამულია ადამიანთა უსამართლობით,“ ე. ი. ქვეყნიერობა განათლებულია, რაიც იმას ნიშნავს, რომ „განათლებულია ის ადამიანები, რომლებიც ამ „განათლებულ ქვეყიერობას“ შეადგენენ, მაგრამ ეს „ყოველ მხრივ“ პროგრესით მოცული ქვეყანა, რომლის „ცივილიზაციის სიდიადე განსაცვიფრებელია“ და რომელიც განათლებულია მაინც „მოშხამულია

ადამიანთა უსამართლო ურთიერთობით, სწორედ იმავე ადამიანთა უსამართლობით, რომელთა განათლება შეადგენს „განათლებულ ქვეყნიერობას“; ეს უსამართლობა იმ განათლებულ ქვეყანაში სწარმოებს, სადაც „უდიდესი მასსა ღრმა (პირ. პროგ. პრ. ავტორის ან ავტორების ჭკუასავით ღრმაა, ალბათ) უმეცრებაში ცხოვრობს,“ ე. ი. რამოდენად ყოველ მხრივ და უფრო დიადია ცივილიზაცია, პროგრესი და განათლება ქვეყნიერობისა, იმოდენად უფრო „ღრმა უმეცრებაში“ არის „უდიდესი მასსა“ ამავე ქვეყნიერობისა. უწინ გამოიყვანა პირველმა პროგრამამ ის დასკვნა, რომ პროგრესი რეგრესშია და რეგრესი პროგრესშიაო და ეხლა დამატებითი ის დასკვნა გამოიყვანა, რომ განათლება უმეცრებაშია და უმეცრება განათლებაშიო. ამ გვარია ეს გამოცემა ხელ ახლა გადახედული, შევსებული მრავალი დამატებებით და შიგ ჩართული „პოლიტიპაჟებით“ შესახებ აბსურდის გრაფიკულ ვარიაციისა—დიალექტიკის ვარიაცია.

პროგრესი პირველი პროგრამის პრ. უხვი ხელით სრულიადაც არ მომხდარა, მიუხედავათ პროცესისა, რომლითაც კაცობრიობამ ველურ და ბარბაროსულ მდგომარეობიდგან ცივილიზაციას—„დიად“ ცივილიზაციას მიაღწია, თურმე ნუ იტყვით, თუმცაღა პროგრესი ყოველ მხრივია და ქვეყნიერობის განათლება წინ მიდის, მაგრამ (ისმინეთ ეს, და დასტკბით) „როგორც ველ ბარბაროსულ ხანებში, ისე ახლაც ვხედავთ, „რომ ხალხთა უდიდესი მასსა ღრმა უმეცრებაში ცხოვრობს,“ ე. ი. პროგრესი დაიწყო უმეცრებით და გათავდა უმეცრებითვე და დახეთ პროგრამის ავტორის გამჭრიახობას, ის თურმე „ხედავს“ და ამხანაგებიც ჰყოლია ამ დანახვაში, რადგან ის მრავლობითი რიცხვით ამბობს „ვხედავთო“. მართლა რომ არა ჩვეულებრივი მხედველობის პატრონი უნდა იყოს ის, ვინც პროგრესს უძრაობაში და რეგრესში ხედავს, თუ რასაკვირველია, გამოვრიცხავთ იმ ერთად ერთ შესაძლებელ შემთხვევას, როდესაც პროგრესის რეგ-

რესში და უკულმართმა რეგრესის პროგრესში დანახვა მხოლოდ ბრმას თუ შეუძლია.

მაგრამ ყველა შეცდომა ერთბაშად გამოსყიდულია ბოლოს, მსგავსათ მდიდარი და მკაცრი ექსპლოატატორისა, რომელიც თავისი თავი ხსნას ეშმაკების კლანჭებისაგან იმით აპირობს, რომ მთელ თავის სიმდიდრეს სიკვდილის წინ უტოვებს ეკლესიებს და ღარიბებს, სწორედ იმ ღარიბებს, რომლებიც მან გაყვლიფა და გაამრავლა.

სწორედ ამ მომაკვდავ მდიდარსავით იქცევა პირველი პროგრამაც, რომელიც ცდილობს ერთი დაკვრით და თვისი „გონებრივი კაპიტალით“ გადასწყვიტოს პროგრესის საქმე; ეს გმირული საქმე იმაში შესდგება, რომ ის ნაღველს და ნიანგის ცრემლებს ანთხევს პროგრესის ისეთ მდგომარეობაზე, რომლითაც „ადამიანთა შორის ისევ მეფობს მხეცური ბრძოლა არსებობისათვის‘‘, თუმცა ღა ეს ისევ ის „მეფობა“ არსებობისთვის მხეცური ბრძოლისა პროგრესის მეფობის მიუხედავად სწარმოებს, მაგრამ დუარხიას ისევ მონარქია სჯობია პირველი პროგრამის „აზრით“ და ამიტომ სასურველია არსებობისთვის მხეცური ბრძოლის მოსპობა. ყოველივე ბრძოლა მხეცურია და განსაკუთრებით ცხრა თავიან პირველი პროგრამის ცხრა თავიან მდევის მხეცურ ბრძოლაზე არა ნაკლებია, მაგრამ ყოველ საბუთის წინააღმდეგ „ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ მუდამ იქნება, მანამ იარსებებს მხეცთაგან და არა ანგელოზთაგან ჩამომავალი ადამიანები თავის ცხოველურ მოთხოვნილებებით და თუ ცხოველური მოთხოვნილებები და არა ანგელოზური შერჩა ადამიანს ისევ ისე, მაშინ ცხოველური და მხეცური იქნება ბრძოლაც არსებობისთვის, მხოლოდ ცხოველიცაა და ცხოველიც, მხეციცაა და მხეციც და ასე გაგრძელდებიან მანამ მოთხოვნილებანი არ იქნებიან დაკმაყოფილებული.

პირველ პროგრამას თავისი იდეიური სიღატაკე სიტყვათა სიმდიდრით უნდა დაფაროს, ლოდიკური სიკოტრე და პარალოგიზმი კი, დიალექტიური ხრიკებით. სწორედ ამ ციტატის ბოლოში, რომელიც თითქმის დასაწყისშივე მოვიყვანეთ პირველი პროექტი ამბობს, რომ სწორედ იქ, სადაც ეს სიმდიდრე მეტია, უკიდურესი გაჭირვებაც იქ ბუდობსო, ე. ი. სადაც სიმდიდრეა იქ სიღარიბეც არისო, ე. ი სოციალისტური მომავალი საზოგადოება შეუძლებელია, რადგან თუ სიმდიდრე ღარიბობასთან განუყრელი ცოლქმრული დიალექტიური კავშირით არის შედუღებული, დამაგრებული, მაშინ სოციალისტური მომავალი საზოგადოება არც მდიდარი უნდა იყოს და არც ღარიბი. მაგრამ, თუ ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელიც დამყარებულია მაშინურ და სხვა გაუმჯობესებულ წარმოების ტეხნიკურ წარმოებაზე შეუძლებელია იყოს არც მდიდარი და არც ღარიბი თუნდაც ეს სოციალისტური მდგომარეობა იყოს, ამიტომ გამოდის, რომ სოციალიზმი არაა სასურველი და არც შესაძლებელი; ამ გვარია შედეგის მხრით განხილული უკანასკნელი, ჩვენ მიერ მოყვანილი პირველი პროგრამის პრ. სიტყვების აზრი. ლოდიკურად კი თქმა იმისი, რომ „სადაც სიმდიდრე მეტია იქ“ სიღარიბეც „ბუდობსო“ და ისიც „უკიდურესიო“, ტყუილია, რადგან მაშინ სიმდიდრის რაოდენობა მიჩნეულია ერთ დონეზე გაჩერებულად მუდმივ სიდიდეთ (постоянная величина) და ამ მუდმივი ეკონომიური სიდიდით ავსილია, როგორც ფიზიკაში (сообщающіеся сосуды), სოციალური ჭურჭლის ორი მუხლი სოციალურად შეერთებული და როდესაც ეკონომიური მდგომარეობა სოციალური ერთ-ერთ მუხლისა მაღალ დონეზეა, მაშინ პროპორციონალურად ამისა დაბალ დონეზეა ეკონომიური მდგომარეობა მეორე სოციალურ მუხლში, რადგან საერთო ჯამი სიმდიდრისა მიჩნეულია მუდმივ, უცვლელ სიდიდეთ; მაგრამ ეს უკანასკნელი მდგო-

მარეობა საერთო სიმდიდრისა არ არის ფაქტი, რის გამო მთელი ხარაჩო ამ ანალოგიაზე და დიალექტიურ წაჯექ-უკუჯექობაზე აშენებული რჩება უფეხო, როგორც ყოველი ფილოსოფია, რომელიც ფეხის მაგიერ თავზე სდგას და ისიც ისეთ თავზე, რომლისაგანაც პირველი პროგრამა მზა-მზარეული გამოვიდა, როგორც იუპიტერის თავიდგან შეიარაღებული მინერვა.

ყველა ყველაა, მაგრამ უმთავრესი უბედურება პირველი პროგრამის თქმით, თურმე იმაში შესდგება, რომ „ძირითადი უკულმართობა თანამედროვე ცივილიზაციისა სწორედ ეს არის,—ეს საოცარი კავშირი პროგრესისა და სიღარიბის შორის“... „სანამ პროგრესი ასეთი იქნება, სანამ მისი ზრდა მომასწავებელი იქნება კონტრასტის გაძლიერებისა“, ე. ი. პროგრესი შესდგება კავშირისაგან, რომელიც არსებობს მას და რეგრესს შორის, სიღარიბეს შორის; რამოდენათ პროგრესი მაღალია, იმდენათ სიღატაკეც უმაღლეს ხარისხზეა, მაგრამ ეს კონტრასტი, რომელიც ახასიათებს პროგრესს დაანგრევს ამავე პროგრესს და რეგრესად გადააქცევს, რადგან „სანამ მისი ზრდა მომასწავებელი იქნება კონტრასტის გაძლიერებისა“, მანამ პროგრესი მკვიდრად ვერ ჩაითვლება. ე. ი ზრდა მომასწავებელია მისი დასუსტების ზრდის შეჩერების. პროგრესი იზრდება, მაგრამ ეს, თურმე, იმას ნიშნავს, რომ ის არ იზრდება; თუ არ დაიჯერებთ ამ თქმასაც, მაშინ პირველი პროექტი კიდევ გეტყვის, რომ „თანამედროვე ცივილიზაციაც ისე დაიმხობა, როგორც თავის დროზე ბევრი სხვა ცივილიზაცია დაიმხო“ და ეს მოხდება „ყოველ მხრივი პროგრესის უტყუარ ფაქტის“ მიუხედავად და, თურმე, მიუხედავად იმისა, როდესაც „ცივილიზაციის სიდიადე განსაცვიფრებელია“. მართლა დიადია პირველი პროგრამის ლოლიკა და „აზრები“, მხოლოდ რა მხრით დიადია ის, ამის გამოკვლევა მკითხველზე მიგვინდვია, თუმცაღა ბოდიშს ვიხდით ამ ფუნ-

ქციის დაკისრებისათვის მკითხველის წინაშე, რომელსაც არ ულიმის ამ გამოკვლევის ნაყოფის პერესპექტივა, რადგან ის იქნება პროგრამის დამწერის „თავის“ შინაგანი კონსტრუქციის პერესპექტივა.

ეხლა ვიკითხოთ რისი ბრალია ყველა ეს ლოღიკური წაჯექ-უკუჯექობა.

ეს ლოღიკური სარტომორტალიზმი სწორედ იმ დიალექტიური „შეხედულების“ შედეგია, რომლითაც პროგრამის დებიუტი „ძირითად უკუღმართობით“ იწყება, უკუღმართობით, რომელსაც პროგრამა საფუძველათ (ძირითადი) უდებს სოციალურ მოვლენებს სწორედ ისე, როგორც დიალექტიკა ყოველ მოვლენას გამოუკლებლივ საფუძველად უდებს ამავე უკუღმართობას. აზროვნებისა და პროცესის დიალექტიური მეთოდი, რომელიც მოვლენათა ცვალებადობის საფუძველია, წარმოადგენს ისეთ უკუღმართობას, რომლითაც ყოველი „მომენტი“, ყოველი ნივთი, ყოველი მოვლენა ბუნებისა, ყოველი აზრი და ყოველი სოციალური ურთიერთობა და მოვლენა შეიცავს თავის თავში თავის უარყოფასაც და დადგინებასაც, თავის არსების და არ არსებობის პირობებს, ამიტომ ყოველი „მომენტი“, მოვლენა არის ის რაც არის და ისიც, რაც არ არის, ის კიდეც არსებობს და არც არსებობს, რადგან ის საზღვარია ძველისა და ახლისა, ყოფისა და არყოფისა, წარსულისა და მომავლისა. ამ გვარია ძირითადი უკუღმართობა მსოფლიო პროცესისა და გარეშე ამ უკუღმართობისა და მისი კანონისა არ არსებობს არავითარი პროცესი. უკანასკნელ ანგარიშში, „მომენტში“ უკუღმართული დიალექტიური პროცესისა და აზროვნებისა აუცილებელია ერთ და იგივეობა, იდანტიურობა წინააღმდეგთა, უკუღმართთა ან თუ ეს „მომენტი“ კიდევ შესდგება სხვა მომენტებისაგან, მაშინ ერთ და იმავე „მომენტში“ არ ყოფილა მოქცეული, როგორც მისი ყოფნის ისე არყოფნის

პირობები, არამედ სხვა და სხვა მომენტებში და მაშასადამე, პროცესი ცვალებადობისა შედარებითი, პირობითი, ევოლიუციონური ყოფილა და არა დიალექტიური—თვით განვითარებითი—შინაგან უკულმართობითი.

დიალექტიური თვით განვითარება გვეუბნება, რომ ყოველი ნივთი შეიცავს თავის თავში თავის უარყოფის პირობებს ისე, როგორც თავის არსებობის პირობასაც, ყოველი მხოლოდ გაქრობის (исчезновеніе) და წარმოშობის (возникновеніе) შორის გადამავალი მუხლი, მოსამზღვრე წერტილია, მხოლოდ მოძრავი ერთ და იგივეულობაა უკულმართთა, მაშასადამე ყოველი მომენტი მსოფლიოსი შეიცავს თავის თავში ორ წინააღმდეგობას, ყოველი მომენტი შეიცავს თავის თავში თავის უარყოფასაც და თავის განმტკიცებასაც, ყოველი მომენტი არის მყოფიარობა (бываніе), რომელიც შეიცავს ყოფასაც და არ ყოფასაც. „ყოვლის მიმდინარეობისაგან“ გამოდის, რომ ყოველი თვითეული ნივთი შეიცავს წინააღმდეგებს, უკულმართებს. ეხლა ვიკითხოთ აქვთ თუ არა ზომა ან ყოველ თვითეულ მომენტს, ან თვითეულ ნივთს? თუ ზომა აქვთ და ამ შემთხვევაში შეიცავენ უკულმართებს, მაშინ გამოდის, რომ უკულმართები მომენტის და ნივთის სხვა და სხვა ნაწილებში ყოფილან მოთავსებული, ერთი მეორის გარეშე და მაშასადამე ზოგი ნაწილი „მომენტისა“ და ნივთისა, ანუ „ერთი მომენტი“ და ნივთი (რადგან მომენტის და ნივთის ნაწილი ისევ მომენტი და ნივთი იქნება), არ შეიცავს უკულმართებს, არამედ ერთ უკულმართს, ე. ი. „ერთი“ შეიცავს შედარებით მეორესთან უკულმართს და მეორე შედარებით პირველთან; თუ მაშასადამე ზომა აქვს, მაშინ „ერთი და იგივე“ „მომენტი“ ან ნივთი უკულმართობას არ შეიცავს, რადგან უკულმართები მაშინ დროში და სივრცეში განსხვავებული არიან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვივარაუდებთ, რომ ნივთებს

და მომენტებს არავითარი ზომა არ აქვთ, გამოდის, რომ უკულმართები დროში და სივრცეში ერთი მეორეს შეერთვიან (совпадают), ერთად თავსდებიან, მაშასადამე მიუცილებლად ან დრო და სივრცე იკარგება ამ გვარ პროცესში, ან ერთ-ერთი უკულმართთაგანი; ორივე შემთხვევაში უკულმართთა მოძრავი „ერთდა იგივეობის პრინციპი“ ირღვევა, რადგან ყოველი უკულმართობა (противорѣчіе) უნდა სწარმოებდეს დროში და სივრცეში ან შედარებითი. თუ დრო და სივრცე დაიკარგა, დაკარგულია მაშინ უკულმართობის არსებობის პირობები, თუ ერთი უკულმართთაგანი მოისპო და მათ ადგილას ერთი დარჩა, დაკარგულია მაშინ დაპირდაპირების საფუძველი, შედარება, რომლის საშვალებითაც უკულმართობა შესაძლებელი გახდა, მაშასადამე ორსავე შემთხვევაში დიალექტიური უკულმართობის არსებობა შეუძლებელია.

აი ეს ძირითადი უკულმართობა, განაგრძობს კაპიტალისტურ ტაძარში თავის მოღვაწეობას და ამ ძირითადი უკულმართობის უჩინარი ხელი გამოსახავს კაპიტალისტურ ტაძრის თაღში კაბალისტიურ „მენელ-ტეკელ-ფერესს“. მარქსის სოციალური დიალექტიკა ამბობს, რომ კაპიტალისტურ ხანაში არსებობს ძირითადი უკულმართობა, რომელმაც მწარმოებელი დააშორა საწარმოო იარაღს და ეს დაშორება შედეგი იყო თვით სოციალური წარმოებისა, სოციალური მეურნეობის შინაგანი უკულმართობისა. პირველი პროექტიც თუთიყუშივით გაიძახის, რომ „კაპიტალიზმმა სრულიად წართვა მაშვრალს საწარმოო იარაღები და ჩააბარა ისინი, როგორც საკუთრება, უმცირესობას“. როგორც აქედგან სჩანს, უმცირესობას კი არ წაურთმევია უმრავლესობისათვის, არამედ კაპიტალიზმებულს დიალექტიურ კაპიტალს შეუქნია გაღატაკებული საწარმოო იარაღს მოკლებული უმრავლესობა და თვით ამ კაპიტალის მქონე უმცირესობა, რადგან საკუთრება საწარმოო იარაღებისა შექნა არა მესაკუთრეებმა,

არამედ მესაკუთრეები შექმნა წარმოებამ და განაწილებამ, მეურნეობამ. საკმაოა ეს გადმოცემა ძირითადი უკუღმართობის და მისი სოციალური ნაყოფისა, რომ კაცმა სრული მისი დაუსაბუთებლობა და შეუძლებლობაც დაინახოს, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ გაკვრით, რომ „საზოგადოების“ დაყოფა ორ ბანაკად—იარაღ მოკლებულ მწარმოებლებათ და ყოველივე წარმოების იარაღების მესაკუთრეებათ, არ არის კაპიტალიზმის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობა, არამედ ეს წინააღმდეგობა საწარმოვო იარაღების მესაკუთრეთა და საწარმოვო საკუთრებას მოკლებულთა შორის დამახასიათებელია უფრო ვრცელი პერიოდის სოციალური ცხოვრებისა, ვინემ კაპიტალისტური ხანა, რომელიც მხოლოდ ერთ „მომენტს“ შეადგენს სოციალურ განვითარებაში. კერძო მესაკუთრეების წესწყობილებაში მცხოვრებ საზოგადოების განვითარებაში არავითარი დიალექტიური კატასტროფა არ მომხდარა, ეგრედ წოდებულ ფეოდალურ კერძო საკუთრების კაპიტალისტურ საკუთრებათ გადაქცევაში, არამედ კაპიტალისტური საკუთრება უმაღლესი განვითარებაა ფეოდალური საკუთრებისა ისე, როგორც ეს უკანასკნელი მონობის რეჟიმის საკუთრების. ზედტმეტი შრომა და ზედმეტი ღირებულება კერძო საკუთრების მთელ ევოლიუციის სივრცეზე არსებობდა და ვითარდებოდა ისე, როგორც მისი ნაწარმოები კერძო საკუთრება. როგორც მარქსიზმში, ისე პროგრამის იმ თავიდგან, რომელსაც „კაპიტალისტური ხანა“ ჰქვია, სჩანს რომ საკუთრება, კაპიტალი, ვინაიდგან საკუთრება და კაპიტალი ყველფენ უმრავლესობას (ადამიანებს) და ამდიდრებს მის პატრონთ (ადამიანებს), რის გამო ადამიანთა სოციალურ ცხოვრების მოთხოვნილებათათვის ბრძოლაში იბრძვიან და მაშასადამე, მართავენ საგნებს ადამიანები კი არა, არამედ საგნები, ნიკთები, ერთი სიტყვით, საკუთრება და მისი ფორმა კაპიტალი თავისი შინაგანი თვისებით, ვინაიდგან

საკუთრება ახდენს ექსპლოატაციას. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამით კარგია, მაგრამ თუ აზრიც მოიგებს ამით ის კი არ ვიცი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა მოკლედ ვსთქვათ, რომ ce n' est pas le capital gui exploite entaut gue le capital, mais c' est le capitaliste gui exploite entant gue le capitaliste, კაპიტალი კი არ ყვლეფს, როგორც კაპიტალი, არამედ კაპიტალისტი ყვლეფს, როგორც კაპიტალისტი, აი სწორედ იმ კაპიტალის და იძულების საშვალებით, რომელიც როგორც კერძო საკუთრება, კაპიტალი, წარმოშვა სოციალურ ჯგუფთა განწყობილებამ არსებობისთვის ბრძოლაში, განწყობილება, რომელიც წინ მიუძღოდა და ეხლაც მიუძღვის სოციალურ ბრძოლას არსებობისათვის.

თავი, რომელზეც პირველ პროგრამის პრ. ლაპარაკობს კაპიტალისტურ ხანაზე თავდება იმით, რომ პროგრამა თანამედროვე მეცნიერებას აძლევს „პატენტს," მოწმობას იმაში, რომ თანამედროვე მეცნიერებამ აღმოაჩინა „მთავარი მიზეზი დღევანდელ ეკონომიური წეს-წყობილების უვარგისობისა. პროგრამა ამბობს, რომ „უდიდესი ღვაწლი თანამედროვე მეცნიერებისა ისაა, რომ მან გამოსძებნა მთავარი მიზეზი დღევანდელ ეკონომიური წეს-წყობილების უვარგისობისა და დაამტკიცა, რომ კაპიტალისტურ ბურჟუაზიული ხანა ისეთი გარდამავალი ისტორიული ხანაა კაცობრიობის ცხოვრებაში, როგორც ძველი დროის მონობა იყო ან საშუალო საუკუნეთა ფეოდალიზმი." ამ ადგილას თავდება პატენტის მიცემის მოტივი, რომლითაც მხოლოდ მეცნიერების ღვაწლზე მიგვითითებს პროგრამა, მაგრამ, რადგან მრავალია მეცნიერები და მეცნიერული სკოლები, რომლებიც იჩემებენ დღევანდელი ეკონომიური წეს-წყობილების უვარგისობის მთავარ მიზეზის აღმოჩენას და დამტკიცებას, ამიტომ კაცმა არ იცის ვინ, რომელი მეცნიერი და მეცნიერი სკოლა გახდა ღირსი პროგრამის უხვი ხელით გაცემული „დიპლომისა"

მთავარი მიზეზის აღმოჩენისათვის და დამტკიცებისათვის. აქ-
ვე იწყება იმ მოტივის გამოთქმა, რომელიც ასაბუთებს, რა-
ტომ უნდა იყოს ს.-ფედერალისტები სოციალისტები, როგორც
პროგრამა ამბობს მეცნიერებას აღმოუჩენია, რომ კაპიტალი-
სტური ხანა გარდამავალი ყოფილა და ამიტომ კაპიტალის-
ტური ხანა უნდა გადავარდეს ყირამალა თავის თავად (გარ-
დამავალი) წარსულის დაღებულ შავს პირში და განქრეს წა-
რსულ დროთა უფსკრულში; ეს პერესპექტივა ჩვენთვისაც
ძლიერ საოცნებოა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იბადება კი-
თხვა, რომ თუ წარმავლობა მოტივია კაპიტალიზმის უარ სა-
ყოფელად, ნუთუ, მაშინ ესვე წარმავლობა არ არის მო-
ტივი სოციალიზმის უარ საყოფელად, თუ სოციალიზმიც ისე,
როგორც ყოველი ამ ქვეყნად, რასაკვირველია მიჩნეული,
წარმავალ „გარდამავალ ხანად კაცობრიობის ცხოვრებაში;
მაგრამ იქნებ სოციალიზმი მიჩნეულია მდგარ, გარდუვალ
(stationavre) ხანად კაცობრიობის ცხოვრებაში, როგორც ეს
გამომდინარეობს პროგრამის „მოტივიროვკიდან“ რომლითაც
უარყოფის დასასაბუთებლად გარდამავლობაა მიღებული. ამ
შემთხვევაში, მაშასადამე ცხადია, რომ სოციალიზმი გარდუ-
უვალ, მდგარ მდგომარეობად არის მიჩნეული კაცობრიობის
ისტორიაში, მაგრამ, სადაც მოძრაობა, წინსვლა, განვითა-
რება, უარყოფითი თუ დადებითი, შეჩერებულია, არ არის
არც ისტორია, და კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვ-
რება კი უისტორიოდ იგივე სიკვდილია ამ კაცობრიო-
ბისა. მაშასადამე, ცხადია, რომ თვით მოტივი გარდამა-
ვლობისა არ ვარგა საფუძვლად, რომელიც ამართლებ-
დეს სოციალიზმს და იმას, თუ რატომ უნდა ვიყვეთ
სოციალისტები. ამ შემთხვევაში პროგრამა ისეთ მეგობრობას
უწევს სოციალიზმს, როგორც დათვი მეუდაბნოეს, რომელიც
ისე გადააყოლა დათვმა წარმავალ ბუზს, როგორც თვით და-
თვი—ჩვენმა პროგრამამაც ისე გადააყოლა სოციალიზმი გარ-
დამავალობას, როგორც კაპიტალიზმი.

მეორე მოტივი „კაპიტალიზმის ხანის“ რუბრიკის უკანასკნელ სიტყვებში აღნიშნულია იმით, რომ პროგრამამ „იცის რას მოასწავებს საწარმოვო იარაღთა წართმევა მშრომელთაგან და მათი კერძო საკუთრება,“ მესამე მოტივი იქავე მოყვანილი აღნიშნულია იმით, რომ პროგრამამ იცის აგრეთვე, რომ „რა წინააღმდეგობა არსებობს დღევანდელ სამეურნეო ორგანიზაციაში და როგორი უნდა იყოს უმაღლესი სოციალური წეს-წყობილება, რომელიც დაამკვიდრებს ინტერესთა ჰარმონიას და მოსპობს ადამიანთა შორის მხეცურ ურთიერთობას“.

მეორე მოტივი შესდგება კერძო საკუთრების მნიშვნელობაში, საკუთრების, რომელიც წაართვეს პირდაპირ მწარმოებელს და მიითვისეს კერძო მესაკუთრეებმა, რომლებიც წარმოებაში არ იღებენ პირდაპირ მონაწილეობას. თუ ვიფიქრე, რომ პროგრამას წართმეული საკუთრების დაბრუნება სურს პირდაპირ მწარმოებლებისათვისო, ეს ისევ კერძო საკუთრება იქმნება, მაგრამ დაუჯეროთ სიტყვაზე, პირველ პროგრამას და ვთქვათ, რომ ეს მას არ უნდა; მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი სავარაუდო შემთხვევა არის შესაძლებელი. შეიძლება რომ კერძო საკუთრება გადაიქცეს სახელმწიფო საკუთრებათ, ეს ერთი; შეიძლება სინდიკალურ ანუ ბუნებრივ კავშირების საკუთრებათ, უსახელმწიფო საზოგადოების საკუთრებათ—საზოგადოებრივ საკუთრებათ. მაგრამ აქ კითხვა იბადება, რომ სახელმწიფოებრივი საკუთრება არის თუ არა სოციალიზმი და საზოგადოებრივი საკუთრება არის თუ არა სოციალიზმი? სახელმწიფოებრივი საკუთრება და საზოგადოებრივი ერთი და იგივეა თუ არა?

თუ სახელმწიფო და საზოგადოება ერთი და იგივე არ არის, მაშინ არც მათი შესაფერი საკუთრებაა ერთი. თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრება ერთი არ არიან, მაშინ რომელი მათგანია სოციალისტური საკუთრება?

თუ ერთი მათგანი სოციალისტურია, ან სახელმწიფო ან საზოგადოება, მაშინ მეორე მისი წინააღმდეგია, ან სოციალიზმი არ არის.

რომელია სოციალისტური სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ამის გადაწყვეტა მკითხველზე მიგვინდვია.

მაშისადამე, კერძო საკუთრების უარყოფა იმას არ ნიშნავს მაინცა და მაინც, რომ ამით პროგრამა სოციალისტურია თუ არა.

მესამე მოტივი, რომლითაც პროგრამის სიტყვით „ჩვენ ვიცით რა წინააღმდეგობა არსებობს დღევანდელ სამეურნეო ორგანიზაციაში და როგორი უნდა იყოს უმაღლესი სოციალური წეს-წყობილება“ და სხვა და სხვა, მოტივი კი არ არის ჩვენი სოციალისტობისა, არამედ უკვე ჩვენი სოციალისტობის ღიარებაა.

ვნახოთ ეხლა რა ნივთიერება ყოფილა სოციალიზმი პირველი პროგრამის სწავლებით.

პროგრამა ამბობს, რომ „სოციალიზმი იგულისხმებს ადამიანის განთავისუფლებას ყოველ გვარ დაჩაგვრისა და დამონავებისაგან, ხოლო უმთავრესად კი ეკონომიურ ექსპლოატაციისაგან“, რომელნიც თანამედროვე ბურჟუაზიულ და რაოდენამდე ჯერ ისევ ფეოდალურ საზოგადოების ქვა კუთხედს შეადგენს. სოციალიზნის ამ განსაზღვრაში ერთ და იმავე დროს სოციალიზმი აღიარებულიცაა და უარყოფილიც. განსაზღვრა ჯერ ამბობს, რომ სიციალიზმი ყოველგვარ (?) დაჩაგვრისაგან განთავისუფლება არისო, მაგრამ დამწერს შეშინებია თავისი „გაბედული“ სიტყვების, თავისი სოციალისტური მუსიკის მაღალი ჰანგის ტონის, რომელმაც ისე მძლავრად იმოქმედა მის ყურში, როგორც გრიგალმა და გაბრუებული მისი ყურებისთვის უცხო და მაღალი ტონით, იწყო ხმის დაწევა, კოესშენდოს უცებ დიმინუენდო მოაყოლა, ის ამბობს, რომ თუმცაღა სოციალიზმი ყოველ გვარი (?) დაჩაგვრისაგან განთავისუფლებაა, მაგრამ მეორე მხრით „ხოლო უმთავრესად კი ეკონომიური ექსპლოატაციისაგანო.“ უნდა ვთქვათ, რომ რაღაც საკვირველებაა ყოველგვარი (აბსოლიუტური) თავისუ-

ფლება და ხოლო ეკონომიური თავისუფლებაც, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველება და სასწაულიც არის ყოველგვარი ხოლო და ან ხოლოობითი ყოველ გვარი ერთად ისე, როგორც ყოველი დიალექტიური არსება ანუ მოვლენა. მაგრამ დღეს ისეთი დროა რომ არ არის არაფერი საკვირველი და ზოგი ძველად შეუძლებელი სასწაული შესაძლებელი ხდება, როგორც მაგალითად ტელეგრაფი და ისიც უმავთულო, სახელმწიფო სოციალიზმი და ისიც ხალხის სოციალური თავისუფლებით, მეჩნიკოვის უკვდავების თეორია და ისიც სტოლიპინ-ბულიგინ-გურკო-ლიდვალებისათვის, შოვინიზმი და ნაციონალიზმი და ისიც სოციალისტების ბანაკში და უკანასკნელად სოციალისტ-კადეტისტ-ესდეკისტ-ესერისტ-მარქსისტ-ანარქისტულ- პარლამენტარისტო - რევოლიუციონურ - სინდიკალისტო-ბიულეტენისტურ და ანარქისტულ-პოლიტიკურ-შოვინისტურ-ფედერალისტურ- ცენტრალისტურ - ავტონომისტურ-ნაციონალური ექსპლოატაციის სოციალისტური პარტია, ან ერთი სიტყვით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

სასწაულები ამით არ თავდება, მაგრამ ამათზე შემდეგ ვილაპარაკებთ, ეხლა კი ვნახოთ სად თავდება დიმინუენდო სოციალიზმის განსაზღვრაში.

როგორც უკვე ვთქვით განსაზღვრის დიმინუენდოს პირველი მუხლი სოციალიზმის შესახებ იმით იწყება, რომ სოციალიზმი „ხოლო უმთავრესად კი ეკონომიური ექსპლოატაციისაგან“ განთავისუფლებაა, მაგრამ ისეთი ეკონომიური ექსპლოატაციისაგან, „რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული და რაოდენამდე ჯერ ისევ ფეოდალურ საზოგადოების ქვაკუთხედს შეადგენს“, ესე იგი სოციალიზმი წარსულ ფეოდალურ რეჟიმის ნეშთების და თანამედროვე ბურჟუაზიულ რეჟიმის მრთელ ექსპლოატაციისგან განთავისუფლებაა.

ვიკითხოთ ეხლა, შესაძლებელია ახალი ფორმის ეკონომიური ექსპლოატაცია თუ არა? — რასაკვირველია, არის. შეიძლება თუ არა ახალ სოციალურ ექსპლოატაციამ მიიღოს ფორმა სახელმწიფოებრივი ექსპლოატაციისა? არა თუ შესაძლებელია, არამედ დღევანდელ საზოგადოების ცხოვრებაში უკვე იჩინა თავი იმ ექსპლოატაციამ, რომელიც ცდილობს კაბატონდეს მომავალში სახელმწიფო სოციალიზმის სახელით და თუ ამ სახელწოდებამ დააშანა ვინმე ან ხელი შეუშალა ამ ახალი ბატონობის და ექსპლოატაციის დამყარებას, მაშინ სახელის გადარქმევა არა თუ შესაძლებელი არის, არამედ მიღებულიც არის დღეს для вящаго сохраненія своего внутренняго содержанія, თავისი შიშველი შინაარსის დასაფარავად, მაგრამ გველი ისევ გველი დარჩება, თუნდაც დღეში თვითო ტყავი იცვალოს. ამ გვარი ტყავის გამოცვლა და სოციალიზმის მანტიაში გამოხვევა თავისი სახელმწიფოებრივი შინაარსისა ჩვენ თვალწინ სოციალისტურ კოსტიუმში გამოწყობილმა პირვ, პროგ. პრ. პარტიამ მოახდინა.

პირველი პროგრამა ამბობს, რომ „ყოველ ადამიანს სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორი უფლება ექნება მოითხოვოს საზოგადოებისაგან თავისი არსებობის უზრუნველ ყოფა, რამდენადაც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებისაგან, და სამაგიეროდ ყოველი ადამიანი კალდებული იქნება სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მეურნეობისათვის საჭირო შრომაში“. წარმოების საჭიროება განსაზღვრავს დამოკიდებულებას საზოგადოების და მისი წევრების შორის, „მაგრამ ისე კი, რომ ადამიანთა თანასწორობის პრინციპი არ იქნას დარღვეული და ადამიანის თავისუფლება არ იქნას შეეიწროვებული იმაზე მეტი, რაც აუცილებლათ საჭირო ადმოჩნდება საზოგადოების მიერ თავის ყველა წევრთა წინაშე მოვალეობის ასასრულებლად“.

აი სწორედ ეს არის სახელმწიფო სოციალიზმი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის გამოთქმულია აქ ყოვლად უნიჭოთ, მაგრამ იმგვარადვე ცბიერად, როგორც შეფერის სახელმწიფოებრივ რელიგიას და მის ქურუმებს.

რა არის უფლება და განსაკუთრებით თანასწორი უფლება საზოგადოებისაგან თავის არსებობის უზრუნველყოფის მოთხოვნისა. უფლება განყენებული სოციალური ძალაა, ფორმულა, განსაზღვრა მოქმედების ძალისა; უფლება ამასთანავე ფორმულაა ჩვეულებისა, მაგრამ ყოველი ჩვეულება მოქმედებაა, მოქმედება ძალისა, მომქმედისა, მაშასადამე ჩვეულება, იგივე ძალაა. „თანასწორი უფლება“ უფლებათა გათანასწორება, მაშასადამე არის გათანასწორება ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ, მომქმედთა გათანასწორებაა, ნაგრამ ყოველი მომქმედი სხეული, ყოველი მოძრავი და ცვალებადი სხეული მხოლოდ მაშინ არის მოძრავი, და ცვალებადი და მომქმედი, თუ ისინი თანასწორი არ არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი მოძრაობა, მოქმედება და ცვალებადობა, ყოველი პროგრესი და რეგრესი შეუძლებელია—სოციალურ უფლებათა გათანასწორება უარყოფაა ყოველი სოციალურ მოძრაობისა, ცვალებადობისა, წინ ან უკან სვლისა, ის სოციალური სიკვდილია, ისტორიული არსებობის შეწყვეტაა. მაგრამ სიკვდილი არ არის ისე საშინელი, როგორც ტანჯვაში ცხოვრება, ის ისეთი ბუნებრივია, როგორც სიცოცხლე, საშიშარია მხოლოდ აღთქმული სამოთხის მაგიერ ჯოჯოხეთში თავის ამოყოფა. პროგრამის უფლებრივ გათანასწორებას კი სწორედ სოციალური ჯოჯოხეთი აქვს შედეგად.

პროგრამის აზრით ყველას თანასწორი უფლება ექნება მოითხოვოს თავისი მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და სამაგიეროდ ყოველი ადამიანი ვალდებული იქნება სხვებთან თანასწორი შრომა მიიღოს საზოგადოებრივ წარმოებაში. ამ გვარად თვით პროგრამის სიტყვებიდგან გამოდის, რომ თა-

ნასწორი შრომა აძლევს თანასწორ უფლებებს მშრომელებს და ამასთანავე ეს თანასწორი შრომა სავალდებულოა თანასწორ უფლებათა ქონებისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ყოველი კონკრეტული მწარმოებელი, ყოველი ინდივიდუმი, როგორც ბიოლოგიური არსება, მიჩნეულია თავის მსგავს ბიოლოგიური არსების თანასწორად, მაშასადამე, ამასთანავე ყოველ ინდივიდუუმის მოთხოვნილება მიჩნეულია საერთო მოთხოვნილებათ, მეორე ინდივიდუუმის მოთხოვნილების იდანტიურ განმეორებით. ნუ თუ საჭიროა იმისი თქმაც, რომ ადამიანები, როგორც ბიოლოგიური ინდივიდები მხოლოდ მსგავსი არიან ერთი მეორის და მაშასადამე, მათი ფუნქციები, მოქმედება, მოთხოვნილებანი მხოლოდ მსგავსი არიან ერთი მეორის და მაშასადამე შეუძლებელია უფლებათა თანასწორობა. რადგან უფლება მოქმედთაგან და მათი ბუნებისაგან გამომდინარეობს. ადამიანთა გათანასწორება უფლებებში იქნება მათი ჩაწვენა პროკრუსტის საწოლში, იქნება მათი წვალება, რომელიც განხორციელებული იქნება ხელოვნურად წინააღმდეგ ბუნებრივ შერჩევისა, რომელიც მათ შერჩეულთა სასარგებლოდ მოქმედებს, რადგანაც ყოველი გათანასწორება შეიძლება მხოლოდ ხელოვნური საშვალებით და არა ბუნებრივით, რადგან ყოველი ბუნებრივი ცვალებადი და მოძრავია, რაც უარყოფაა ყოველი განმეორების, ყოველი თანასწორობის, ყოველი კანონის, ურომლისოთაც თანასწორობის დამყარება არ შეიძლება. ბუნებრივი შერჩევა სოციალურ ცხოვრებაში, ბუნებრივი ბრძოლა ადამიანთა თავიანთ განსხვავებულ და არა წინააღმდეგ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წარმოადგენს ძალების, უფლებების, ჩვეულებათა, მშრომელთა მოთხოვნილებათა ასოციაციას და არა გათანასწორებას ან სოციალურ, უფლებრივ, ზნეობრივ წარმოებითი და მოთხოვნილებათა პროკრუსტის საწოლში ჩაწვენას. ერთი გვიბრძანეთ ვინ უნდა ითამაშოს პროკრუ-

სტის როლი და გადასჭრას სიგრძე და სიგანე ადამიანის ბუ-
ნებას? სახელმწიფომ ხომ არა?

ალბათ სახელმწიფომ, რადგან სხვაგან გზა არ არის სხვა
ფერი სოციალური ცხოვრებისათვის გარდა ბურჟუაზიისა, ფე-
ოდალთა და მონათ მფლობელთა არ გვეგულება. პირველივე
პროგრამა გვეუბნება, რომ საზოგადოების ცხოვრების პრო-
კრუსტი სახელმწიფო იქმნება, რადგან ის უფლებებს ათანას-
წორებს და შრომას საგალდებულოდ ხდის, მისი ლოზუნგი:
„თვითეულისაგან“ საზოგადოებისთვის საჭიროების და გვარად
და თვითეულს თავის უფლების და გვარად, უფლების, რო-
მელიც ამ თვითეულთაგან არ გამომდინარეობს, არა-
მედ მის გარედგან, თვითეულისგან საზოგადოება მოითხოვს თა-
ნასწორ შრომას და ეკვიოეულს აძლევს თანასწორ უფლებას,“
—ეს ლოზუნგი რომელიც ზემო მოყვანილ სიტყვებიდგან
გამოდის არის სახელმწიფოებრივი-იძულებითი—ლოზუნგი, რაც
კიდევ უფრო ცხადია იმით, რომ პროგრამის სიტყვით თავის-
უფლების პრინციპი არ იქნება შეეიწროებული „იმაზე მეტი,
რაც აუცილებლად საჭირო აღმოჩნდება საზოგადოების მიერ
თავის ყველა წევრთა წინაშე მოვალეობის ასასრულებლად.“
ცხადია რომ აქ საზოგადოება მიჩნეულია არა საზოგადოებათ,
არამედ იურიდიულ პირად, რომლის მოვალეობა ყველას წი-
ნაშე ისე, როგორც პასუხის გება, რადგან მოვალეობა თუ
არსებობს მხოლოდ პიროვნებისათვის არსებობს ისე, როგორც
პასუხის გება, და თუ საზოგადოება გაპიროვნებულია, მაშინ
ეს სახელმწიფოა, იურიდიული პირი, მაშინ თვითეულს თავი-
სი მოვალეობა გადაუცია სახელმწიფოსათვის, რომელიც მათ
მაგიერ ასრულებს მათ მოვალეობას, სახელმწიფო ანუ მეტა-
ფიზიკური გაპიროვნებული ზოგადი, ორივე შემთხვევაში სა-
ზოგადოება, პიროვნებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ
ერთი პოლიტიკური პიროვნება, იურიდიული დაწესებულებაა
და მეორე შემთხვევაში, მეტაფიზიკური „მცნება“ იურიდიულ-
პოლიტიკური დაწესებულებისა.

რაც შეეხება იმას, რომ, პროგრამის სიტყვით, „სოციალიზმი ისეთი წეს წყობილებაა, რომელიც განახორციელებს ეკონომიურ თანასწორობას და არ შეიცავს ახლანდელ ექსპლოატაციის საძირკველს კერძო საკუთრებას,“ უნდა პირდაპირ ვაღიაროთ, რომ ამ გვარი განსაზღვრა ყოვლად უვიცური ნაწარმოებია და არც ემპირიულ და არც გეომეტრიულ განსაზღვრის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილების. „ეკონომიური თანასწორობა, როგორც წინეთ ვსთქვით, დაკავშირებულია სხვა თანასწორობასთან და ყველა სხვა და სხვა თანასწორობა გულისხმობს შეუძლებელ თანასწორობას მოთხოვნილებათა და მოქმედებათა, რომლებიც მიმართული არიან მოთხოვნილებათა, დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხება კერძო საკუთრების არ ყოფნას, უარყოფას, ცხადია, რომ კერძო საკუთრება შეიძლება არ არსებობდეს არა თუ სოციალიზმში, არამედ შეიძლება არ არსებობდეს სახელმწიფოებრივ იძულებითი ორგანიზაციაშიც, ან შესაძლებელია კორპორატიული საკუთრება სადაც ინდივიდიალურ, კერძო საკუთრებას ადგილი არ ექმნება.

პირველი პროგრამა უტოპისტების შესახებ ამბობს (8 გვ.) რომ უტოპისტების აზრით „ადამიანი გონიერი არსებაა, იმას შეუძლია შეიგნოს სოციალისტური წესწყობილების უპირატესობა ბურჟუაზიულ წესებთან შედარებით, გამართოს ბრძოლა იდეიური ან ფიზიკური სოციალიზმისათვის“ და სხვა და სხვა. ცოტა ქვევით იგივე პროგრამა ამბობს, რომ „იმათ (უტოპისტებს ა. შ.) მთელის თავის კაცთ-მოყვარე და მხურვალის გულით სწამდათ, რომ მალე თვით ექსპლოატატორნი ირწმუნებდენ სოციალიზმის უკეთესობას და თვით ისინი ითავებდენ“ და სხვა და სხვა. კიდე ცოტა ქვევით იგივე პროგრამათა ტერატოლოგიურ[1]) ისტორიის შინაარსად გამ-

[1]) ტერატოლოგია არის მეცნიერება მახინჯთა წარმოშობის შესახებ.

ხდარი პირველი პროგრამა ამბობს, რომ „უტოპისტები საჭიროდ არა სთვლიდენ ფიზიკურს სარევოლიუციო ბრძოლას და სოციალისტური აზრების პროპაგანდა ერთად-ერთ იარაღად მიაჩნდათ თავის იდეალის განხორციელებისათვის. რეალურმა ცხოვრებამ დაარღვია უტოპისტების უზომო ოპტიმიზმი“.

სწორედ უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი პროგრამა რაღაც უზომო აბდა-უბდის ქარხანას წარმოადგენს და ამ აბდაუბდურ ნაწარმოებს და შემცდარ აზრებს ისეთი სისწრაფით და განუწყვეტლობით ისვრის, რომ ვგონებ შესძლოს შეუძლებელი და თვით დანაიოსის უფსკერო ბოჭკა აამსოს. ეს საოცარი პროგრამა ყოველ პროგრამათა შორის ამბობს, რომ უტოპისტები აღიარებდენ, რომ ადამიანებს, როგორც გონიერ არსებას შეუძლია „გამართოს ბრძოლა იდეიური ან ფიზიკური სოციალიზმისთვის, დაამარცხოს იდეიურად ან ფიზიკურად გაბატონებული კლასები“, (გვ. 8) ესე იგი უტოპისტებს მიაჩნდათ ფიზიკური ძალა საშვალებათო და ბოლოს (გვ. 9) კი ამბობს, რომ „უტოპისტები არ სთვლიდენ საჭიროდ ფიზიკურს სარევოლიუციო ბრძოლას“ და „პროპაგანდა ერთად-ერთ იარაღად მიაჩნდათო.“ ჩვენ არას ვიტყვით ამ ალთაი-ბალთაიზე, რადგან ნამდვილი სახელი ამ გვარ ლოლიკის აღსანიშნავად ემძიმება ჩვენ კალამს. უნდა ვთქვათ მხოლოდ, რომ თუ ორგვარ იდეიურ და ფიზიკურ ბრძოლისაგან გამომდინარეობს მხოლოდ ერთად-ერთი ბრძოლის საშვალება—იდეიური პროპაგანდა, მაშინ შესაძლებელია ისიც, რომ ფიზიკურ და პარლამენტარულ ბრძოლისაგან გამოდინდეს გონებრივი, იარა წოდებული პარლამეტარულ კრეტინიზმათ.

თუ პირველ პროგრამისთვის იდეიური პროპაგანდა და ბრძოლა, რწმენაზე დამყარებული სამარცხვინო უტოპიზმია, მაშინ რათ გამოსთქვამს, ეს პროგრამა თავის. მე-7-დე გვერდზე ამ გვარსავე სამარცხვინო უტოპიზმს, არ ვიცი კრეტინიზმის, არ ვიცი კანტიზმის გავლენით, რომ „უსა-

შინელესი მტერი სოციალიზმისა და უძლიერესი დამცველი ბურ-ჟუაზიული წესწყობილებისა თანამედროვე სახელმწიფო და იმისი ჯარი, პოლიცია და ჟანდარმერია კი არა, ის წარმოდგენაა, ვითომც სოციალიზმი უტოპიური სწავლა იყოს“ და სხვა და სხვა. გამოდის, რომ ადამიანის უდიდესი მტერი წარმოდგენა, რწმენა ყოფილა, ეს მტერი სოციალიზმის და ბურჟუაზიის უძლიერესი დამცველი სახელმწიფო, ხიშტი, შპიონი, ჟანდარმის და პოლიციელის სახით კი არ ყოფილა, არამედ მათი იდეები, რწმენა სოციალიზმის შეუსაბამობისა და, რადგან ყოველი რწმენისაგან შეიძლება გაძარწმუნება, ამიტომ ჩვენ უმთავრესად ხელი პროპაგანდას უნდა მოვკიდოთ რადგან, როგორც ჩანს, სოციალურ ტსანსფორმაციის, ცხოვრების, ბრძოლის უდიდესი სეგულიატორი წარმოდგენა და იდეა ყოფილა, წარმოდგენა და იდეა რომელიმე წესწყობილების უტოპიურობისა ანუ რეალურობისა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ყველიფერი სიმეცნიერო და თან, არ ვიტყვით, ანტიმეცნიერული, რადგან ეს თავისთავად ცხადია, უბრალო მარტივ ლოლიკის წინააღმდეგია ისეთი აზრი რომ უფრო სოციალიზმის ურწმუნო ხასიათია ხელის შემშლელი, ვინემ სახელმწიფო, ხიშტი, პოლიცია და ჟანდარმერია. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარი არშიყობა და თვალების ქნევა სახელმწიფოის, ხიშტის, პოლიციის და ჟანდარმერიის მიმართ არ არის ლამაზი, ცხადია, რომ, თუ ბურჟუაზია გამაგრებული არ იყოს თავის უკანასკნელ ციტადელში, ჯარში, მაშინ აღსასრულის დღე ბურჟუაზიის და სახელმწიფოის მთელი მათი მაიძულებელთა კომპანიით მსწრაფლ დადგებოდა და სწორედ ამიტომ არის მიმართული დღეს უკანასკნელი იერიში ამხანაგ ანტიმილისტა-რისტებისა ბურჟუაზიის და სახელმწიფოის უკანასკნელ ციტადელზე—ჯარზე. თქვენ მოაშორეთ ხალხს ჯარი თავისუფლების გზაზე და სოციალიზმის ურწმუნოთ იმ საათში დაგარწმუნებთ, სოციალიზმის უკეთესობაში.

ეხლა ვნახოთ, როგორია პროგრამის აზრით „სოციალისტური წესწყობილება და სოციალური რევოლიუცია“ (23 გვ.). სოციალიზმის „უმაღლესი პრინციპი კი იმას მოითხოვს, რომ სამეურნეო მოქმედების თავი და ბოლო, წარმოება და მოხმარება ერთი ერთმანეთთან იყოს შეთანხმებული და შეფერებული. ეს კი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტური სახელმწიფო შემდგარი იქნება ერთის მხრივ საწარმოვო და მეორე მხრივ მომხმარებელთა კავშირებისაგან და ეს კავშირები ურთიერთთან იქნებიან შეწონილი და შეწყობილი“. ამიტომ უფრო „ადვილი წარმოსადგენია ისეთი კავშირი, რომელიც ერთ და იმავე დროს საწარმოვო კავშირიც იქნება და მომხმარებელთა კავშირიც“. ამ გვარ კავშირად „შეიძლება გადაიქცეს, მაგალითად, ჩვენი სოფელი“. ეს სოფლები შეიძლება დაკავშირდენ „ისეთ საქონლის დასამზადებლად, რომელიც ყოველ სოფლისთვის საჭიროა“ და რადგან „ვერც ერთი სოფელი კი ვერ მოახერხებს იმის დამზადებას საკუთარის ძალდონით რიცხვის სიმძიმის გამო“, ამიტომ სოფლები შეადგენენ ფედერაციას და გაუჩენენ „ამ ფედერაციას შრომის არმიას, რომ ყველა სოფლების დასაკმაყოფილებლად ერთად დაამზადოს ისეთი საქონელი, რომელსაც თვითეული ცალკე ვერ ამზადებს“ (24 გვ.).

მაშასადამე, წარმოება და განაწილება შეთანხმებული იქნება და ეს შეთანხმება შესაძლოა მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოს საშვალებით, რომელიც განახორციელებს ამ შეთანხმებას მწარმოებელ და მომხმარებელ ერთ და იმავე დროს კავშირების საშვალებით. თუ ეს შეთანხმება თვით მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინიციატივის საქმე იქმნება, მაშინ მწარმოებელი და მომხმარებელი კავშირები სავსებით დაუმოკიდებელი, ავტონომიური იქნებიან და მათი შეთანხმება თავისუფალი ნებაყოფლობითი ანუ საკავშირო—ფედერატიული—უიძულებო, იქმნება და მაშასადამე, თავისუ-

ფალი კავშირი თავისუფალი კავშირებისა იქნება ფედერატიული, ე. ი. ისევ ისე თავისუფალი კავშირი, სოციალისტური ორგანიზაცია და არა სოციალისტური სახელმწიფო, რადგან სახელმწიფო პირდაპირი უარყოფაა, როგორც კავშირისა, ისე საზოგადოებისა და მაშასადამე, ყოველი სოციალისტური ორგანიზაციისა, ვინაიდგან ჩვენ ვიცით სახელმწიფო, როგორც მაიძულებელი დაწესებულება, როგორც იძულებითი ორგანიზაცია და როგორც იძულებითი—ის გულისხმობს სწორედ იმ მოვალეობას, რომელზედაც პირველი პროგრამა მიგვითითებს მე-5-ე გვერდზე—იძულება და ვალდებულება ერთი მეორეს გულისხმობენ, მაგრამ ამ მოსაზრებას გარდა ყოველი მოვლენა და, სხვათა შორის, სოციალურიც ჩვენ ვიცით მხოლოდ იმ ნიშნებით, ხასიათებით, თვისებებით, რომლებიც მათ ეკუთვნით აწმყოში და არა მომავალში, რადგან ყოველი ცოდნა მომავალ მოვლენის არსებობის წესისა შეუძლებელია, როგორც ცოდნა მოკლებული თავის საგანს, რომლის ცოდნასაც ის წარმოადგენს. ისეთი ცოდნა, რომელიც შეეხება მომავალ ჯერ არ არსებულ საგანს არის, ცოდნა დოგმატიური, მეტაფიზიკური—ცოდნა უსაგნო. ამ გვარადვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვიცით სახელმწიფო, ჩვენ ვარჩევთ მას სხვა სოციალურ ორგანიზაციათა შორის იმ თვისებებით და ხასიათებით, რომელებიც მას აწმყოში ახასიათებენ, განუშორებელი არიან მისგან წარსულში და აწმყოში და თუ მომავალში ის შეიცვლება, ცხადია, რომ ის აღარ იქნება ის, რაც ის დღეს არის, რადგან იმან თავისი დამახასიათებელი იძულება უნდა დაჰკარგოს ამ შემთხვევაში—ის რაც მის მაგიერ იქნება, არ იქნება სახელმწიფო.

რაც შეეხება იმას, რომ პროგრამა ერთი მეორეში ურევს მცნებას ფედარაციისას და სახელმწიფოისას და ამ ფედერაციას უჩენს შრომის არმიას, რომელიც აწარმოებს ისეთ საქონლებს, რომლებიც ერთ სოფელს არ შეუძლია გააკეთოს

საკუთარის ძალით, უნდა ვთქვათ, რომ ყოველი გაჩენილი „შრომის არმია“, როგორც არმია და ამასთანავე გაჩენილი ფედერაციის განკარგულებაში იგივე დისციპლინას დამორჩილებული არმიაა (როგორც ეს მარქსის კომუნისტურ-მანიფესტშია), როგორც ჩვეულებრივი დღევანდელი არმია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის შეიარაღებული იქნება თოხებით, წერაქვებით, ჩაქუჩებით და სხვა იარაღებით თოფის და პულემიოტების მაგიერად და გულისხმობს დისციპლინის დამვალებელს და დამცველს, რომელიც ამ შემთხვევაში ფედეკარია და ისეთი ფედერაცია იქნება, რომელიც ამით გადაქცეულია სახელმწიფოდ თავისი დავალებით, იძულებით და დისციპლინით.

პირველი პროგრამა ამბობს, რომ „პრინციპი სოციალიზმისა ერთის მხრივ, და პრინციპი ავტონომიისა და ფედერაციისა მეორეს მხრივ, ხელოვნურად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ მათ შორის ბუნებრივი და დაურღვეველი კავშვია გაბმული“. მაშასადამე, თუ პრინციპი სოციალიზმისა ერთი მხრით და პრინციპი ავტონომიისა და ფედერაციისა მეორე მხრით არა ხელოვნურად, არამედ ბუნებრივად არიან დაკავშირებული, ცხადია მაშინ, რომ ყოველი კავშირი ხელოვნური—იძულებითი— უარყოფილია და ყოველი ბუნებრივი კავშირი — თავისუფალი, უიძულებო კავშირი---მიჩნეულია, ამიტომ თვით სოციალური ორგანიზაცია თავისი ელემენტების მხრივ უნდა იყოს ავტონომიური, ე. ი. თავისუფალი, იძულებას მოკლებული და თავის ელემენტების ურთიერთობის საერთო, საზოგადო მხრივ, უნდა იყოს თავისუფალი ასოციაცია, კავშირი და კავშირთა კავშირი—ფედერაცია—იძულებას მოკლებული.

ამ გვარია „სოციალისტური წესწყობილება“ პირველ პროგრამის ბუნდოვან დაგამოურკვევლობაში, ვნახოთ ეხლა, როგორია „სოციალური რევოლიუცია“ ამავე პროგრამის ბუნდოვანისავე აზრით.

პროგრამა ამბობს (იხ. 25გვ.). რომ სოციალიზმის დასამყარებლად არ კმარა საწარმოვო იარაღების ხელში ჩაგდება, ეს მხოლოდ სოც. რევოლიუციის გარეგანი მხარეა, ამიტომ საჭიროა ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც მოახერხებენ წარმოებას და მოხმარებას ამ იარაღების საშვალებით. „ასეთი ორგანიზაციები ვერც დიკტატორულის ბრძანებით შეიქმნებიან და ვერც თავის თავად იშვებიან ისტორიის მეტაფიზიკურის ფაქტორისაგან.“ ეს ორგანიზაციები უნდა იქნან „მომზადებული სოციალურ რევოლიუციის მოსახდენად. ამიტომ, ჩვენის შეხედულებით, სოციალური რევოლიუცია ერთ დღეს ან ერთს წელიწადს კი არ იქნება ასრულებული, როგორც რაიმე დრმა კონფლიქტი, ანუ ერთი რადიკალური შეტაკება შრომისა და კაპიტალისა, არამედ ის ხანგრძლივი პროცესი იქნება“.

თუ სოციალისტური ორგანიზაციების შექმნა არ შეიძლება ბრძანებით, რომელიც ყოველთვის, როგორც ბრძანება დიქტატორულია, მაშასადამე ეს ორგანიზაციები წარმოშობის და მათი დამყარების შემდეგაც არ უნდა იყვნენ არავითარი ბრძანების—დიკტატურის—ქვეშე, ე. ი. არავითარი იძულების და ვალდებულების ქვეშ, მაგრამ საქმე მოყვანილი სიტყვებით იმაშია, რომ სოციალისტური ორგანიზაციები არც დიქტატორული, იძულებითი ხელოვნური საშვალებით შეიქმნებიან და არც თავის თავად იშვებიან (ისტორიის მეტაფიზიკური ფაქტორისაგან)“.

აქ, უკანასკნელი სიტყვები: „ისტორიის მეტაფიზიკური ფაქტორისაგან“, სულ ტყუილად არიან მიკერებული, როგორც სიტყვათა უსარგებლო მასალად და ამიტომ ჩვენ მათ ფრჩხილებში ვსვამ, რადგან თუ ისტორ. მეტაფ. ფაქტორისაგან იშვებიან, მაშინ არც თავის თავად იშვებიან, მაშასადამე დაგვრჩა ორი შემთხვევა, რომლითაც სოციალისტური ორგანიზაციები ან დიქტატორულად, ხელოვნურად, ხელოვნური იძულებითი შერჩევით იშვებიან, ან თავის თავად, ბუნე-

ბრივი შერჩევით, თავისუფალი შერჩევით, კავშირით იშვებიან. პირველი დიქტატორული, ხელოვნური და იძულებითი უარჰყო პირველმა პროგრამამ და მართლა ბუნებრივად, ამის შემდეგ უნდა მიეღო ბუნებრივი, თავისუფალი შერჩევითი, კავშირობითი, სინდიკალური, ანარქისტული ორგანიზაცია, მაგრამ ეს ისეთი პროგრამაა, რომელსაც ჭეშმარიტების მშვენიერი სიშიშვლე აფრთხოფს თითქმის სიგიჟემდის და დაფარული გონების ნაფლეთებში გახვეული არგუმენტების უაზრობა იდეიური სიმახინჯე აჯადოებს და მოისყიდის ისე, რომ თითქმის მიყავს მონურ მდგომარეობამდის და როგორც ქალწული დაეცემა, მაცდურ ნაფლეთების წინაშე, რაც ცხადად ჩანს ცოტაოდენ მსჯელობის შუქზე და იმ სიტყვებიდან, სადაც პროგრამა ზევით ნოყვანილ სიტყვების შემდეგ ამბობს, რომ თუმცა დიქტატორულად, არაფერი სოციალისტური არ იშობა და მიუხედავად ამისა, რომ დარჩენილია ერთი გზა, რომლითაც შეიძლება სოციალისტური ორგანიზაცია და რომელიც ბუნებრივ, იძულებას მოკლებულ, თავისუფალ შერჩევას, თავისუფალ კავშირს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა „ეს ორგანიზაციები წინასწარვე უნდა იქმნან მოწყობილი და მომზადებული სოციალური რევოლიუციის მოსახდენათ“, ე. ი. ისევ ისე ხელოვნურად იძულებითი და დიქტატორულად, რადგან „უნდა იქმნან მოწყობილი და მომზადებული“, ე. ი. დიქტატორების მიერ, რადგან ერთად ერთი გზა ბუნებრივი და ყოველ იძულებას მოკლებული გზაა, მაშასადამე უნდა იქნან მოწყობილი ზე ისტორიული ძალების დიქტატორების მიერ, რადგრან პროგრ. პირვ. პრ. პოლიტიკას და პოლიტიკურ ორგანიზაციას, სახელმწიფოს, არ უარყოფს, წინააღმდეგ, ის სწამს.

პროგრამა ამბობს, რომ რევოლიუცია ერთ დღეს არ მოხდებაო და მართალსაც ამბობს, მაგრამ ამგვარი მართლის თქმა ისე არ არის საჭირო და სასარგებლო, როგორც თქმა

იმისი, რომ მშიერმა უნდა სჭამოს, თუ საჭმელი აქვსო, რადგან ისეთი პარტია და ისეთი ასოციაცია არ არსებობს, რომელიც რევოლიუციის ასრულებას ერთ დღეში შესაძლებლად ხედავდეს, რაც შეეხება ერთს წელიწადს კი რა მოგახსენოთ, შესაძლებელია რომ ასრულდეს და დასრულდეს კიდეც, თუ სოციალური ძალთა განწყობილება ამისთვის საჭირო მზად იქნება. ყოველი რევოლიუცია ჩქარია და არა ხანგრძლივი და ნელი, რადგან რევოლიუცია იგივე ევოლიუციაა, მხოლოდ მოზიდული (напряженная эволюція), უმაღლესი ხარისხის ევოლიუცია, რევოლიუცია, რომ ნელი, ხანგრძლივი იყოს ის იგივე ევოლიუცია იქნება და არა მისი განვითარება იმ წერტილამდის. სადაც ევოლიუციას, განვითარებას მოყვება ტრანსფორმაცია; რევოლიუცია მოქცევა (перелом) არის ევოლიუციაში და რევოლიუციონური პროცესი იმდენად უფრო ჩქარი და მძლავრია, რამდენადაც ევოლიუციის პროცესი დაგვიანებულია; რევოლიუცია ნაყოფია ხანგრძლივი დაბრკოლებული პროცესის ისე, როგორც ტრანსფორმაცია ევოლიუციის.

როდესაც პროგრამა ამბობს, რომ „ეს პროცესი... უკვე დაწყებულია და სოციალური რევოლიუციისათვის იბრძვის მშრომელი ხალხის მოწინავე ავანგარდი, პროლეტარიატი“, ამით რევოლიუციას და ევოლიუციას ის ერთი მეორეში თქვეფავს და გახსნის, ათხელებს მის ხასიათს, რევოლიუციის უარყოფამდე. რომელიმე მოვლენა თავისი პროცესით, როგორც წარმომშობი, განსხვავებულია მეორე მის მიერ წარმოშობილ მოვლენისაგან და ამის პროცესისაგან, მსგავსად ამისა პროცესი სოციალური ევოლიუციისა განსხვავებულია მის მიერ წარმოშობილი სოციალური რევოლიუციის პროცესისაგან. „სოციალური რევოლიუციის მოსახდენად“ მომზადება არ არის სოციალური რევოლიუცია. სოციალური ცდა შეუძლებელია ხელოვნურად და ამიტომ სოც. რევოლიუცი-

ისთვის მხოლოდ თვით სოც. რევ. დროს შეიძლება მომზადება; სოც. რევოლიუცია ნაყოფია წინამორბედი ბრძოლის, მისთვის სოციალურ ძალების მოქმედების დაწყებით იწყება სოციალური რევოლიუცია და თავდება ამ ძალების გამარჯვებით, რომლის შემდგომ, და მხოლო შემდგომ, იწყება სოციალიზმის ვანხორციელება ურევოლიუციოდ—სოციალისტური ცხოვრება—საზოგადოებრივი, თავისუფალი გაუპიროვნებული ბუნებრივად საკუთრება, წარმოება და განაწილება, ამიტომ არც მიზანი და არც მისი განმახორციელებელი საშვალება არ არიან თვითეული ცალკ-ცალკე საკმაო სოციალიზმის დასამყარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ირწმუნება თავის სოციალისტობაში, იმან მაინც პოლიტიკური ატავიზმის წყალობით დაიწყო პროგრამა—მინიმუმზე ლაპარაკი (28 გვ.). ჯერ პირველი პროგრამა უკიჟინებს (26 გვ.) მისგან აბუჩად აგდებულ სოც.-დემოკრატებს, რომ ისინი „სოციალურ რევოლიუციას ისტორიის თვალ-მიუწდომელ მომავალ დროების საქმედ სთვლიან და ჯერჯერობით კი ამბობდა მინიმუმ პროგრამაზე ჰგონიათ გაჩერებულიო“ და სხვა და სხვა, მაგრამ ის რაც სოც.-დემოკრატების შესახებ გასაკიცხავად მიაჩნია პირველ პროგრამას საქებურად მიაჩნია თავისთვის და ამბობს (29 გვ.), რომ „ამიტომ, უმახლობელესი მიზანი“, ე. ი. პროგრამა მინიმუმი, „სარევოლიუციო მოძრაობისა რუსეთში არის ხალხის განთავისუფლება პოლიტიკური ბორკილებისაგან, სამოქალაქო თავისუფლების მოპოვება და დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესება“. „პოლიტიკურმა რევოლიუციამ უნდა განახორციელოს პოლიტიკაში დემოკრატიული პრინციპი“ (30 გვ.) და სხვა და სხვა. ამ პროგრამის მინიმუნს, რომელიც საერთოა რუსეთის დემოკრატიისათვის ემატება ნაციონალური ავტონომია საქართველოსი სოციალ-ფედერალისტთა პროგრამაში.

რა არის პროგრამა მინიმუმი? მინიმუმი, როგორც მაქსი-

მუმი ყოველი მოვლენისა, წარმოადგენს ორ განსხვავებულ „მომენტს“ მთელი მოვლენის განვითარებაში, მაშასადამე წარმოადგენს რომელიმე ნაწილს მთელი მოვლენისა, თუ ამ დებულებით ვიხელმძღვანელებთ და ვიტყვით, რომ ყოველი მოვლენის განვითარებას სჭირია „მომენტებისაგან“ შემდგარი დრო, რომელშიდაც მისი განვითარება უნდა ასრულდეს და ამიტომ იმ „მომენტებისაგან“, რომლებისაგანაც საჭირო დრო შესდგება გამოვარჩევთ ერთს „მომენტს“, რომელსაც მივიჩნევთ უძრავად და დაუდებთ საფუძვლად მთელი მოვლენის ასრულებისთვის საჭირო დროს, მაშინ თვით დრო საჭირო მოვლენის ასრულებისათვის უარყოფილი იქნება. ყოველი მინიმუმი და მაქსიმუმი გამომდინარეობს მრთელის ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობისაგან და მაშასადამე, თვით მინიმუმი და მაქსიმუმი, როგორც ნაწილები მთელისა და როგორც მომენტები მოვლენის განვითარების საჭირო დროისა, წარმოადგენენ მრთელს, რომელიც თავის რიგზე შესდგება ნაწილებისაგან, მომენტებისაგან, ეს უკანასკნელები წარმოადგენენ მრთელს კიდევ სხვა მომენტებისაგან შემდგარს და ასე ad infinitum, დაუსრულებლად. ამგვარად, სოციალიზმის მაქსიმუმად და მინიმუმად დაყოფა გულისხმობს და მოითხოვს თვით ამ მინიმუმის და მაქსიმუმის კიდევ მინიმუმებათ და მაქსიმუმებად დაყოფას და ისე დაუსრულებლად; სოციალიზმის დემოკრატიულ და სოციალისტურ მომენტებათ, მინიმუმად და მაქსიმუმად დაყოფა იმავე ლოლიკით მოითხოვს დემოკრატიულის და სოციალისტური მომენტების მინიმუმად და მაქსიმუმად დაყოფას და ასე დაუსრულებლად, რის შემდგომ ჩვენ მივიღებთ სწორედ იმ მინიმუმს და მაქსიმუმს, იმ მომენტს, რომელსაც განვიცდით აწმყოში, და რომელშიდაც მინიმუმი და მაქსიმუმი გაერთიანებული იქნება—მივიღებთ კონსერვატორთა პროგრამას, რომელიც ჩვენთვის ამ შემთხვევაში მინიმუმიც და მაქსიმუმიც იქნება. ყოველი მინი-

მუმი გულისხმობს მაქსიმუმს და მინიმუმს თავის შიგნით და ყოველი მაქსიმუმი გულისხმობს მინიმუმს და მაქსიმუმს თავის შიგნით, შეჩერება იმ დაღმართზე შემდგარი მსჯელობისა შეუძლებელია. ყოველი მინიმალური და მაქსიმალური მიზანი გულისხმობს მინიმალურ და მაქსიმალურ ძალის ხმარებას (усиліе) და რადგან მინიმალური და მაქსიმალური მიზნები გულისხმობენ იმავე ლოლიკით კიდევ მინიმალურ და მაქსიმალურ მიზნებს, მაშინ ამით გულისხმებულია კიდევ ხელახალი მინიმალური და მაქსიმალური ძალთა ხმარება (усиліе) და ამ გვარად მიზნის შემცირების პროცესსთან ერთად შეიძლება ძალთა ხმარებაც და სოციალური რევოლიუცია გადაიქცევა სოციალურ ევოლიუციად, რომელიც შესდგება დაუსრულებლად მცირე ცვლილებათა მომენტებისაგან ანუ ცვალებად მომენტებისაგან. ამიტომ მინიმუმის და მაქსიმუმის კითხვა—რეაქციონური კითხვა, რადგან ამ გვარი კითხვა ერთხელ დასმული—უახლოვესი მინიმუმი და უშორესი მაქსიმუმი—წარმოადგენს შემოფარგვლას თავის თავითვე—მინიმუმიდგან და მაქსიმუმიდგან შემდგარ მინიმუმს—თავის მიზნისას და მაშასადამე, თავის ძალთა ხმარებისას, მაგრამ ერთი საზღვრის შეწყნარება იწვევს მეორე საზღვრის შეწყნარებას და ასე დაუსრულებლად, ბოლოს კი მინიმუმი იმოდენად გვიახლოვდება, რამოდენადაც მაქსიმუმი გვშორდება და პროცესის ამ გვარ დაუსრულებლობაში (в безконечности) მაქსიმუმი იკარგება დაუსრულებლობის წყვდიადში და მინიმუმი თან და თან შემცირებული იჭერს მის ადგილს, ე. ი. შეირთვიან აწმყოის დაუსრულებლობაში (совпадают в безконечности, безпредѣльности настоящаго „момента“), აწმყოის, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, არც „მინიმუმი“ და არც „მაქსიმუმი“.

ეხლა გადავიდეთ და გავარჩიოთ კითხვა „სახელმწიფოსი და პარლამენტარიზმისა“ პირველ პროგრამის მიერ დასმული და მსუბუქად უნიჭოდ გადაწყვეტილი.

პირველი პროგრამა ამბობს (31 გვ.) რომ, „სრული უარყოფა სახელმწიფოსი დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ სახელმწიფო ბურჟუაზიულ ბატონობის იარაღია და რომ ყოველი ლეგალური, ე. ი. სახელმწიფოსაგან ნება დართული და უზრუნველ ყოფილი მოქმედება ასუსტებს შრომის ინტერესებისათვის მებრძოლთა სარევოლიუციო ენერგიას.“ „თუ სახელმწიფო მართლა მხოლოდ კლასიურ ბატონობის იარაღია და თუ მართლა ყოველგვარი ლეგალიზმი სარევოლიუციო ენერგიის შემბოჭავია, უეჭველია, სახელმწიფოს უარყოფა აუცილებელი უნდა იყოს ნამდვილი სოციალისტისთვის, მაგრამ მოვისაზროთ რამდენათ სამართლიანია ასეთი წარმოდგენა სახელმწიფოსი“. ამის შემდგომ პროგრამა ამბობს, რომ „პირიქით მეცნიერული (?) და ისტორიული (?) გამოკვლევანი გვიჩვენებენ, რომ ადამიანის კულტურულ განვითარების პირველ საფეხურზე სახელმწიფოებრივი [1]) ორგანიზაცია სრულებით არ არსებობდა, თუმცა ბატონობა ადამიანთა ერთის ნაწილისა მეორეზე უკვე რეალური ფაქტი იყო. ეკონომიური ბატონობა და ეკონომიური ექსპლოატაცია სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის განვითარების პირველ საფეხურზე, ისტორიის მოწმობით სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლივ არსებობდა: ბატონყმური კავშირი მიწის პატრონისა და მიწის მუშათა შორის, მაგალითად, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ფაქტი იყო.“ და ამის შემდეგ ეს სოციალ-ტერატოლოგიური პროგრამა, მონათლული პირველ პროგრამის პრ. სახელით ამბობს, რომ, „ეს ორიოდე სიტყვა“.... „ცხად ყოფს, რომ თავის თავად სახელმწიფო ეკონომიური ბატონობის იარაღი სრულიადაც არ არის.“ თქვა რა ეს დაუსაბუთებელი მეცნიერების და ისტორიის სახელის ფიცით დასაბუთებული

---

[1]) როგორც ქვევით მოყვანილ სიტყვებიდგან ჩანს „სახელმწიფო“ პირ. პროგ. პრ. მთავრობის აზრით აქვს ნახმარი.

განზრახული ტყუილი, როგორც ბურჟუაზიის ნამდვილ „სტავლენიკმა,“ მაშინვე დაუმატა, რომ იურისტების აზრით, განსაზღვრით, „სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა ძალდატანების მონოპოლია. სახელმწიფოს განვითარება წარმოადგენდა კერძოობითი ძალდატანების შესუსტებას“ და მაშასადამე, იძულების (მონოპოლიას ძალდატანებისა) კონცენტრანციას, დაუმატებთ ჩვენ ჩვენის მხრით. იგივე პროგრამა ამის შემდეგ განაგრძოას, რომ ეს „კულტურული იარაღი“ —სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, იძულებითი ორგანიზაცია—ხელთ იგდო გარყვნილმა დაბადებით ბურჟუაზიამ და გარყვნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო „მშრომელ ხალხს არ შეეფერებოდეს“ და არ გადაიქცეს „კულტურულ იარაღად“ და ბუნებით უბიწო პროლეტარიატის ხელში „ექსპლოატატორების“ ასალაგმავად. ამოდენა ლოგომანიის და გალიმატიის შემდეგ უკმაყოფილო პირვ. პროგ. კიდევ უმატებს გალიმატიას გალიმატიაზე და ლოგომანიას ლოგომანიაზე, განაგრძობს, რომ „ამგვარ დასკვნას (ე. ი. რომ სახელმწიფო არ არის არც პროლეტარული ბრძოლის და არც კულტურის იარაღი. ა. შ.) ცოტაოდენი საფუძველი კიდევ ექმნებოდა, დამტკიცებული რომ იყოს, ვითომც ძალდატანება მხოლოდ ეკონომიური ექსპლოატაციისთვის იყო საჭირო და არა საყოველთავოდ საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის.“ ყველა ბაჯაღლოები როგორც მეცნიერული, ისტორიული და აგრეთვე ლოლიკური, რომელიც აქამდე გადმოალაგა პირ. პროგ. დავიხსოვნოთ კარგათ და ვნახოთ, რა დარჩა კედევ თავის გონებრივ სალაროში „პატივცემულ“ პროგრამას, თურმე, ნუ იტყვით, „კაპიტალიზმის ბატონობის ხანაშიაც კი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ზოგჯერ ისეთ საქმეებს ასრულებს, რომელთაც საერთო კულტურული მნიშვნელობა აქვთ და არა კერძოდ გაბატონებულ კლასთა ინტერესების სამსახური“.

კიდევ: „თანამედროვე სახელმწიფო, ერთის მხრივ კლასთა ბრძოლის ნიადაგია, რომელზედაც ეკონომიურად გაბატონებული კლასი მაგრად სცდილობს ფეხი მოიკიდოს პრივილეგიების დასაცველად, და მეორე მხრივ, იგი კულტურული განვითარების იარაღია (რაღაც სოც.-დემოკრატიის და დიალექტიკის სუნია!).

სახელმწიფო არის ბურჟუაზიული და კლასიური ბატონობის იარაღი და აი რატომ: საზოგადოებას, როგორც ბუნებრივ მოვლენას, აქვს თავის ძირი ბიოლოგიურ ცხოვრებაში, ის ადამიანის გამოგონებული არ არის და არსებობდა კაცის მსგავს არსებათა გამოჩენის უწინ.

ასოციაცია, კავშირი არსებობისათვის საჭირო, არსებობდა და არსებობს არა ორგანიულ სხეულებში ისე, როგორც მათ უმაღლეს განვითარებაში—მცენარეების ცხოვრებაში, რომლის უმაღლეს განვითარება წარმოადგენს ცხოველთა „კავშირს ბრძოლისათვის“, კავშირს, რომლის საშვალებით ცხოველი წარმატებით იბრძვის არსებობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ეს ბრძოლა დახასიათებულია ტანჯვის და სიამოვნების ბგერით და ხმაურობით, მაშინ, როდესაც მისი მოწინავე არსებათა ბრძოლა უხმოა, სიჩუმით არის მოცული როგორც სამარე, მაგრამ ბოლოს ადამიანს, მეტყველ ცხოველს, შეაქვს ამ ბრძოლაში ფრაზა და ეს ფრაზა არის „კავშირი“, ის რასაც ჩვენ დღეს საზოგადოებას ვუძახით ეს თავისუფალი კავშირი თავისუფალ არსებათა—ბუნებრივი შერჩევა—სწარმოებს არსებობისთვის ბრძოლაში სწორედ იმათ სასარგებლოდ, ვინც ბუნებრივად არიან შერჩეულნი, ვინც წარმოადგენენ ბრძოლისთვის თავისუფალი კავშირის თავისუფალ წევრებს ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ გვარად, ისტორია მართლა ამტკიცებს, რომ თვით არსებობისთვის ბრძოლაში თავი გაიტანეს ბრძოლის კავშირებმა, საზოგადოებრივმა ფორმებმა ბრძოლისა, და გადაგვარ-

ლნენ და აღიგავენ ბრძოლის ასპარეზიდგან ისეთი არსებანი, რომლებიც გაყინდენ ბრძოლის უდაბლეს საშვალებაზე (იძულებაზე), და საზოგადოებრივი ფორმის ცხოვრების წინააღმდეგი ცხოველები. ბრძოლისთვის თავისუფალ კავშირების—ბუნებრივ შერჩევის—შემდეგ განვითარებას ადამიანებმა ამას გარედ შეიტანეს იძულებითი ორგანიზაციები ბრძოლისათვის—ხელოვნური შერჩევა რომელმაც შემდეგ განვითარებაში უფრო და უფრო გამოიჩინა ტენდენცია ბრძოლისთვის თავისუფალ კავშირთა წინააღმდეგ, არსებობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საზოგადოებრივ ფორმის ბრძოლის წინააღმდეგ. თავისუფალ, ბუნებრივ კავშირთა, გვართა (племена) შეტაკებამ საერთო ასპარეზზე, მათმა გადასახლებამ გამოიწვია მათ შორის ბრძოლა, რომელსაც აუცილებლად ერთ ერთი მებრძოლ კავშირთა დამარცხება უნდა მოყოლოდა. თვით ბრძოლის მოთხოვნილებამ უფრო გაბედული და გულადი წამოაყენა წინ და განსაკუთრებით უფრო მოხერხებული, რომელიც ამგვარად ხდებოდა დროებით მეოაურად მებრძოლ კავშირისა. მეორე მხრით დამარცხებას, როგორც ბრძოლის შედეგს მოჰყვებოდა ან სრული ან ნაწილობითი განადგურება დამარცხებულისა და სრული მისი გაცარცვა ან დამონება.

ბუნებრივმა შერჩევამ გამოყო თავის წრიდან ზოგი ინდივიდუმები, ზოგი გონებით, ზოგი თვალთმაქცობით, ზოგი ფიზიკური თვისებებით: ქურუმები, შამანები, შემლოცველები, როგორც განსაკუთრებული ჭკუის გაიძვერაობის მექონნი, ან გაიძვერაობის, ან ცბიერობის საშვალებით იჭერენ განსაკუთრებულ ადგილს თავისიანთა შორის. ისინი ან დაახლოვებით მართლად ხსნიდენ ბუნებრივ მოვლენებს ან მოაჩვენებდენ, რომ შეეძლოთ მოვლენათა ახსნა. პირველად მათი მნიშვნელობა ბუნებრივი იყო, არა ნაძალადევი, მაგრამ ისე არაფერი რყვნის ადამიანს, როგორც გამარჯვება (успѣх) ისინი არწმუნებდენ თავის გვარს (племя), კლანს, რომ მათ შეეძ-

ლოთ წვიმის მოყვანა ან ბუნების მრისხანე მოვლენის გამო წვევა და აშორება, ან ღვთაების რისხვის გამოწვევა ან აცდენა. ამიტომ მათი მფარველობა შეიქნა ფასიანი და მაშასადამე, თვით ისინი გახდნენ ფასიანი, შეიქნენ ფასიანი, მიეცათ მნიშვნელობა, როგორც მფარველთ, მაგრამ ამის შემდეგ, როგორც მფარველნი ცდილობდენ მიეთვისებიათ ყველაფერი უკეთესი თავის თავისთვის, შეერჩინათ მფარველობის მონოპოლია, მიუხედავად და წინააღმდეგ დამფასებელთა.

ამ გვარადვე იქცეოდნენ მეომრებიც, რომლებიც ბუნებრივმა შერჩევამ წინ წამოაყენა. ესენიც ცდილობდენ დაესაკუთრებიათ სამუდამოდ ის ფასი, მნიშვნელობა, რომელიც მათ ბუნებრივად ეძლეოდათ და ამგვარად ბუნებრივ მათ მნიშვნელობას აქცევდენ და აძლევდენ უფრო და უფრო ხელოვნურ იძულებითი ხასიათს, მნიშვნელობას. შემდეგ განვითარების საფეხურზე ბუნებრივი მეთაურები (вожди) და ქურუმები ერთი გვარისა ანუ ერთი სოფლისა გადაიქცეოდენ ხელოვნურ მეთაურებად და ქურუმებათ ჯერ ერთი გვარისა და შემდგომ რამოდენიმე გვარისა, ჯერ ერთი სოფლისა და შემდგომ რამოდენიმე სოფლისა; ამ გვარად, სწარმოებდა კონცენტრაცია მათი მნიშვნელობისა, უფლობისა (власти). ამ გვარ კონცენტრაციას თან მოჰყვა კავშირი ქურუმთა, შამანთა და მებრძოლთა. ყოველ გვარს, ყოველ კლანს, ამასთანავე ჰქონდა თავისი ზნე-ჩვეულება, რომელიც წინაპრებიდან მომდინარეობდა და რომლითაც ხელმძღვანელობდენ ანალოგიურ შემთხვევათა გადასაწყვეტათ, ამიტომ ისინი ვინც კარგათ იცოდა ეს ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები გახდნენ ყურადღების ღირსნი და ბოლოს მნიშვნელოვანი, როგორც ჩვეულების დამცველნი, ჩვეულების, რომელიც ბუნებრივი შერჩევაა წინაპართა და ჩამომავალთა მოქმედების შრომის, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ეს დამცველნი გადმოცემათა და ჩვეულებათა ეცადნენ გადაექციათ ეს ბუნებრივი შერჩევა კა-

ნონად—ხელოვნურ, იძულებითი შერჩევად—მოქმედებათა. ამ რიგათ მსაჯულები თავისი კანონებით ისე, როგორც ქურუმები და მეომრები ითვისებდენ ხელოვნურად „კანონმდებლის“ უფლებას და მათი უფლობის კონცენტრაცია სწარ-ოებდა ქურუმთა და წინამძღოლთა უფლობის კონცენტრაციასთან ერთად. თვითეული მათგანი წარმოადგენს ჯერ სუსტად განვითარებულ მთავრობას და მათი კავშირი კი მთავრობის რთულ განვითარებას. მთავრობის კონცენტრაცია, როგორც ხელოვნური—იძულებითი შერჩევა—წარმოადგენს ექსპლოატაციის კონცენტრაციას, რადგან ყოველი იძულებითი—ხელრვნური შერჩევა, ორგანიზაცია სწარმოებს მაიძულებელთა, მმართველთა სასარგებლოდ და იძულებულთა მართულთა—ხელოვნურად შერჩეულთა საზიანოდ. ყველა ამის მიუხედავად, ამ გვარი თუმცაღა ანტისაზოგადოებრივი, ანტიბუნებრივი წესი, ხელოვნური კავშირის ბრძოლისთვის მთავრობაა, მაგრამ ჯერ ის კიდევ სახელმწიფო არ არის. შემდგომ თავის განვითარებაში ეს კრნცენტრაცია მთავრობისა უფრო და უფრო ვითარდება. ეხლა თუ განვიხილავთ წმინდათ რეწვის (промыселъ) მხრივ, რეწვის, ხელობის რომლის საშვალებითაც უომრად, უბრძოლველად თავის მსგავსთა წინააღმდეგ ადამიანი აწარმოებდა თავის საზრდოს, ვნახავთ, რომ იმან დაიწყო ნადირობით მოპოვება თავის „არსებობის პურისა“, მაგრამ შემდგომ ხელი მიჰყო ცხოველთა მოშინაურებას—ხელოვნურად შერჩევას, მათ გაშენებას და მოვლას, რათა ამით ისინი გაეხადა თავის მიზნების დასაკმაყოფილებლად და ამ რიგათ, მონადირე გვარები გადაიქცნენ მეჯოგეებათ. ამ ახალმა საშვალებამ არსებობისთვის ბრძოლაში კიდევ უფრო გაამრავლა ადამიანების მოდგმა; ამ გამრავლებამ კი დაანახვა ახალი წყაროების აღმოჩენის საჭიროება. ცხოველების მოშინაურებამ გამოიწვია ცხოველებისთვის და მათთვის საჭირო მცენარეების მოშინაურება

გამრავლება და ყველა ამას ერთად მოჰყვა მიწის დამუშავების საჭიროება. ამ რიგად მონადირე და მებრძოლი გვარები და ჯგუფები ადამიანებისა გადაიქცნენ ზოგი მეჯოგეებად, ზოგი მიწის მუშად, ზოგი ჯერ მონადირე, შემდგომ მეჯოგეთ გადაიქცა და ბოლოს მიწის მუშად, როგორც მეჯოგეობა ცხოველების მოშინაურებით და დამონავებით არის დახასიათებული, ისე მიწის მუშაობა მონობით. რა კი ადამიანმა ცხოველის მოშინაურება და გამრავლება არჩია ხელ და ხელ მის შეჭმას, ცხადია, რომ ამ გვარადვე ხელ საყრელად დაინახა დამონება მტრის, რომელსაც ის, როგორც ნამდვილი მხეცი, ისე სჭამდა, თუ ბრძოლაში მოჰკლავდა ან ტყვეთ ჩაუვარდებოდა. როდესაც დაინახა, რომ ცხოველი ბევრს ისეთ საქმეს აკეთებდა, როგორც თვით, როდესაც დაინახა, რომ მას ცხოველი ემსახურებოდა, როდესაც დაინახა ცხოველების ექსპლოატაციის სარგებლობა, მაშინ იმასაც მიხვდა, რომ დამარცხებულ და დატყვევებული ადამიანის ექსპლოატაცია სულ გაანთავისუფლებდა თითქმის მუშაობისაგან. ამ რიგად დამარცხებული მტერი იძულებული შეიქნა, ემუშავნა თავის დამმარცხებელის სასარგებლოდ—დამარცხებული ადამიანები იმ გვარადვე ხელოვნურად იძულებით იყვნენ შერჩეულნი, როგორც მცენარეები და პირუტყვები. მიწათ მოქმედებას გვართა და ჯგუფთა მოყვა სოფლების გაშენება განსაზღვრულ მიწაზე, რომელზედაც თვითეული გვარი დაემყარა და რომელსაც საერთოდ იმუშავებდენ.

შემდეგ თავის განვითარებაში სოფლები უკავშირდებიან ერთი მეორეს და ამ კავშირის განვითარებასთან ერთად ვითარდება მათში „ნაციონალური“ ერთობის შეგნება და ბოლოს ასობით და ორასობით სოფლები შეჰკრავენ ერთმანეთს შორის კავშირს და პირობას, რომლითაც ისინი იმ მიწას, რომელიც მათ უჭირავთ სთვლიან საერთო საკუთრებად, პირდებიან ურთიერთს მშვიდობის დაცვას შიგნით და საერთოდ

მოქმედებას საერთო მტრის წინაშე. ამ რიგათ მთავრობის კონცენტრაციას ემატება მიწის, მომავალი ტერიტორიის კონცენტრაცია.

ამასთან ერთად გაღმერთებული წინაპრების ადგილს იჭერს ადგილობრივი ღმერთები ხეობათა, მინდვრებისა, წყლებისა, ტბებისა, ტყეებისა და სხვა და სხვა; ბოლოს ადგილობრივი ღმერთები გადაიქცევიან საერთო „ნაციონალურ“ ღმერთებათ და ამ რიგად სწარმოებს სარწმუნოების, ზეციერი მთავრობის და მისი მიწაზე წარმომადგენლების უფლობის, მართველობის კონცენტრაცია. რამოდენად უფრო და უფრო ვრცელდება საზღვრები და სივრცე შეკავშირებულ სოფლებისა, იმოდენად უფრო-და-უფრო ვრცელდება და მაგრდება მნიშვნელობა მხედარ-მთავრისა, რომლის მოვალეობას შეადგენს კავშირის დაცვა დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან. ეს მხედართ-მთავარი იგროვებს თავის გარშემო ომის მოყვარულთ და თან და თან მოიპოვებს უფლებას ომს გადაჩვეულ თანამემამულეებზე და ბოლოს ის მიითვისებს უფლებას დასაჯოს ისეთი წევრი კავშირისა, ისეთი სოფელი, ან ისეთი წევრი სოფლისა, რომელმაც დაარღვია ჩვეულება—ბუნებრივად შერჩეული საქციელი, რომელსაც არჩევს საერთო კავშირის ისეთი ოჯახის წევრი, რომელმაც ყველაზე წმინდათ დაიცო ტრადაციები, ჩვეულებები და რომელიც საერთო კავშირის უკეთეს „კანონმდებლად“ ითვლება. ამ გვარად კავშირდებიან ერთად მსაჯული და მხედართ-მთავარი და მათ კავშირისაგან, რომელიც მეფური უფლობის ჩანასახს წარმოადგენს, ჩნდება თავადთა უფლობა. ორივე თანამდებობა, როგორც კანონმდებლისა ისე მხედართ-მთავრისა, ბოლოს შეერთდებიან ერთ პირის ხელში; ხშირია აგრეთვე შეერთება ერთი პირის ხელში, როგორც სასულიერო ისე საერო უფლობისა, მაგრამ კავშირი სასულიერო მთავრობისა საერო მთავრობასთან მუდმივია და ვითარდება მასთან ერთად. ამ რიგად ჩნდება ფეო-

ლები, რომლებიც ისაკუთრებენ გაერთიანებული კავშირების საერთო სამფლობელო (общинныя земли) ტერიტორიას, რომლის გამო ბრძოლა ფეოდალებსა და გლეხებს შორის თავისი გამწვავებული ხასიათით ამტკიცებს ფეოდალთა განუწყვეტელ მეცადინეობას ტერიტორიის დასაკუთრებაში. შემდეგ განვითარებას სოციალური ბრძოლისას, რომელიც თავადების და აზნაურების შორის სწარმოებდა მოჰყვა გამძლავრება რამოდენიმე მათგანისა და ბოლოს ერთი მათგანისა და ამ რიგად დაარსდა სახელმწიფო [1]). რაც შეეხება ნაციონალიზმის განვითარებას მთავრობასთან და სახელმწიფოსთან ერთად ჩვენ ამას ცოტა ქვევით გამოვთქვამთ.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა სრულიად ანტისაზოგადოებრივი ორგანიზაციაა და წარმოადგენს განვითარებას, კონცენტრაციას უფლობათა (власти).

ჩვენ ვხედავთ ამ გვარად, რომ სწარმოებს არა თუ განვითარება სპეციფიკურ მთავრობათა, არამედ მათი „კავშირი“ და ბოლოს მათი ცენტრალიზაცია.

ერთი მხრით ვითარდება ხელოვნური შერჩევა—იძულებითი ორგანიზაცია, მეორე მხრით ბუნებრივი შერჩევა—თავისუფალი კავშირები და მათი ფედერაცია; ეს ორი ჯიშის ორგანიზაციები ერთი მეორეს ებრძვიან და მათი ბრძოლა წარმოშობს ყველა იმ ბრძოლას, რომელიც კი მოიპოვება დღევანდელ სახელმწიფოში: ბრძოლა კერძო ადამიანთა შორის, ბრძოლა გვართა შორის, ბრძოლა ოჯახობისა, ბრძოლა ოჯახთა, სოფელთა და ქალაქებთა კავშირების—ბრძოლა ნაციონალური და უკანასკნელად უფრო უდიდეს და უვრცელეს კავშირებთა შორის, კავშირებთა, რომელებსაც „კლასსებს“ ეძახიან და რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, ორ წინააღმდეგ

---

[1]) ჩვენ ძალა უნებურად იძულებული ვართ ძლიერ მოკლედ და სხემატიურად გამოვთქვამთ ჩვენი აზრი ადგილის სიმცირის გამო. ავტ.

საზოგადოებას წარმოადგენს—საზოგადოებას მაიძულებელთა და საზოგადოებას იძულებულთა—კავშირს, საზოგადოებას პირდაპირ მწარმოებლებისას და კავშირს საზოგადოებას იმათსას, ვინც აიძულებენ აწარმოვონ, პარაზიტებისას, არა პირდაპირ მწარმოებელთა.

ერთი მხრით სწარმოებს სასულიერო, სამხედრო, საკანონმდებლო, ტერიტორიალური და ტერიტორიაზე დაფუძნებულ გვარების განვითარება და მათი კონცენტრაცია, რასაც მოყვება ჯერ კავშირი ამ მთავრობათა და შემდგომ მათი ცენტრალიზაცია ორ უმთავრეს მთავრობათა ხელში: სასულიერო და საერო; სასულიერო მთავრობა რელიგიაა, იძულებითი რწმენით მაცხოვნებელი და მისი უმაღლესი განვითარება კი ეკლესიაა, ეკლესია, რომლის სათავეში მოქცეულია უმაღლესი სულიერი მწყემსი, უმაღლესი ქურუმი მისი ეკლესიის შემადგენელ ყველა სულებისა.

საერო მთავრობა საერო რელიგიაა, ფიზიკური იძულებით მაცხოვნებელი და მაცხოვრებელი, მისი უმაღლესი განვითარება კი სოფლები და ციხე-ქალაქები და სამთავროებია, სამთავროები, რომლების სხეულების და ქონების უმაღლესი მწყემსი მეფე, ხელმწიფეა.

ამ გვარ დუალიზმით და ორთა კავშირით არის დახასიათებული ყოველი ფეოდალური წესწყობილება განსაკუთრებით თავის უკანასკნელ საფეხურზე.

შემდგომ თავის განვითარებაში კონცენტრაცია დამთავრდა სრული ცენტრალიზაციით ყოველ გვარ უფლობათა, და უზენაესი განვითარება უფლობისა (власти) გამოიხატება თანამედროვე სახელმწიფოში, უფლობათა ორთა კავშირის ადგილი დაიჭირა ერთად ერთმა უზენაესმა მთავრობამ, თანამედროვე ერთად ერთმა სახელმწიფომ. ბურჟუაზიამ გადააგდო ორი ბატონი ორი ხელმწიფე და თვით გახდა ერთად ერთი მეუფე და ხელმწნფე ეხლა მის მიერ დამონებულ ოდესღაც თავისუფალ საზოგადოებისა.

ამ გვარად ფეოდალური ორთა კავშირის სახელმწიფო გადაიქცა ბურჟუაზიის ერთ განუყოფელ სახელმწიფოთ.

სახელმწიფო უმაღლესი განვითარებაა იძულებითი ორგანიზაციისა და როგორც იძულებითი შერჩევა, ორგანიზაცია, ის სასარგებლოა თავის ემბრიოლოგიურ არსებობიდგან მოკიდებული თავის დღევანდელ განვითარებამდის მხოლოდ იმათთვის, ვინც მისი საშვალებით აიძულებდა და ამ იძულების შესაფერად საზარალოა იმათთვის, ვინც იძულებული იყვნენ და არიან.

ამ გვარია სახელმწიფოის როლი ისტორიის წარსულში და ამ გვარია მისი როლი აწმყოში. ვერც ერთი მეცნიერი ვერ გვიჩვენებს ვერც ერთ ფაქტს, რომელიც სახელმწიფოის სარგებლობას ამტკიცებდეს, სარგებლობას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და არა ჯოგის ცხოვრებისათვის, ჯოგის, რომელსაც მწყემსი ჰყავს და რომელიც უსათუოდ მწყემსის სასარგებლოდ სცხოვრობს.

მთავრობა, როგორც ურთიერთობა, უსათუოთ ყველა შემთხვევაში გულისხმობს მართველს და მართულს, მეთაურს და მორჩილს, ხელმწიფობას და ხელქვეითობას, ამ მცნებებს გარეშე არ არის მთავრობა.

მართვა მართულისა ნიშნავს იმას, რომ მართველის სურვილი დავალებულია ასასრულებლად მართულზე. მეთაურის სურვილის მორჩილია სხვისი სურვილები, მართველის ნება უძრავია, სავალდებულოა—კანონია—მართულისათვის.

მართველობა გამოიხატება კანონით, რომელიც ნიშნობლივი, სიტყვიერი გამოთქმაა მართველი, უძრავი, მეტაფიზიკური ნების, და ამიტომ იმნაირადვე უძრავი, უცვლელი მეტაფიზიკური ხასიათისაა, როგორც ის ნება, რომელსაც ის გამოხატავს.

მაშასადამე, ყველა თქმულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო არის ისეთი მეტაფიზიკური ორ-

განიზაცია, რომლის საშვალებითაც წეს-რიგი ადამიანთა შორის დამყარებულია და დამოკიდებულია უზენაეს უფლობისაგან; სახელმწიფო, რომლის განყენებული, მეტაფიზიკური სურვილი თავის თავის გავლენის სფერაში უძრავად ცნობილია, სავალდებულოა, და ეს უძრავი სურვილი იმოდენად უფრო მძლავრია რამოდენადაც ამ სურვილის გავლენის სფერა, წრე—ტერიტორიის სივრცე და მორჩილი სურვილების ქვეშევრდომებთა რიცხვი და მათი ურთიერთობის კონტროლი უფრო და უფრო ფართოვდება.

მაშასადამე, სახელმწიფო არის პირველეოფილ მეტაფიზიკურ ორგანიზაციის განვითარება სპეციფიკურ მთავრობათა, იძულებათა, კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მისი მოქმედების, გავლენის სფერის—ტერიტორიის სივრცის, ქვეშევრდომთა რიცხვის და მოქმედების კონტროლის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია.

სახელმწიფო მთავრობის უმაღლესი განვითარება და მაშასადამე, იძულებითი, დამმორჩილებელი ორგანიზაციის უდიდესი და უმწვავესი მომენტია სიდრმეში და სიგანეში.

ამიტომ უარყოფა სახელმწიფოსი—უარყოფაა მთავრობის, მთავრობითი პრინციპის, იძულებითი ორგანიზაციის. მაშასადამე, პირველ პროგრამის აზრი იმის შესახებ, რომ „სახელმწიფოებრივი ორგანიზიცია“, როგორც მთავრობითი, როგორც იძულებითი ორგანიზაცია, „სრულებით არ არსებობდა, თუმცა ბატონობა ადამიანთა ერთი ნაწილისა მეორეზე უკვე რეალური ფაქტი იყო“—სიცრუვეა! თუ „ბატონობა ადამიანთა ერთი ნაწილისა მეორეზე უკვე რეალური ფაქტი იყო“, მაშასადამე იძულებითი ორგანიზაცია ადამიანებისა არსებობდა, მაშასადამე, ის, როგორც იძულებითი, საზოგადო იყო იძულებულთათვის.

პირვ. პროგ. „აზრით“ „განვითარების პირველ საფეხურზე ისტორიის მოწმობით (რომელი ისტორიის?) სახელმწი-

ფოსაგან[1]) დამოუკიდებელი არსებობდა: ბატონყმურიკ ავშირი მიწის პატრონისა და მიწის მუშათა შორის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ფაქტი იყო". „მიწის პატრონი ხშირად თვითონ სთხზავდა კანონებს". თუ მიწის პატრონი თვით თხზავდა კანონებს, მაშინ ის კიდეც ავალებდა მიწის მუშას ამ კანონებს და თუ ავალებდა, მაშასადამე ამ დავალებულ კანონის აუსრულებლობის ნებას არ აძლევდა და ამით აიძულებდა კიდეც მიწის მუშას; მაშასადამე, მიწის პატრონი მიწის მუშების მართველი, მთავრობა და ხელმწიფე იყო, როგორც მაიძულებელი ორგანიზატორი, სამთავრო პაწია ემბრიონი იყო სახელმწიფოისა ის ემბრიონალური სახელმწიფო იყო, სახელმწიფო, რომელიც შედიოდა ნაწილად რთულ უმთავრეს სახელმწიფოში, როგორც მასზე უმაღლეს მაიძულებელ ორგანიზაციაში, ის ავტონომიური იძულება იყო თავის შინაურ სფერაში და მათი კავშირი წარმოადგენდა საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც ამგვარად ავტონომიურ იძულებათა ორგანიზაციების კავშირი იყო.

მაშასადამე, ტყუილია, რომ „ეს ორიოდე სიტყვა... ცხად ყოფს, რომ თავის თავად სახელმწიფო ეკონომიური ბატონობის იარაღი სრულიად არ არისო", ის კი არა მთელი ზღვა, მთელი წარღვნა სიტყვებისა და არა ორიოდე სიტყვა, არ კმარა იძულებითი ორგანიზაციის-სახელმწიფოისგასამართლებლად კაცობრიობის ისტორიაში და მთავრობის კულტურულ ხასიათის ცხად საყოფელად, წინააღმდეგი, რომელიც შესდგება მთავრობის ანტიკულტურულ მოღვაწეობაში, ყოველ შემთხვევაში, ცხადიცაა და თვალში მცემი იმ ორიოდე სიტყვით, რომ ყოველი იძულებითი, მთავრობითი, —ხელოვნური—შერჩევა და ორგანიზაცია სწარმოებს შემრჩეველთა, მაიძულებელთა, მართველთა სასარგებლოთ და შერჩეულთა იძულებულთა და მართულთა საზიანოთ. ნუ თუ

---

[1]) აქ სახელმფიფო გულისხმებულია რობორც იძულებითი ორგანიზაცია, რაც ქვევით მოყვანილ პირ. პროგ. სიტყვებიდან ჩანს.

დამონება შეიძლება მონათა სასარგებლოთ და დამმონებელთა საზიანოთ? ნუ თუ ბატონყმობა შეიძლება ყმების სასარგებლოთ და მებატონის საზიანოთ? ნუ თუ დაქირავებული მონობა შეიძლება დაქირავებულთა სასარგებლოთ და დამქირავებელთა საზიანოთ? ნუ თუ მართვა მართულთა სასარგებლოა ‌ᲓᲐ მართველთა საზიანო? მაშინ მართულის ‌ᲓᲐ მართველის ურთიერთობა ნებაყოფლობითი იქნებოდა და თუ ნებაყოფლობითი იქნებოდა, მაშინ კანონიც მეტი იქნებოდა და დავალებაც. და თუ ეს უკანასკნელები მეტი იქნებოდენ, მაშინ ხომ იძულებაც მეტი იქნებოდა, მაშასადამე, მთავრობა და სახელმწიფო, როგორც იძულებითი ორგანიზაცია თავის თავი აღარ იქნებოდა, ის აღარ იქნებობა.

მაშასადამე, მთავრობა, როგორც იძულებითი ორგანიზაცია, არის თავის თავად იარაღი ექსპლოატაციისა. რათ ამბობს პირვ. პროგრამა, რომ მთავრობა ეკონომიური ბატონობის იარაღი არ არისო, თუ ამით უნდა თქვას, რომ ყოველგვარი სხვა ექსპლოატაციის იარაღიც არისო, რაც მართალია, მაშინ ასეთი დაცვა ვერაფერი დაცვაა მთავრობისა.

თუ ს.-ფ. პროგრამა ამბობს, რომ სახელმწიფო, როგორც უკვე გამოვარკვიეთ, არის უმაღლესი ფორმა ექსპლოატაციისა და დაბალ საფეხურზე ისტორიისა დაბალი ექსპლოატაციის ორგანიზაცია იყოვო, მით უარესი სახელმწიფოს ფიზიონომიისთვის, რომელიც უმაღლეს ექსპლოატაციას და უმაღლეს ანტისაზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს.

სასაცილოა როდესაც პროგრამა თავის თავის დასაკლავ დანას თვით ჩხრეკავს იურიდიულ პატივში, როდესაც ის სახელმწიფოის დეფინიციას, განსაზღვრას ეძებს, მაგრამ რადგან ეს დანა ცოტა დაჟანგებულია და წვალებით მოუღებს უბედურ პროგრამას ბოლოს, ვეცთებით უფრო კარგი და მახვილი ქირურგიული ინსტრუმენტი ვიხმაროთ, რათა მსწრაფ-

ლად და უტანჯველად მოუღოთ ბოლო პროგრამას"; საზიზღარია ყელში ხრიალით სიკვდილი და მით უმეტეს გონების ყელში.

პირველი პროგრამა ამბობს, რომ ადვოკატების განსაზღვრით „სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება ძალდატანების საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და ძალდატანების მონოპოლია." სახელმწიფოს განვითარება წარმოადგენდა კერძოობითი ძალდატანების შესუსტებას. მაშასადამე, პირვ. პროგ. თავის პირით ამბობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ არის სახელმწიფო, თუ ძალდატანებითია, „ძალდატანება მისი დამახასიათებელი თვისებაა". მაგრამ სახელმწიფო შეუძლებელია ძალდატანება იყოს იმათთვის, ვის ინტერესებსაც ის აძალებს, მაშასადამე, ის ვისიმე ინტერესებს ვისმე აძალებს და ის, ვისიც ინტერესები ნაიძულევია მისგან, დამორჩილებულია მის მიერ იმათთვის, ვის ინტერესებსაც ის იცავს. პროგრამის აზრით და ჩვენი აზრითაც სახელმწიფო „ძალდატანების მონოპოლია" არის, ე. ი. იძულების, მთავრობის კონცენტრაცია, უმაღლესი ფორმა ექსპლოატაციის და თუ პროგრამის სიტყვით სახელმწიფო „წარმოადგენდა კერძოობით ძალდატანების შესუსტებას, ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციფიკური ძალდატანებითი ორგანიზაციები, მთავრობანი, როგორც სუსტნი, გაერთიანდენ და გადაიქცენ ძალადობის მონოპოლიად, ე. ი. ექსპლოატაციის მონოპოლიად, რომელიც გულისხმობს კერძო ექსპლოატაციათა უმაღლეს სახელმწიფოებრივ განვითარებას, კონცენტრაციას.

იმავე პროგრამამ, რაღაი ვერ დაამტკიცა, რომ იძულებითი ორგანიზაცია—მთავრობა და მისი უმაღლესი განვითარება—სახელმწიფო—სასარგებლო იყო იძულებულთათვის და საზოგადოებრივ განვითარებისათვის, ამბობს, რომ ეს „კულტურული იარაღი", ე. ი. იძულება, სახელმწიფო, ხელთ იგდო ბურჟუაზიამ და გარყვნა, რადგან ბურჟუაზია დაბადე-

ბით გარყვნილია და როდესაც პროლეტარიატი, რომელიც დაბადებით სოციალისტია და დარჩება სოციალისტი, გადააქცევს მას, სახელმწიფოს, ამ როსკიპს პროგრესისას, პროგრესის ქალწულად. თუ სახელმწიფო ემსახურებოდა გაბატონებულთ, ის ამავე დროს ემსახურებოდა და ემსახურება საერთო საქმესო და ისიც „საერთო კულტურულსო“ (33 გვ.). სიტყვები, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ და რომ ეხლა ჩვენ მივაწერეთ პირვ. პროგ. სავსებით ამტკიცებს ბურჟუაზიულ და სოციალდევმოკრატიულ მისწრაფებას პროგრამისას, მაგრამ საქმე ამაში არ არის. გაბატონებულ და დამორჩილებულ, მართველ და მართულთა, მონათ მფლობელთა და მონათა, მებატონესა და ყმისა, დამჭირავებელ ბურჟუაზიულ ბატონსა და დაქირავებულ პროლეტარ მონას შორის არასოდეს საერთო საქმე გარდა ბრძოლისა არ ყოფილა და თუ ბრძოლა, რომელსაც მიუცილებლად ერთის გამარჯვება და მეორეს დამარცხება უნდა მოჰყვეს, და მაშასადამე, თუ იძულება და უღელი, რომელიც ამიტომ დამარცხებულის კისერს უნდა დააწვეს, თუ ეს უღელი, რომლის საშვალებითაც დამარცხებულ და დამონებულთა კისერმა ათრიოს მისი დამმარცხებელი, ბატონები კულტურული იარაღია საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოებისა, მაშინ ან ქვეყნიერობა სულ მთელი თავისი სულიერი და არა სულიერი არსებით გარყვნილი ყოფილა და ან მისი თაყვანისმცემლები წარმოადგენენ უკანასკნელ ეკზემპლიარს იმ უხიად და უმსგავსო მახინჯ ოჯახობისას, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში თამაშობდა ყოვლად უმსგავსო პარაზიტულ და რეაქციონურ როლს. ნუ თუ შესაძლებელია კულტურა და იძულება? ნუ თუ?! **Можно до слѣпоты любоваться такой кнуто-ногаечной культурой!**

ამას გარედ თვით უღრმეს და უმეცნიერეს მეცნიერებას არ ძალუძს იწინასწარმეტყველოს ფორმები მომავალი ცხოვ-

რებისა და უმეტესად სოციალურისა. მეცნიერებას შეუძლია მხოლოდ ცხადჰყოს უარყოფითი და დადებითი მხარეები, პირობები, რომლებიც ნათლად გამოჩნდებიან წარსულ და არსებულ მოვლენების, წარსულ და თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ულმობელ კრიტიკის საშვალებით.

ამ გვარად სოციალური კრიტიკა მივიდა კერძო საკუთრების და იძულებითი ორგანიზაციის უარყოფამდის და საზოგადოებრივ საკუთრების და თავისუფალ კავშირების, სინდიკალურ ორგანიზაციის, ანარქიულ ფედერაციის და ორგანიზაციის დადგინებამდის, რადგან ეს ორი უკანასკნელი ტენდენციები ცნობილი არიან დღეს, როგორც განუყრელი პროგრესისაგან წარსულში და აწმყოში.

ამ რიგად, არც წარსულში, არც აწმყოში და არც მომავალში—საზოგადოებრივ ცხოვრების წარმოებაში ისინი, ვინც ემხრობიან სოციალისტურ მწარმოებელთა ფედერაციას, ე. ი. საზოგადოებრივ წარმოების თავისუფალ კავშირებს და ამ კავშირთა თავისუფალ კავშირს—სოციალისტი ფედერალისტები, ანუ რაც იგივეა ანარქისტები—უარყოფენ სახელმწიფოს, როგორც გაბატონებულ, მაიძულებელ კლასის მაიძულებელ იარაღს, რადგან ექსპლოატატორებსა და გაყვლეფილთა, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის საერთოა მხოლოდ ბრძოლის უფსკრული, რომელიც უნდა აივსოს მთელი გაბატონებულთა გვამებით და მათი ბატონობის საშვალებით: მხედრობის, პოლიციის კანონის და კანონმდებლებთა მოსპობით უნდა დამთავრდეს.

ეხლა ვნახოთ რა იმედებს იძლევა არა მეცნიერულად და ისტორიულად, არამედ პირველი პროგრამის სიტყვით მისგან თაყვანცემული სახელმწიფო მომავალში. სახელმწიფო და ყოველი იძულებითი ორგანიზაცია, თუმცაღა ბატონებმა და ექსპლოატატორებმა „გადააქციეს თავის კლასიურ ბატონობის იარაღად“, ე. ი. თუმცაღა მთავრობა და სახელმწიფო

ისტორიის წარსულში და აწმყოში კლასიური ბატონობის იარაღი იყო, მაგრამ ეს, პირვ. პროგ. სიტყვით, იმას არ ნიშნავს, რომ „მშრომელ ხალხს არ შეეფერებოდეს იგივე ძალა სწორედ ექსპლოატატორების ასალაგმავად გამოიყენოს“. გამოდის, რომ სახელმწიფო ექსპლოატატორების ასალაგმავად პროლეტარიატს გამოადგება, მაგრამ მაშინ სახელმწიფო პროლეტარიატის ხელში უნდა იყოს, რომ მან მითი სარგებლობა შესძლოს, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროლეტარიატი გამარჯვებულია და ამასთანავე ბატონობის იარაღის მოსპობის მაგიერ ხელთ უგდია ეს იარაღი და ხმარობს თავის უწინდელ ბატონობის ასალაგმავად, ბატონების ალაგმვა კი გულისხმობს მათ არსებობას და მათი არსებობა კი გულისხმობს არა მოსპობას მათისას, არამედ მათ არსებობას იმ რეჟიმში, რომელსაც გამარჯვებული პროლეტარიატი ამყარებს. ამას გარედ, თუ ექსპლოატატორები ალაგმული არიან და არა მოსპობილი, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი არსებობის პირობები არ არიან მოსპობილი; უნდა მიუმატოთ ამას ისიც, რომ პროლეტარიატი, მაშინ თავს ამოჰყოფს ამლაგმავის როლში, რასაკვირველია, სახელმწიფოს, იძულების საშვალებით, ესე იგი ის ისე გადასწყვეტს სოციალურ კითხვას, როგორც ბატონი, როგორც სახელმწიფო, რომელიც სოციალური კლასების ბრძოლის მიზეზის მოსპობის მაგიერ, ეცდება მოსპოს ეს ბრძოლა—შედეგი, ეს ისეთივე მოძალე ექიმბაში იქმნება, როგორც მისი მოწინავე ბატონი. სოციალიზმი კი ყოველ ალაგმვის საჭიროების წინააღმდეგია, არა წყლის მნაყველია, როგორც ეგრედ წოდებული „სოციალისტ-ფედერალისტები“ ან სოც.—დემოკრატები.

პირველი პროგრამა განაგრძობს ლოლიკურ სასწაულთა მოხდენას დაიმედებული მორწმუნეთა წინაშე პასუხის უგებლობაში და ამბობს, რომ ტყუილია, „ვითომც ძალადატანება მხოლოდ ეკონომიურ ექსპლოატაციისთვის იყო საჭირო და არა საუოვეულთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის“.

პროგრამას ვერ მოუხერხებია თავის თავი კრიტიკულის თვალით განიხილოს და დაინახოს თავისი „მშვენიერება“ თავისივე მშვენიერი თვალებით, თორემ ის მოკვდებოდა თავის „მშვენიერების“ თავის თვალით ხილვით, როგორც მეფიური ღმერთა, რომელიც მოკვდა როდესაც თავისი თავის მშვენიერება (ნამდვილი და არა ფედერალისტური) დაინახა მდინარეში პირველად.

ისეთ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს გაბატონებულ კლასის საზოგადოების და დაჩაგრულ კლასის საზოგადოების შორის, ვიკითხავთ კიდევ, რა საყოველთაობა და საზოგადოებრივობა უნდა არსებობდეს? არავითარი საზოგადოებრივობა, არავითარი კავშირი და ერთად ერთი საყოველთაობა ბრძოლაა ცხოვრებისთვის, არსებობისთვის, რომელშიდაც დამჩაგვრელები კი იძულების იარაღს, სახელმწიფოს: თოფს, ზარბაზანს, ჯაშუშს, კანონს და მღვდელს ხმაროობს და დაჩაგრულთა კლასი კი ცხოვრების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ ნაწარმოებთა საწარმოებლად ხმაროობს საწარმოვო იარაღებს: თოხს, წერაქვს, ჩაქუჩს, ნემსს, მანქანას, მიწას, წყალს, ანბანს, კალამს და სამხატვრო „კისტს.“ ამ ორი საზოგადოების შორის დიდი ზღვარია, ვგონებ უფსკრულიც, რომელშიდაც ერთ ერთი ან კულტურის შემქნელი მწარმოებელნი ან კულტურის მტერი ბატონები უნდა დაიღუპონ თავისი „პროგრამებით.“ ყველა ამის შემდეგ სამარცხვინოა საკოდავ მუშების თვალის ახვევა და მათ ხმელ, უდრეკ და სასტიკ სასთუმალთან სოციალისტურ ჰანგით ბურჟუაზიულ სიმღერის დამღერება იმ იმედით, რომ შეიძლება სარგებლობა მათი დროებითი შეუგნებლობით, მაგრამ მოვა დრო და „პროგრამისტები“, მინიმალისტები, მაქსიმალისტები და სხვა სოციალური ეფემერები ველარ ეტყვიან მწარმოებლებს, რომ „სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ზოგჯერ ისეთ საქმეებს

ასრულებს, რომელთაც (იქნება უნდოდა ეთქვა კლასობრივ კულტურული ავტ. შენ.) მნიშვნელობა აქვთო.“ ნუ თუ შესაძლებელია იძულება—პოლიცია—და კულტურა ერთად?!

პირველი პროგრამა დაუღალავად განაგრძობს, რომ „თანამედროვე სახელმწიფო ერთის მხრივ კლასთა ბრძოლის ნიადაგია (?) [1]), რომელზედაც ეკონომიურად გაბატონებული კლასი მაგრად სცდილობს ფეხი მოიკიდოს პრივილეგიების დასაცველად, და მეორეს მხრივ, იგი კულტურული განვითარების ნიადაგია“. ერთის მხრივ სახელმწიფო კლასთა ბრძოლის ნიადაგი კი არა, კლასთა ბატონობის იარაღია, რადგან იძულების ორგანიზაცია, როგორც დაწესებულება ძალადობისა, არ შეიძლება ნიადაგი იყოს; სიტყვა ნიადაგი საჭირო შეიქმნა მეტყველების მექანიკური მოთხოვნილებით და ალბათ აზრის ნაკლებობა ამ ადგილას სიტყვით შეავსო „პროგრამამ“; მეფისტოფელი ამბობს: **когда идеи плохуют, к услугам слово**. ამ გვარად, ერთი მხრით სახელმწიფო, როგორც დაწესებულება, „გაბატონებული კლასის“ ძალადობაა, მეორე მხრით იგივე ძალადობის იარაღი „კულტურული განვითარების იარაღია“. თუმცალა ამ უკანასკნელი სიტყვების ხაზგასმითაც ჩანს, მაგრამ თუ კულტურასაც და უკულტურობასაც ერთი იარაღი აქვთ, ერთი წესი აქვთ არსებობისა, მაშინ რაშია კულტურის და უკულტურობის განსხვავება? —არაფერში. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი განვითარება სინტეზი ყოფილა ანტიკულტურულ და კულტურულ განვითარებისა; თუ კულტურა მაგალითად თეზისია, მაშინ ანტიკულტურა ანტითეზისია და მაშასადამე მათი სინტეზი სახელმწიფოა. ცოტა არ იყოს დიალექტიკის სუნია, სუნი, რომელსაც

---

[1]) კითხვის ნიშნები ფრჩხილებში ჩვენია პროგრამის ტექსტში.

პროგრამა თითქოს ვერ იტანს ცხვირზე კომპრესის გაუკეთებლად. ეს დიალექტიკის ჩრდილი თან დასდევს უბადრუკ „პროგრამას“, ცდილობს თავისი აჩრდილის მოშორებას, მაგრამ ან თუ მზე ცას არ მოწყდა და სინათლე არ მოისპო, ან ის, რაც ამ ჩრდილს აკეთებს არ მოისპო, ისე ჩრდილიც არ მოისპობა. ცხადია კულტურას თავის კულტურული, იარაღი აქვს და ანტიკულტურას ანტიკულტურული იარაღი. თუ ეკონომიურად გაბატონებული კლასი სახელმწიფოის საშვალებით იცავს თავის პრივილეგიებს, როგორც პირ. პროგ. ამბობს ცხადია მაშინ, რომ სახელმწიფოის მოხმარება პროლეტარიატის მიერ „ექსპლოატატორების ასალაგმავად“, როგორც იგივე წაჯექუკუჯექური პროგრამა ამბობს, ნიშნავს გაბატონებულ პროლეტარიატის პრივილეგიების დაცვას. გაბატონებული კლასი პროლეტარიატი იქნება ის თუ სხვა ელირება იგივე რაც ბატონად ყოფილი კლასი—ეს იგივე სოციალური პიესა იქნება მხოლოდ ტრუპა ახალი იქნება და განსხვავება ფლრულების ნიჭში. შეუძლებელია მომავალის ცოდნა; მომავალი ისტორიის ფურცლებში ჩახედვის ნიჭი ღმერთს, სოც.-დემოკრატს, მარქსისტს და „პროგრამას“ თუ აქვს, თორემ ბუნებას ადამიანისთვის არ მიუცია, მხოლოდ ღმერთს და ამ ღმერთის კომპანიას, თუ შეუძლია სახელმწიფოის დღევანდლიდან განსხვავებით მისი მომავლის კულტურული როლის ცოდნა. მის წარსულ და დღევანდელ ანტიკულტურული არსებობის მიუხედავად.

ვნახოთ ეხლა რა არის რევოლიუციონიზმი, ანტილეგალიზმი, პირდაპირი მოქმედება მუშათა კლასისა და რა არის პარლამენტარიზმი პირ. პროგ. შეხედულობით.

პროგრამის თქმით დამტკიცებულია არ არის, რომ „სახელმწიფოსაგან ნებადართული და უზრუნველყოფილი მოქმედება ასუსტებს შრომის ინტერესებისთვის მებრძოლთა

სარევოლიუციო ენერგიას“. ერთი სიტყვით, კითხვა, რომელიც პირ. პროგ. პრ. უნდა დასვას და პასუხი გასცეს და ვერ მოუხერხებია მისი გაფორმულება შესდგება შემდეგში: მნიშვნელობა რეფორმისტული და რევოლიუციონური მოქმედებისა, ანუ რეფორმა, თუ რევოლიუცია, ანუ კიდევ კანონმდებლობა,—პარლამენტარიზმი, თუ რევოლიუციონური სინდიკალიზმი—ანტიპარლამენტარიზმი.

პარლამენტარიზმის კითხვის ნათელ საყოფელად საჭიროა მაშასადამე გარჩეულ იქმნას ერთი მხრით რეფორმიზმი, ლეგალიზმი, საყოველთაო არჩევნები, პარლამენტარიზმი და დიქტატურა, მეორეს მხრით იდეალიზმი, პირდაპირი მოქმედება (action directe), სინდიკალიზმი, საყოველთაო გაფიცვა და რევოლიუცია. ჩვენ რასაკვირველია არ შეუდგებით სოციალური მოქმედების ტეხნიკის სრულ და სისტემატიურ გარჩევას, რადგან ჩვენი ანტიკრიტიკა ისედაც ძლიერ გავრცელდა და არც ის მეცნიერული ციხე-სიმაგრე, რომელზედაც ეხლა ჩვენ იერიში მიგვაქვს არ მოითხოვს ამოდენ ენერგიას მის დასანგრევად, რადგან თვით ეს ციხე-პროგრამა მოკლებულია იმ ძალას, რომელიც საჭიროა მისი შემადგენელი მასალების მოწესრიგებისათვის.

პირ. პრ. პრ. ამბობს, რომ „**რაც უფრო ძლიერდება შრომის ინტერესების დამცველთა რაზმი, რაც უფრო სახიფათო ხდება ეს რაზმი გაბატონებულ კლასისათვის, უკანასკნელნი მით უფრო მეტს უთმობენ** თავის მოწინააღმდეგეებს და ამ დათმობას შრომის მფარველ კანონების სახეს აძლევენ“. ამ გვარად, დასკვნის ეს საოცარი ლოლიკის პატრონი პროგრამა, „შრომის მფარველი კანონი გამომხატველია ექსპლოატატორების კერძოობითის დამარცხებისა.“

თუ, პროგრამის სიტყვით, „მით უფრო მეტს უთმობენ თავის მოწინააღმდეგეებს გაბატონებულები,“ „რაც **ოფრო** ძლიერდება შრომის ინტერესების რაზმი“, ეს იმას

ნიშნავს, რომ დათმობა გაბატონებულთა მხრით შედეგია ბრძოლის, ძალის და იერიშის, რომელიც ამ ძალას მიაქვს გაბატონებულთა უფლებებზე და პრივილეგიებზე და მაშასადამე ის უფლება, რომელსაც მშრომელი თავისი ბრძოლის ნაყოფად მიიღებს, უფლება, რომელსაც შრომის მფარველი კანონის სახელს არქმევენ, ან სხვა რამე კანონის სახელს, პირდაპირი ნაყოფია ბრძოლის, რომელიც ამავე დროს უარყოფაა ძველი უფლების, რომელიც ამ გვარადვე კანონის სახით არსებობდა; მაშასადამე, ყოველი თავისუფლება მიღებულია არსებული კანონების უარყოფის წინააღმდეგ მოქმედების და გაფორმულებულია ახილი კანონით. თუ მაშასადამე, თავისუფლებისთვის მებრძოლმა სავსებით დაამარცხა მოპირდაპირე ან მიილტვის ამისკენ, მაშინ ის არავითარ საზღვარს არ ხედავს თავის ბრძოლის განსაგრძობად იმავე დარგში, რის გამო მისი ბრძოლა, როგორც ძალის ხმარება, რომელიც არავითარ საზღვარს აღარ ეხლება გამოიხატება არა კანონში, არამედ პრინციპის უარყოფაში, მაგრამ თუ კანონი არსებობს ეს იმას ნიშნავს, რომ მისი—მებრძოლის ძალა საკმაო იყო მხოლოდ რამოდენამდე, რომ მისი მოქმედება შეჩერებული იყო თავის განვითარების ერთ ერთ მუხლზე, სადაც მოწინააღმდეგე რეაქციონური ძალა იწყებდა გადაჭარბებას, სადაც არსებობს მისი და მისი მოწინააღმდეგე რეაქციონური ძალის საზღვარი, მაშასადამე „კანონი“ შემოფარგვლა და შეჩერებაა წინსვლისა, გაძლიერებისა. ამ გვარად ექსპლოატატორები კი არ არიან დამარცხებული, როდესაც ისინი ახალ კანონს იძლევიან, არამედ როგორც დამთობნი და არა დაძლეულნი ისინი აჩერებენ და ახანგრძლივებენ მათ წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას; ერთი სიტყვით, კანონის საშვალებით უწინდელი წინააღმდეგი რევოლიუციონური ძალები, რომლებიც არ დაეტიენ ძველ საზღვრებში ჩარჩოებში ჩაეენებული არიან ახალ საზღვრებში, ჩარჩოებში კონსერვატიულ და რეაქციონურ ძალების მიერ.

ყოველი კანონი საზღვარია, რომელსაც ჯერ კიდევ სუსტი რევოლიუციონური სვლა მიაწუდება, საზღვარი, რომელსაც რეაქცია უდებს რევოლიუციონურ სვლას—კანონი რევოლიუციის შემოფარგვლაა, ამას გარედ ყოველივე ლეგალიზმი, ყოველივე ცდა ლეგალური საშვალებით, კანონის ან კანონმდებლობის საშვალებით სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებისა არის სოციალური შეზელა არსებულ წესწყობილებასთან, ე. ი. არსებული საზოგადოებრივი ფორმის გაუმჯობესება და არა მისი გარდაქმნა, ტრანსფორმაცია, არსებული საზოგადოებრივი ფორმის ევოლიუცია, მისი პროგრესით, ან რეგრესით, და არა რევოლიუცია [1]).

მთელი ისტორია რევოლიუციისა კონკრეტულად და ფაქტიურად ამტკიცებს შეუძლებლობას რევოლიუციებისას არსებულის მიჩნევით და ხელუხლებლობით. ყოველი რევოლიუციონური მიზანი მოითხოვს რევოლიუციონურ საშვალებას და არსებულის უარყოფას. ყოველი რევოლიუცია არსებულის უარყოფაა სიტყვით და საქმით პროგრამის აზრით, მართალია ანარქისტების შეხედულება რომლითაც „ანარქისტები სამართლიანათ ამტკიცებენ, რომ ასეთი კანონები შრომასა და კაპიტალს შუა ატეხილ ბრძოლას ანელებენ, რადგან შრომის ინტერესებისათვის მებრძოლთა ერთი ნაწილი ჩვეულებრივ კმაყოფილდება მცირედის გამარჯვებით და არღვევს მებრძოლთა ერთობას და ენერგიასო“. მაგრამ მიუხედავად ანარქისტების ამ სამართლიანი აზრისა, ამბობს იგივე პროგრამა, მართალია „ისიც, რომ აქედგან შეუძლებელია დავსკვნათ ვითომც მებრძოლთა ერთსულობა არ დაირღვევოდეს, თუ ახალ კანონების შემუშავებაში მარტო გაბატონებულმა კლა-

---

[1]) ჩვენთვის ძლიერ სასურველი იქნებოდა ამ კარდინალური და მადლიერი თავის ნაყოფებით კითვხის გარჩევა, მაგრამ ადგილი ნებას არ გვაძლევს.

ებმა მიიღეს მონაწილეობა, სოციალისტებმა კი ზურგი უქ-
ციეს პარლამენტს და იმის გარეშე დარჩენ.“ და მერე ვინ
მოახსენა ნეტავი პირვ. პროგ. პრ. რომ არ არის მართალი
რომ ამასთანავე ეს ერთ სულობა ირღვევა ხან და ხან მაში-
ნაც, როდესაც მარტო გაბატონებული კლასი კანონმდებლო-
ბსო, მაგრამ ისინი იმას ამბობენ, რომ დემოკრატიული რე-
ფორმა მეტ დამბნელებელ ფაქტორად ზედ ერთვისო, მაშინ,
როდესაც მუშათა უთანხმოება ურთიერთ შორის ანვითარებს
მათ ცნობიერებასო. ვინ სთქვა, რომ რეფორმა რომელიც
ზევიდგან მოდის არ არის დემოკრატიული (ინგლისი)—საუ-
კეთესო რეაქციონური ხრიკი. დიახაც, რომ ყოველივე რე-
ფორმა, რომელიც ზევიდგან ქვევით მომდინარეობს უკიდუ-
რესი და მეტად შეგნებული რეაქციაა და აი სწორედ ეს
ამტკიცებს უვარგისობას, ყოველი მინიმუმისა, ყოველი კანო-
ნისა, რადგან ამ შემთხვევაში ყოველი სოციალისტ-რეფორ-
მისტი ჭკუიან ბურჟუაზიული დემოკრატიის „სტავლენიკია“.
ყოველივე რეფორმა, რომელიც კანონის საშვალებით სწარ-
მოებს უსათუოდ კანონმდებელია უმრავლესობის ფორმულაა
და მაშასადამე, სულ ერთია, იქნებიან თუ არა პარლამენტში
სოციალისტები ფორმულა, კანონი, მაინც ისეთი იქნე-
ბა, როგორც გაბატონებული სურთ, რადგან უმრავლე-
სობა ყოველთვის გაბატონებულთ ეკუთვნის პარლამენტში,
რადგან ისინი გაბატონებული არიან პარლამენტში პოლა-
ტიკურად მხოლოდ იმიტომ, რომ ეკონომიურად ბატონო-
ბენ ამავე დროს, და შეუძლებელია პოლიტიკური თანასწო-
რობა პარლამენტში იმათი, ვინც სოციალურად და ეკონო-
მიურად თანასწორი არ არიან; ამასთანავე, შეუძლებელია და
ნამდვილი უტოპიაა სოციალისტური უმრავლესობა პარლა-
მენტში, რადგან სოციალისტური უმრავლესობა პარლამენტში
წინასწარ გულისხმობს სოციალისტურ მომხრეების უმრავლე-
სობას ხალხში; მაგრამ ამ შემთხვევაში სოციალისტურ უმრავლე-

სობას უნდა წავართვათ ინიციატივის ნიჭი და სავსებით გადავცეთ მის წარმომადგენლებს პარლამენტში, რადგან სოციალურ ცხოვრების ტრანსფორმაციის ინიციატორებათ მიჩნეული არიან კანონმდებლები, როგორც კანონმდებლები; იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხალხის უმრავლესობა არ არის ცნობილი, როგორც ინიციატივის პატრონი, მაშინ უარყოფილია მათ სოციალურ ინიციატივასთან ერთად მათი სოციალური სურვილიც, მათი სოციალისტობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სოციალისტური სურვილი უწინ უმცირესობისა და ეხლა უმრავლესობად გადაქცეული მიმართავს პირდაპირ დაბრკოლების დაძლევას, დანგრევას და არა მოლაპარაკებას თავის ცხოვრების განვითარების დამაბრკოლებელ პირობების წარმომადგენლებთან: ყველა ამასთან ერთად არასოდეს გაბატონებული კლასი არ მისცემს უფლებრივ და პოლიტიკურ თანასწორობას იმ კლასს, რომელიც ეკონომიურად მის მონობის ქვეშ იმყოფება, თუ შეცდომა რამ ჩაიდინა და მისცა ისეთი უფლებები, რომელებიც მის კლასიურ არსებობას საფრთხეს უქადის, მაშინ ის ურცხვად, დამშვიდებული ბურჟუაზიულის სინიდისით, ისევ ისე წაართმევს და, თუ ვინმემ მისი შერჩენა მოინდომა, იმას დაუკარგავს სურვილს ყოველ ლეგალურ საშვალებით მოქმედებისას ის რაც ვინმემ თავის ნებით მისცა ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, შეუძლია ისევ ისე დაიბრუნოს იმავე გამარჯვებული ძალის მეოხებით და, თუ ვინმემ რამე ძალით მოიპოვა, ის შეუძლია შეირჩინოს ამ ძალითვე და ყოველი უფლება და კანონი მეტია მოპოვებულის შესარჩენად, თუ ძალა, რომელმაც შეაძლებინა შეძენა კლებულობს მატების მაგიერ. „სოციალისტების მონაწილეობას პარლამენტში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მოპირდაპირეთა პირის პირ შეხვედრას ხელშეკრულობის დასადებად.“ მაშასადამე, მთელი მნიშვნელობა პარლამენტარიზმისა დამყარებული ყოფილა იურიდიულ ფორმალობაზე, ე. ი. ხელშე-

კრულობის კონტრაქტი მშრომელთა და ექსპლოატატორთა შორის პარლამენტი ყოფილა, პარლამენტი, რომელიც სოციალურ ნატარიუსის კანტორად არის მიჩნეული ამ შემთხვევაში. მაგრამ ყოველი ხელშეკრულობა წარმოადგენს ბრძოლის განგრძობაზე უარის თქმას იმ საზღვრებს გადაღმა, რომელიც კონტრაქტში, ხელშეკრულობაში არის აღნიშნული—უკანასკნელ ანგარიშში პროლეტარიატის წარმომადგენლები, რომლებიც ამ კონტრაქტს ხელს აწერენ და რომლებიც ამ შემთხვევაში პროლეტარიატის ადვოკატები არიან, რადგან ისინი წარმომადგენლები და რწმუნებულნი არიან აწერენ ხელს რევოლიუციის უარეოფის კონტრაქტზე, იმიტომ, რომ ხელშეკრულობის ძალით უარყოფენ პროლეტარიატის უფლებას ხელშეკრულობის დარღვევისას. მაგრამ მიუხედავად ამისა ბუნება თავისას შვრება ძალები, რომელთა ბრძოლამ კონტრაქტი წარმოშვა, ვითარდებიან და ერთ ერთი მათგანი ასწრობს წინ მეორეს, რასაც მიჰყვება კონტრაქტის დარღვევა, თავის უწინ მიჩნეულ საზღვრების გადალახვა. თუ რეაქციონური ძალა მეტათ განვითარდა, ვინემ განმათავისუფლებელი ძალები, მაშინ მოხდება კონტრ-რევოლიუცია—დარღვევა ამ ნაირადვე უკვე დადებული მისგანვე ცნობილი კონტრიქატისა, კანონთა კრებულისა—მოხდება რევოლიუცია. ყოველ შემთხვევაში კანონი, კონტრაქტი კი არ არის გარანტია თავისუფლების ან მონური მდგომარეობისა, არამედ ძალა რევოლიუციონური.

როდესაც პირველი პროგრამა ლაპარაკობს კონტრაქტი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მებრძოლთაგანი ისე „არ არის დამარცხებული, რომ ბრძოლის გაგრძელება მისთვის შეუძლებელი იყოს, ცხადია, რომ თუ ბრძოლა არსებობს უსათუოდ შედეგი ერთის დამარცხებაა და მეორეს გამარჯვება, მაგრამ თუ ბრძოლა არ დამთავრებულა, მაშინ არც კონტრაქტის დადება შეიძლება, რადგან კონტრაქტი ბრძოლის დასასრულს

უნდა დაიდოს, მაშასადამე, როდესაც ორივე მხარეს კიდევ შეუძლია განაგრძოს ბრძოლა, როგორც ამას პირ. პროგრ. ამბობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა განსაზღვრულ ნიადაგზე, და თუ ბრძოლა არ დამთავრებულა, მაშინ კონტრაქტიც არ შეიძლება დაიდოს; თუ მიუხედავად ამისა კონტრაქტი მაინც იდება, მაშინ გამოდის, რომ ბრძოლა შეჩერდა თავის განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობები ბრძოლის განვითარებისა ხელთ იყვნენ, არსებობდენ, ე. ი. ერთი და მეორე მებრძოლიც არა თუ ერთი მეორის რეაქციონერებია, არამედ თვითონ ხდებიან თავიანთი რეაქციონერები.

პროგრამის პირველი პროექტი სადღეგრძელოს სვამს კანონებისა, და კანონის მწარმოებელ ქარხნისა და ამ ფიქციის მწარმოებლებისასაც და მათ შორის თავის თავისასაც, რასაკვირველია: ამბობს, „რომ კანონმდებლობამ, რაც შეიძლება სუკეთესო მდგომარეობა შექმნას ხალხისთვისო“, ე. ი. ფორმულამ, განყენებულმა რამემ, არა რეალურმა და ხელოვნურმა არსებამ შეჰქმნას რეალური მდგომარეობა მშრომელისაო, კანონს არ შეუქმნია არასოდეს მდგომარეობა, ძალა; ჯერ ერთი ის, რომ პირველი პროექტი თავის თავს ეწინააღმდეგება იმით, რომ პარლამენტი ნოტარიუსის კანტორაა ხელშეკრულობათა კანონებისა თვით პირველი პროექტის სიტყვით, ე. ი. ძალა **ურიოთიერთობის** შედეგია და მაშასადამე უნდა **შექმნილს** შემქნელი **შეაქმნევინოს**, რაიც ჰგავს რაღაც მეტაფიზიკის ორკეც ბუღგალტერიას—დიალექტიკას.

პროგრამის აზრით მშრომელთა ენერგიის დამრღვევი მიზეზი პარლამენტში სოციალისტების მონაწილეობა კი არა, არამედ „თვით პარლამენტისაგან გამოცემული კანონები არიან“, ე. ი. ცუდი კანონები პარლამენტის ცუდი „სოსტავის“ ბრალია და როცა „პარლამენტის უმრავლესობას ნამდვილი სოციალისტები შეადგენენ, მაშინ თვით კანონმდებლობა და

მთლად სახელმწიფო სოციალიზმის დამყარებას თვალსაჩინო სამსახურს გაუწევენ“, ე. ი. პროლეტარიატი უნდა მოემზადოს სოციალისტური ცხოვრებისთვის და საზოგადოებრივი წარმოებისთვის მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება ასრულებული ფაქტი იქნება. კარგი, მაგრამ ეს ხომ დიქტატურა იქნება, თუ მზადება დიდი, „თვალსაჩინო სამსახურის“ გაწევა იქმნება—თუ თანდათანი კანონმდებლობითი მოღვაწეობა იქმნება და თუ დიქტატურა იქმნება, რის დიქტატურა იქმნება და რა დიქტატურა, რომელიც ვერ შესძლებს დიქტატორულად სოციალიზმის დამყარებას, მაგრამ მაგარი და მოუნელებელი პარლამენტარული კანონმდებლობითი განხორციელებული სოციალიზმის უტოპიაა, უტოპია, რომელიც დამყარებულია სოციალისტების უმრავლესობაზე პარლამენტში: პარლამენტარისტული სოციალიზმი შეკავშირებული სახელმწიფო—იძულებითი—აპარატთან ორკეცი უტოპიაა, უმცირესი დაბრკოლება, რომელიც სოციალისტური უმრავლესობის შექმნას პალამენტში მოელის, შესდგება იმაში, რომ სანამ ეს უმრავლესობა წარმოიშობოდეს, მანამ პარტია პარლამენტარისტ სოციალისტებისა მრავალ პარტიებად დაიყოფა; ამას გარედ არ არის სრულიად მოსალოდნელი, რომ ბურჟუაზია მიანებებს თავს სოციალისტებს და მისცემს ნებას ხმა ამოუღებლივ მოახდინონ მასზე მისი მომაკვდინებელი ოპერაცია; ბურჟუაზია თავის ზომებს მიიღებს მაშინვე, როდესაც შეატყობს პარლამენტში სოციალისტური უმრავლესობის დაბადების მოახლოვებას, ცხადია და იკისრებს ბებიობას მკვდრად დაბადებული უმრავლესობისას; მოწმე ბურჟუზიის მოღვაწეობისა, მკვდრად დაბადებული სოციალისტური უმრავლესობისა პარლამენტში საქსონიის წითელი სახელმწიფოა.

ამ გვარად, პროლეტარიატს, ქალაქის და სოფლის მუშას არ შეეფერება თავის და საზოგადოებრივობის განთავი-

სუფლებისათვის იხმაროს ბრძოლის იარაღად კანონმდებლობა და საკანონმდებლო დაწესებულება—პარლამენტი არც ყოველ დღიურ პრძოლაში, არც ბრძოლით მოპოვებულ განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწყობათ, რადგან პოლიტიკური ორგანიზაცია არ შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობის და კანონმდებლების საშვალებით და ეს იმიტომ, რომ პოლიტიკური ცვლილება პოლიტიკურ სახელწოდების ცვლაში კი არ შესდგება, არამედ ეკონომიურშიდაც; პოლიტიკური ორგანიზაცია რა სახელსაც უნდა ატარებდეს ის, ახერხებს შეეზილოს და შეეგუოს სწორედ იმ ეკონომიურ ორგანიზაციას, რომელიც მისთვის შინაარსს წარმოადგენს. მიუხედავად ყოვლისა ყოველი პოლიტიკური ორგაიზაცია დამყარებულია უძლიერესის ბატონობით; პარლამენტი და პარლამენტარიზმი თვით არის შექმნილი რევოლიუციის, აჯანყებული ძალების ხმარებით, მიუხედავად და წინააღმდეგ „ძველი კანონისა“ და მაშასადამე, პარლამენტარიზმი, როგორც ნაყოფი რევოლიუციონარიზმისა—იდეგალიზმისა—არ შეიძლება იყოს მიზეზი რევოლიუციონარიზმის და იდეალიზმისა.

ყოველი თავისუფლება მოპოვებული დღემდის თვით დემოკრატიულ სახელმწიფოშიაც კი: თავისუფლება კავშირებისა, ბეჭვდისა, კრებისა და სხვა, მოპოვებული იყვნენ და არიან ბრძოლით და თუ ისინი რამოდენიმეთ შეზღუდული არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეტანილი არიან კანონებათ კანონთა კრებულში იმის მაგიერ, რომ მათ შესახებ ყოველი კანონი მოსპობილიყო.

ყოველი ეკონომიური თავისუფლებისთვის ბრძოლა პარლამენტარულმა სახელმწიფომ იმ გვარადვე ცეცხლით და მახვილით ჩააქრო და შეაჩერა, როგორც დესპოტებმა და მონარქიებმა და ის კი არა უფრო სასტიკადაც. პარლამენტარულ დიქტატურაზე—მისი საშვალებით სოციალიზმის განხორციე-

ლება განმეორება იქნება დღევანდელ პოლიტიკურ საშვალების მიერ სოციალური მდგომარეობის განხორციელებისა.

პარლამენტარული მთავრობა და სახელმწიფო იგივე მონარქიული სახელმწიფოა, მონარქიული, რომელიც მოსპო ბურჟუაზიამ არა იმიტომ, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიის მისწრაფებას, არამედ იმიტომ, რომ თავისი საქმეები უკეთ მოეწყო თვით გაბატონებულიყო, როგორც მთელი კლასი, ერთი მონარქის მაგიერად. პარლამენტარული სახელმწიფო იგივე მონარქიაა, მხოლოდ კლასიური მონარქია, ამიტომ ის კლასი რომელიც ბურჟუაზიის სახელით შეიქნა მონარქად იძულებული იყო მონარქის ადგილას დაესვა თავისი წარმომადგენლები—აესრულებინა მონარქის ფუნქციები წარმომადგენლობითი სისტემის საშვალებით, რადგან მთელი კლასი ვერ ეფეტიევოდა ძველი მონარქის ტახტზე; პარლამენტარიზმი მიუცილებელი და ზედ გამოჭრილი ტახტია ბურჟუაზიისა, რომლის მოსპობას თან, და ერთად უნდა მოისპოს ეს მისი ტახტიც.

წარმომადგენლობითი მთავრობა იგივე მთავრობა,—იძულებაა—ამიტომ იქ, სადაც იძულება იქნება პარლამენტის საშვალებით და ნებართვით, იქ უსათუოდ დაჩაგვრაც იქნება, მაშასადამე, უმცირესობა და უმრავლესობაც, მაშასადამე წინააღმდეგი კლასი ინტერესებისა, მაშასადამე წინააღმდეგი კლასები—სახელმწიფო, როგორც ეკონომიური ძალა, რომლის ხელში იქნება ყოველი ეკონომიური ურთიერთობის ინიციატივა და ეკონომიური საშვალებანი და მეორე მხრით —ვინც მოკლებულნი იქნებიან ინიციატივას და ეკონომიურ ძალას.

და აი, სწორედ ყველა ამ მოსაზრებით და მრავალი სხვა გარემოების და პირობების გამო პროლეტარიატი არა თუ არ არის იძულებული „ჯერხანად მთელ დემოკრატიასთან ერთად აწარმოვოს პოლიტიკური ბრძოლა ყველა ამ საშვალებითაც,

რომელიც ბურჟუაზიას შეუქნია“, არამედ იძულებულიც რომ იყოს, მაინც არ უნდა ხმაროობდეს ბურჟუაზიულ საშვალებას დემოკრატიასთან ერთად, რადგან ყოველ დარგს ცხოვრებისას აქვს თავისი შესაფერი ფორმა, ბურჟუაზიულ ცხოვრების შინაარსს ბურჟუაზიული და პროლეტარულს პროლეტარული; ამ ორ საზოგადოებრივ ცხოვრების ფორმებს არაფერი არ აქვს საერთო; ისინი ანტაგონისტები არიან და მაშასადამე როგორც წინააღმდეგ მიმართულებებს, არ შეუძლიათ იქონიონ არაფერი საერთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წინააღმდეგი კი არ იქნებოდენ, არამედ ერთი მხრისკენ მოძრავი ძალები და ერთი მეორეს დამატება. სოციალიზმი პირდაპირი განვითარება იქნებოდა დემოკრატიის და არა მისი მომსპობი წინააღმდეგი მოძრაობა.

როდესაც „პროგრამა“ შეეხება რევოლიუციონურ სინდიკალიზმის კითხვას, მაშინ ის დიდ ხოტბით და ქებათა ქებით იწყებს, მაგრამ როდესაც შუაზე მიაღწევს, მაშინ ისეთი ლეგენდების გადმოცემას იწყებს, რომ მოგვაგონებს იმ მოშივებულ და მადააღძრულ კაცს, რომელიც ფლავის გემოს ქებას მთელ თავის „მჭვერმეტყველობას“ ანდომებდა; მაგრამ როდესაც ფლავის აპოლოგისტს ჰკითხეს საიდგან იცი ფლავის ეგ ღირსებებიო, იმან უპასუხა: „ვიცი ჩემი პაპისაგან, რომელიც თავის ბატონს დაესწრო, როდესაც მისი ბატონი ფლავს სჭამდა და თითებს ილოკავდაო“. პირველი პროგრამის პროექტი ფლავის აპოლოგისტივით ემყარება ისეთ სინდიკალისტებს, რომლებმაც არც კი იციან, რომელ გზას მიჰყავს რევოლიუციონურ სინდიკალიზმის სამოთხეში და თითი თითზე არ დაურტყამთ რევოლიუციონურ სინდიკატების და მათ შრომის ბირჟების დაარსების და მოწესებისათვის; ამ გვარ ვაჟბატონებს შეუტყვიათ ვილაცეებიდგან, ამ ვაჟბატონებისაგან შეუტყვია „სოციალისტ-ფედერალისტების“ „თეორეტიკოსებს“ და პრაქტიკოსებს (?), რომ „სინდიკალი-

ზმი ანტიპარლამენტარული მოძრაობა კი არ არის, იგი პარ-
ლამენტს გარეშე მოძრაობააო". ჯერ იყო და ანარქისტებს
„სტაჩკისტებს" უძახოდენ; ამაზე უწინ კიდევ—უტოპისტებს
საყოველთაო გაფიცვა საყოველთაო სისულელედ და ანარ-
ქისტულ უტოპიათ ჩასთვალეს; ყველა ეს „ბოლიტიკური აქტი"
იმიტომ ჩაიდინეს, რომ პარლამენტარიზმი გაეღმერთებიათ;
ბოლოს ცპოვრებამ ანარქისტები გაამართლა და პარლამენ-
ტარიზმის დიქტატურის მაგიერ მუშების საყოველთაო გაფი-
ცვა წამოაყენა წინ, საყოველთაო გაფიცვამ კი გამოიწვია
თავისი შესაფერი ორგანიზაცია—რევოლიუციონური სინდი-
კალიზმი. ამ გვარად ჯერ იყო და მუშების ნამდვილი მის-
წრაფება და ნამდვილი სოციალიზმი ოსტრაკიზმით განაძევეს
უტოპიის სამეფოში და პოლიტიკა და პარლამენტარიზმი გაა-
მეფეს—პარლამენტარიზმს პირველი კი არა ერთად ერთი ად-
გილი ეჭირა და ანარქისტულ უტოპიებს, ჭეშმარიტ ფედე-
რალისტურ სოციალისტების რევოლიუციონურ საშვალებას
—საყოველთაო გაფიცვას პირველ ადგილს „კრესლოს" კი
არ უთმობდენ ამ ქვეყნიდან გაძევებას უპირებდენ, ეხლა კი
სინდიკალიზს, რევოლიუციონურს, რომელსაც საყოველთაო გა-
ფიცვა ერთად ერთ საბრძოლველ იარაღათ მიაჩნია სახელმწიფოის
სრულიად მოსასპობად და რომელსაც რევოლიუციონური
სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ ის საყოველთაო გაფიცვას აღია-
რებს ერთად ერთ პროლეტარულ ბრძოლის იარაღათ და სა-
ხელმწიფოებრივობის ამოფხვრას და სოციალიზმის დამყარე-
ბას თავის მიზნად.—აი, ამ სოციალიზმს ოდესღაც გმობილს
პარლამენტარულ ვირების ჩლიქებით დაწიხლულ ლომს
დღეს პირველ ადგილს უთმობენ. თუ ერთ დროში ნამდვილ
მუშურ სოციალიზმს სკამზედაც არ სვამდენ, თუ დღეს მას
პირველ ადგილს უთმობენ და პარლამენტარიზმს მეორე ად-
გილს, მაშინ იმედია მოვა ისეთი დროც, როდესაც პარლა-
მენტს მთელი თავის არხივით სოციალიზმის შეგნებული მუ-

შები მიწაზე კი არ დასვამენ, არამედ დამარხავენ და ამ რიგად გაპოხიერებულ ნიადაგზე სოციალიზმის, ნამდვილ თავისუფლების მძლავრ ხეს დარგავენ. სინდიკალიზმი კლასთა გარეშე ბრძოლა კი არ არის, არამედ კლასთა შორის, ერთი მეორის წინააღმდეგ, მაშასადამე, კლასობრივ საშვალებათა და დაწესებულებათა წინააღმდეგ, მაშასადამე, სახელმწიფოს და მისი ფუნქციის პოლიტიკის და პარლამენტის წინააღმდეგია— ის ანტიპოლიტიკური და ანტიპარლამენტარულია.

რაც შეეხება ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტას ავტონომიის და ფედერაციის პრინციპების საშვალებით უნდა ვსთქვათ, რომ ეს კითავა იმ ელფერით, რომელიც მას მისცა პირველი პროგ. პროექტმა, წარმოადგენს არა თუ გარდაწყვეტას ნაციონალური კითხვისას, არამედ სოციალისტური კითხვის უკან მეორე ხარისხზე ჩამოყენებას და ამ კითხვის სრულ შეუგნებლობას.

ჩვენ შესახებ ნაციონალიზმისა, რომელიც აქ გამოიხატება ბევრს არას ვიტყვით, რადგან ის არგუმენტაციის მხრით სუსტია პირვ. პროგ პროექტში და ამიტომ საბაბს არ გვაძლევს მისი არსებითი გაკრიტიკებისათვის.

მიუხედავად ამ მოსაზრებისა უნდა ვთქვათ, რომ მთელი კონცეპეცია ნაციონალური კითხვისა თავიდან ბოლომდის სუსტი და შეცდომებით სავსეა.

პროგრამა ამბობს, რომ „პარტია მოითხოვს... არა ისტორიულს... არამედ რეალურად ქართველ ხალხისაგან დასახლებულ ადგილებს“. საოცარი მოთხოვნილებაა თუ ქართველების მიერ ადგილები დასახლებულია მათი ყოფილა და ის არის, რაღა თავის **საკუთრების** დასაკუთრების მოთხოვნაა საჭირო. მაგრამ ალბათ საქართველოს **ავტონომიურ სახელმწიფოში** ტერიტორია აქვს სახეში, მაგრამ სოციალისტური პროგრამა და ისიც ფედერალისტურ სოციალისტური პროგრამა სახელმწიფო ტერიტორიის ავტონომიას კი არ მოით-

ხოვს არამედ მწარმოებელ კავშირების ავტონომიას და ფედერაციას. საქართველოს სახელმწიფოის ავტონომია იგივე საქართველოს შინაგან ექსპლოატაციის ავტონომია იქნება. ქართული ავტონომიური სახელმწიფო იმ გვარადვე იძულების ძალადობის ორგანო იქნება საქართველოის ბურჟუაზიისათვის საქართველოის პროლეტარიატის და გლეხობისათვის, როგორც რუსეთის დღევანდელი სახელმწიფოა რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობისათვის, „პროგრამა“ ამბობს, რომ „ავტონომიურ საქართველოს შინაური მოწყობილება დამყარებულ უნდა იყოს დემოკრატიის და ფედერაციის პრინციპეპზე“, ცხადია მაშასადამე, რომ ეს მოთხოვნილება არის მოთხოვნილება ნაციონალური ავტონომიისა და ფედერაციისა და არა სოციალისტური ავტონომიის და ფედერაციისა, ჩვენ კი სოციალისტ-ფედერალისტები ანარქისტები ვართო გვეუბნებიან. სოციალისტური ფედარიცია და ავტონომია კი გულისხმობს ავტონომიას პიროვნებისა, შეჯგუფებისას (группировок), ასოციაციებისას წარმოებისას და მათ ფედერაციას და მაშასადამე უარჰყოფს ყოველ სახელმწიფოებრივ და ნაციონალისტურ—იძულებითი ორგანიზაციას.

ყველა ამასთან ჩვენ სოციალისტები ვართ, ერთი პარტია და არა ორი პარტია ერთად შეკავშირებული ერთი დემოკრატიული პროგრამით და მეორე სოციალისტურით. ყოველი ნამდვილი სოციალისტური პარტია, რომელიც პოლიტიკას არ ემსახურება უნდა იყოს ერთპიროვანი და არა ორპიროვანი, როგორც სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ორი პროგრამა, დემოკრატიული და სოციალისტური აქვთ და თავს კი ერთ პარტიად სთვლიან.

ყოველი ეროვნული კითხვა არის კითხვა კულტურული (და არა წინააღმდეგ—ყოველივე კულტურული არ არის ნაციონალური. ავტ. შენ.) და ეროვნება იმოდენად არსებობს, რამოდენადაც კულტურა მის მიერ ნაწარმოები ამბობენ სა-

ზოგადოთ სოციალიზმის და „კლასთა ბრძოლის“ მოწინააღმ-
დეგენი. მაგრამ ყოველი კულტურა როგორც ნაწარმოები
შექმნილია მწარმოებლების მიერ და გაფლანგულია ექსპლოა-
ტატორების მიერ, მაშასადამე ნაცია, როგორც კულტურის
შემქნელი, მწარმოებელი არის მწარმოებელთა დასი და არა
გაბატონებული კლასი, რომელიც სარგებლობს ეგრედ წო-
დებული ნაციონალური კულტურით სახელმწიფოის—იძუ-
ლების—საშვალებით და თვით არაფერს არ ჰქმნის, არა ისი-
ნი ვინც მხოლოდ ექსპლოატაციით, თავისი კლასიური, პო-
ლიტიკური—იძულებითი—ინტერესებით სცხოვრობენ, რომ-
ლებისთვინაც კლასიური მონობის ორგანიზაცია მიზანია და
ექსპლოატაცია კი მოტივი, მაშინ, როდესაც „ნაციონალური“
კულტურის შემქნელთა მოტივი კლასიური მონობაა და მიზა-
ნი კი სოციალური თავისუფლებაა.

ნაციონალური კითხვა იგივე სოციალური კითხვაა, მა-
გრამ ამასთანავე წარსული სოციალური კითხვა, რომელსაც
მნიშვნელობა იმდენი აქვს, რამოდენადაც ის დაკავშირებუ-
ლია დღევანდელ სოციალურ ბრძოლაში ხან რეაქციასთან და
და ხან რევოლიუციასთან, რადგან ის არის უკვე მომაკვდა-
ვი ფორმა სოციალური ბრძოლისა, ისე როგორც სარწმუ-
ნოება. ნაციონალიზმი თუნდაც ავტონომისტ-ფედერალის-
ტური ძველი, დაკარგული ბატონობის ნაშთია, რომელიც
სცდილობს გამოღვიძებას. ნაციონალიზმი სახელმწიფოის სა-
ერო ეკლესიაა, რომლის სარწმუნოება პატრიოტიზმია. სანამ
სახელმწიფოებრივი წესწყობილება იქნება, მანამ ნაციონა-
ლიზმი და მისი სარწმუნოება პატრიოტიზმი მუდამ იქნება,
ნაციონალური კითხვა მოისპობა სახელმწიფოსთან—იძულე-
ბასთან—და ეკონომიურ ექსპლოატაციასთან ერთად მაშასა-
დამე ყოველი სხვა საშვალება ნაციონალური კითხვის გადა-
საწყვეტად არა თუ შეუსაბამოა, არამედ პირდაპირ ხელს უშ-
ლის მის გადაწყვეტას, უფრო ახანგრძლივებს მის ევოლიუცი-

ას ფედერაცია და ავტონომია, როდესაც მისი შინაარსი ნაციონალურ-ტერიტორიალურია და არა საზოგადოებრივი წარმოება, სოციალიზმი არის იგივე სახელმწიფოებრივი ავტონომია და ფედერაცია, ბატონობის ექსპლუატაციის ავტონომია და ფედერაცია; თუ ამასთანავე შინაარსი და პოლიტიკური ფორმა დემოკრატიულია და მოყვანილი არიან ურთიერთობაში ავტონომიის და ფედერაციის საშვალებით, მაშინ დემოკრატიული შინაარსი, როგორც უმაღლესი, უკეთესი და მოხერხებული იარაღი ბურჟუაზიისა სოციალური შინაურ არსებობის ბრძოლაში ერთი მხრით, და ფედერატიული და ავტონომიური ურთიერთობა გარეშე ამ დემოკრატიული შინაარსისა მეორე მხრით, წარმოადგენენ მით უფრო რეაქციონურ მიდრეკილებას და ძალას წინააღმდეგ სოციალიზმისა, რამოდენათ ეს წესი, იარაღი ბურჟუაზიული ექსპლოატაციისა უფრო მაღლა სდგას ძველ ბურჟუაზიულ წესზე და იარაღზე, რომელსაც ბურჟუაზია ხმარობდა თავის მიერ აგებული სოციალური მონობის ციხე-სიმაგრის დასაცავად.

ყველა ეს უკუღმართობა ჩვეულებრივია პირველი პროგ. პროექტისათვის, ხოლო ის ამით არ არის კმაყოფილი და მიისწრაფვის არა ჩვეულებრივისაკენ, სასწაულისაკენ—ის ან აზროვნების დონკიხოტობაა, ან სასწაულთ მოქმედებაა აზროვნებაში და ლოგიკაში.

ის ამბობს, რომ „სინდიკალიზმი ძლიერი იარაღი შეიქნა“ მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში... ამავე დროს „სინდიკალიზმი ამზადებს ნიადაგს მომავალ სოციალისტურ რევოლიუციისათვის...“ მაშასადამე, პირველი პროგრ. პროექტს სწამს „რევოლიუციონური სინდიკალიზმი“, ეს ცხადი და მართალია. პირველ პროგრ. პროექტს სწამს ნაციონალური ავტონომია, ეს მეორე სიმბოლოა მისი სარწმუმოებისა, ესეც მართალია.

მას სწამს ნაციონალური თავისუფლება სოციალიზმის და სოციალური რევოლიუციის განხორციელებამდის—ეს მესამე სიმბოლოა მისი სარწმუნოებისა, ესეც მართალია. მას სწამს, მაშასადამე, ნაციონალური ბრძოლა განთავისუფლებისათვის სახელმწიფოებრივი ფორმით და ბრძოლა ამ გვარ ფორმის შერჩენისათვის—ეს მეოთხე სიმბოლოა მისი სარწმუნოებისა, ესეც მართალია. მას სწამს სინდიკალური ბრძოლა—ეს მეხუთე სიმბოლოა მისი სარწმუნოებისა, ესეც მართალია. მას სწამს კლასობრივი ბრძოლა (ძირით. პრინც. § 9 გვ. 48)—ეს მეექვსე სიმბოლოა მისი სარწმუნოებისა, ესეც მართალია.

ვნახოთ ეხლა რა სწამს პროგრამის ისეთ პროექტს, რომელსაც ყველაფერი სწამს, რომელიც თავის სიხარბით ლამის სოციალურ ჰარტეისტათ გადაიქცეს. მას სუყველაფერი სწამს, ყველა უკულმართები, მას არაფერი სწამს, რადგან ყველაფერი სწამს; ასეთია ბოლო ყოველი პანტეიზმისა.

ნაციონალური ავტონომია—თავისუფლება (ფედერაცია მათი აზრით ნებაყოფლობითია), როგორც ტერიტორიალური (როგორც ეს პირვ. პროგრ. პროექტს სწამებს), არის სახელმწიფოებრივობის რწმენა თუნდაც ის უკიდურესად დემოკრატიული იყოს. ნაციონალური ბრძოლა თავის ტერიტორიის შერჩენისათვის გადაიქცევა სხვისი ტერიტორიის დაპატრონებისათვის ბრძოლათ, რადგან ყველაფერი ან იზრდება ან უკან იწევს. თუ ეგრედ წოდებულმა „ნაციამ“ შეირჩინა „ნაციონალური თვისება,“ რომლისთვინაც სოც. ფედერალისტები და მათი პროგრ. პირველი პროექტი იღვწიან, მაშინ ცხადია საქმე წარმატებაში და ზრდაშია, ამ შემთხვევაში კი ის დაეტაკება მეზობელ თავის მსგავსსავე პირობებს და დაიწყება სწორედ იმისთვის ბრძოლა, რაც უკვე მიღწეულად იყო მიღებული—ამ გვარია ნაციონალური პრინციპი და მისი განხორციელების პირობები, ამ გვარია ნაციონალური ცხოვრება, რომელის ისტორია ძლიერ ჰგავს მღვდლის ძაღლის

ისტორიას, თუ მღვდელს ჰყავდა თავისი ძაღლი, რათ არ უნდა ჰყავდეს ვითომ სოციალ-ფედერალისტებსაც. ამ გვარად ნაციცნალური არსებობა ყოველ თავის სახით მიუცილებლად არის ან შინაური ან გარეშე მილიტარიზმის მიჩნევა, რადგან ის განუყრელად დაკავშირებულია კერძო საკუთრების პრინციპთან და მის პრაქტიკასთან. კლასობრივი ბრძოლა კი უარყოფაა ყოველ გვარი მილიტარიზმის (სახელმწიფოებრივი ბრძოლა) და ნიჩნევაა სამოქალაქო ომის ანუ უკეთ სოციალურ ომის (რევოლიუციონური ძალის ხმარება) იმ ორ საზოგადოებათა შორის, რომლების საერთო სახელი არის „ნაცია“, ე. ი. სიმბოლო, რომელშიდაც შეერთებულია—და სოციალურ მოვლენათა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სოც. ფედ. სარწმუნოების სიმბოლოების უკულმართ ხასიათებიდგან და ნათქვამიდგან ცხადია, რომ „ნაციონალური ბრძოლა“ უარყოფაა კლასობ ივ ბრძოლის, სოციალურ ომის და მაშასადამე რევოლიუციონური სინდიკალიზმის.

ცხადია, როგორც თვით ქვეყნის არსებობა ბრუნვა, რომ ნაციონალიზმი და ნაციონალური ბრძოლა (რომელიც აუცილებელია სოციალიზმამდის რადგან „ნაციონალური“. განთავისუფლება სოციალიზმამდე უნდა გადაწყდეს ს.-ფედ აზრით ტერიტორიალური ავტონომიის ფორმის სახით) უარჰყოფს სინდიკალიზმს (სოციალიზმსაც) და რევოლიუციონურ სინდიკალურ ბრძოლასაც—კლასობრივ ბრძოლას და წინააღმდეგ. საოცარ პროექტს პირვ. პროგრამისას სურს შეარიგოს შეურიგებელნი, მოათავსოს მოუთავსებელნი: ღმერთი და ეშმაკიც, წალმართი ⊗ უკულმართიც, მოაქციოს ერთი ლოლიკური სარქვევლის ქვეშ ბრძოლა და მისი უარყოფა, სოციალიზმი და ეტატიზმი, რევოლიუცია და ლეგალიზმი, მწარმოებელი და პარაზიტული კლასები მისნურ და კაბალისტურ „ნაციის“ კოლბაკში, ნაციონალურ უჩინმაჩინის ქუდის ქვეშ. ერთად ერთი დასკვნა, რომელიც შეეფერება ამ გვარ პროცე-

დურას შესდგება იმაში, რომ პირველი პროგრამ. პროექტი ან სოციალური სასწაულთ მომქმედია, ან დონკიხოტია აზროვნებაში და ლოლიკაში.

ეხლა ვნახოთ როგორია პირ. პროგრ. პროექტის ძირითადი პრინციპები და რას ემსახურება ის, ან რა სამსახური შეუძლია იმათ როგორც შუშა იდეებს გაგვიწიონ სოციალური კითხვების და ფაქტების ახსნაში.

პირველი მუხლი პირ. პროგ. პროექ. გვეუბნება, რომ „სოც.-ფედ. პარტიის მიზანია განთავისუფლება მშრომელ ხალხისა ეკონომიურის, პოლიტიკურის და ეროვნულის დამონებისაგან.“. ცხადია აქედგან, რომ პარტიამ სახელი „სოციალისტური“ უნდა მიითვისოს იმიტომ, რომ მას ნათქვამი აქვს განთავისუფლება მშრომელი ხალხისა ეკონომიური და პოლიტიკური“ დამონებისაგან, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეს ხალხის მისაზიდავი საკენკია მისთვის და ამასთანავე თავის ბურჟუაზიული და ნაციონალისტური სიშიშვლის დასაფარავად, რადგან სადღეისო პროგრამა, პროგრამა მინიმუმი შესდგება იმაში (29 გვ.) რომ „უმახლობელესი მიზანი სარევოლიუციო მოძრაობისა რუსეთში არის ხალხის განთავისუფლება (რა, რომელი ხალხის? ერთი ჰკითხეთ თავს მაინც! ავტ. შენ.) პოლიტიკური ბორკილებისაგან, სამოქალაქო თავისუფლების მოპოვება და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება“, და ამის შემდგომ იგივე „პროგრამა“ მე-1± მუხლში პროგრამა მინიმუმისა (50 გვ.) თხოულობს „საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტომომიას“, ე. ი. ავტონომიურ საქართველოს სახელმწიფოს. მაშასადამე, ნაციონალური ავტონომია და დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთშიაც და თვით ავტონომიურ საქართველოს სახელმწიფოში წარმოადგენს სადღეისო პროგრამას, ე. ი. პროგრამა მინიმუმს[1]), ისეთ მიზანს რომლისთვისაც ჩვენ დღეს ბრძოლა უნდა

[1]) მინიმუმის თაობაზე ჩვენ უკვე ბვქონდა ლაპარაკი.

გავაბათ რეაქციასთან და რომელიც ამიტომ უფრო უმთავრესია ჩვენთვის დღეს, როგორც სადღეისო. თუ მაშასადამე ეროვნული და ბურჟუაზიული მიზანი მიღებულია, როგორც უფრო მიუცილებელი და უფრო სასჩქარო, მაშინ ეს მინიმუმი მიზნები უფრო მთავარია უფრო ფასიანი ვრიან დღეს ჩვენთვის, ვინემ სოციალიზმი, რომელიც ამ გვარი წინასწარი მინიმუმი-მიზნების უმეტესი და უახლოესი საჭიროების მიერ გადატანილი არის შორეულ მომავლის გამოურკვევლობაში და დაშორებულ საჭიროებათა სიაში. ყოველი ადამიანისთვის თავის თავის პერანგი უფრო ახლოა მის სხეულზე, ვინემ სხვისი. შეიძლება „სოციალისტ-ფედერალისტთა“ სახელის უზურპატორებისთვის სოციალიზმი მეორე, მესამე მეათე და სხვა რიგის საჭიროებას წარმოადგენს, ე. ი. პროგრამა მაქსიმუმს და დემოკრატია და შოვინიზმი ცუდათ დაფარულ პროგრამა მინიმუმს, მაგრამ სწორედ იმ მშრომელ ხალხისთვის, რომლის ტანჯვის ცქერა „სოციალ.-ფედერ“. არ მოსწყენიათ, პროგრამა მინიმუმს და მაქსიმუმსაც სოციალიზმი წარმოადგენს, რადგან მხოლოდ მისი განხორციელებისათვის ბრძოლა გამოიწვევს ან მის განხორციელებას ან მის მინიმუმს, აბსოლიუტური მაქსიმუმისთვის მას არ სცალია და არც აქვს პრეტენზია სოციალური აბსოლიუტური მაქსიმუმის ცოდნისა როგორც აქვთ მორწმუნეებს სამოთხის რწმენა—ცხოვრების ბედნიერების აბსოლიუტური მაქსიმუმის რწმენა—ის ურწმენოა მომავლისა და ემყარება მხოლოდ ეწმეოს ცოდნაზე.

პირველი მუხლი ეროვნული დამონაკების სახით აბნელებს და ახანგრძლივებს სოციალიზმის საქმეს და ამ სიბნელეში, რომელშიდაც ის ახვევს სოციალიზმს, ასწრაფებს თავის შოვინისტურ სიშიშვლის გახვევას დემოკრატიულ კარიერაში.

მეორე მუხლი ამბობს, რომ მშრომელი ხალხი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება, როდესაც ის განთავისუფლდებაო,

მისი აზრით დანგრევა ციხისა და ტყვეების გამოშვება ამ ციხიდგან არის ტყვეების განთავისუფლება. სოციალიზმი მაშინ განხორციელდება, როდესაც „მშრომელი ხალხი დაანგრევს თანამედროვე ჯერ კიდევ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივს ორგანიზაციებს და დაამყარებს სოციალიზმს“. ეს ჩვენც ვიცით და თვით ბურჟუებმაც, მაგრამ ამ გვარი ცოდნით არავის თავი არ გასიებია ტყუილათ კი არ ამბობს კანტი ამისთანა პოლიტიკურ ვაჭრებზე ზედ გამოჭრილ სიტყვებს, რომლითაც ვაჭარი თავის დღეში ვერ გამდიდრდება, თუ მან თავის კასის ჯამის მაჩვენებელ ციფირებს მოუმატა მარცხნით ნულები.

პირ. პრ. პრ. მესამე მუხლი ამბობს, რომ „სოციალიზმი იგულისხმებს სიმდიდრის, განსაკუთრებით კი საწარმოო იარაღების (ქარხნების ფაბრიკების მიწის, ბანკების, საკრედიტო დაწესებულებისა [1]) გადაქცევას საერთო საკუთრებათ და გაუქმებას ამ სიმდიდრის დანაწილებისას კერძო საკუთრებათ; სოციალიზმი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია შრომისა და მეურნეობისა.“ სოციალიზმი თავის დღეშიაც არ გულისხმობს ბანკების და საკრედიტო დაწესებულებათა გადაქცევას საერთო საკუთრებათ, რადგან სოციალიზმი, როგორც წინააღმდეგი ბურჟუაზიული წარმოების წესისა, საშვალებისა, სრულიად უარყოფს და აუქმებს ბანკებს და საკრედიტო დაწესებულებებს, ვინაიდგან ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები მხოლოდ მაშინ არსებობენ, როდესაც ბურჟუაზიული წესია გაცვლა გამოცვლისა და როდესაც ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენს ამ გაცვლა გამოცვლის შინაარსს. ამას გარედ საწარმოო იარაღებში არ შედის ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები საწარმოო იარაღები სიმდიდრეს წარმოშობენ და არ ზომავენ, მაშინ როდესაც ბანკები, და საკრედიტო დაწესებულებები კი ამ ნაწარმოების სიმდიდრის საზომი დაწესებულებანია,

---

[1]) ფრჩხილებში „პროგრამისაა“.

სოციალიზმი კი უარყოფს ყოველ გამზომველ და გამნაწილებელ დაწესებულებათ, მაშასადამე ბანკები და საკრედიტო დაწესებულებანი სოციალიზმს არ მიაჩნია საჭიროდ არც კერძო საკუთრებათ და არც საერთოდ, არამედ ის ხორცმეტად მიაჩნია წარმოებაში და ამიტომ უარყოფს მათ.

თუ ამ მუხლს დავეთანხმებით, და არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ იმაში, რომ „სოციალიზმი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია შრომისა და მეურნეობისა, მაშინ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომლითაც სოციალიზმი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა შრომისა და მეურნეობისა და მაშასადამე უარყოფაა სახელმწიფოებრივი შრომისა და მეურნეობის იძულებითი ორგანიზაციისა რადგან შეუძლებელია ისეთი საზოგადოება, კავშირი, რომელშიდაც კავშირის, საზოგადოების წევრები ერთი მეორეს აიძულებენ, ე. ი. ებრძოდენ, იქ სადაც ბრძოლაა, არ არის საერთო შემაერთებელი ინტერესი, სადაც ბრძოლა თავდება იქ იწყება საზოგადოებრივობა და უკუღმა.

მეოთხე მუხლი პირდაპირი წინააღმდეგია ამ უკანასკნელი დასკვნისა. ის ამბობს, რომ „სოციალიზმი გაუქმებს კლასთა ბრძოლას, დაუკარგავს სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, კლასიურ ბრძოლისა და ბატონობის დაწესებულების ნაცვლად სახელმწიფო გადაიქცევა კულტურისა და სოლიდაროობის იარაღათ.“ ეს პარაგრაფი ნამდვილი ხაოსია სიტყვებისა და წარმოადგენს ფაქტების და რეალურ მოვლენათა ბუნების დამახინჯებას, თუ სოციალიზმი კლასთა ბრძოლას მოსპობს, მაშინ სახელმწიფოც უნდა მოისპოს, რადგან სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაციაა, როგორც ამას „პროგრამა“ აღიარებს (გვ. 32) და იქ კი სადაც ძალდატანებაა უსათუოთ არსებობს ბრძოლა, დამმორჩილებელნი და დამორჩილებულნი, ბატონები და მათი ხელ ქვეითნი, მაშასადამე არსებობენ კლასები ექსპლოატატორებისა და იმათი, ვინც ამ

ექსპლოატაციას განიცდის. ეს საარაკო „პროგრამა“ იმას კი არ ამბობს, რომ მომავალში სახელმწიფო—იძულებითი ორგანიზაცია საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქნებაო, პირიქით იმას მიუცილებლად მიაჩნია იძულება მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში და ამის შემდეგ „პროგრამის“ მიუწდომელ სიღრმეს უნდა მივაწეროთ აზრი, რომლითაც სახელმწიფო, თუმცაღა მომავალშიც იძულებითი ორგანიზაცია იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა დღევანდელ „კლასიურ ბრძოლისა და ბატონობის დაწესებულების ნაცვლად გადაიქცევა კულტურისა და სოდიდარობის იარაღად.“ თუ სახელმწიფო, რომელიც დღეს მაიძულებელია, მომავალშიდაც მაიძულებელი იქნება, მაშასადამე იძულებულნი და მაიძულებელნიც იქნებიან, წინააღმდეგ ამისა სახელმწიფო აღარ იქნება და თუ იძულებულნი და მაიძულებელნი იქნებიან, მაშინ კლასიური ბრძოლაც იქნება და თუ ბრძოლა იქნება, იქნებიან ძლეულნი და გამარჯვებულნიც—ისევ ის ვითარება, რომელსაც დღეს ვხედავთ მხოლოდ მომავალ სოციალური დრამის როლების ამსრულებელნი შეიცვლებიან. ჩვენ კი ჩვენი აზრით თვით პიესა მიგვაჩნია ყოველ კულტურულ მნიშვნელობას მოკლებულად და გვგონია, რომ ის გადავარდეს მომავალი სოციალური სცენის რეპერტუარიდგან.

ნათქვამს უნდა მიუმატოთ, რომ სახელმწიფო და მთავრობა—იძულება მიზეზია ყოველი უთანასწორობისა და სხვათა შორის კლასთა წარმოშობისა, მაშასადამე, უნდა მოისპოს მიზეზი კლასთა არსებობისა და მხოლოდ მაშინ მოისპობა კლასსიური წინააღმდეგობანიც.

მოთხოვნილებანი ბიოლოგიური და ეკონომიური არსებობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებელ მოქმედებით არსებობისთვის ბრძოლაში გამოიხატებიან, მაგრამ დიფერენციაცია, ხასიათი დამაკმაყოფილებელ მოქმედებისა, არსებობისთვის ბრძოლისა შედეგია წესის, რომლის საშვალები-

თაც ეს დაკმაყოფილება, ეს ბრძოლა სწარმოებს, თუ წესი წარმოადგენს ბუნებრივ შერჩევას, იძულებას მოკლებულ კავშირებს, მაშინ ყოველი ჩაგვრა კავშირის შიგნით უარყოფილია და მთელი სოლიდარული ენერგია კავშირისა მიმართულია გარეშე დაბრკოლებათა დასაძლევათ და თუ ბრძოლა არსებობისთვის სწარმოებს ხელოვნური შერჩევით, ხელოვნური იძულებითი საშვალებით, მაშინ იძულებით შეკავშირებულთა შორის სწარმოებს მათი ენერგიების, მოქმედებათა წინააღმდეგობა, გამოკლება, ერთი მეორესაგან და ამგვარად შემცირებული ძალა მიმართულია მთელი ნაძალადევი კავშირის ცხოვრების მოთხოვნილებთა დასაკმაყოფილებლად არსებობისათვის ბრძოლაში. პირველი წესი ბრძოლისა უფრო გულისხმობს თანამშრომლობას და თანა ზიარობას არსებობისთვის ბრძოლაში და მეტად ეკონომიურია, რადგან წარმოადგენს იმ უმეტეს ჯამს ძალებისას დამაბრკოლებელ პირობათა წინააღმდეგ, რომლების წინააღმდეგაც მიმართულია ის არსებობისთვის ბრძოლაში—წარმოადგენს თავისუფალი, სოლიდარული კავშირის თვითეული წევრის ძალის უმცირესი ხარჯით უმეტეს ნაყოფით სარგებლობას, მაშინ როდესაც მეორე წესი, იძულებითი წესი, გულისხმობს წინააღმდეგ პირველისა თანაზიარობის მაგიერ ანტაგონიზმს, თანამშრომლობის მაგიერ შრომის მორჩილებას არსებობისთვის ბრძოლაში თავის შიგნით, და მეტათ მოჯანგველია, რადგან წარმოადგენს უმცირეს ჯამს ძალებისას იმ დამაბრკოლებელ პირობათა წინააღმდეგ, რომლების წინააღმდეგაც მიმართულია ის არსებობისთვის ბრძოლაში—წარმოადგენს იძულებული საზოგადოების თვითეული ძალის უმეტეს ხარჯით უმცირეს ნაყოფით სარგებლობას.

მაშასადამე, ცხადია თუ წესი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, თუ წესი იძულებითი საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ წარმოებისა არ იქნა შეცვლილი, მაშინ მხოლოდ იმავე შინაარსის ახალ განვითა-

რებასთან გვაქვს საქმე და არა რადიკალურ ცვლილებასთან, როგორც ფორმის ისე შინაარსის მხრივ.

მეექვსე ძირითად „პრინციპზე“ არაფერი ითქმის ბევრი, რადგან ის მხოლოდ დუქნის „ვივესკის“ როლს თამაშობს, იმიტომ რომ უქებს სოციალიზმს, როგორც მშრომელ ხალხს ისე ბურჟუებსაც. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ „პროგრამას“, რომ სხვისი ნათქვამის გაურჩევლად განმეორება ხშირად ადამიანს სასაცილო და ხან საბრალო მდგომარეობაში აყენებს.

გასული საუკუნის ბურჟუებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი განთავისუფლება მონარქიულ, კლერიკალურ და ფეოდალურ უღლისაგან მოასწავებდა მთელ ხალხის განთავისუფლებას. მთელი კაცობრიობა განთავისუფლდება სოციალიზმის დამყარებით თუა არა, ეს მხოლოდ სოც.-დემოკ. და სოც.-ფედ. პარტიის წინასწარმეტყველთა საქმეა.

„პროგრში“ ამასთან ერთად გამოთქმულია ის აზრი, რომ „სოციალიზმი წარმოშობით კლასიურია, იდეალით კი, რომელსაც ანხორციელებს ანტიკლასიურია“, ე. ი. სოციალიზმი დაბადებით კლასიურია, მაგრამ, როდესაც მისი კლასიური მდგომარეობა განვითარდება, მოკვდება და შემდგომ ამის ის ხელ ახლა ხორცს შეისხამს, ხელ ახლა დაიბადება, მაშინ ის თავის კლასიურ პერანგეს დატოვებს, კლასიურ კაპიტალისტურ საზოგადოების მუცელში და მოვა ამ ქვეყანათ ანტიკლასიურ სოციალისტურ წითელ პერანგში—კლასიურიდგან ანტიკლასიური გადაიქცევა, ცოტა არ იყოს დიალექტიურ ატავიზმს ჰგავს, მაგრამ ატავიზმიცაა და ატავიზმიც; წინაპრის თვისებები ხშირად შეხვდება ადამიანთა შთამომავლობაში, ეს ცხადია, მაგრამ სასურველი კია, რომ თუ განმეორებაა მაინცა და მაინც, კარგი თვისებები მაინც განმეორდეს. სოციალიზმი არასოდეს კლასიური არ ყოფილა და არც არის, რომ არ იქნება ამაში „პროგრამაც გვეთანხმება. არ ყოფილა,

რადგან ის კლასთა არსებობას წინ უსწრობდა, უფრო ადრე არსებობდა, თუმცა ღა დაბალ საფეხურზე იდგა, არ ყოფილა კლასიური, რადგან ფეოდალურ წესწყობილების დროს ცხადად იჩენდა თავს, არ არის კლასიური ჩამომავლობით, რადგან ის დღევანდელ კლასიურ წესწყობილებასთან ერთად არსებობს, ებრძვის ამ კლასიურ წესს და უნდა სრულიად მოსპოს ის, რაც შეუძლებელია ამ გვარ ჩამომავლობასთან ერთად, იმიტომ რომ მაშინ საზოგადოების და მომავალ ანტიკლასიურ სოციალიზმის შორის იქნებოდა რამე საერთო, რომელიც შეაერთებდა რომელიმე წერტილში დღევანდელ **შებრძოლთ სოციალიზმისათვის** და დღევანდელ ძტრებს სოციალიზმისას—პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის კი ბრძოლის მეტი არაფერია საერთო—**სოციალიზმი კლასიურია ბრძოლის სასიათით.**

მეექვსე მუხლი კიდევ თუთიყუშივით იმეორებს სხვის აზრებს და ამბობს, რომ „ეს აქტი სამართლიანი არის, რადგან სიმდიდრე ან ბუნების უსასყიდლო საჩუქარია, **ან შრომის ნაყოფია**“ „გაბატონებული კლასები კი არ შრომობენ“, მაშასადამე, ის რაც **ბირუტყვების ნაშრომია** არ ეკუთვნის ადამიანებს, მაგრამ მაშინ კაცობრიობას დიდი ხიფათი მოელის, თუ იმათ ვინც არ მოიპოვა შრომით, არაფერი აჭამეს, მაშინ „პროგრამის“ მწარმოებელი უარეს შემთხვევაში მოკვდებოდა და უკეთესში სრულიად მშიერი დარჩებოდა, თუ რასაკვირველია ეს ორივე შემთხვევა ერთი და იგივე არ არის.

მეექვსე მუხლი პირ- პრ. პრ. ბოლოს ამბობს, რომ „საწარმოვო იარაღების ჩამორთმევა აუცილებლად უნდა მოხდეს **რევოლიუციონურის** გზით, ე. ი. ძალით, რადგან საწარმოვო იარაღების ეხლანდელი პატრონი **თავიანთ ნებით** ერასოდეს ხელს არ აიღებენ კლასიურ ბატონობაზე“, შეადარეთ ეს სიტყვები პროგრამის 26 გვ. პირველ ექვს სტრიქონს ზევიდგან და დაინახავთ სრულ წინააღმდეგობას ამ ორ ადგილი-

სას. პროგრამა გაჩხირულია შუაზე და არ იცის რომელი არჩიოს, პარლამენტარიზმი, ევოლიუციონური სოციალიზმი, თუ რევოლიუციონური; სწორედ ისეთ მდგომარეობაშია როგორც შეყვარებული ცოლიანი კაცი, რომელმაც არ იცის ცოლი მიატოვოს თუ ახალი საყვარელი; მაგრამ შესაძლებელია მესამე შემთხვევაც არც ცოლი მიატოვოს და არც საყვარელი.

პროგრამაც ასე ირჯება მეექვსე მუხლის ბოლოში რევოლიუცია შეიყვარა და ცოტა ადრე პროგრამის 35 და 36 გვ. პარლამენტარიზმს შეუუღლდა განუყრელად.

თუ კაპიტალისტები „თავიანთ ნებით არასოდეს ხელს არ აიღებენ კლასიურ ბატონობაზე, მაშინ ცხადია არ აიღებენ ხელს არც პარლამენტში ბატონობაზე თავის ნებით, თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში, რომ პარლამენტში უწინ ყოველთვის ბურჟუების უმრავლესობაა, ე. ი. უძლიერესი, მაშინ ცხადია, რომ ბურჟუები არ მისცემენ თავიანთ ნებით ისეთ კანონებს, რომელიც მუშის მდგომარეობას აუმჯობესებდეს, რადგან პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესება უძლიერეს მოწინააღმდეგის მიერ იქნება თავის თავის დამარცხების ხელის შეწყობა (პროგრამა 36 გვ. ამბობს, რომ პარლამენტი დიდ სამსახურს გაუწევს სოციალიზმსო), თავის თავის დამარცხების ხელის შეწყობა კი ან სიბრიყვის საქმეა, ან ნება ყოფლობითია; ეს უკანასკნელი შემთხვევა კი უარყოფილია „პროგრამის“ მიერ და დარჩა ბურჟუაზიის სიბრიყვე, რომელმაც სოციალიზმი უნდა დაამყაროს; მაგრამ ცხადია ბურჟუაზიის დიდი გამოცდილება და ჭკუა, რომლითაც მან სოციალიზმს პარლამენტში ამოაყოფია თავი, ცხადია, ბრიყვმა იმოდენი ჭკუა გამოიჩინა, რომ ჭკუიან სოც.-დემოკრ. და ეხლა გაჭკუიანებულ „სოც.-ფედერალისტებს“ უჩვენა პარლამენტის გზა, რომელსაც შეჰყავს მისი „მტერი“ სოც.-დემ. და „სოც.-ფედ.“ იმ ციხეში, რომელშიდაც გამაგრებულია ბურჟუაზია ამ გვარ ჭკუიან „მტრების“ მოლოდინში.

იქნებ ჩვენ სოციალურ ბრძოლის „ტაქტიკოსებს პარლამენტარული წესი ბრძოლისა ჰგონიათ საალყო წესი და რევოლიუცია კი შტურმი, მაგრამ საუბედუროდ სოციალურ ბრძოლის სპასალარების მსგავსება პარლამენტარულ ბრძოლისა და საალყო წესის შორის მხოლოდ იმაშია, რომ ისინი ორივე ხანგრძლივი არიან და მეალყეთა იარაღი დანგრევისა განსხვავდება იმოდენად, რამოდენადაც ზარბაზნის ყუმბარა ჰაერისაგან, რომელსაც პარლამენტარები თავიანთ ბრტყელი და მოქნილი ენით ანძრევენ ბურჟუაზული ციხის წასაქცევად.

მეშვიდე მუხლი ამავე პროგ. ერთი მეორეში ურევს სახელმწიფოს და ფედერაციას. ის ამბობს, რომ „უძლიერესი ფედერაცია, უკეთ რომ ვთქვათ, კონფედერაცია, იქნება სახელმწიფო“. ფედერაციას და სახელმწიფოს შორის არაფერი საერთო არ არის. ფედერაცია, თავისუფალი კავშირია—სახელმწიფო კი იძულებით კავშირია, ამ ორ მცნების შორის დიდი ზღვარია.

მერვე მუხლი რევოლიუციის ხანგრძლივობას უფრო მოსალოდნელად ხდის. ხანგრძლივი რევოლიუცია ევოლიუცია არის, მაშასადამე აქ რევოლიუცია ვადაქცეულია ევოლიუციათ და ამ უკანასკნელით კი რევოლიუცია უარყოფილია, **რევოლიუციაა დრო და სივრცის შემოკლება (сокращеніе) არის ევოლიუციაში** და არა ხანგრძლივობა ცვლილებათა ანუ ევოლიუცია.

მეცხრე და მეათე მუხლები ერთი მეორეს უარყოფენ: მეცხრე მუხლში პროგრამას უნდა მშრომელი ხალხის ინტერესები დაიცოს (მშრომელია პოლიციელი, ჟანდარმი და სალდათი, იქნება ამათი ინტერესების დაცვაც სურს „პროგრამას?“), მაგრამ ამ დაცვის საშვალებების ძებნაში უცებ მეათე მუხლში „პროგ“, წააწყდება რუსეთის პოლიტიკურ კუზს, ანუ თვითმპყრობელობას და დაიწყებს ამ კუზის ექიმობას და იმოდენათ ერთობა ამ მოღვაწეობაში, რომ ხელში

შერჩება დემოკრატიული რეცეპტი, რომელსაც ამ დროს შემოსულ ძველ კლიენტს, სოციალიზმს მიაჩეჩებს ხელში. თუ სოციალიზმი უნდა დავამყარეთ, მაშინ სხვის სამეფოში უკვდავების წყაროს ძებნა მეტია. სოციალიზმს თავის საშვალებაც მრავალი აქვს და ისეთებიც, რომლებიც ძლიერ ბასრი არიან, თუ მოხმარებულ შესწავლილ იქნა წესიერად; მას არ სჭირია ბურჟუაზიას დაესესხოს, რადგან ის არავის მოვალე არ უნდა იყოს.

მეთერთმეტე მუხლი პირდაპირ უარყოფს ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტის შესაძლებლობას სოციალიზმის დამყარებამდე, მაშასადამე უარყოფილია ამით „პროგრამის“ მიერვე წამოყენებული საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია და ფედერაცია, ნაციონალური ავტონომია და ფედერაცია; ამ მუხლის ბოლოში კი ისევ ისე წამოყენებულია ესევე ავტონომია, რადგან ეს უკანასკნელი ჯერ ჯერობით „მანამდე“ არის საჭირო; გეგონებათ ავტონომია საქართველოსი სადილად დამჯდარ „სოციალისტებს“ არაყის მაგიერად უნდათ გამოიყენონ.

პარაგრაფი თავდება დეცენტრალიზაციით, დემოკრატიზაციით და თითქმის ასენიზაციით, კანალიზაციით და პაგანიზაციით.

რაც შეეხება დეცენტრალიზაციას უნდა მოგახსენოთ „პროგრამას“ და მთელ მის ბუქსირს, რომ დეცენტრალიზაციას მნიშვნელობა მხოლოდ ცენტრალიზაციასთან აქვს, რადგან დეცენტრალიზაცია ცენტრალიზაციის უარყოფა არ არის. მაგრამ ცენტრალიზაციის უარმყოფი უარყოფდეს უნდა დეცენტრალიზაციასაც; დემოკრატიზაცია მხოლოდ არისტოკრატიზაციასთან ერთად არსებობს და ამიტომ ორივე ერთი მეორეზე საზიზღარი და არა ბუნებრივია, ორივე პოლიტიკური იძულებითი კრატია არის.

რაც შეეხება ასენიზაციას ცხადია ეს ძლიერ საჭიროა

„სოციალისტ“-ფედერალისტთა „სარევოლიუციო“ პარტიისათვის, რადგან შით ისეთი ელემენტები მოყვნენ და გაერივენ რომლებიც საბოლოოდ ადრე თუ გვიან მოსწამლავენ პარტიას, როგორც ეს ჩანს დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით არავითარი საშვალება რევოლიუციონერისთვის და სოციალისტისთვის პატივსადები არ დავზოგოთ და ვეცადოთ სოციალისტ-ფედერალისტ სარევოლიუციო პარტიის სახელით ექსპლოატაციას ხელი შეუშალოთ ყოველივე ჩვენთვის და ჩვენი მიზნისთვის პატივსადები საშვალებით.

რაც შეეხება კანალიზაციას, უნდა ვსთქვათ, რომ ძლიერ საჭიროა პირველი პროგრამის პროექტის ჭაობისათვის, რათა „სტოკი“ გაუკეთდეს იმ შოვინიზმს, რომელიც სოციალისტურ მასკის ქვეშ უმსგავსო შოვინიზმს, ნაციონალურ ალფონსიზმს (სამშობლოს ხარჯზე ცხოვრება) და მეავე პატრიოტიზმს, ანუ პატრიოტულ „ბალოტისტობას“ ავრცელებს.

პროგრამა მინიმუმს, ანუ სადღეისო პროგრამას, უკვე შეევეხეთ და როგორც ვნახეთ ის კრიტიკას ვერ უძლებს, მხოლოდ ეხლა იმიტომ ვეხებით, რომ ცხად ვყოთ არა მისი პრინციპიალური უვარგისობა, რაც უკვე ვნახეთ, არამედ მისი პრაკტიკული მნიშვნელობა.

სადღეისო პროგრამაში პირველი პროგრ. პროექ. თხოულობს სიტყვის, წერის სინიდისის, კრებების კავშირების, ყრილობების, მიმოსვლის (პასპორტის გაუქმება) და გაფიცვის თავისუფლებას, ერთი სიტყვით, ყველა იმას, რაც კატოლიციზმის, კაპიტალისტურ და დემოკრატიულ წესწყობილების წინ არსებობდა თავის თავად უკანონოთ; მათი გაუქმება შედეგი იყო მხოლოდ სახელმწიფოის და იმ კლასების გაბატონების, რომლებიც მთავრობით და სახელმწიფოით სარგებლობდენ; ხალხს არც კი წარმოედგინა, თუ იქნებოდა ისეთი დრო, როდესაც ეს თავისუფლებები შეიზღუდებოდნენ

კანონებით და ხელახლა დასჭირდებოდათ მათი თავისუფლებისთვის ბრძოლაში დროს დახარჯვა, ამ თავისუფლებებს დღეს მხოლოდ დემოკრატიისთვის ან გაბატონებული კლასისთვის თუ აქვს მნიშვნელობა, რადგან კანონით მოცემული თავისუფლებები მაინც არ იქნებიან განხორციელებული ვინაიდგან სახელმწიფოებრივი და ბურჟუაზიის ფარგლებში იქნებიან მომწყვდეული, ე. ი. ისინი გაბატონებულთა სრული საკუთრება და ხმარება იქნება.

მეორე მუხლი სადღ. პროგ. ამბობს, რომ უნდა შემოღებულ იქნას დემოკრატიული წარმომადგენლობითი მმართველობა, დამყარებული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებაზე; უნდა დამყარებულ იქნას რესპუბლიკა,—ამ გვარია უმთავრესი პოლიტიკური მოთხოვნილება.

ისტორიიში ყოველი გაბატონებული კლასი ცდილობდა შეერჩინა თავისი ბატონობა და თუ დაინახავდა, რომ ის ორგანო, რომლის საშვალებითაც მან მოიპოვა ბატონობა, აღარ იყო საკმაო თავის ბატონობის შესარჩენად და განსავითარებლად, მაშინ ის ცდილობდა მისი ბატონობის ახალ განვითარებასთან შედარებით დაძველებული და უკან ჩამორჩენილი საშვალება გაეუმჯობესებინა, რადგან ექსპლოატაციის გაუმჯობესებას, ბატონობის განვითარებას შეეფერება გაუმჯობესებული საშვალება ექსპლოატაციისა და ბატონობისა.

აი სწორედ დემოკრატიული, რესპუბლიკანური რეჟიმი წარმოადგენს ნამდვილ გაუმჯობესებულ საშვალებას პოლიტიკური და ეკონომიური ექსპლოატაციისა; დემოკრატია სოციალური ექსპლოატაციის ხელოვნების უმაღლესი საშვალებაა, მაგრამ ამასთანავე, საუბედუროდ მის მომხმარებელთა უკანასკნელი.

ყოვლად შეუძლებელია, რომ სახელმწიფო, როგორც ორგანო იძულებისა იყოს იმ კლასის ხელში, რომელიც დამონებული და დაჩაგრულია და არა იმის, რომელიც გაბატონებულია; აი სწორედ ამიტომ სახელმწიფო კლასიური ბატონობის, და მხოლოდ ბატონობის, ორგანოა და მაშასადამე იმ კლასის, რომელიც ბატონობს და არსებობს მხოლოდ ამ ბატონობის წყალობით; მაგრამ ეს ბატონობა არსებობს და განხორციელებულია ერთად ერთი სახელმწიფოს მიერ, მაშასადამე სახელმწიფოს არსებობა ან არ არსებობა იგივე გაბატონებულ კლასის არსებობა ან არ არსებობაა; ცხადია ამიტომ, რომ გაბატონებული კლასი დაინტერესებულია უმეტესად, უმთავრესად ბატონობით, სახელმწიფოით—თავის არსებობით, სიცოცხლით ვინემ ბატონობის, სახელმწიფოის—თავის სიცოცხლის ფორმით. ის ებღაუჭება უმთავრესად თავის სიცოცხლეს—სახელმწიფოს და არა სახელმწიფოის ფორმას. ამიტომ გაბატონებული კლასი ცდილობს დააინტერესოს უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა, რის გამო ის არ ზოგავს არაფერ შესაფერ საშვალებას—თვით ასწრობს ინიციატივას, განახორციელებს რეფორმებს რადიკალურს და საშვალოს, ეკონომიურს და პოლიტიკურს, ერთი სიტყვით, აწარმოებს რეფორმას, სოციალურ რეფორმაციას ფართოდ და ამით თავიდგან იცდენს სოციალურ ტრანსფორმაციას—რევოლიუციას; ამ გვარად გაბატონებული კლასი დემოკრატიული წესის საშვალებით სცდილობს დაინტერესოს პროლეტარიატი და სოციალისტური პარტიები დემოკრატიული ინსტიტუტებით და მით უგებს ხაფანგს, რომელშიდაც უნდა გაახვიოს და ცდილობს მუდამ დაამწყვდიოს სოციალისტური მოძრაობა და პროლეტარული ბრძოლა; მაშასადამე, დემოკრატია, რესპუბლიკანური თუ სხვა დემოკრატია რეფერენდუმით წარმოადგენს უმაღლეს ხრიკს, ხერხს გაბატონებულთა პროლეტარული და სოციალისტური მოძ-

რაობის წინააღმდეგ; დემოკრატია გალესილი, ბასრი იარაღია სოციალიზმის წინააღმდეგ. და წარმოადგენს საუკეთესოთ მოწესრიგებულს რეაქციას—დემოკრატია საუკეთესო რეაქციონური ორგანიზაციაა და პარლამენტარიზმის საშვალებით პროლეტარიატს და სოციალიზმს წართმეული აქვს ბრძოლის იარაღი.

მე-21-ე მუხლში, როცა ეკონომიურ მოთხოვნილებებს ადგენს, მაშინ ის ისევ სახელმწიფოს უერთდება და პირდაპირ ცდილობს ამ ორგანიზაციის მეტად გაძლიერებას იმით, რომ საკუთრებას თავს უყრის სახელმწიფოს ხელში; სახელმწიფო მაშინ მით უფრო ძლიერი იქნება და მაშასადამე, მით უფრო ძნელი იქნება მის წინააღმდეგ ბრძოლა. ერთი სიტყვით, ეკონომიურ პროგრამა მინიმუმს პირდაპირ მივყევართ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმში. ცხადია თავის თავად თუ რა სულთამხუთავი იქნება სოციალური ცხოვრებისათვის სახელმწიფო-კაპიტალისტი.

იგივე პროგრამა მინიმუმის 23 მუხლში ლაპარაკობს, რომ უნდა მოხდეს „გაუმჯობესება „მუშათა მდგომარეობისა და განვითარება მუშათა კანონმდებლობისა“, აგრეთვე „ქონებრივი დახმარების აღმოჩენა სახელმწიფოსაგან პროფესიონალურ და კოოპერატიულ ამხანაგობათათვის, განსაკუთრებით პირველად დაარსების დროს და ეკონომიურ კრიზისების დროს“.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს პროლეტარიატის სასარგებლოდ სოციალურ ბრძოლაში, ე. ი. გაფართოვდეს სახელმწიფოს ძალა, მაგრამ სახელმწიფოს ძალის და გავლენის გაფართოება მოასწავებს იმ კლასის ძალის გაფართოებას და გავლენის გაძლიერებას, რომელსაც სახელმწიფო ემსახურება, იმისთვის კი რომ სახელმწიფოს ჩარევის გაფართოებას პროლეტარიატისთვის სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდეს, სახელმწიფო პროლეტარიატის ორგანო უნდა იყოს; სახელმწიფო კი, როგორც ორგანო, არა თუ დღეს პროლე-

ტარიატის ხელში არ არის, არამედ არც შესაძლებელი გვგონია, რომ მომავალში მის ხელში გადავიდეს, რადგან ამისთვის საჭიროა, როგორც მარქსი ამბობს (კომ. მან.), რომ პირველი ნაბიჯი მუშების რევოლიუციაში უნდა შესდგებოდეს პროლეტარიატის ამაღლებაში გაბატონებულ წოდების ხარისხზე. პროლეტარიატმა უნდა მოაგროვოს ყველა საწარმოვო იარაღები სახელმწიფოს ხელში, ე. ი. პროლეტარიატის, რომელიც აუვანილია გაბატონებულ წოდების ხარისხში.

მაშასადამე, სახელმწიფოს მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ექნება პროლეტარიატისთვის, როდესაც ის იმ გვარადვე გაბატონებული პროლეტარიატის ხელში იქნება, როგორც მას დღეს გაბატონებულ ბურჟუაზიის ხელში ვხედავთ—ყველა შემთხვევაში სახელმწიფო კლასთა მოსპობას არ უწყობს ხელს და წინააღმდეგ ამისა ამწვავებს კლასთა ბრძოლას, რაც ცხადად ჩანს ყველა იმ შრომის მფარველ კანონებისაგან, რომლებიც კაპიტალისტების ხელ საყრელი დარჩა და არა პროლეტარიატის; ავიღოთ თუნდაც სამუშაო დღის შემცირება; კაპიტალისტები ძლიერ ამაყათ და სიხარულით გვეუბნებიან, რომ წარმოება, რომელიც ემორჩილება საფაბრიკო კანონმდებლის შემოფარგვლას, უფრო მეტათ ჰყვავის, ვინემ „თავისუფალი“.

ცხადია, მაშასადამე, რომ ამ გვარად ყველა სოციალისტი მფარველი კანონების მომხრე და მათ შორის პირვ. „პროგრამის“ პროექტი მთელი თავისი ბუქსირით ფიქრობენ, რომ ისინი კანონების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან სწორედ მაშინ, როდესაც ეს მფარველობა მხოლოდ მათ ბატონობისთვის არსებობს—ისინი სწორედ მაშინ, როდესაც მარცხდებიან, ფიქრობენ, რომ გავიმარჯვეთო და ისიც ბრწყინვალეთ.

ყველა ამ გვარი, ყველა ესეც რომ არ იყოს, საკმაოა ისიც რომ, სახელმწიფო პროლეტარიატის ორგანო არ არის და ვერ ემსახურება მას ისე, როგორც მტრის ხელი მისი ხე-

ლის მაგიერად. „პროგრამა,“ სოციალური ოპერაციის წარმომშობი სათვალეებია.

— ჩვენ ცხადად ვხედავთ, როგორ ახერხებს ბატონობაში დაინტერესებული კლასი გაუკეთოს პროლეტარიატს ეს სათვალეები, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა სოციალურ ოკულისტებს და სოციალური ოპტიკის ოსტატებს თავის დროზე სრულიად დაეკარგებათ ნიჭი დანახვისა, რადგან ყოველი მათ მიერ გამოგონილი ამ გვარი სათვალე იძულებული არიან ჯერ თვით გაისინჯონ და შემდგომ სხვაზე გასინჯონ: კლიენტი ერთხელ სინჯავს ფალსიფიაქციას, სოციალურ ვაჭრებს კი ოდესმე სული ამოხდებათ თავიანთ განუწყვეტელ ფალსიფიკაციების განუწყვეტელ ჩვენებაში.

კრიტიკა სოციალ-დემოკრატიისა [1]

საფრანგეთის სოციალ-დემოკრატია.

როცა დავუკვირდებით ადგილობრივ სოციალდემოკრატიის ყოფაქცევას, იმის მოღვაწეთა სულიერ და გონებრივ მდგომარეობას, შევნიშნავთ, რომ იგი სრულიად ასცდა თავის გზა-კვალს, აირ-დაირია, როგორც კი განყენებულ, წმიდა თეორეტიულ საკითხების მიდამოდან გამოვიდა და პრაქტიკულად შეეცადა თავის პროგრამის განხორციელებას. პრაქტიკულმა ცდამ აიძულა ეს პარტია მიემართნა უბრალო ქუჩურ დემაგოგიისთვის, რაკი შენიშნა, რომ იმისი პროგრამა, ნათლად ახსნილი, ვერ აღფრთოვანებდა ხალხის გულს, ვერ მიუდგებოდა იმის მუდმივ მისწრაფებათ. ამ დემაგოგიამ საპროგრამო და ტაქტიკური აზრები სოციალდემოკრატიისა კიდევ უფრო არივ-დარია და ხელი შეუწყო სოციალდემოკრატიაზე არა სწორ, ბუნდოვან აზრების გავრცელებას არა მარტო უბრალო ხალხში, არამედ თვით ინტელიგენციაშიაც-კი. ეს არევ-დარევა უფრო ცხადად სჩანს ტაქტიკურ საკით-

---

[1]) ამ განყოფილებაში შედის ერთის მხრით საფრანგეთის ს.-დემ. კრიტიკა, ორიგინალური ნაწარმოები კ. ორგეიანისა და მეორეს მხრით იმერელი ქალის თარგმანი: „ახალი გალაშქრება ს.-დემოკრატთა წინააღმდეგ“.

საფრანგეთის ს.-დ. კრიტიკა იბეჭდებოდა ყოფილ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მხოლოდ ს.-დ. საერთო კრიტიკის ნაწილს, მაინც ხელმეორეთ შესწორებული და გადათვალიერებული შედის ამ წიგნში, რადგან იგი ძლიერ საფუძვლია-

ხებში. როცა მოქმედების დრო მოახლოვდა, ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ თითქმის ანარქისტული ტაქტიკა იხმარა, ფრაზები და ლოზუნგები კი ძველი დემოკრატიული, იაკობინური დაიტოვა; ამ გვარმა არევ-დარევამ, ამ გვარმა შეერთებამ ორ შეუერთებელ რამისამ ვერაფერი კარგი შედეგი მოიტანა.

ყველა ამის გამო საჭიროდ ვცნობთ დაწვრილებით გამოვააშკარავოთ სოციალდემოკრატიის მოქმედების შინაარსი. ხოლო სოციალდემოკრატიის მოქმედების მაგალითად ავიღებთ არა გზა-კვალ არეულ რუსეთის ან საქართველოს სოციალდემოკრატიას, არამედ საფრანგეთის და გერმანიის სოციალდემოკრატიას; საფრანგეთისას იმიტომ, რომ დალაილამა სრულიად რუსეთის სოციალდემოკრატიისა გ. პლეხანოვი დიდ მნიშვნელობას აძლევს გედისტების წმინდა მარქსისტობას, გერმანიის სოციალდემოკრატიას კი ვიღებთ იმისთვის, რომ გერმანია კლასიკური ქვეყანაა სოციალდემოკრატიისა. ამ ორ ქვეყნის დიდ ავტორიტეტის მექონ სოციალ-დემოკრატიაზე ვეცდებით გავარკვიოთ ამ პარტიის ნამდვილი სოციალური და პოლიტიკური ფიზიონომია. ჯერ განვიხილავთ საფრანგეთისა, შემდეგ ვერემანიის სოციალდემოკრატიას და ბოლოს დაწვრილებით მოვილაპარაკებთ საზოგადო და უმთავრეს პრინციპებზე, რომელნიც ახასიათებენ ლათი-

---

ნი და სამართლიანი კრიტიკაა. „ახალი გალაშქრება ს.-დ. წინააღმდეგ“ კი უფრო ფაქტთა გროვაა, ვიდრე კრიტიკა. ორთავე ერთად, საფრანგეთის ს. დ. კრიტიკაც და „ახალი გალაშქრება ს. დ. წინააღმდეგ“ წარმოადგენდენ ნამდვილ სურათს ს. დ. უსაფუძვლობისას.

ერთის სიტყვით, როგორც წიგნის პირველი ნაწილი თვალსაჩინო საჩუქარია ს.-ფედერალისტებისათვის, აგეთივეა მეორე ნაწილი ს.-დემოკრატებისათვის, რაშიდაც მიუდგომელი მკითხველი თავათაც დამეთანხმება.

გამომცემელის შენიშვნა.

ნთა ქვეყნებში გამარჯვებულ ახალ მიმართულებას მუშათა მოძრაობაში (სინდიკალიზმი). [1]).

* * *

ყველა იმას, ვისაც მართლა გულწრფელად სურს გამოიკვლიოს მიზეზები საფრანგეთის სოციალდემოკრატიის ევოლიუციისა, ვისაც სურს ეს მიზეზები ნათლად დაინახოს, ვალად ადევს გულწრფელადვე გამოიკვლიოს მიზეზები და მნიშვნელობა იმ გამწვავებულ და მტრულ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს ანარქისტთა, საზოგადოდ სახელმწიფოს მოწინააღმდეგე სოციალისტთა, და სოციალდემოკრატთა შორის. ასე მოქცევა მით უფრო საჭიროა, რომ მხოლოდ ამ გვარად შეიძლება ახსნა ზოგიერთ უამისოდ აუხსნელ გარემოებისა; მაგალითად, არსებული კავშირი ანარქისტთა და სოციალდემოკრატთა შორის 1880 წლამდის ყოვლად გაუგებარი იქნება ჩვენოვის, თუ არ გავიცნობთ საფრანგეთის სოციალდემოკრატიის ისტორიის დასაწყისს. ამ პარტიის თანდათან გადასხვაფერების გამოსარკვევად საუკეთესო მეთოდი ისტორიულია და ჩვენც ამ მეთოდით ვისარგებლებთ, როცა სინდიკალიზმზე ვილაპარაკებთ, ჯერ-ჯეროობით კი, ისტორიულ შესავლის მაგიერ, ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას.

საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის (ინტერნაციონალის) დაშლამდე არ იყო ისეთი სხვადასხვაობა სოციალისტურ პარტიათა შორის, როგორსაც ეხლა ვხედავთ. არც მუშათა მოძრაობა იყო დაყოფილი ისე პატარ-პატარა და უმნიშვნელო ნაწილებად, როგორც შემდეგში მოხდა (1880

---

[1]) სრულიად აზრად არა გვაქვს ამ პირველ რვეულში მოვათავოთ ყველა ფაქტები სოციალდემოკრატიის ცხოვრებიდან. სოციალდემოკრატიის ყოფაქცევას მუშათა მოძრაობაში ჩვენ კიდევ შევეხებით ამ წერილის მეოთხე ნომერში.

წლ. მოკიდებული ამ ბოლო დრომდე საფრანგეთში). ინტერნაციონალის არსებობის დროს არ არსებობდა სოციალისტთა შორის ის სიძულვილი და გაუტანლობა, რომელიც ეხლაა გამეფებული სხვა და სხვა ტენდენციის სოციალისტთა შორის. მაშინ, დაუვიწყარ ამხანაგობის ზედგავლენით, სოციალიზმი აერთებდა ყველა გულწრფელ დამცველს პროლეტარიატის ინტერესებისას. ეხლა კი სოციალდემოკრატიის მეოხებით, რომელმაც კათოლიკური გაუტანლობა, ფანატიკოსობა და დაუდევრობა შეიტანა მუშათა მოძრაობაში, სოციალიზმი მიზეზად გახდა სწორედ ზიზღისა, გაუტანლობისა და ხშირად ქიშპობა-უსამართლობისა და თავისუფალ კრიტიკის შეხუთვისა. სოციალისტური მოძრაობაც გაიყო ორ მებრძოლ ბანაკად: ერთ მხარეს მოთავსდნენ სახელმწიფოს მომხრე (სოციალდემოკრატები), მეორე მხარეს სახელმწიფოს მოწინააღმდეგე სოციალისტები. თუ ამ ოცდაათ—ორმოცი წლის წინად ამ ორ, სხვა და სხვა მსოფლ-მხედველობის მომხრე, სოციალისტთა შორის დარბაისლური სჯა-ბაასი და კამათი იყო გამართული, დღეს მათ შორის შეურიგებელი ბრძოლაა ატეხილი.

რით აიხსნება ასეთი ცვლილება სხვა და სხვა ტენდენციის სოციალისტთა ურთიერთობაში? ეს პარტიები ხომ თავდა პირველ ერთად იყვნენ, ერთად მუშაობდნენ, მართავდნენ ერთად საერთაშორისო თუ ნაციონალურ კრებებს, ჰქონდათ საერთო ინტერესები და საერთო საქმე? რით აიხსნება სიმწვავე პოლემიკისა, ბრძოლისა? რა მოხდა მას მერმედ? ამ კითხვებზე პასუხის მისაცემად გვაქვს ერთად-ერთი საშვალება—ისტორია, ისტორია კი გვეუბნება, რომ ყველა ამის მიზეზი არის თავდა პირველად ის განსაკუთრებული ფსიხოლოგია, სულის მდგომარეობა, რომელიც შეჰქნა სოციალდემოკრატიამ, მეორედ ისა, რომ საფრანგეთის სოციალდემოკრატია იმდენად შეიცვალა, იმდენად დაჰკარგა მან

სოციალისტური და სარევოლიუციო ხასიათი, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა სოციალდემოკრატიისთვის საერთო მუშაობა იმათთან, რომელნიც სოციალიზმისა და სარევოლიუციო მოქმედების ერთგულნი დარჩნენ.

საერთაშორისო მუშათა კავშირში თავდა პირველადვე თავი იჩინა ორმა მიმართულებამ, რომელიც დასაწყისში შეიძლება ცოტა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც ემყარებოდა ორ სხვა და სხვა, ერთი მეორის მოპირდაპირე მსოფლ-მხედველობაზე. შემუშავებულ იქნა ამ ორ მხედველობის შესაფერი ორი აგრეთვე მოწინააღმდეგე აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მთავარი პრინციპები სოციალისტურ მოქმედებისა და ორგანიზაციისა.

ამ ორ უმთავრეს მიმართულებათა შორის პირველი იყო მარქსისტური, რომელიც პოლიტიკო-ეკონომიურ კაზუისტიკაში სცდილობდა წინ გაესწრო თვით რადიკალურ ბურჟუაზიისათვის და ეს თეორიულად, პრაქტიკულად მოქმედების მხრივ კი თვით იმყოფებოდა 48 წლის რადიკალურ ბურჟუაზიის მძლავრ გავლენის ქვეშ. თუმცა ამ მიმართულებამაც თავის მრწამსად სოციალიზმი აღიარა, მაგრამ რადიკალურ ბურჟუაზიის გავლენა იმაზე იმდენად მძლავრი იყო, რომ ვერ შეიგნო, რომ ამ ახალ მრწამს სულ ახალი ტაქტიკა შეეფერებოდა, და განაგრძო ძველ, 48 წ. დემოკრატიის ტაქტიკის ხმარება, ქება, დიდება და ქადაგება. ამ მიმართულებას, მიუხედავად ზოგიერთ კრიტიკულ ფრაზებისა, დემოკრატია ისე სწამდა, როგორც კერპთაყვანის მცემელს თავისი სათაყვანო კერპი; ამისთვის, რასაკვირველია, იგი სცდილობდა შეემწყვდია პრაქტიკულად მოქმედების მხრივ მუშა ხალხი დემოკრატიზმის ფარგალში. თვით დემოკრატიზმის მნიშვნელობას ეს ფრაქცია მეტისმეტად აზვიადებდა, იგი ყოველ სატკივარის მალამოდ სთვლიდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მუშათა კანონმდებლობას, პირდაპირ კანონმდებლობას,

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ფრაქციის პრაქტიკული მოქმედების ფორმულა იგივე იყო, რაც 48 წ. დემოკრატიულ ბურჟუაზიის ფორმულა, ე. ი. პოლიტიკის მეოხებით სოციალურ ტრანსფორმაციის შოხდენა. ეს ფორმულა, რომელიც ლედრიუ როლენიმ თავის პარტიის ლოზუნგად გახადა, სავსებით შეითვისეს იმ სოციალისტებმა, რომელნიც მარქსის დროშის ქვეშ შეგროვდნენ. ასე და ამ გვარად დემოკრატიულ პრაკტიკის სოციალიზმის თეორიასთან შეთანხმებით, ბურჟუაზიულ საქმის სოციალისტურ სიტუვასთან შეთანხმებით, ან უკეთ შეზავებით ხელოვნურად შემუშავდა ნიადაგი სოციალდემოკრატიის აღმოსაცენებლად. როგორც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბურჟუაზიაზე ამბობდენ: ეს კლასი გერმაფროდიტიაო, ისე სოციალდემოკრატიულ პარტიაზე შეიძლება ითქვას, რომ ეს პარტია გერმაფროდიტიაო. აი, სწორედ ეს გერმაფროდიტთა პარტია შეადგენდა მარჯვენა ფრთას ნეტარ ხსენებულ ინტერნაციონალისას.

მარცხენა მხარე დიდებულ კავშირისა, რომლის დაუღალავ წარმომადგენლად შემდეგში მ. ბაკუნინი გახდა და რომელმაც ჯერ ისევ ბაკუნინის ინტერნ ციონალში შესვლამდე იჩინა თავი, ითვალისწინებდა, რა იმ როლს, რომელსაც ბურჟუაზია თამაშობდა 1793-97, 1830, 1848 წლების რევოლიუციებში და მრავალ სხვა შემთხვევაში, აღიარებდა მუშათა კლასისთვის ბურჟუაზიის თვით უწითლეს ნაწილთანაც კი ყოველ გვარ ურთი-ერთობის შეწყვეტას და სრულიად ავტონომიურ, კლასსიურ მოქმედების საჭიროებას. ამ ფრაქციის მომხრეთა აზრით, პროლეტარიატი განუწყვეტლივ, დაუძინებლად უნდა ცდილიყო თავის პროლეტარულ მიზნის განხორციელებას, ხოლო ეს განხორციელება შესაძლოდ მიაჩნდა არა „პოლიტიკით“, არამედ ხალხის მიერ მოხდენილ და დასრულებულ სოციალურ რევოლიუციით.

თავის ტაქტიკას, თავის მოქმედებას ეს მეორე მიმარ-

თულება სარჩულად უდებდა იმ ცდას, რომელიც სისხლისა და ტანჯვის ფასით მიიღო, და აცხადებდა, რომ წინანდელმა რევოლიუციებმა მუშათა კლასს იდეალის, ერთობის განხორციელების მხრით, არაფერი შესძინეს, რადგან მუშათა კლასსი, იმის მაგიერ, რომ თავისი საქმე ეკეთებინა, თავის იდეალისათვის ებრძოლნა, თავისი ინტერისები დაეცვა, ხელთ ჩაუვარდა უფრო გამოცდილ, პოლიტიკაში დაგეშილ ლიბერალურ ბურჟუაზიას, რომელიც სრულიად არა ფიქრობდა მუშათათვის და არც შეეძლო ეფიქრნა, რადგან ეს იმის კლასიურ ინტერესებს ეწინააღმდეგვბოდა. ამისათვის ეს რევოლიუციები, მაშინაც-კი როცა იმარჯვებდნენ, არ აძლევდნენ ხალხს არც ბურს და არც თავისუფლებას,—ხალხის ამ ორ უცვლელ და მუდმივ მოთხოვნილებას, ხალხის ტრფიალის და მისწრაფების ამ უცვლელ საგანს. რათა ხდებოდა ასე? იმად, რომ ფაქტიურად ამგვარ მიზანს არავინ არ უსახავდა რევოლიუციას. ფაქტიურად რევოლიუციის ხელმძღვანელებად ხდებოდნენ ისეთი კაცები, რომელნიც არც თავის ფსიხიკით და არც სოციალურ მდგომარეობით მუშათა, მაშვრალთა კლასს არ ეკუთვნოდნენ. ამგვარი კაცები, ბურჟუა-დემოკრატები, რადიკალ-დემოკრატები და სხვა „კრატები“ სულ სხვა საქმის განხორციელებასა სცდილობდნენ, ხალხი კი მაინც იმათ მისდევდა და იმათ დუდუკზე თამაშობდა, თუმცა ხალხი რევოლიუციებში მონაწილეობას იღებდა იმდენად, რამდენადაც რევოლიუცია უქადიდა მუდმივ გულის წადილის განხორციელებას. მაგრამ გულუბრყვილო და ბავშვივით მინდობილი ხალხი, დაამარცხებდა თუ არა ძველ წესწყობილებას, უფლებას და ძალას ახალის დამყარებისას აძლევდა სწორედ იმ წინამძღოლებს, რომელნიც ქუჩების ხელოვნურის დემაგოგიით იმსახურებდნენ იმის ნდობას და რომელნიც, ჩაიგდებდნენ თუ არა ხელში სახელმწიფო მანქანას, ინსტიქტიურად თავისისავე კლასის ინტერესებს ემსახურებო-

დნენ და სხვა და სხვა კანონებით, რომელთაც, თუ საჭიროება მოითხოვდა სარევოლიუციო კანონებადაც-კი აცხადებდნენ, კიდევ უფრო მაგრა აბამდნენ ხალხს მონობის სვეტზე.

რასაკვირველია, ამ სოციალურ, წმინდა ხალხურ (народническое, populâire) საქმის აღმსარებელნი ფიქრობდნენ, რომ ხალხს არ უნდა ჰქონდეს იმედი პოლიტიკურ დემოკრატიის სახსარ-მალამოსი იმ სოციალურ კონფლიქტის შესაწყვეტად, რომლის შედეგია თანამედროვე საზოგადოების ორ მებრძოლ ბანაკად—ბურჟუაზიად და პროლეტარიატად — გაყოფა. პროლეტარიატი,—ფიქრობდნენ ისინი—უნდა იბრძოდეს სარევოლიუციო ნიადაგზე, თუ-კი მართლა სურს ემსახუროს თავის კლასსიურ ინტერესებს, თუ-კი მართლა შეგნებული აქვს ეს კლასსიური ინტერესებიო. მიზანი მუშა ხალხისა არის გაუქმება იმ წეს-წყობილებისა, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპლოატაციაზეა დამოკიდებული, და ბრძოლა ამ მიზნის განსახორციელებლად არ უნდა გადადოს მერმისათვის, პირიქით, ამ ბრძოლას უნდა ეწეოდეს დღითი დღე, დაუღალავად და განუწყვეტლად; არასოდეს არ უნდა გადიაროს შერიგების და მორიგების ნიადაგზე, იმას მოსარიგებელი არავისთან არაფერი აქვს იმ დრომდე, სანამ სოციალურ ურთიერთობის ნიადაგი მონობაა, სანამ კაპიტალისტური წეს-წყობილება სუფევს. პროლეტარიატი უნდა წარმოადგენდეს შეგნებულ სარევოლიუციო ძალას, იგი უნდა დარჩეს შეუბრალებელ და შეურიგებელ სარევოლიუციო ბრძოლის ნიადაგზე. ყოველივე მისი მოქმედება, შემოქმედი თუ დამანგრევ-გამანადგურებელი, სულს უნდა უხუთავდეს, სიცოცხლეს უნდა უმოკლებდეს იმის სულის შემხუთველ და სიცოცხლის შემმოკლებელ წეს-წყობილებასაო.

ამ თეორიულ, პრინციპიალურ განსხვავებას ორ მიმართულების შორის დაემატა უთანხმოება საორგანიზაციო სა-

კითხებში, რაც აუცილებელი იყო, თუ გავიხსენებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა მათ წარმოდგენაში სოციალიზმზე, იმის ხასიათსა და ტაქტიკაზე. მარქსისტები, როგორც მომხრენი სახელმწიფოსი, საშინელ ცენტრალიზაციის დამცველნი იყვნენ. სწორედ ამისთვის იყო, რომ საერთო საბჭომ (Генеральный Совѣтъ), სადაც უმრავლესობას ისინი წარმოადგენდნენ, დიქტატორული ხასიათი მიიღო; იგი ორგანიზაციების ადგილობრივ ცხოვრებას და ინიციენტივას ხუთავდა, ჰკლავდა. ბაკუნისტები-კი, ფედერალისტები იდეალით, საორგანიზაციო საკითხებშიაც პრაქტიკულად ახორციელებდნენ ამ ფედერალიზმს და ადგილობრივ ორგანიზაციების ავტონომიას, იმათს ადგილობრივ ცხოვრებას და ინიციატივას საშინელის თავგამოდებით იცავდნენ.

ბოლოს და ბოლოს ეს განხეთქილება იქამდის მივიდა, რომ ინტერნაციონალი დაიშალა 1872 წელს ჰაგის სხდომაზე, სადაც ყოველგვარ სიყალბის, შეთხზულ მოწმობების, ფაქტიურ მანდატების დახმარებით, პირად პოლემიკის, ჭორების და ცილის წამებით სძლიეს ბაკუნისტებს და თვით ბაკუნინი და იმისი საუკეთესო მეგობარი ჯემს გილიომი ინტერნაციონალიდანაც კი გააგდეს. მაგრამ ეს არ იკმარეს, იმათ უნდოდათ ბაკუნინი და მისი ფრაქცია სრულიად მოეშორებინათ თავიდან, რომ მხოლოდ თვითონ დარჩენილიყვნენ ინტერნაციონალში თვითმპყრობელ ბატონებათ.*) კარგად ხედავდნენ, რომ ევროპის ხალხი (იტალია, ესპანია, საფრანგეთი, ბელგია და სხვა), გერმანიის გარდა, უფრო ბაკუნინის ტაქტიკას და იმის ავტონომიურ, ფედერალისტურ ორგანიზაციას ექომაგებოდა, ამიტომ თავიანთ ყალბ უმრავლესობის დახმარებით საერთო საბჭო გადაიტანეს ამერიკაში ფაქტიურად, გარეგნულად, ე. ი. მარქსის ერთ იქაურ ყურმოჭრილ

*) იხილე Memoire de la federation jurassienne.

მონას—ზორგეს—Sorge—უბრძანეს, დაირქვი სახელად საერთო საბჭოო. მიუხედავად ყველა ამისა, ბაკუნინი მაინც ვერ გააქარწყლეს, მაგრამ ინტერნაციონალი კი მოჰკლეს. მართლა, რაკი ინტერნაციონალს ბაკუნისტები ჩამოშორდენ, მან ევროპაში ყოველი მნიშვნელობა დაჰკარგა და ბოლოს სრულიად დაიმალა. რაც შეეხება ინტერნაციონალის იმ სხდომებს, რომელიც ევროპაში ხდებოდა, ეს იყო სხდომები ინტერნაციონალის ფედერატიულ ნაწილისა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა ჰაგის კონგრესის უმცირესობის ხელმძღვანელობით. ეს ინტერნაციონალი იკრიბებოდა 1881 წლამდის და თავს უყრიდა სწორედ იმ მოღვაწეთ, რომელნიც ბაკუნინთან ერთად ებრძოდენ მარქსის და მის მომხრეთა სახელმწიფო სოციალიზმს.

ასე, როგორც ხედავთ, ის უთანხმოება, რომელიც თანამედროვე მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობას ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ ჰყოფს, ძველია. მან თავი იჩინა სამოციან წლებში და მერე, დაახლოვებით ოთხმოციან წლებში, გადაიქცა ორ სრულიად გამორკვეულ და დამთავრებულ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე, მსოფლ-ეხედველობათ. მაგრამ თავდაპირველად ეს ორი მიმართულება ერთმანეთს მაინც სოციალისტებათ სთვლიდენ. თუმცა მათ შორის ხშირად მკაცრი შეტაკება ხდებოდა იდეიის ნიადაგზე, ერთმანეთი მაინც ერთ და იმავე სოციალისტურ ოჯახის წევრებათ მიაჩნდათ. საერთო საქმის დაჭერა, საერთო სხდომები და პროლეტარიატის ინტერესების დაცვა შესაძლებლად მიაჩნდათ. უთანხმოება, მომავლის წარმოდგენისა, იდეალისა და თვით სოციალიზმის განსახორციელებელ საშვალებების შესახებ არსებობდა, და ჩვენ ამ უთანხმოებას არცა ვმალავთ და არც იმის მნიშვნელობას ვამცირებთ. ჩვენ გვინდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ სანამ მარქსისტები მართლა წარმოადგენდენ სარევოლიუციო მიმართულებას, პარტიას თუ ჯგუფს, სანამ ისინი არ გადა-

იქცენ წესიერების პარტიად (партія порядка*), სანამ ხელს არ უშლიდენ მართლა გაბედულ სარევოლიუციო მოქმედებას, მათთან დარჩენაც და მუშაობაც შესაძლოთ მიაჩნდათ ყველა სოციალისტებს, მაგრამ, როცა სოციალ-დემოკრატიამ ერთის მხრით კლასიურ ინსტინქტის დამხშობელ პარლამენტარიზმის ზედგავლენით დაჰკარგა ხასიათი ნამდვილ სარევოლიუციო ხალხურ პარტიისა, როცა მან იმავე მიზეზის ზედ-გავლენით დაუწყო დევნა რევოლიუციონერებს, და მეორეს მხრით სოციალიზმის ღრმა ხალხურ ხასიათის შეუგნებლობით მოისურვა წაერთმია ხალხისათვის ყოველი უფლება ავტონომიურ მოქმედებისა,—მაშინ განხეთქილება და ბრძოლაც ყოვლად აუცილებელი გახდა.

მართლაც, სამოციან წლების დასასრულიდან მოკიდებული, რაც უფრო ირკვეოდა სოციალ-პოლიტიკური ფიზიონომია სოციალ-დემოკრატიისა, მით უფრო მწვავდებოდა განხეთქილება, მით უფრო იყოფებოდა ნაწილ-ნაწილად, წვრილმანდებოდა. დღევანდელი სოციალ-დემოკრატია ისე ჰგავს იმ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც 70 წლებში არსებობდა, როგორც დღევანდელი ანარქისტები დღევანდელ სოციალ-დემოკრატებსა ჰგვანან. პირველი ერთიანი სოციალისტური პარტია ათას და მეტ ნაწილად გაიყო. და ყველა ეს წეწვა-გლეჯვა პარტიისა ხდებოდა ოპპორტუნიზმის ნიადაგზე. რაკი პარტია მინიმუმების, რეფორმიზმის და ოპპორტუნიზმის ნიადაგზე შედგა, მასში ბლომად შევიდენ ბურჟუაზიიდან გამორიყული ელემენტები, რომელნიც შეეცადენ პარტიისათვის კიდევ უფრო ოპპორტუნისტური ხასიათი მიეცათ. ისინი, ვინც ოპპორტუნიზმს უმაგრდებოდენ, იძულებულნი ხდებო-

*) განსვენებულმა ლიბკნეხტმა ერთს თავის რეფერატში ქ. ვენაში თავისი პარტია წესიერების პარტიად გამოაცხადა. იხილე ამის შესახებ ვენის Zeit №№ 35—36.

დენ პარტიიდან გასულიყვნენ, და ასე დაუსრულებლად: ერთი განხეთქილება გათავდებოდა და მეორე იწყებოდა.

თავდაპირველად საფრანგეთში ხომ ერთი სოციალისტური და არა სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ყველა ნამდვილი სოციალისტი და რევოლიუციონერი. შემდეგ, როცა პარტია ოპპორტუნიზმის ნიადაგზე შედგა, მოხდა პირველი განხეთქილება: გამოიყვნენ პარტიისაგან გედისტები და პარტია გაიყო ორად —გედისტებად და ბრუსისტებად. შემდეგ გედისტებიც ჩაიფლნენ ოპორტუნიზმის ტალახში: კიდევ ახალი განხეთქილება მოხდა ჰავრის სხდომაზე, პარტია გაიყო ორად. გედისტებად (მარქსისტებად) და ანარქისტებად. ბრუსისტებიც ორად გაიყვნენ: ბრუსისტებად და ალლემანისტებად. 90 წლების დამდეგისთვის გედისტების პარტია კაი მოზრდილი გახდა. მან შემოიერთა ეგრეგ წოდებულნი „დამოუკიდებელნი“ ჟორესის და მილლიერანის მეთაურობით, და 1893 წლიდან მოკიდებული „სოციალისტური“ ერთობა სუფევდა იმ დრომდე, სანამ მილლიერანი არ შევიდა ვალდეკ-რუსოს სამინისტროში, მილლიერანის სამინისტში შესვლის გამო გაყოფილი პარტია კიდევ შეერთდა ამსტერდამის კონგრესის შემდეგ. ეხლა ვითომდა ერთობაა, მაგრამ ეს ერთობა ხანგრძლივი არ იქნება: ა. ბრიანი უკვე აღუდგა პარტიას და არ ემორჩილება პარტიულ დისციპლინას. დღეს თუ არა ხვალ, კიდევ მოხდება განხეთქილება. ყველა ეს განხეთქილება შემთხვევითი კი არ არის, იგი შედეგია სოციალ-დემოკრატიულ ოპპორტუნიზმისა, ოპპორტუნიზმის ნიადაგზე მდგომი პარტია ყოველთვის არეულ-აჭრელებულ ელემენტებისაგან შესდგება. არეულ ელემენტთა შორის კი ერთობის დაცვა მეტად ძნელია. იმავე მიზეზის გამო პარტია იდეიურ ერთობასაც ჰკარგავს, ხოლო ის პარტია, რომელიც იდეიურად მჭიდროდ შეერთებული არ არის, ვერასოდეს ვერ გახდება მძლავრ, საღ

და განუყოფელ პროგრესის მუშაკად. მოკლედ რომ ვსთქვათ, დემოკრატიზმის, ამ რადიკალურ ბურჟუაზიის ცნებათა ცნების, და სოციალიზმის ამ მომავლის მწამსის, მექანიკური შეერთება — აი მიზეზი სოციალ-დემოკრატიის გონების და საქმის არევ-დარევისა.

სოციალდემოკრატიის ცხოვრებაში კაცი ერთ არა ჩვეულებრივ მოვლენასა ჰხედავს. აი რაში მდგომარეობს ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა:

ცნობილია, რომ მსოფლ-მხედველობა საზღვრავს პარტიას, პარტია აღმოცენდება რაიმე გარკვეულ და ლოღიკურად სწორედ აშენებულ პრინციპებზე, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც შეადგენს უმაღლეს სიმშვენიერეს უკეთეს მომავლისათვის ბრძოლისა და რომელთა პრაქტიკულ განხორციელების ცდის თანდათანობისთვის (планомѣрност), იმის ხეირიანად მოსაწყობად და სახელმძღვანელოდ, მუშავდება გარკვეული პროგრამა. პროგრამა ლოღიკურ ერთს უნდა წარმოადგენდეს, იგი პარტიისათვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უნდა იყოს. პროგრამიდან-კი ულმობელ ლოღიკის ძალით უნდა გამოდიოდეს აგრეთვე გარკვეული ტაქტიკა. თუ პროგრამმა თანაშედროვე წყვდიადში გზას უნათებს პარტიას, ტაქტიკა სვლის რეალურად მოსახდენი, დაბრკოლებათა საძლევი იარაღია. მაგრამ ტაქტიკაც და პროგრამაცა აგრეთვე რკინის ლოღიკით უნდა გამომდინარეობდეს პარტიის მსოფლ-მხვედელობიდან და მასზედვე რკინის ჯაჭვებით უნდა იყოს მიჯაჭული, რა თქმა უნდა, მსოფლ-მხედველობა, რომელიც მუდამ პროგრესშია, დამოკიდებული არ უნდა იყოს, პირიქით, პროგრამმა-ტაქტიკა უნდა ემორჩილებოდეს მსოფლ-მხვედველობას. მსოფლ-მხედველობა ხსნის და განაგებს ტაქტიკას და არა ტაქტიკა მსოფლ-მხედველობას. როცა რეალურად ასეთი მჭიდრო დამოკიდებულებაა, მაშინ რასაკვი-

რველია, ყოველ ცვლილებას მსოფლ-მხედველობაში, ყოველ შეკეთებას, შესწორებას თუ შევსებას გამგე პრინციპებისას, რაც უნდა ხდებოდეს ახალ ფაქტთა აღმოჩენის ზეგავლენით, მოჰყვება და უნდა მოჰყვეს კიდეც შესაფერი ცვლილება პროგრამმა-ტაქტიკაში. ეს ცხადი ან-ბანური ჭეშმარიტებაა და მართლაც ასე მოხდა ყველა იმ პარტიის ისტორიაში, რომლის სიტყვასა და საქმეს შორის მუდმივი განხეთქილება არ არსებობდა.

სოციალდემოკრატიის ცხოვრების კანონები კი სხვაა. იქ არსებული დამოკიდებულება მსოფლ-მხედველობასა და ტაქტიკას შორის უკულმართი, არა ბუნებრივი იყო და არის. პარტია თავიდანვე არა სცდილა, თავისი ტაქტიკა თავის მსოფლ-მხედველობისათვის შეეგუებია. მსოფლ-მხედველობა მარქსისტებისა მუდმივ სახელმწიფოებრივი, ლეგალური და პარლამენტარული იყო. მაგრამ როცა სოციალდემოკრატები საზოგადო ასპარეზზე გამოვიდნენ პროლეტარიატის „მესამე დამარცხების“ მერმე „მეორე გაღვიძების“, „კომუნის შურის ძიების“ (revanche de la Commune) ხანა იყო (70 წლებში). იღვიძებდა პროლეტარიატის სარევოლიუციო ინსტიქტი და ენერგიაც. რეაქცია მძვინვარებდა, ახლად გაღვიძებული პროლეტარიატი საბრძოლველად ემზადებოდა: პარიზის მუშათა კომუნარების სახელი მოსვენებას არ აძლევდა, და „რეალურ პოლიტიკის“ ქება-დიდება, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელი იყო. სოციალ დემოკრატიამ დემაგოგიას მიმართა. ხალხს რევოლიუცია მოსწონდა, ანუ, როგორც შაშინ ამბობდნენ, ხალხი სარევოლიუციო გუნებაზე იყო. სოციალ-დემოკრატიამაც რევოლიუციონურ ენაზე იწყო ლაპარაკი და ხალხის ყურადღება მიიზიდა, იმის სიმპატია დაიმსახურა. ხოლო შემდეგში დრო იცვალა სოციალდემოკრატიისთვის, დადგა „რეალურ პოლიტიკის“ დრო და იმანაც სულ სხვა ენით იწყო ღაღადი. იმის ისტორიიდან ნათლადა სჩანს, რომ

იგი თავის ტაქტიკის თავისისავე მსოფლ-მხედველობასთან მჭიდროდ შეგუებას არაოდეს არა სცდილა. თუ წინად თეორია სახელმწიფოებრივი და რეფორმული იყო, ტაქტიკა-კი რევოლიუციონური, ეხლა ტაქტიკაც რეფორმულია, ხოლო იმისი გარეგნული სამოსი, მისი ფრაზეოლოგია, ხშირად უკიდურეს რევოლიუციონურ ფორმას იღებს. ასე რომ ეხლა ცოტა არ იყოს, მეტი დამოკიდებულებაა სოციალდემოკრატიის ტაქტიკასა და მსოფლ-მხედველობის შორის. მაგრამ სანამ ეს დაახლოვებითი ჰარმონია დამყარდებოდა, პარტია თავის პროგრამა-ტაქტიკას კი არა სცვლიდა თავის პრინციპებისდა შესაფერად, არამედ პრინციპებს უმორჩილებდა ტაქტიკას და სცვლიდა ამ პრინციპებს უმეტესად არჩევნების ინტერესების შესაფერად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალდემოკრატიის პრინციპიალური დაუდეგრობა აიხსნება ორ მოწანააღმდეგე ცნების შეერთების გამო: სოციალიზმის და დემოკრატიზმისა. აქედან სოციალიზმის დამცირება, სოციალისტურ მსოფლმხედველობის შესუსტებაც სოციალდემოკრატიულ ტაქტიკის ხმარებამ გამოიწვია და აი როგორ: ტაქტიკის დემოკრატიზმმა პარტიის კარები ფართოდ გაუღო ბურჟუაზიის ყოველგვარ გამონარიყ, უვარგის ელემენტებს, საშუალება მისცა პარტიაში შესვლისა და პარტიის სახელით მოქმედებისა პოლიტიკის ოსტატ კარრიერისტებს და ზოგჯერ შარლატნებსაც-კი, რომელთაც მოძრაობას თავიანთ ხელობის გასაღების, პროფესსიონილურის მხრით შეხედეს.

რუსეთის სოციალდემოკრატთა შორის ხშირად გაგვიგონია ერთი ანეგდოტი, რომლის მოყვანა აქ საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან იგი მშვენივრად ახასიათებს თანამედროვე სოციალდემოკრატების სულის მდგომარეობას და იმას, თუ როგორ უცქერიან ამ თუ იმ ტაქტიკურ საკითხის თეორიულად გამართლების საჭიროებას. ყველამ იცის, რომ სოციალდემო-

კრატიის მეორე პარტიულ კრებაზე განხეთქილება მოხდა, რის გამოც, ცოტა ხნის შემდეგ, პარტია ორად გაიყო კიდეც; გაჩნდა ორი ფრაქცია—უმრავლესობა და უმცირესობა. უმრავლესობის სურვილს წინააღუდგა უმცირესობა; მიზეზი წინააღმდეგობისა არ იყო ცხადი. უმრავლესობამ უმცირესობის წარმომადგენელთ ბრალი დასდო: თქვენ ადგილების [1] გულისათვის ასტეხეთ ალიაქოთიო. უმცირესობა განსაცდელში ჩავარდა, არ იცოდა, რა თეორეტიული მიზეზი დაესახელებინა განხეთქილების საბაბად. მათდა საბედნიეროდ, ამ ხანებში გ. პლეხანოვი უმრავლესობის ბანაკიდან უმცირესობის ბანაკში გადავიდა და უმცირესობის წარმომადგენლებმაც იმას მიმართეს: გვიშველეთ რამე, გამოგვიყვანეთ გაჭირვებიდან, ცილს გვწამებენ, ვითომ პარტია ორად ადგილების გულისთვის გაგვეყოს და სხვა არაფერი თეორიული ნიადაგი არ ჰქონდეს ჩვენს უმრავლესობასთან ბრძოლასაო. „ნუ გეშინიხთ, დაწყნარდით,—მიუგო დალაი-ლამამ ისეთის კილოთი, რომელიც მხოლოდ დიდებულთ შეჰფერის—**განხეთქილების გასამართლებელ თეორიას ჩვენ გამოვიგონებთ**“-ო და მართლაც „გამოიგონა“ და დასტამბა პარტიულ ორგანოში გრძელი და ბუნდოვანი მოსაზრებანი: იმან „მეცნიერულად“, რასაკვირველია, დაამტკიცა, რომ ლენინი სოციალდემოკრატი არ არისო.

ეს ანეგდოტია, მაგრამ შეიძლება ფაქტიც იყოს ყოველ შემთხვევაში, იმისი გამომგონი ჭკვიანი, დაკვირვებული ადამიანი უნდა იყოს, რადგან მშვენივრად ჰქონია გათვალისწინებული და შეგნებული სოციალდემოკრატიის ყოფა-ქცევა. მართლაც, ამ უკანასკნელ ოც-ოცდა ათი წლის გონებრივი შრომა სოციალდემოკრატიისა იმაში მდგომარეობს, რომ „იგონებს“ თეორიებს თავის სხვა და სხვა ტაქტიკურ შეც-

---

[1]) იხ. ლენინის წერილი: Письмо въ редакцію „Искры“.

დომის დასასაბუთებლად, დასაკანონებლად. რაკი სოციალ-დემოკრატია ბურჟუა-დემოკრატიულ ტაქტიკის დაღმართზე დადგა, ნელ-ნელა იწყო ცოცვა ქვევით, ტალახისაკენ, და რამდენიც ქვევით ჩაიწია, იმდენი თეორია „გამოიგონა“ თავის ყოფა-ქცევის დასაკანონებლად და დასასაბუთებლად. ის-კი არა, პარტიამ ამ როლის ასასრულებლად სპეციალისტიც გაიჩინა, მეტად მშრომელი კაცი კ. კაუცკი, რომლის ხანგრძლივმა მოღვაწეობამ „მოგონებაში“ გაიარა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ მარქსიზმმა ვერ განახორციელა ვერავითარი იდეიური პროგრესსი და მეცნიერების მხრივ იგი ეხლაც იმ წერტილზეა, რომელზედაც 40—45 წლის წინად იდგა.

იმას, რომ ტაქტიკა თეორიას, მსოფლმხედველობას არის მოწყვეტილი, ხან და ხან თვით მარქსისტებიც არ უარჰყოფენ. როცა იმათ მოქმედებას სინჯავ და ნათლად უმტკიცებ, მათი პრაქტიკა ეწინააღმდეგება მათსავე თეორიას, მაშინ თავ მომწონედ, ნამდვილის სოციალდემოკრატიულის რიხით გიპასუხებენ ხოლმე: „ტაქტიკა სხვაა და თეორია სხვაო“. რას ნიშნავს ესა? იმას, რომ სიტყვა ერთია, საქმე მეორე, საქმე ერთია, სიტყვა მეორე. და მართლაც, როგორც ლიტერატურა, ისე მოქმედება სოციალდემოკრატიისა განუწყვეტელი ქანაობაა ხან აქეთ, ხან იქით. ყველას გაუგონია, ალბად, ლიბკნეხტის ცნობილი ფრაზა, წარმოთქმული კაუცკისა. და შიპელს შორის აგრარულ საკითხის გამო ატეხილ პოლემიკის დროს: „მე ვმოქმედებ არა თანახმად ჩვენის პრინციპებისა, არამედ თანახმად ჩვენის ტაქტიკისაო“, ან და კიდევ ამავე ლიბკნეხტის ფრაზა იმის შესახებ, რომ ტაქტიკა კაცმა შეიძლება 24-ჯერ გამოსცვალოს დღე და ღამეშიო (დღე-ღამეში 48 საათი რომ იყოს მაშინ ლიბკნეხტი 48-ჯერ შესძლებდა ტაქტიკის გამოცვლას). რა გასაკვირველია ამის მერმედ, რომ სოციალისტთა პარტია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს

გარკვეულ და შეურყეველ იდეიურ ერთს, ყოველ პრინციპიალურ ხასიათს არის მოკლებული.

რაც უფრო ეფლობოდა სოციალ-დემოკრატია პარლამენტარულ ტალახში, მით უფრო ივიწყებდა სოციალიზმსაც და სარევოლიუციო ბრძოლასაც; ბოლოს, „რეალურ პოლიტიკის“ მიმდევრობამ აიძულა სრულიად მიეტოვებინა თავისი უწინდელი, თითქმის რევოლიუციონური ტაქტიკა და ბურჟუა-რეფორმატორულ გზას დასდგომოდა. მართლაც, წინანდელი პროგრამმა, ფიცი და დაპირებანი დაივიწყეს, ფრაზები სოციალურ რევოლიუციაზედაც უკუ აგდეს და მოქმედების აზრად გაიხადეს ის პროგრამმა მინიმუმი, ის მოთხოვნილებანი, რომელსაც თვითონვე მასხარად იგდებდენ. დაადგენ თუ არა მორიგება-შერიგების გზას, ამ ყოფილ რევოლიუციონერებს მინიმალური პროგრამმაც ძნელ განსახორციელებელ რამედ ეჩვენათ და იმასაც აქეთ იქიდან ბევრი რამ ჩამოგლიჯეს; პროგრამმის დაწვრილმანება, ვინ იცის, სადამდის მიიყვანდა პარტიას, რომ ზოგიერთ ინგლისელ და ფრანგ რადიკალს სიცილი არ დაეწყო: „შეხეთ, როგორ მოჭკუიანდენ ჩვენი სოციალისტები, მგონი, ჩვენზე უფრო ჭკუიანი ხდებიანო“, და მართლაც ინგლისელი რადიკალები ბევრ შემთხვევაში მეტ გაბედულებას იჩენდენ, ვიდრე სოციალ-დემოკრატები. მართალია, აქა-იქ სოციალ-დემოკრატიამ შეირჩინა გარეგნული, ფრაზიული რევოლიუციონორობა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ადვილად დაემალა და მერე გაესაღებინა თავისი ლეგალიზმი, თავისი ბურჟუაზიული არსება. სოციალ-დემოკრატიის ამ გვარ ევოლიუციას შედეგად აუცილებლად უნდა მოყოლოდა სხვა სარევოლიუციო პარტიებთან ურთიერთობის გამწვავება. სწორედ ამ მიზეზმა გამოიწვია ის საშინელი ბრძოლა, რომელიც არსებობდა მათსა და ანარქისტებს შორის. ეს უკანასკნელნი ჯიუტობდენ, არ უნდოდათ ეღალატნათ თავიანთ წინანდელ პროგრამმისა და

ტაქტიკისათვის, რომელიც ინტერნაციონალის ნაანდერძევი იყო. ამნაირად, ამ ორ პარტიას შორის განხეთქილება ყოვლად აუცილებელი და კანონიერი გახდა. მეზობლობა იმ პარტიასთან, რომელსაც არ სურდა ეხმარა ბურჟუაზიულ კლასებთან ურთიერთობაში მორიგება-შერიგების ტაქტიკა, რომელიც სცნობდა მხოლოდ ტაქტიკას მფლობელ და გამგე კლასსთა წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლისას, რომელიც უხმობდა მუშა ხალხს თანამედროვე წესწყობილების ძალით დასანგრევ-გასანადგურებლად და უხსნიდა მათ ამ გვარ მოქმედების აუცილებელ საჭიროებას ბრწყინვალე მომავლის, თავისუფლება-ერთობის გზის გასაწმენდათ, ყოვლად მავნებელი გახდა ჭკუაზე მოსულ სოციალ-დემოკრატიის ინტერესებისათვის. სოციალ-დემოკრატიას თავის „რეალურ პროგრამის“ განსახორციელებლად სჭიროდა ხმები, კენჭები წვრილ და ზოგჯერ საშვალო ბურჟუაზიისა. ანარქისტები კი თავიანთ „მოუთმენლობით“, ყუმბარებით, აგრარულ აჯანყებებით, თავიანთ განუწყვეტელ ქადაგებით სარევოლიუციო საერთო გაფიცვის შესახებ, აშინებდენ ამ ხალხს და ამით სოციალ-დემოკრატიას არჩევნების დროს ხმებს აკლებდენ. სოციალ-დემოკრატიას, ენგელსის სიტყვისამებრ, მშვიდობიანობა სჭიროდა. ამ მშვიდობიანობით, კანონიერობით იყო, როგორც ბრემენის კონგრესმა გვაცნობა, რომ სოციალ-დემოკრატებმა „წითელი ლოყები და მსუქანი ბარკლები“ მოიპოვეს (**красныя щеки и толстыя ляжки**); ანარქისტები-კი ჯიუტობდენ და ამბობდენ, რომ სარევოლიუციო ტაქტიკას არ გვინდა თავი დავანებოთო. ამაში სოციალ-დემოკრატებმა ომის გამოსაცხადებლად საკმაო მიზეზი ნახეს. მთელ ლიბერალურ და რეაქციონურ ბურჟუაზიის ტაშის ცემით წაქეზებულებმა ასტეხეს ერთი ვაი-უშველებელი და ჟივილ-ხივილი ანარქისტთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ „კეთილშობილმა“ სოციალისტებმა „დეზორგანიზატორებად“, „ინდივიდუალისტებად“,

sic

sic

„მანჩესტერიანებად“ და, ასე წარმოიდგინეთ, არა სოციალისტებადაც კი გამოაცხადეს. რისთვის მერე? მხოლოდ იმისთვის, რომ მათ არ იწამეს ახლად გამომცხვარი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკანიზმი სოციალისტურ მოქმედების საუკეთესო ფორმად, იმისთვის, რომ არ ისურვეს სოციალ-დემოკრატიის გაყოლა, მათის სახელის მიღება.

რათა ბურჟუაზია უფრო დაბეჯითებით დაერწმუნებინათ, რომ მათ მართლა გასწყვიტეს ყოველივე კავშირი მარცხნით მყოფ სოციალისტურ პარტიებთან (იმ დროს მარცხნით ანარქისტებს გარდა ალლემანისტებიც იყვნენ), იწყეს წყევლა და უარ-ყოფა ყველა იმისა, რასაც აღმერთებდნენ ათი-ხუთმეტი წლის წინად, და ქება-დიდება იმისა, რასაც წინად ჰგმობდნენ და ტალახში სვრიდნენ. პარტია შედგა რენეგატობის გზაზე, ზოგმა პირდაპირ, აშკარად უარჰყო ძველი აზრები და წვრილ ბურჟუაზიისაგან შემდგარ ამომრჩეველთა წინაშე შენდობა ითხოვა. მაგალითად ავიღოთ გაბრიელ დევილი, ერთი სამ ვარსკვლავთაგანი, რომელიც თავიდანვე ფიცხად შეუდგა მარქსიზმის კეთილ სიტყვის თესვას ფრანგ მაშვრალთა შორის; სწორედ ის გაბრიელ დევილი, რომელიც თვით მარქსისაგან იყო დიდად პატივცემული და ამისათვის ღირსი გახდა ისეთ ისტორიულ, დიდ საქმის აღსრულებისა, როგორც არის „კაპიტალის“ შინაარძის თავის სიტყვებით დაწერა ფრანგებისათვის და რომელიც ყოვლად აუცილებლად აღიარებდა ძალით მომხდარ რევოლიუციას, ეს დევილი დღეს, იმავე პარლამენტარულ ტაქტიკის გამხრწნელ ზედგავლენის მეოხებით, საჯაროდ უარ ჰყოფს თავის წარსულს და შენდობას თხოულობს აპატიონ ახალ გაზდობით ჩადენილი შეცდომანი. აქ საჭიროა გნვმარტოთ, თუ როგორი იყო გ. დევილის წინანდელი აზრები, მერე იმის ეხლანდელ აზრებზე გვექნება ლაპარაკი.

sic

დევილმა, მარქსის მინდობილობით, „კაპიტალი“-ს შინაარსი დასწერა მდაბიურის ენით. დევილი მარქსისათვის დი-

დი კაცი იყო, მას დიდი გავლენა ჰქონდა პარტიის შექმნასა და ევოლიუციაზე. თავის წიგნს დეკილმა წინასიტყვაობა უძღვნა და აი, სხვათა შორის, რას ამბობდა: „ჩვენის პლატონიურ რეფორმისტების უძვირფასესი არგუმენტი ის არის, რომ ჩვენ ჯერ ხალხის აზრები და გრძნობა უნდა შევცვალოთ, ჯერ ხალხს განათლება უნდა მივცეთ. მთელი სოციალური საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ხალხის თავში უნდა მოვახდინოთ რევოლიუციაო. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ხალხის აღზრდა, განათლებას არ შეუძლიან შეასუსტოს ექსპლოატაცია; უმრავლესობა, რომელიც თავის გამოსაკვებად იძულებულია გაჰყიდოს თავისი ძალა, ყოველთვის დამოკიდებული იქნება შეძლებულ უმცირესობისაგან, განათლების გაერთიანება (universalisation) საკუთრების გაუერთიანებლად ვერაფერს ვერ შესცვლის დაქირავებულ მუშის მატერიალურ მდგომარეობაში[1]...

---

[1]) სრულიად თანახმა ვართ ამ უკანასკნელ სიტყვებისა. დეკილის მსჯელობა ჩვენის დროისათვისაც მართალი და ლოდიკურია. არგუმენტის გასაძლიერებლად საჭიროდ მიგვაჩნია იმის ნათქვამს შემდეგი მიუმატოთ: ამ მხრით არ დაქირავებულ მუშის მდგომარეობა კიდევ უფრო უბედურია. მუდმივად მუშაობის მქონე ხალხს კიდევ შეუძლიან, ცოტა არ იყოს, ისარგებლოს განათლებით, მაგრამ ის, ვინც ამ მუდმივ სამუშაოს, ე. ი. ერთად-ერთ სახსარს ცხოვრებისას—სამუშაო ქირას—მოკლებულია, ვერავითარ სარგებლობას ვერ გამოიტანს სწავლა-განათლებიდან იმიტომ, რომ მოკლებულია ყოველსავე სახსარს არა თუ სწავლისა, არამედ უბრალო სახალხო ჟურნალ-ბროშიურების შეძენისასაც—კი. რიცხვი ამგვარად სამუშაო მოკლებულ ხალხისა ძალიან დიდია. მათი რიცხვი არ მცირდება. როგორც ზოგიერთებს ეგონათ. კაპიტალისტურ წეს-წყობილების განვითარებამ მუშათა მდგომარეობა მეტად დაუდეგარი გახადა. ზამთრობით მუშაობას მოკლებულ ხალხის რიცხვი ევროპასა და ამერიკაში ორ მილიონს აღემატება. როცა რევოლიუციაზე არის ლაპარაკი, ამათი დავიწყება არ შეიძლება, რადგან, გვინდა თუ არა, ეს ხალხი რევოლიუციაში დიდ როლს ითამაშებს. ცხადია, მათი როლი

„მაგრამ თუ ჩვენ იძულებულნი ვართ აღვიაროთ, რომ განათლება სულ ცოტადაც ვერ შეუმსუბუქებს პროლეტარიატს თავის მდგომარეობას, ამით არ გვინდა ვსთქვათ, რომ მას სრულიად უარვყოფთ. ჩვენ გვწამს განათლების სარგებლობა მით უფრო, რომ მას ბედნიერი გავლენა აქვს ხალხზე. რაც უფრო განათლებულია ხალხი, მით უფრო კარგად ჰგრძნობს თავის გაყვლეფილს მდგომარეობას, მით უფრო ნაკლებ სთანხმდება იგი, რომ იტანჯოს. ყოველი განათლებული დაქირავებული მუშა უახლოვდება ტიპს აჯანყებულისას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ განათლება აქეზებს მუშას ძალა იხმაროს სოციალურ საკითხის უკანასკნელ გადასაწყვეტად, მას მაინც არ შეუძლიან თვით ძალის ხმარების ადგილი დაიჭიროს.“ [1])

ის საშინელი ანარქისტები, რომელთა განსაკიცხავ-გასანადგურებლად დღევანდელ გედისტებს საკმაოდ „მაგარი“ სიტყვა ვერ გამოუნახავთ, მაშინ როცა ეს ბროშურა დაიწერა, ასევე ფიქრობდნენ მათთან ერთად. მაგრამ ამგვარი აზრები ხომ სასიამოვნო არ არის წვრილი და საშვილო ბუჟუაზიისათვის და ამისათვის ამომრჩევლების მონად გამხდარ

მოძრაობაში ხან და ხან მავნეა, განსაკუთრებით იქ, სადაც მუშათა მუდმივი მძლავრი ორგანიზაციები არ არსებობს და მათ ორგანოში მოყვანას და განვითარებას ყურადღებას არ აქცევენ. მიუტევებელი შეცდომაა ამ ხალხთან ისე მედიდურად, არისტოკრატულად მოქცევა, როგორც სოც.-დემოკრატია შვრება. ამათ შორის შეტანილ უნდა იქნას სოციალისტური სიტყვა. ისინი უნდა დაუახლოვდნენ მუშათა მუდმივ ორგანიზაციებს. ამის საჭიროება დღეს ცხადია.

[1]) იხილე იმის წიგნის „Le capital“-ის წინასიტყვაობა სათაურით: **Apersu sur le socialisme scientifique**“. ეს წინასიტყვაობა შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა, მაგ., ბელგიის მუშათა პარტიის მიერ, და მას მცირე როლი არ უთამაშნია გედისტებისადმი მუშათა სიმპატიის მოხვეჭაში.

დევილს ეს აზრები უკუ უნდა ეგდო, და მართლაც უკუ-აგდო კიდეც. როცა 27 მაისს 1896 წელს (gimnase de Pascaud-ში დევილი ამომრჩეველთა წინაშე წარსდგა და სოციალიზ-მსა და რევოლიუციაზე იწყო ლაპარაკი, წვრილმა ბურჟუა-ზიამ ზემო მოყვანილ სიტყვებზე მიუთითა და აუყაყანდა. ჩვენ ძალადობა არ გვინდაო. მათ დასაწყნარებლად „მეცნი-ერული“ სოციალიზმის წარმომადგენელმა შემდეგი განაცხა-და: „ოდესღაც მე მწამდა მოქმედებითი მნიშვნელობა ძალისა, მწამდა უხეში ძალა, მაგრამ ეხლა მივხვდი, რომ განთავისუ-ფლება პროლეტარიატისა უნდა მოხდეს არა აჯანყებულ უმ-ცირესობის, არამედ შეგნებულ უმრავლესობის მეოხებით, ამიტომ უარვყოფ იმ ჩემს ნაწერს, რომლისთვისაც საყვე-დურს მიცხადებენ.“ [1])

ამგვარი უპრინციპობა ანარქისტმა ან სხვა რევოლიუ-ციონერმა რომ გამოიჩინოს, უსათუოდ ჩასაქოლავი იქნება, მაგრამ დევილს, საფრანგეთის მარქსიზმის ბრწყინვალე ვარს-კვლავს, ყველაფერი ეპატიება: ჯერ ერთი იმისთვის, რომ „რეალურ პოლიტიკის“ მიმდევარია და არა უტოპისტი, და მერე იმისთვის, რომ მეცნიერულ სოციალიზმის წარმომად-გენელია!..

ყველასათვის ცხადია, გვგონია, რომ დევილმა საკმაოდ დაუთმო თავის ამომრჩევლებს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს გაუმაძღრები ასეთ მსხვილ საჩუქრითაც არ დაკმაყოფილდნენ: როგორ თუ კერძო საკუთრება არ იყოსო, და ყაყანი განა-გრძეს. დევილმა, პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, აქაც გულუხვობა გამოიჩინა: განაცხადა თავისი მოწიწებითი პატივისცემა კერძო საკუთრებისადმი [2]). ეს რომ გ. დევილის

---

[1]) იხილე Variations gesdistes E. Pouget p. 24.

[2]) იხილე „La veritè sûr L—Union socialiste.“ Paris 1897 წ. p. 24 ოფიციალური გამოცემა საფრანგეთის სოციალ-რევოლიუციონურ მამათა პარტიისა.

პირადი აზრი იყოს ჩვენ ყურადღებასაც არ მივაქცევდით. საზოგადოდ, ამა თუ იმ წარმომადგენელის ყოფა ქცევაზე ჩვენ იმდენად გავჩერდებით, რამდენადაც იგი დამახასიათებელია პარტიის მოქმედებისა.

მეორემ, უფრო გამოჩენილმა წარმომადგენელმა საფრანგეთის სოციალდემოკრატიისამ, ჟიულ გედმა კიდევ უფრო საინტერესო გზა განცლო, სანამ იმად გახდებოდა, რაც დღეს არის. გედი ყველასაგან აღიარებულია პარტიის შემქნელად და მოთავედ. თვით სახელი ფრანგ-მარქსისტებისა—გედისტები—იმის სახელისაგან არის წარმომდგარი. ჟიული გედი ოდესღაც ანარქისტი იყო. საკვირველია, როცა კაცი საერთაშორისო სოციალდემოკრატიულ მოძრაობას გადაავლებს თვალს, ცვიფრდება: ამ მოძრაობის მეთაურთა შორის უმრავლესობას ანარქიზმის რენეგატები შეადგენენ: გედი, მეთაური საფრანგეთის მარქსისტებისა, ანარქისტი იყო, ანარქისტივე იყო ბ. იგლეზიასი—მეთაური ისპანიის სოციალდემოკრატიულ მოძრაობისა, ბ. ბრუსი—თავმჯდომარე პარიზის მუნიციპალიტეტისა, ვან-კოლი—ჰოლანდიის სოციალდემოკრატიის მეთაური. ანდრეა კოსტა—იტალიის და სხვა. რაც შეეხება სრულიად რუსეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის და სხვათა სოციალდემოკრატიულ მოძრაობის მამათ-მთავარს გ. ვ. პლეხანოვს, ისიც ხომ ბაკუნისტი იყო. საკმაოა ანარქისტმა თავისი რწმენა უარ-ყოს და იგი სოციალდემოკრატიის მეთაურად ხდება. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ეს სოციალდემოკრატიის გონებრივ სისუსტის მაჩვენებელი არ არის? ყველა ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ სოციალდემოკრატთა მეთაურნიც გამხდარან ხანდახან ანარქისტებად, მაგალითად დ. ნივენგუისი—დამხმარებელი და მოთავე ჰოლანდიის სოციალისტურ პარტიისა, ივანე მოსტი—ავსტრიელი სოციალისტი და სხვანი, მაგრამ ისინი ანარქისტულ მოძრაობის მეთაურებად კი არა, რევოლიუციის უბრალო სალდათებად გახდნენ. განა ეს ფაქტი ყურადღების ღირსი არ არის?

რაც შეეხება კერძოდ ჟ. გედს, მან თავისი მოღვაწეობა ინტერნაციონალის დროს დაიწყო და როცა საერთო საბჭომ (генеральный совѣт) დიქტატორული ლტოლვილება გამოიჩინა, იგი ბაკუნისტებთან ერთად წინააღუდგა მარქსისტების ამგვარ არა შესაფერ მოქმედებას. საერთო საბჭოს ასეთ ყოფა-ქცევას წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად სონვილიეში (შვეიცარია) 1871 წ. მომხდარმა სხდომამ რეზოლიუცია შეუმუშავა და დაურიგა ინტერნაციონალის ყველა სექციას (განყოფილებებს). ამ რეზოლიუციაზე, სხვათა შორის, გედმაც მოაწერა ხელი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს გედის პირვანდელ აზრების დასახასიათებლად და თან ის ეხლა ერთობ იშვიათ ბიბლიოგრაფიულ განძს წარმოადგენს. ამისათვის მოგვყავს აქ მისი დასკვნა:

„ჩვენ ბრალს არა ვდებთ საერთო საბჭოს,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—ვითომ მას ცუდი რამ განზრახვა ჰქონდეს; არა, მისი წევრები მსხვერპლნი არიან ფატალურ საჭიროებისა, მათ სრულიად გულ-წმინდათ სურდათ თავიანთ დოქტრინის გასამარჯვებლად ავტორიტეტის პრინციპი შეეტანათ ინტერნაციონალში. გარემოებამაც ხელი შეუწყო მათ. ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია ის, რომ ეს მოძღვრება,[1]) რომლის იდეალიც მუშების მიერ პოლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდებაა, იქამდის მივიდა, უკანასკნელ ამბების ზედგავლენით, რომ იფიქრა—ინტერნაციონალმა, თავისი პირველყოფილი ორგანიზაცია უნდა შესცვალოს და იერარქიულ ორგანიზაციად გადიქცეს, რომ იგი რომელსამე კომიტეტმა უნდა განაგოს და ჰმართოსო. ასე გვესმის და ავხსნით ამ ტენდენციას, მაგრამ ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია იმის წინააღმდეგ ბრძოლა, სწორედ იმ სოციალურ რევოლიუციის სახელით, რომლის პროგრამმაა: განთავისუფლება მუშათა

---

[1]) მარქსისტების მოძღვრებაზეა ლაპარაკი კ. ო.

უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის მიერ. ეს მუშათა კლასი უნდა იდგეს ყოველ მმართველ, თუნდ მუშებისგანვე არჩეულ, ავტორიტეტს გარეშე.[1])

ჩვენ ვთხოულობთ, რომ დაცულ იქნას ინტერნაციონალში ის ავტონომიის პრინციპი, რომელიც შეადგენდა საძირკველს ჩვენის კავშირისას (ასოციაციისა); ჩვენ ვთხოულობთ: საერთო საბჭო, რომლის მანდატის მნიშვნელობა დამახინჯებულ იქმნა, ისევ შევიდეს თავის ნორმალურ როლში, ე. ი. გახდეს უბრალო სტატისტიკისა და მიწერ-მოწერის ბიუროდ. ის ერთობა, რომლის განხორციელებას სხვანი ფიქრობენ ცენტრალიზაციისა და დიქტატურის მეოხებით, ჩვენ გვსურს განვახორციელოთ ავტონომიურ ჯგუფთა თავისუფალ ფედერაციით.

„მომავალი საზოგადოების ფორმა უნდა იქმნეს იმის განსაზოგადოება, რასაც ეხლა აირჩევს ინტერნაციონალი თავის ორგანიზაციულ ფორმად. ამისათვის უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი ორგანიზაცია რაც შეიძლება უფრო ჰგავდეს ჩვენს იდეალს. განა შესაძლებელია თავისუფლებისა და ერთობაზე დამყარებული საზოგადოება იშვას ისეთ ორგანიზაციისაგან, რომლის საძირკველი ავტორიტეტია? არა, ეს არ შეიძლება. ინტერნაციონალი მომავალი კაცობრიობის ჩასახულებაა და ამისთვის იგი ეხლავე უნდა გადაიქცეს ჩვენის თავისუფლებისა და ფედერაციის პრინციპების გამომსახველად, უნდა განაძევოს მან თავის მიდამოდან ყოველი პრინციპი, რომელიც დიქტატურისა და ავტორიტეტისადმი მიისწრაფვის“.

მკითხველსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ამ წმინდა ფედერატიულ ორგანიზაციულ პრინციპს, ის კიდევ შეგვხვდება, როცა მუშათა მოძრაობაზე გვექნება ლაპარაკი. ასეთი იყო ის ორგანიზაციული პრინციპი, რომელსაც ბაკუნისტე-

---

[1]) Memoire de la federation urassienne.

ბთან (დღევანდელ ანარქისტებთან) ერთად იცავდა გედი, ხოლო შემდეგში მან უღალატა ამ თავის მიერ აღიარებულ აზრს და რა გგონიათ?—იგი სხვას ეძახის „დეზორგანიზატორს“. გასაკვირველიც არ არის. გედმა „იერუსალიმის გზა“ იპოვა და ეხლა თვითვე ქებათა ქების ჰიმნებს უგალობებს იმავე დიქტატურას, ავტორიტეტს და, ასე გასინჯეთ, თვით რექვიზიციასაც-კი [1]).

გადავიდეთ ეხლა მეორე კითხვაზე, განვიხილოთ რა აზრისა იყო გედი სახელმწიფოზე. ამ კითხვის გამოსარკვევად უფრო მერმინდელი დოკუმენტი შეგვიძლიან ავიღოთ. სამოცდა ათიან წლების დამლევს (1878 წ.) გედმა დასწერა წიგნაკი, რომელსაც „სოციალისტის კატეხიზმი“ (Catechisme socialiste) დაარქვა და რომლის მეცხრე თავიც მოანდომა სახელმწიფოზე თავის შეხედულების გამორკვევას. მოგვყავს თავი, როგორც საინტერესო დოკუმენტი თითქმის სრულად.

კითხვა. რა არის სახელმწიფო?

პასუხი. სახელმწიფო ორგანოა კანონისა, რომლის უმთავრესი და ძირითადი როლიც არის ის, რომ სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის დაამყაროს მუდმივი ურთიერთობა და, მაშასადამე, საზოგადოებაში წესიერების დაცვა.

კითხვა. როგორ ასრულებს სახელმწიფო თავის დანიშნულებას და ვინა ჰქმნის კანონს?

პასუხი. თეოკრატიულ და მონარქიულ სახელმწიფოში ერთი კაცი სასულიერო წოდებისა ან მეფე, რომლის ნება, სურვილი შემოუფარგლელია; ოლიგარხიულ ან არისტოკრატიულ სახელმწიფოში აგრეთვე შეუზღუდველი უმცირესობა, დემოკრატიულ სახელმწიფოშიც ასეა. უმცირესობა ჰქმნის

---

[1]) რექვიზიციის შესახებ იხილე მისი პარლამენტარულ სიტყვათა კრებული: guatre ans delitte, des classs. სიტყვა solution Collectiviste.

კანონს, თუმცა იგულისხმება, რომ კანონი ყველას ნებით უნდა იყოს შექმნილი. ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ეგრედ წოდებული საერთო ამომრჩევლობა, კანონი იქმნის მხოლოდ განსაზღვრულ ხნეობის მამაკაცთა ხმის უმეტესობით, ასე რომ მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობის ნება იმარჯვებს კანონის სახით.

კითხვა. აქედან გამოდის, რომ უუდემოკრატიულეს სახელმწიფოშიაც კანონი შექმნილია მცირე ჯგუფისაგან, რომლის ნების გამომხატველადაც რჩება, არა?

პასუხი. დიახ. და ამას გარდა ის ურთიერთობა, რომელსაც ამყარებს მცირე ჯგუფი. არის აუცილებლად ამავე ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ და სხვისი საზარალო ურთიერთობა.

კითხვა. არ შეიძლება სხვა გვარად მოეწყოს საქმე? არ შეიძლება შეკეთდეს კანონის შემქნელი ორგანო ანუ სახელმწიფო ისე, რომ კანონი იყოს ყველას სურვილის გამოხატულება და ყველას ინტერესების დამცველი?

პასუხი. არა. თუნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამომრჩეველთა უფლება გაფართოებულ იქნას, ყველა სქესის განურჩევლად, იღებდეს კენჭის ყრაში მონაწილეობას, რაც შესაძლებელი არ არის—წარმოვიდგინოთ კიდევ, რომ ყველა წევრნი სოციალურ ორგანიზმისა უკლებლად იღებენ მონაწილეობას იმ წესების დამყარებაში, რომელმაც უნდა განაგოს მათი ურთიერთობა; ამ შემთხვევაშიც შექმნილი კანონი იქნება გამოხატულება უმრავლესობის ნება-სურვილსა და დაიცავს მხოლოდ უმრავლესობის ინტერესებს.

კითხვა. მაშასადამე, სახელმწიფო, რაც ფორმა უნდა ჰქონდეს, ვითარცა კანონმდებელი ორგანო, სჩაგრავს ერთ ნაწილს სოციალურ ორგანიზმისა?

პასუხი. დიახ, თუ ყველა კანონი, რომლის მიცემაც შეუძლია სახელმწიფოს, ავიწროებს ან უმცირესობას ან უმრავლესობას. . . . . .

ნორმალური ფუნქცია სახელმწიფოსი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეცა კანონები და ურთიერთობა სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის სისწორით წაეყვანა, მაგრამ ყველგან ამ ორ ფუნქციას სახელმწიფომ მიუმატა მესამე. ყველგან მან თითონვე დაიწყო კანონის სისრულეში მოყვანაც. ყველა ყოველთვის კანონმდებლობითი ორგანო აგრეთვე აღმასრულებელ ორგანოდ გადაქცეულა ადმინისტრაციის, მაგისტრატურის, პოლიციისა, ჯარისა და სხვათა სახით. სახელმწიფოს ამ ახალ ფუნქციას ისე დაუწყეს ცქერა, ვითომ ის იყოს უმთავრესი საქმე, და ის გახდა სახელმწიფოს მთელ შინარსად.

რისთვის გამოდის ეგრე სახელმწიფო თავის ბუნებრივ ფარგლიდან. რისთვის არის, რომ მას სჭირია ჯაშუშის მახვილი ყური და მაგარი მუშტი, შეუბრალებლობა და დამორჩილება მსაჯულთა, გამგონე შტიკები სალდათისა და სხ... თუ ურთიერთობა არსებული სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის არის ურთიერთობა გაერთიანებულ ინტერესებისა, თუ კანონი, შექმნილი სახელმწიფოს მიერ, არ ავნებს ვისმეს?

კითხვა. სახელმწიფო, რომელიც სხვას არას იძლევა გარდა თავის ნებაყოფლობასა და მიკერძებაზე დამყარებულ კანონისა, რომელიც ამათ თუ იმათ ინტერესსა და უფლებას არღვევს, ე. ი. თუ სახელმწიფო უძლურია მოგვცეს სოციალური კანონი, ის გაუქმებულ უნდა იქნეს?

პასუხი. ყოველ ეჭვს გარეშეა. იარაღი ბატონობისა ერთის კაცისა თუ კლასისა, მეორე კაცსა თუ კლასზე, არ შეიძლება გადურჩეს იმათ, რომელნიც ესწრაფვიან სოციალურ თანასწორობის განხორციელებას.

კითხვა. ნუ თუ ეს შესაძლებელია? შესაძლებელია განაწარმოვიდგინოთ ან შევქნათ საზოგადოება უსახელმწიფოდ?

პასუხი. რასაკვირველია, ამისათვის საჭიროა საზოგადოება ისე მოვაწყოთ, რომ თანასწორად იცავდეს ყველას ინტერესებს, რომ ყველას ერთნაირი ინტერესი ჰქონდეს იმის დაცვისა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სრულიად მეტი ხდება, რადგან წესიერება, რომლის დაცვაც მას აქვს საგნად და რასაც ის მხოლოდ გარეგნულად ასრულებს, ბევრის სისხლის და ფულის ფასით, მოჰყვება ბუნებრივად ყველას მოთხოვნილებათა თანასწორად დაკმაყოფილებას.

კითხვა. რამდენადაც უნდა დაემყაროს მომავალი საზოგადოება ინტერესთა თანასწორობაზე, ის ხომ მაინც იძულებული იქნება აიღოს თავის-თავზე ზოგიერთი საზოგადო საქმე, მაგ. რკინის და შარა გზების, ნავთსადგურების, კანდელების და სხვა ამისთანა რამეების გაკეთება, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კეთდებიან და რომელთა აღსრულებაში მოყვანაც ყველას პირდაპირ, თუ არა პირდაპირ ხდება სახელმწიფოს დახმარებით. არა?

პასუხი. მერე ვინა ყოფს მაგას უარს? ეს საზოგადო საქმეები სახელმწიფომ ძალად ჩაიგდო ხელში ექსპლოატაციის მიზნით. სწორედ ამან აიძულა ზოგიერთი სოციალისტი ეფიქრნა: სახელმწიფო დანგრეულ კი არა, განახლებულ უნდა იქნასო. ისე კი ამ საქმეებს სახელმწიფოსთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს; ამას ის ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ამ საზოგადო საქმეთაგანი, მაგ. რკინის გზა—იქ, სადაც სახელმწიფო აწარმოებდა რკინის გზებს და მადნებს—მხოლოდ დროებით რჩებოდა სახელმწიფოს ხელში და მერე ისევ კერძო ამხანაგობათა ხელში გადადიოდა. სხვა საზოგადო საქმეები, მაგ. ფოსტა, დარჩა სახელმწიფოს ხელში, იგი ხელმძღვანელობს მათ ადმინისტრაციას, მაგრამ იგი მოშორებულ იქმნა თავის ნამდვილ მიზანს და იმის მაგიერ, რომ გააადვილოს სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის ურთიერთობა, აბრკოლებს.

„მომავალ საზოგადოებაში სხვა და სხვა საზოგადო საქმე ასრულდება იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ეს საქმეები, ან მწარმოებელ ჯგუფთა ყველა წევრის სრულის დახმარებით, ან კიდევ დროებით დელეგატების მიერ, რომელნიც არჩეულნი იქნებიან ან ჯგუფის ერთის ნაწილისა ან მთელის ჯგუფისაგან. ამისათვის საჭირო არ იქნება სახელმწიფო, ე. ი. გამოწვევა საზოგადოების დაყოფვისა მმართველებად და სამართველოებათ, კანონმდებლათ და კანონის მორჩილად, ადმინისტრატორებათ და ადმინისტრაციის ნების აღმასრულებლად. სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის ნიშნავდა ავტორიტეტის ორგანიზაციას კაცზე კაცის საბატონოდ და თუ მას არ მივცემთ სრულიად ახალ შინაარსს—ორგანიზაცია კაცის დაცვისა და განვითარებისა—რაც ზევით ვსთქვით, ყველა მართალია, მაგრამ—და ჩვენ ამ კითხვას სოციალისტებს ვუსვამთ —კარგი იქნება ერთის სიტყვით გამოვხატოთ ისეთი სხვა და სხვა მიზანი, როგორც ყველას თავისუფლება, ბედნიერება და უმეტესობისაგან უმცირესობის ექსპლოატაციაა? კარგი იქნება, ერთის სიტყვით, გამოვხატოთ ორი ისეთი სხვა და სხვა სახსარი, როგორიც მაგ., თავისუფალი ზნეობრივი და ფიზიკური დახმარება და ძალდატანება ყველაფერში და ყველაფრისთვისაა? ჩვენ რომ აგრე მოვიქცეთ, არ გავუადვილებთ ბრძოლას სოციალისტებთან, რომელთა მიზანი საზოგადოების ყველა წევრის სრული თავისუფლებაა, იმათ, ვინც ბრალსა სდებს სოციალისტებს, ვითომ მათ უმრავლესობისთვის უნდოდეთ გადაცემა ძალისა უმცირესობის დასაჩაგრავად?“

ასეთია მცნება სახელმწიფოზე ფრანგულ სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელისა; ასეთი იყო ის რწმენა და აზრები, რომელთაც მოუპოვეს გედს პოპულიარობა თავის ქვეყნის მაშვრალთა, „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულთა“ შორის. აქედან იწყება მისი პოლიტიკური კარიერა, ამ აზრებმა გახადა იგი საფრანგეთში პოლიტიკურ ძალათ იმისი ამხანაგ

ლაფარგთან ერთად დაარსებაში, უკვე ხსნებული გ. დევილი ამ ხანებში და ცოტა მერეც იმავე აზრებს ჰქადაგებდა სახელმწიფოზე.

„სახელმწიფო, ამბობდა ის, არსებულ „საზოგადო საქმეთა“ ჯამი, ან ისეთი რამ კი არ არის“, რასაც მხოლოდ აქა-იქ შეკეთება და დამატება სჭირია.

„გაკეთება კი არა, დანგრევა უნდა სახელმწიფოს, რომელიც მყვლეფელ კლასთა ორგანიზაციაა, შექმნილი გაყვლეფილთა ექსპლოატაციის და მონობაში ყოლის გასაადვილებლად.

ძალიან ცუდია იმის გაძლიერება, რის დანგრევაც გწადია. ...სახელმწიფოს შეკეთება სოციალიზმის საკითხებს არ გააადვილებს. საფრანგეთის ბანკის ან რკინის გზების ხელში ჩაგდება უფრო ადვილი ხომ არ არის, ვიდრე ფოსტისა და ტელეგრაფისა. ხელში ჩაგდება მსხვილ წარმოებათა, რომელნიც კაპიტალისტებს ეკუთვნით, ისე ადვილი იქნება, თითქოს ისინი სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ [1]).

ეჰ! იყო დრო, როცა დღევანდელ „მოშინაურებულ“ სოციალისტებს სიტყვას ვერ დაუწუნებდით, მაგრამ განქრა ის დრო, ძლიერად მიმზიდველმა ძალამ „რეალურ პოლიტიკისამ“ ყოველივე შთანთქა, ასეთი მარტის დღესავით ცვალებადი მოღვაწენი უდგნენ და უდგანან სათავეში საერთაშორისო სოციალდემოკრატიას და გასაკვირველია მისი უპრინციპობა? მართლაც და, ვინ იცნობს დღევანდელ გედში იმ გედს, რომელიც მე-70 წლების დამლევამდე იყო? გედი გვატყობინებს, რომ კანონი, თვით დემოკრატიულ სახელმწიფოშიაც-კი, თუმცა იხატება როგორც საერთო ჭმნილება, არის და არ შეიძლება არ იყოს შედეგი დამჩაგვრელ უმცირესობის სურვილისა. ის ამტკიცებს, რომ საერთო ამომრჩე-

---

[1]) იხ. Apercu sur le socialisme scientifique p. p. p. 16 et 17.

ვლობა სრულიადაც არ არის საერთო. თვით საუკეთესო ფორმა დემოკრატიისა—პირდაპირი კანონმდებლობაც კი არ აკმაყოფილებს მას. იგი გვარწმუნებს, რომ უკეთესს შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა ყველანი იღებენ მონაწილეობას კენჭის ყრაში, კანონი არ არის გამოხატულება საერთო ნებასურვილისა, არამედ მხოლოდ უმრავლესობისა, და უმცირესობის წინააღმდეგ არის მიმართულია. ერთის სიტყვით, მისის აზრით, სახელმწიფო გაუქმებულ უნდა იქნას. ერთად-ერთს გარანტიას მშვიდობიანობის, მყუდროების, ერთობა-თავისუფლების განხორციელებისას იგი ხედავს თავდა-პირველად ისეთ პირობების დამყარებაში, სადაც ყოველივე ანტაგონიზმი ჯგუფთა თუ ინდივიდთა შორის მოსპობილი იქნება. მაშინ, როცა ინტერესთა ჰარმონია იქნება დამყარებული, გედს საჭიროდ არ მიაჩნია არავითარი ძალ-დამტანებელი, თვითნება ცენტრალურ ორგანიზაციის არსებობა. ანარქიზმია ეს, მა რა ჯანდაბაა? ადვილი მისახვედრია, რაკი გედი ასე აშკარად უარ-ჰყოფდა სახელმწიფოს, იგი რევოლიუციონური იყო და მფლობელ და მმართველ კლასთა წინააღმდეგ პირდაპირ მოქმედებას ჰქადაგებდა.

შემდეგ ვნახოთ რა გზას დაადგნენ ეს ნარევოლიუციონერნი ვაჟბატონები. ჯერ აღვნიშნავთ, რომ ის აზრები, რომელსაც გედი ადგა მე-70 წლების დამლევამდე საზოგადო და ძირითად სოციალისტურ აზრებად და რწმენად ითვლებოდა. დღემდისვე ეს აზრები დარჩნენ ხელმძღვანელ აზრებად მუშათა მოძრაობისა ლათინთა რასის ხალხთა შორის. სოციალიზმი კი არ გამოცვლილა, გედი და მასთან ერთად მთელი საფრანგეთის სოციალდემოკრატია გამოიცვალა.

შესაძლებელია გვითხრან: ნუ თუ გედს უფლება არა ჰქონდა თავისი აზრები შეეცვალა, თავისი ძველი გზა შემცდარად ეცნო და ახალს დასდგომოდაო! რასაკვირველია. შეეძლო, მაგრამ აზრების შეცვლაც არის და აზრების შეცვლაც.

როცა კაცი ათ-თუთხმეტის წლის განმავლობაში ერთს იდეალს ემსახურება, იმას უცებ არ შეუძლიან ამოიგლიჯოს ეს იდეალი გულიდან, ამას გარდა ეს აზრის შეცვლა ხანდახან ისეთ პირობებში ხდება ხოლმე, რომ იგი უფრო რენეგატობასა ჰგავს. გედსაც აგრე მოუვიდა. ის ისე მოიქცა, როგორც ზოგიერთი ებრაელი იქცევა, რომელთაც რუსულად „Выкрест“ (გადმონათლულებს) უწოდებენ. ებრაელი რომ მოინათლება, უსათუოდ ანტისემიტი უნდა გახდეს. ებრაელს, რასაკვირველია, თუ კი ჰსურს, სრული ნება აქვს მოინათლოს, ინტისემიტობის ნებას კი გონიერება ვერ მოითხოვს. გედსაც ნება აქვს უარ-ჰყოს თავისი რწმენა, მაგრამ იმას ნება კი არა აქვს, რომ ისინი, ვინც მისივე რწმენის ერთგულნი დარჩნენ, ჰგმოს და ტალახში ათრიოს, მას თუ გადათქმის, მარტის დღესავით ცვალებადობის—ნება აქვს, სხვას ის ნება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ დარჩეს ერთგული თავის წმიდათა-წმიდისა და ბოლომდის ემსახუროს მას, ეს ჯიუტობა არ არის და რომ იყოს კიდეც, კარგი ჯურის ჯიუტობაა,

ქება თქვენდა, ჯიუტებო! ჩვენ თქვენ გადიდებთ, მონებო პრინციპებისა, იდეალის თავ-გადადებით შეყვარებულნო!

ჩვენი დროის ცხოვრება ისე ყალბი, უბედური, დაგლეჯილი, დახუთული და შებღალულია ყოველ გვარ შავ-ძალებისაგან, რომ სიცოცხლე არ შეიძლებოდა, სავარგი და საღირალი არ იქნებოდა, რომ წამებით მაინც იდეალისათვის და იდეალით არ ვცხოვრობდეთ. დიდება თქვენდა, მონებო იდეალისა!

ჩვენ ვიცით, როგორი იყო ის აზრები პარტიის მეთაურთა სახელმწიფოს შესახებ, რომელიც საარჩულად ედებოდა პარტიის მოქმედებას. განვიხილოთ ეხლა კერძოდ მათი შეხედულება საარჩევნო უფლებაზე.

ამ ოც-ოცდახუთი წლის წინად ყველა რევოლიუციონერი ბლანკისტი, დამოუკიდებელი თუ ანარქისტი საშინელის კრიტიკის თვალით უყურებდა პარლამენტარიზმს და შესაძლებელია ითქვას, რომ უმთავრესი ნაწილი მაშინდელ მოძრაობისა ანტიპარლამენტარული იყო. სწორედ ამ ანტიპარლამენტარულ ტენდენციას დაცვა-გავრცელებით დაიწყო თავისი პარტიული მოქმედება საფრანგეთის მარქსიზმის სამმა ვარსკვლავმა: გედმა, დევილმა და ლაფარგმა. მათ დაარსეს 1877 წლის დამლევს კვირეული გაზეთი „თანასწორობა“ (Egalite), რომლის გამგე-რედაქტორად გედი იყო, რადგან დრო ისეთი იყო, რომ პარლამენტარული პროპაგანდა გამგონეს ვერ იშოვიდა, ამიტომ მათაც იწყეს ანტიპარლამენტარისტობა, მაგრამ გარეგნული, და საქმე ისე ოსტატურად, დიპლომატიურად წაიყვანეს, რომ თავიანთი ანტიპარლამენტარისტობა ყველას, ანარქისტებსაც კი, დააჯერეს. მაგრამ ეხლა რომ ვუკვირდებით მაშინდელ ნაწერებს, ვხედავთ, რომ ისინი სწორედ მაშინ ამზადებდნენ ნიადაგს პარლამენტარიზმისათვის, ისინი უწოდებდნენ პარლამენტარიზმს დიდ შეცდომას, ჰკიცხავდნენ იმის სისუსტეს და უპრინციპობას, მაგრამ იქა-იქ იმასაც ამბობდნენ, რომ „ცუდი არ იქნება, კლასსიური კანდიდატურა წამოვაყენოთ, იმისთვის კი არა, რომ არსებული წესწყობილება შევასწოროთ, არა, ისე, მხოლოდ მომხრეთა რიცხვის დასათვლელადაო“. და რომ ამგვარ ფრაზებს ხალხის გულში ეჭვი არ გაეღვიძებინა, უფრო მკაცრად ჰკიცხავდნენ პარლამენტარიზმს, რომლის გამარჯვებასაც თურმე თითონვე ნატრობდნენ გულში.

ფრანგ მარქსისტების ქანაობა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ, მით უფრო საყურადღებოა, რომ მაშინ ამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მოძრაობის გარკვეულ გზაზედ დასაყენებლად; აი რას სწერდა მაშინ ოფიციალური ორგანო საფრანგეთის მარქსიზმის ამ საკით-

ხის შესახებ: „რაც შეეხება საერთო ამომრჩევლობას, იგი ლედრიუ როლლენმა კი არ გამოიგონა, არამედ, როგორც ამბობენ, მხოლოდ მოაწესრიგა. რისთვის არ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ თუ მან ხელი შეუწყო საერთო ამომრჩევლობის განხორციელებას, მოიქცა სწორედ ისე, როგორც ნაპოლეონი 51 წ., ე. ი. გაიყვანა რეფორმა ისე, რომ მუშა ხალხისთვის იგი ყოველად უსარგებლო გამოდგა. შეიძლება მას შეგნებულიც არა ჰქონდა უნაყოფობა ამ „დიდ რეფორმისა“ იმ პირობებში, რომელშიაც იგი ხდებოდა: ეკონომიური უთანასწორობა. ჩვენ ლედრიუ როლენს ბრალს არა ვსდებთ, არ ვამბობთ, რომ უნდოდა ესარგებლნა იმ ილლიუზიით, რომელსაც ხალხს აძლევდნენ საარჩევნო უფლების სახით და რომელიც ვითომ და ძლევა-მოსილად ჰქმნის. ყველას, თუმცა საკუთრება მიწისა და სხვა შრომის იარაღთა რეალურ ძლევა-მოსილებას უტოვებდა ხელში შეძლებულ უმცირესობას. ჩვენ გვინდა გვწამდეს მისი გულწრფელობა, ე. ი. მისი განუჭვრეტლობა (myopie). მაგრამ, რაც უნდა გულწრფელი იყოს სურვილი, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ ეს გაერთიანება არჩევნებისა საკუთრების გაუერთიანებლად სრული 0 (ნული) გამოდგა და არც შეიძლებოდა სხვა გვარად მომხდარიყო.

„რა კი კენჭი (Bulletin de vote) საკმაოდ სცნეს ყველაფრის ასასრულებლად, თოფი და სხვა იარაღი განდევნილ იქმნა ხალხის სარევოლიუციო არსენალიდან. რა მოუტანა ამ კენჭმა ხალხს ამ 30 წლის განმავლობაში? არაფერი.

„ხალხის ტვირთის სიმძიმე, მისი ექსპლოატაცია არ შემსუბუქებულა არც წარმოების, არც მოხმარების და არც გადასახადის მხრით—ხალხი გადასახადს ხომ სისხლით და ფულით იხდის. სამუშაო ქირა იგივეა, ე. ი. სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა იმ ცოცხალ იარაღის შესანახავად, რომელსაც დაქირავებული მუშა წარმოადგენს. სავალდებულო

ჯარში გაწვევა ომის ველზე თავის უნაყოფო სიკვდილის მოლოდინით კიდევ ჰქმნის ძალაუნებურად მუშას, კაპიტალის მსხვერპლს, კაპიტალისავე ინტერესების დამცველად.

„პროლეტარიატის იმ ცდას, რომ ცოტა მეტი შეირჩინოს თავის შრომისაგან, წინ ელობება მიკერძოებითი კანონმდებლობა, რომელიც გაუვალ ზღუდეს აგებს ეროისა და იმავე ქალაქის, ერთსა და იმავე ხელობის, მუშათა შორის; ზღუდეს, რომელიც დიდი ხანია, მოსპობილ იქნა ყველა ქვეყნის კაპიტალთა და კაპიტალისტთა შორის. ვიმეორებთ სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

„განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კუბისა და ბრაზილიის ზანგებს საარჩევნო უფლება ჰქონდეთ, თუ ჯერ მონობა არ არის მოსპობილი? რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კენჭს იმათ ხელში, რომელნიც თავის თავს არ ეკუთვნიან, რომელთა ცხოვრებაც დამოკიდებულია სხვის ნება-ყოფლობაზე?

„უნდა ვთქვათ, რომ მუშის დაქირავებაზე დამყარებული სისტემა მუშის დამოკიდებულების მხრით, არაფრით ირჩევა შავ მონებისაგან [1]). ედგრად კინე არ იყო, რომ სწერდა 1872 წ. „მუშისთვის თავის გემოზე კენჭის ყრა საშიშია: თუ გლეხია მუშა—საღალოთ აღებულ მიწას დაჰკარგავს, თუ ქალაქის მუშა, თავის მუშტარს დაჰკარგავს და ერთის კენჭის ასე თუ ისე ჩაგდებისათვის თავის ცოლშვილით ქუჩაში იქნება გამოგდებული“. ამას გარდა „შვიდი წლის მუშას“, რომელსაც ჟ. სიმონი მხოლოდ იმისთვის იცავდა თავის წიგნებში, რომ შემდეგ სხვებთან ერთად ქუჩებზე დაეხვრიტა, ერთად-ერთი სკოლა მადნების სოროებია და სად უნდა ესწავლა მას კენჭის ჭკვიანად ხმარება?

---

[1]) ორიგინალში ნათქვამია L'esclavage noir. ეს შეიძლება თარგმნილი იქმნას: შავი მონობა, მაგრამ აქ შავები, ე. ი. ზანგები ჰყავს ავტორს სახეში.

„ბოლოს წარმოვიდგინოთ, რომ მუშა გადაურჩა ხსენებულ ორ ხიფათს და შეიძლო და მოითხოვა კენჭით ის, რაც ეკუთვნის, ე. ი. მიწა, რომელსაც ამუშავებს, იარაღი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს. სად არის ის ძალა, რომელიც საქმედ აქცევს იმის მოთხოვნილებათ? ვის შეუძლია შეეცადოს იმის დამტკიცებას, რომ ახალი ფეოდალიზმი მრეწველობის, ვაჭრობის და ფინანსისა, რომლის განკარგულებაშიაც იმდენი ჟანდარმები, სალდათები და მსაჯულები არიან, თავს მოიხრის და ამ მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებს? ცხადი არ არის, პირიქით, რომ მმართველი კლასი, რომელსაც ძალა ხელთა აქვს, არაფერს არ ნისცემს, ყურსაც არ შეიბერტყავს „მეოთხე წოდების“ ლეგალურად გამოხატულ მოთხოვნილებაზე.

„საყოველთაო ამომრჩევლობას თავისი ადგილი აქვს თანასწორთა საზოგადოებაში, თუმცა მაშინ, როცა მეცნიერება გამეფდება, ამას უფრო უნდა დავუჯეროთ, ვიდრე რიცხვს. საერთო ამომრჩევლობა არ არის ის სახსარი, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეს თანასწორთა საზოგადოება. იმისი განსახორციელებელი სახსარი ბრძოლაა. ლედრიუ როლლენმა უფრო მეტი ზიანი მოუტანა მაშვრალთ იმით, რომ ეს ამომრჩევლობა თავის სახსნელ და განმათავისუფლებელ იარაღად დაუსახა, ვიდრე ზარბაზნებით პროლეტარიატის საუკეთესო შვილთა სისხლის დაქცევით ივნისში“ [1]).

ეს სტატია დაწერილი იყო ლედრიუ-როლლენის გარდაცვალების გამო. ამ გვარად აფასებდნენ მაშინ გედი, ლაფარგი და დევილი იმ „დიდ რეფორმას“, რომლის ცხოვრებაში შეტანისთვისაც ცოტა არ უმუშავნია ლედრიუ როლლენს. ზემოდ მოყვანილ სიტყვებში მკაფიოდ და სავსებით არის გამოხატული ის აზრები საერთო ამომრჩევლობაზე, რომელიც

---

[1]) იხილე Egalite № 14 2 (მარტის 1878 წ.)

მაშინ საზოგადო აზრებად იყო მიჩნეული. ამ საკითხს რედაქცია კიდევ დაუბრუნდა და პატარა, მაგრამ მშვენივრად დაწერილ სტატიაში კიდევ უფრო გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სოციალისტთა შეხედულება საერთო საარჩევნო უფლებაზე. მოგვყავს ეს სტატია თითქმის სრულიად:

„რას ვფიქრობთ ჩვენ საერთო ამომრჩევლობაზე, იმის მნიშვნელობაზე სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლების მხრივ, ეს უკვე ცნობილია. ამომრჩევლობას არ გაუადვილებია მდგომარეობა მუშათა კლასისა, არ გაუწმენდია გზა მეოთხე წოდებისათვის, პირიქით იგი ემსახურებოდა მუშათა კლასის მტერს, მმართველ კლასს, რომლის ბატონობა კიდევ უფრო მოამაგრა. ასეთი იყო ის პირობები, რომელშიაც მოქმედებდა საერთო ამომრჩევლობა ამ 30 წლის განმავლობაში, არც შეიძლებოდა მას სხვა შედეგი ჰქონოდა და აი რატომ:

„1. მან განხეთქილება ჩამოაგდო პროლეტარიატის შორის, რომელიც მანამდის განუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა და რომელიც ყოველ გვარ სახელმწიფო ფუნქციიდან გამოდევნილი იყო. ამ რეფორმის მეოხებით-კი მუშებს ერთმანეთშივე ჩხუბი მოუვიდათ „თავის პოლიტიკურ ბატონის“ არჩევის გამო.

„2. მან მოატყუა პროლეტარიატი, რადგან შესაძლებლათ მოაჩვენა თანდათან, მშვიდობიანად, ლეგალურად მოპოვება თავისუფლებისა, რომელიც კენჭის საყრელ ყუთისაგან უნდა გამოსულიყო. პროლეტარიატს შეუძლია ეს ყუთი კენჭებით გაავსოს, მაგრამ ბურჟუაზია თვის კაპიტალისა და ცოდნის მეოხებით ყოველთვის ამ ყუთის ბატონად დარჩება.

„3. მან გარეგნულად არსებობის უფლება მისცა ისეთ წესწყობილებას, რომელიც უწინ ძალმომრეობის გამოხატულებათ სჩანდა და რომლის წინააღმდეგ ძალის ხმარებაც მოსალოდნელი იყო.

„მეტათ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ აზრი თავის ნებით დაბრმავებულთა (ამრჩევნელები) თვალის ასახილავად, აზრი, რომელიც ამოღებულია საერთო ამომრჩევლობის მაქებმადიდებელის ერთ წიგნიდან: როცა საერთო ამომრჩევლობა ხორციელდება ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, იგი სრულიად არა სცვლის გამგე პირთა ჯგუფს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მმართველობა რჩება ისევ იმ სოციალურ ჯგუფის ხელში, რომელიც ბატონობდა ამომრჩევლობის განხორციელებამდის. იცვლება მხოლოდ ზოგიერთი კერძო პირი. მაგრამ გამოცვლილთა რიცხვიც ისე დიდი არ არის, როგორც შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს. მხოლოდ შემდეგ რამდენსამე წლის განმავლობაში, სდგება როგორც გეოლოგიური ნაკეცები, ახალი მმართველი ჯგუფები. გაითვალისწინეთ მაგ., საფრანგეთში ლუი ფილიპეს შეფობის დროის საბჭო, აგრეთვე იმპერიის, თებერვლის და ეხლანდელ რესპუბლიკისა და ნახავთ, რამდენად მართალი ვარ. რამდენი წევრი ახალ სოციალურ ჯგუფისა მოჰყვა პარლამენტში? მათი რაოდენობა თითებზე შეიძლება დავითვალოთ. კერძო პირნიც კი ცოტათი იქნენ გამოცვლილნი. დღევანდელი რესპუბლიკანური უმრავლესობა შესდგება მონარქისტებისაგან, რომელნიც მმართველობდენ ლუი ფილიპეს დროს, დღესაც მათ ხელშია მთავრობა, მხოლოდ ისინი რესპუბლიკას შეურიგდენ“.*) . .

მუშებს არწმუნებდენ და მათაც მართლა დაიჯერეს, რომ რაკი დაინგრა ის კედელი, რომელიც აშორებდა მათ კენჭის საყრელ ყუთისაგან, მასთან ერთად ძირიანად გაქრა მათი დაუსრულებელი პოლიტიკური და ეკონომიური წვალებაც. დაარწმუნეს მუშები, რომ ამ დღიდან თვითონ გახდენ მფლობელნი და გამგენი თავიანთ ბედისა ქ-ნ ფლოკონის

---

*) ეს ადგილი ამოღებული ა. ნაკეს წინასიტყვაობიდან, რომელიც მან P. Straus-ის წიგნს Suffage universel-ს უძღვნა.

მიერ 1848 წ. წარმოთქმულ ენერგიულ სიტყვისამებრ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რაც საერთო ამომრჩევლობა არსებობს, ამ ამომრჩევლობამ ვერაფერი ვერ შესცვალა არა თუ კანონებში, თვით მთავრობის შემადგენლობაშიაც, რომელიც იგივე დარჩა, რაც ივლისის მონარქიის დროს იყო. თუმცა მუშები ამომრჩევლებად გახდენ, მაგრამ ისევ ძველებურად განაგებენ მათ, ისევ ძველებურად ქვეშევრდომებად დარჩენ იმავე კაპიტალისტურ და მესაკუთრეთა ოლიგარხიისა.

„არწმუნებდენ მუშებს და მათაც დაიჯერეს, რომ თავიანთ კენჭის დახმარებით უფრო კარგად, ნამდვილად და ნაკლების ხარჯით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო 14 ივლისს, 10 აგვისტოს, სენ-მერის თოფის დახმარებით, ჩაიგდებდა ხელში მმართველობასა, რომელიც საერთო ამომრჩევლობის შემდეგ უმრავლესობისაკენ უნდა გადასულიყო. ამ გვარად შესაძლებელი გახდებოდა ლეგალურად, პარლამენტარულად გარდაქნა ყველას სასარგებლოდ იმ წესწყობილების, რომელიც ეხლა მხოლოდ რამდენიმეს რგებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთის პრეზიდენტის არჩევის, ორის პლებისციტის და რვა საზოგადო არჩევნების შემდეგ მმართველობა ისევ ისე იმ მოცენზეთა (censitaire) ხელში დარჩა, რომელიც იცავდა ამ ცენზს 1830 წ

გადასახადი, კრედიტი, საზოგადო საქმეების მოწყობა უნდა შეცვლილიყო პროლეტარიატის საჭიროებისამებრ, რადგან პროლეტარიატი, როგორც ერის უმრავლესი ნაწილი, უნდა გამხდარიყო უმრავლესობად საერთო ამომრჩევლობის შემოღების შემდეგ. ამის მაგიერ დღეს იძულებულნი ვართ თითებზე ვთვალოთ ახალ სოციალურ ჯგუფის იმ წევრთა რიცხვი, რომელნიც პარლამენტში მოყვნენ და ამ უკანასკნელთაც პარლამენტში შესვლისათანავე უარჰყვეს სოციალური ჯგუფი, რომელსაც თითონ ეკუთვნიან, მსხვერპლად შესწირეს ძველს. ამ გვარი შედეგი საკმარისია რაიმე დაწესებულების გასასამართლებლად“.*)

---

*) იხილე Egalité № 33. (14 ივლისი 1878 წ.)

ამაზე უფრო მკაცრ კრიტიკას საერთო საარჩევნო სისტემისას, ამაზე უფრო მკაცრ კრიტიკას პარლამენტარულ სისუსტისას ანარქისტულ ლიტერატურაშიც ვერ შეხვდებით. გ. დევილი ასეთისავე აზრისა იყო ამ საკითხზე, მანაც იგივე აზრები გამოსთქვა ასევე გარკვევით უკვე ხსენებულ წიგნის წინასიტყვაობაში. რადგან პარტიის ხასიათის გამორკვევა და პარტიის დაფუძნება ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე იყო დამყარებული, ინიციატორები სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობისა საფრანგეთში ხშირად უბრუნდებოდნენ ამ საკითხს. მაგ. გედი ერთ ბროშურაში[1]), რომელიც იმავე 1878 წ. იქნა გამოცემული, კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და კვლავინდებურად სასტიკად გაასამართლა.

ამნაირ აზრებს უდებდნენ საფუძვლად სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ მოქმედებას და ჩვენ სწორედ ამისთვის მოვიყვანეთ ასე ვრცლად და უხვად ციტატები მაშინდელ ლიტერატურიდან. დეე, თვით მკითხველებმა გასინჯოს ეს დოკუმენტები და დააფასოს მათი მნიშვნელობა.

როცა ზემო აღნიშნულ დოკუმენტებს ვეცნობით, უნებლიეთ ერთი კითხვა გვებადება: სწამდათ თუ არა მაშინ პარტიის წარმომადგენლებს ის, რასაც სწერდნენ? ჩვენი აზრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, ის არის, რომ ერთ, ერთ სწამდათ, რად იქცეოდნენ მერე ასე? იმად, რო იყო ასეთი. პარტია სულ არა სცდილა მუდმივი რამ დაეარსებინა, ნამდვილ სოციალისტურ შეგნებაზე დამყარებული. იგი პოლიტიკური პარტია იყო, დევიზად აღიარებული ჰქონდა: მიზანი საშვალებას ამართლებსო, და ამისთვის ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ რაც შეიძლება მალე გამხდარიყო პოლიტიკურ ძალად. პარტია მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნეს, თუ იგი ემყარება ერთ-ერთ საზოგადოებრივ კლასს. ის საზო-

---

[1]) იხილე La republique et les greves.

გადოებრივი კლასსი, რომელსაც მარქსისტები უნდა დამყარებოდნენ, ნაჩვენები იყო ისტორიისაგან—ეს კლასი პროლეტარიატი იყო. მაგრამ საფრანგეთის პროლეტარიატი, ყოველ რევოლიუციონურ ტრადიციას მოკლებული გერმანიის პროლეტარიატი არ არის. ამ პროლეტარიატმა შეჰქმნა დიდი რევოლიუცია, მიიღო მონაწილეობა 1830 წლის მოძრაობაში, თითქმის მხოლოდ თავის ძალით დაამხო კონსტიტუციონალური მონარქია და შეჰქმნა რევოლიუცია 1848 წლისა. აგრეთვე თავის ძალით განახორციელა პარიზის კომმუნა, რომელზედაც ენგელსი[1]) უთითებს ბურჟუაზიას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატულებაზე, თუმცა ფედერაციის მომხრე კომმუნა სულ არა ყოფილა დიქტატურა. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში პროლეტარიატი გამოიცადა. ყოველთვის, როცა სისხლი დაჰღვარა და გამარჯვება მოუპოვა ბურჟუაზიას იმ იმედით, რომ მასაც ჰრგებოდა რამე მოტყუებულ იქმნა იმავე ბურჟუაზიისაგან. მოსთხოვდა თუ არა რამეს რევოლიუციით ნასარგებლებ ბურჟუაზიას, ნაცვლად ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, იგი ტყვიებსა და რეაქციას მიიღებდა ხოლმე; ასე იყო განსაკუთრებით 1848 წ. და 1771 წლების რევოლიუციების დროს. პროლეტარიატმა ამ მწარე გაკვეთილების ზეგავლენით ჭკუა ისწავლა და თავისი საკუთარი იდეოლოგია შეიმუშავა. ეს იდეოლოგია ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის სასტიკ კრიტიკაზე იყო დამყარებული. საერთო საარჩევნო სისტემა, პარლამენტარიზმი კი სწორედ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ქმნილებად და მცნებად ითვლებოდა. პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსული სოციალ-დემოკრატია, ასე თუ ისე, უნდა შეჰგუებოდა ამ აღ-

---

[1]) იხილე მისი წინასიტყვაობა კ. მარქსის წიგნაკის Le guerre civile en France-ისა.

ნიშნულ პროლეტარიატის იდეოლოგიას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. რომ ამ შეგუების განსახორციელებლად სოციალ-დემოკრატიამ დემაგოგიას გარდა სხვა სახსარი ვერ ნახა. პროლეტარიატის ენაზე მხოლოდ იმისათვის იწყო ლაპარაკი, რომ ამ პროლეტარიატის ნდობა დაემსახურა და მერე მისთვის ის გაეკეთებინა, რასაც მისი დემოკრატიული, პროლეტარიატის მიერ შეძულებული, პოლიტიკური პროგრამმა თხოულობდა. დროებით მიაღწია კიდეც თავის სურვილს.

როგორ მიაღწია სოციალდემოკრატიამ დროებით თავის სურვილს? ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, რომ წარსულმა რევოლიუციებმა განხეთქილება ჩამოაგდო ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და პროლეტარიატს შორის. კლასსიური განხეთქილება, სხვადასხვაობა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის, ანუ,—უკეთ რომ ვთქვათ,—ელემენტები კლასობრივ ბრძოლისა არსებობენ, როგორც ეს ეხლა სრული სისწორით არის აღიარებული, პირველ-ყოფილ კომმუნიზმის (communisme primitif) დამხობიდან მოკიდებული. მაგრამ არსებობა კლასსიურ ელემენტებისა კიდევ არ არის იმის მაჩვენებელი, რომ საზოგადოებაში მართლა ხდება კლასსობრივი ბრძოლა. როგორც სრულის მეცნიერულის უფლებით შენიშნა ბენედეტტო კროჩემ [1]), კლასსიური ბრძოლა არსებობს მაშინ, როცა არსებობს: a) კლასსი; б) როცა არსებობს წინააღმდეგობა არსებულ კლასსების ინტერესთა შორის; c) როცა წინააღმდეგობა ინტერესებისა შეგნებულია თვით არსებულ კლასსების მიერ. მეორე მოტივი სრულიად მეტია და მისი აღნიშვნა შეცდომაც არის, რადგან თუ კი არსებობს კლასსი, არსებობს წინააღმდეგობა ინტერესთა, უამისოდ ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენა კლასსის აღმოცენებისა. თუ წინააღმდეგობა ინტერესთა არ არსებობს, არც კლასსია, თუ კი კლასსი

---

[1]) იხ. მისი Critique de quelques concptes du marxismo.

არსებობს, ეს იმავე დროს იმასაც ამტკიცებს, რომ ინტერესთა წინააღმდეგობაც არსებობს. მაგრამ შეიძლება საზოგადოებაში კლასსი არსებობდეს, მაშასადამე, ინტერესთა წინააღმდეგობაც, ხოლო ამისთანა საზოგადოებაში ნამდვილი კლასსიური ბრძოლა არ არსებობდეს. ეს ხდება მაშინ, როცა მეორე *) დამახასიათებელი ფაქტორი კლასსიურ ბრძოლისა—შეგნება კლასსიურ ინტერესთა ანტაგონიზმისა არ არსებობს. ინტერესთა ნიადაგზე მომხდარ ყოველგვარ შეტაკებას არ შეგვიძლია კლასსთა ბრძოლის სახელი მივათვისოთ. არ შეიძლება აგრეთვე ერთმანეთში ავურიოთ, როგორც ხშირად სოციალდემოკრატები იქცევიან **), კლასთა ბრძოლა და სხვა და სხვა წოდებათა ბრძოლა მეტოქეობისა და უპირატესობისათვის. ყოველ აჯანყებაში, რომელშიაც ხალხი იღებდა მონაწილეობას, ან რომელიც ხალხის გაჭირვების შედეგი იყო, შეგვიძლია აშკარა ვყოთ კლასსიურ ელემენტების მონაწილეობა, მაგრამ ვნახავთ თუ არა ყოველ აჯანყებაში, მოძრაობაში გარკვეულ კლასსიურ ბრძოლას—ეს დიდი საკითხია, მისი საერთოდ გადაწყვეტა შეუძლებელია. კლასსიურ ბრძოლას თავისი სუბიექტიური ხასიათი აქვს და ნამდვილ კლასსიურ ბრძოლის დასახასიათებლად, იმის სუბიექტიურ სახის ნათლად ყოფა ისე საჭიროა, როგორც გამოაშკარავება იმ ობიექტიურ მიზეზთა, რომელნიც იწვევენ ამ კლასსიურ ბრძოლას, ხოლო ის სუბიექტივიზმი, რომელზედაც აქა გვაქვს ლაპარაკი, რუსეთის „დაუსრულებელი, ნახევრად ინდივიდუალისტური“ სუბიექტივიზმი კი არ არის, იგი *კლასსიური სუბიექტივიზმია*, თუ მას შეიძლება ინდივი-

*) ბ-ნ კროჩეს სიაში ამ მეორეს მესამე ადგილი უჭირავს, ჩვენ კი მეორეს არ ვთვლით.

**) მეოთხე რვეულში ჩვენ კლასთა ბრძოლის საკითხს მთელ თავს ვუძღვნით და ვეცდებით გამოვააშკარაოთ, რომ სოციალდემოკრატთა წარმოდგენა კლასსთა ბრძოლაზე წოდებრივია და არა კლასსობრივი.

ღუალიზმი ვუწოდოთ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწყში გვექნება არა ინდივიდთა ინდივიდუალიზმი, არამედ ინდივიდუალიზმი კლასისა. ჩვენი რწმენა ის არის, რომ—ეს ჩვენი პირადი აზრია, რომელსაც თუ საჭიროება მოითხოვს ვრცლად დავასაბუთებთ—ნამდვილი კლასსიური ბრძოლა, სრულად დახასიათებული სუბიექტიურად, ისეთი მოვლენაა, რომელიც ეხლა იქმნის.

სრულიად განკერძოებული, ავტონომიურად მომქმედ პროლეტარიატის დასაწყისი უნდა ვეძებოთ საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში; ისტორიულ ასპარეზზე კი პროლეტარიატი, როგორც კლასსი, დახასიათებული სუბიექტიურად და ობიექტიურად, გამოდის 48 წლის რევოლიუციიდან დაწყებული. თუმცა დიდ რევოლიუციაში ჩვენ უკვე ვხედავთ კლასსა, დალაგებულ კლასსიურ ელემენტებს *), მაგრამ მათ არსებული ანტაგონიზმი კლასსთა შორის კარგად შეგნებული არა აქვთ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინდელი პროლეტარიატი დემოკრატიისაგან არ იყო გამოცალკევებული და მისი უკიდურესი წარმომადგენლებიც კი, მაგ. გებერი, შომეტი, და მთელი ეგრედ წოდებული „ველურები“ (euragos—პირდაპირი თარგმანი—ბრაზიანი და მეორეს მხრით მარატი, სიმურდენი, ბაბეფი და მთელი შეთქმულება „თანასწორთა“ **) ეკედლებოდნენ რობესპიერს და დანტონს, რომელნიც, ყოველ ეჭვს გარეშეა, შეგნებული მომხრენი იყვნენ ახლად გამარჯვებული ბურჟუაზიისა ***). როცა რევოლიუციით გამარჯვებული ბურჟუაზია და მისი წარმომადგენლები ძმობა—

---

*) იხ. Levasseur. Histoire des classes ouvrieres en France 3 ტომი. იხ. განსაკუთრებით ის, რაც შეეხება დიდ რევოლიუციას, სხვათა შორის პარიზის მუშების წერილი „ხალხის მეგობრის“ ე. ი. მარატისადმი.

**) იხ. A. Espinas la philosophie sociale au XVIII siecle.

***) იხილე ჟორესის Histoire socialiste განყოფილება Le Convention.

თავისუფლებას ღალადებდნენ, პროლეტარიატს და მის წარმომადგენლებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ეს საერთო ერთობა, ძმობა—თავისუფლება არ იყო. ამით აიხსნება ის საშინელი ნდობა ბურჟუაზიულ დემოკრატიისადმი, რომელიც გამოიჩინეს ამ რევოლიუციაში ახალგაზდა პროლეტარიატმა, მშრომელმა ხალხმა და ამათმა წარმომადგენლებმა. ჩვენ მათ კი არ ვკიცხავთ, მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავთ, კიცხვა მით უფრო უადგილო იქნება, რომ ამ ნდობისათვის მათ, განსაკუთრებით „ველურებმა“ და მათთან პარიზის კომმუნამ 93 წ., რობესპიერის ხელით ამოძრავებულ გილიოტინაზე დაჭლიეს სული. ასეა, პროლეტარიატი სისხლით იძენს გამოცდილებას, სისხლით უხსნის გზას ბრწყინვალე მომავალს და ჭკუა-გონებას—ახალ ჰორიზონტებს, პროგრესის გზა სისხლით არის შეღებილი და სისხლის პირამიდებითვე არის მოკაზმული. „სიკვდილი შეიქმს სიცოცხლესაო.“ ძალიან ხშირად სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანები სრულიად აერთიანებდნენ თავიანთ წმინდა პოლიტიკურ ბურჟუა-დემოკრატიულ და ხალხის ღრმა სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნილებათ მაშინ, როცა ხალხის სარწმუნოებად გამხდარა რწმენა, რომ საერთო კეთილ-დღეობა და თავისუფლება უნდა იყოს დამყარებული სრულ ერთობაზე, ბურჟუაზია ჩასცივებია რაღაც პირადობის თავისუფლებას, რაც მისთვის და მის ენაზე აღნიშნავს ეკონომიურ უთანასწორობას, ექსპლოატაციის, ძარცვა-გლეჯის თავისუფლებას და დაკანონებას. იარაღად სოციალურ პროგრესისა კი ერთანასწორთა შორის კონკურენცია გაუხდია.

პიროვნების სრული განთავისუფლება პროლეტარიატისათვისაც იდეალი და სარწმუნოებაა. მაგრამ იგი ცნობს სიყალბეს ამ პირად თავისუფლებისას თანამედროვე ეკონომიურ წესწყობილებაში. ბურჟუაზია პირად თავისუფლების სახელით თანამედროვე სოციალურ და ეკონომიურ status-quo-ს

ლექტივურ სასოწარკვეთილებისაგან. ამ სარევოლიუციო, ე. ი. შემოქმედებითი ინსტიქტის აღმოფხვრა პროლეტარიატში არ შეუძლია არავითარ რეაქციონურ ძალას, არ შეუძლია შეაფერხოს ის, რაც კანონია ყოველგვარ ძალისა—პროგრესსი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე, როგორც დიად ბუნების უხილავ და ხილულ მოვლენათა ურთიერთობაში, ყოველივე აქცია და რეაქციაა, თუ რევოლიუცია ხშირად მიზეზად ხდება რეაქციისა, ეს უკანასკნელი, როცა იმარჯვებს თვითონვე ხდება აქციად და რეაქციას იწვევს, რეაქციის რეაქცია-კი რევოლიუციაა. ისე როგორც 48 წლის რეაქციას 1871 წ. ბურჟუაზიის ვაკხანალიას დამარცხებულ პროლეტარიატის ზურგზე, თავის შედეგი ჰქონდა, რაც 48 წელმა დაიწყო, 71 წელმა დაასრულა: პროლეტარიატმა უარჰყო ყოველი მოყვრობა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. ამ დღიდან ძველი კაცობრიობა დაინგრა ფაქტიურად, თუ რამე დარჩა, ეს მხოლოდ შინაარსს მოკლებული სიტყვა იყო. კაცობრიობა, ოგიუსტ კონტის მშვენიერ თქმისა არ იყოს, მკვდართა და ცოცხალთაგან შესდგება და ამასთანავე მკვდარნი მეტნი არიან, ვიდრე ცოცხალნი. მართლაც, თუ კაცობრიობას კონფუციუსი, ქრისტე, ბუდდა, დემოკრიტი, არისტოტელი და სხვები ეკუთვნიან, იმავე კაცობრიობას ეკუთვნიან პილატები, კალიგულები, ნერონები და სხვანი. თუ კაცობრიობას ეკუთვნიან, ერთის მხრით, სპარტაკი, გრაკხები, ხოლო ახალ დროში—მ. ბაკუნინი, ბლანკი, ბარბესი, მეორეს მხრით იმავე კაცობრიობის წევრებად სთვლიან თავიანთ თავს პირველთა მტარვალნი. პროლეტარიატმა შენიშნა ამგვარად არსებობა ორის კაცობრიობისა: ერთია ძველი, რომელიც ინგრევა და იხრწნება, მეორეა ის, რომლის ელემენტთა მოწესრიგებაც მას აბარია და რომელიც იმის გულში არის ჩასახული. ამ ორ კაცობრიობას შორის ყოველი კავშირი გაწყვეტილია: ერთი ბნელეთს წარმოადგენს, მეორე

—ბრწყინვალე მომავალს, და რადგან ერთის სიყვარული შეუძლებელია ისე, რომ მეორე არ გძაგდეს, მაშვრალთა მხედრობას თავის სიყვარულის საგნად გაუხდია ეს მეორე ჯურის კაცობრიობა, ე. ი. არა არსებული, არამედ დასაარსი კაცობრიობა, რაც შეეხება მეორე ჯურის კაცობრიობას, ის „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულს“ არა თუ სძაგს, არამედ სცდილობს ეს მისდამი ზიზღი გაზარდოს, ზღვის მორევად აქციოს, რომ ერთ მშვენიერ დღეს—ეს დღე ისტორიისათვის დაუვიწყარი შეიქნება—შიგ ჩაახჩოს.

უკეთესი ნაწილი მებრძოლ პროლეტარიატისა ამ „გუნებაზე“ დადგა კომმუნის შემდეგ, როცა საშინელ ტრაგედიის დროს დაქცეული სისხლი, ცოტა არ იყოს, მოხმა. ადვილად წარმოიდგენს ეხლა მკითხველი, ექნებოდა თუ არა ამისთანა დროს დიდი მომხიბლველი გავლენა მუშებზე სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას. რასაკვირველია, არა, რადგან მთელი „სული“ სოციალ-დემოკრატიის თეორეტიულ საძირკველისა—მარქსიზმი—ეწინააღმდეგებოდა „მესამედ დამარცხებულ“ პროლეტარიატის სულის მდგომარეობას. პირდაპირ თქმა მაშინ იმისა, რაც შემდეგ სთქვეს, ყოვლად შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო მაშინ ეთქვათ პროლეტარიატისათვის, როგორც ეს შემდეგ ჰქნა ფოლმარმა-მაგ., რომ კომუნარებს ბარიკადებზე ბრძოლის მაგიერ ერჩივნათ წასულიყვნენ სახლში და დაეძინათო; შეუძლებელი იყო მაშინ იმისი თქმა, რომ უხეშ ძალის ხმარება—პროვოკაცია არისო; შეუძლებელი იყო მაშინ იმისი გამოცხადება, რომ ის ბარიკადები, რომელზედაც პარიზელ პროლეტარიატის უკეთეს შვილთა ზარბაზნებით დაფლეთილი გულ-ღვიძლი ეყარა—ბურჟუაზიული რამ არისო. მაშინ ამღგზნებელი, ცხარე, ენერგიით და ბრძოლის სურვილით სავსე სიტყვები იყო საჭირო და მარქსისტებიც აგრე მოიქცენ, მათ უარჰყვეს ის დემოკრატია, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში

ოთხი რევოლიუცია შეაქმნევინა მუშა ხალხსა და ოთხჯერვე მოატყუილა; მათ უარჰყვეს დემოკრატიული სახსრები ბრძოლისა, რადგან ისინი უძლურნი გამოდგენ; მათ უარჰყვეს ძველი ჰუმანიტარული ფრაზეოლოგია და ისეთ ტერმინოლოგიის ხმარება იწყეს, რომელიც შეჰფერის შეგნებულ კლასობრივ მოძრაობას. როცა რეაქციისაგან გაფანტული პროლეტარიატის ძალები ხელახლად მოგროვდენ და ხელახლა ბრძოლისა და საბრძოლველად მზადების ხანა გაიხსნა, მარქსისტები ანარქისტებთან ერთად უკიდურეს რევოლიუციონერთა შორის მოხვდენ და როცა ანარქისტებმა თავიანთი როლი სერიოზულათ მიიღეს და შეეცადენ ისე, როგორც მათ ესმოდათ, სიტყვისათვის საქმეც მიეყოლებინათ, სოციალ-დემოკრატიამ გედის ორგანოს საშვალებით კვერი დაუკრა ერთ სტატიაში, რომლის სათაურიც—„ჩვენც“—საყურადღებოა, გედმა შემდეგი, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისათვის საშინელი და სათაკილო რამ გამოაცხადა: „ჩვენ ყუმბარების საკითხში კი არ განვსხვავდებით ანარქისტებისაგან, ჩვენ, როგორც იმათ, გადაწყვეტილი გვაქვს ვიხმაროთ კაცობიობის განსათავისუფლებლად ატეხილ ბრძოლაში ყველა სახსარი, რომელსაც გვაძლევს თანამედროვე მეცნიერება. ყველა სახსარი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს მიზანს—ბურჟუაზიისთვის სახელმწიფოს წართმევა, მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპროპრიაციისათვის—კარგი არის ჩვენთვის. ტყუილად ხომ არა ვართ ჩვენ 1871 წ. ცეცხლის წამკიდებელთა მემკვიდრენი“. ქვემოდ ვნახავთ, რომ ეს „მემკვიდრე“ მალე გაკოტრდა, რომ მან ის დიდებული მემკვიდრეობა, რომელიც, მისისავე სიტყვით, 1871 წ. ცეცხლის წამკიდებელთაგან მიიღო, სულ აქეთ-იქით მიჰფლანგ-მოფლანგა, რომ მან „მომავლის შობის დროს“ გმირულად და დიდებით მომკვდარა ერთი სახსოვარიც აღარ შეირჩინა. ასევე მოიქცა იმისი ამხანაგი, მისი მარჯვენა ხელი—გ. დევილი. იგიც ამ დროს იცავ-

და უკიდურეს სახსრებს სარევოლიუციო ბრძოლისას. უკვე აღნიშნულ წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც მის პოლიტიკურ და ეკონომიურ მრწამსს წარმოადგენდა, დევილი ამ გვარად ახასიათებდა ლეგალურ ბრძოლის სისუსტეს და რევოლიუციის საჭიროებას:

„ფიქრი იმაზე, რომ საერთო არჩევნების მეოხებით შეიძლება გაყვანა სოციალურ რეფორმისა, დანგრევა იმ მტარვალობისა, რომელიც ქარხანაში გამეფებულა, აღმოფხვრა უუმტარვალესის მონარქიისა—მქონეთა მონარქიის—დიდი შეცდომაა. ფაქტები თვალწინა გვაქვს: გაშინჯეთ მდგომარეობა იმ ორის ქვეყნისა, სადაც ეს საერთო ამომრჩევლობა არსებობს უკეთეს პირობებში, სადაც მეტი თავისუფლებაა, ვიდრე ჩვენსას, საფრანგეთში.

„როცა შვეიცარიამ მოისურვა კლერიკალთა შემოსევისაგან თავის ხსნა, როცა შეერთებულ შტატების რესპუბლიკამ მოისურვა მონობის აღმოფხვრა—იძულებულნი გახდნენ ძალა ეხმარათ, თუმცა ეს ორი ქვეყანა საერთო ამომრჩევლობის ქვეყანა არის. ზონდერბუნდის ომი და guerre de sècession—ამტკიცებენ ნათქვამს“.

ასე, როგორც მკითხველი ხედავს, ძალის, უხეში ძალის ხმარება, ყოვლად აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა გედთან ერთად დევილს. ის კი არა, დევილისთვის ძალა თითქმის ერთად ერთ სარევოლიუციო სახსრად იყო გადაქცეული.

„ადამიანისა და მის დაწესებულებათა შესაცვლელად,—განაგრძობს იგი—საჭიროა ეკონომიურ გარემოს შეცვლა, რადგან პირველნი ამ უკანასკნელის შედეგნი არიან. თუმცა თანამედროვე ეკონომიურ პირობებს კარგად ეთანხმება ისეთი სოციალური ცვლილებები, როგორიცაა მონობის მოსპობა შეერთებულ შტატებში და მუშის ქირაობაზე დამყარებული სისტემა (salariat) ჩვენში, მაგრამ მათი განხორციელება მაინც არ შეიძლება ძალის დაუხმარებლად. ეხლანდელი წეს-

წყობილება, დედა მშობელი იმ წესწყობილებისა, რომელმაც მისი ადგილი უნდა დაიჭიროს, ძალით ეწინააღმდეგება იმ ახალ ელემენტთა საქვეყნოთ გამოსვლას, რომელთაც თვითვე მისცა დასაბამი. ყოველ შობას თან დასდევს სისხლი.

„საწყენია თუ არა ეს ასე, რომ ძალა არის ერთად ერთი სახსარი საზოგადოების ეკონომიურად განახლებისა. თუმცა ის ინტერესები, რომელთაც მუშათა პარტია იცავს, არის ინტერესები უმრავლესობისა, პროლეტარიატი ჯერ-ჯეროობით მაინც უმცირესობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა იგი ძალისკენ იშვერს ხელს. სიბრმავეა ესაო, იტყვიან, მაგრამ ვინც ამას ამბობს, იმას სრულიად ავიწყდება, რომ რევოლიუციათა უმეტესი ნაწილი ქმნილება იყო მტკიცე და გამბედავ უმცირესობისა, რომლის სურვილს ხელს უწყობდა უფრო ნაკლებ ენერგიულ უმრავლესობის მძინარობა (apathie). ჩვენ ეხლა რესპუბლიკა გვექნებოდა, რომ გვეცადა სანამ უმრავლესობა არ მიემხრობოდა რესპუბლიკის იდეიას? . . . .

რევოლიუციონერებს არც იარაღი აქვთ სარჩევად, არც რევოლიუციის დღე დასანიშნად. ამ მხრით ისინი ერთ რასმეს უნდა ეცადნენ, უნდა იფიქრონ იარაღი მჭრელი იყოს, თვით იარაღის ბუნებაზე კი არ უნდა იზრუნონ. რასაკვირველია, უნდა ეცადნენ, რომ თავიანთ მტერზე დაბლა არ იდგნენ იარაღის მხრით, მაშასადამე, უნდა იხმარონ ყველა ის სახსარი, რომელსაც აძლევს მეცნიერება იმას, ვისაც რამე აქვს დასანგრევი“.

კარგი რომ მაშინ, როცა დევილმა ეს სიტყვები დასწერა, არ არსებობდა ეხლა არსებული ანარქისტთა წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონები, ხალხის მიერ უსინდისო კანონებათ (lois scelerates) წოდებული, თორემ დევილი ახალ კალლედონიაში ამოყოფდა თავს.

ასეთის „საშინელის“ ენით ლაპარაკობდენ მარქსისტები ერთ დროს და დროც, როგორც ვსთქვით, ისეთი იყო, რომ

სწორედ ამ გვარი აზრები ეგუებოდა პროლეტარიატის ბოლმით სავსე გულს. რადგან რასაც თვით პროლეტარიატი ფიქრობდა, იმას ამბობდენ ხმამაღლა მარქსისტები, მან ისინი თავის იდეოლოგიის ნამდვილ გამომხატველებათ მიიღო და მათ შორისაც კავშირი დამყარდა.

პროლეტარიატში მარქსისტებმა ახალი კი არაფერი შეიტანეს, თუმცა ახალი რამ-კი ჰქონდათ. მარქსიზმი ფრანგ პროლეტართათვის სულ ახალი რამ იყო, მაგრამ მარქსისტები ეს ოსტატი დიპლომატები—გრძნობდენ, რომ მათ საქონელს ჯერ-ჯერობით გასავალი არ ექნებოდა. ამისათვის ის, რაც მათი იყო—მარქსიზმი—ჯიბეში ჩაიდეს და რევოლიუციონურ სოციალიზმის, პროლეტარიატის დროშა ააფრიალეს. პროლეტარიატი სახელმწიფოს წინააღმდეგი იყო—მათაც სახელმწიფოს წინააღმდეგობა დაიწყეს; პროლეტარიატი ბურჟუაზიულ დემოკრატიას მტრულის თვალით უყურებდა და უკიდურეს კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე იდგა, მათაც ნამდვილ კლასობრივ ტერმინოლოგიას და ფრაზეოლოგიას მიმართეს; პროლეტარიატი უარჰყოფდა აგრეთვე ბურჟუაზიულ დემოკრატიის მცნებათ, მცნებას—საერთო ამომრჩევლობისას, მათაც ამ საერთო ამომრჩევლობის სასტიკ კრიტიკას მიჰყვეს ხელი და ყველა ამით ნდობა, დიდი ნდობა დაიმსახურეს. მაგრამ დაიმსახურეს თუ არა ეს ნდობა, მოიკიდეს თუ არა ფეხი მუშათა მდგომარეობაში, პოზიცია იცვალეს და ნელ ნელა შეუდგენ ხალხის გონების გადაკეთებას ისე, რომ იგი შეჰგუებოდა იმ დოქტრინას, რომელიც იმდენ ხანს ჯიბის ძირში ჰქონდათ დამალული. ერთი ნაწილი პროლეტარიატისა კიდეც დაიყოლეს ამ ევოლიუციაში; ამ ხნიდან თავის პროგრამმის ნამდვილ ხასიათის დამალვა საჭირო აღარ იყო და მათაც დღევანდელი, ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სახე მიიღეს.

ჩვენ ვიცით ეხლა, რა იყო დღემდის სოციალდემოკრატია, ვიცით აგრეთვე, რა აზრებისა და პროგრამის მეოხებით მოიპოვა მან სიმპატია მომქმედ პროლეტარიატისა. მოკლედ ისიც განვიხილეთ, თუ როგორ პირობებში იშვა მარქსისტთა პარტია საფრანგეთში და რა გვარ სახსრებს მიმართა მან, რომ მალე მოეკიდნა ფეხი მუშათა მოძრაობაში. ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს სოციალდემოკრატია ეხლა. მაგალითად, კიდევ იმავე მოღვაწეებს, განსაკუთრებით გედს, ავიღებთ. გედი „კერძო პირი“ არ არის, იგი შემქნელია პარტიისა, დღემდის შერჩინია სახელი „უკეთეს და შეურყეველი“ მარქსისტისა, დღემდის იმისი სიტყვა ავტორიტეტია პარტიისათვის, მისი აზრი პარტიის აზრად ითვლება და ჩვენც მივმართავთ ფრანგ მარქსისტთა ამ უკეთეს ეგზემპლიარს, რაც შეეხება თვით პარტიის მოქმედებას, ამაზე კიდევ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

ზევით აღვნიშნეთ შეხედულება პარტიის წარმომადგენელთა სახელმწიფოზე, საერთო ამომრჩევლობაზე და აშკარა ვყავით, რომ სწორედ ამ აზრთა ქადაგებით მოიპოვა პარტიამ სიმპატია და პატივისცემა ხალხისა. მაგრამ როცა გედმა ამ პროგრამით მართლა შეჰქმნა პარტია, როცა ხელთ იგდო ძალა, რომლის გამგედაც თვითვე გახდა, საჭიროდ ნახა თვითვე დასდგომოდა იმ „რეალურ პოლიტიკას,“ რომლის სიფუყეს და მატყუარობას ამტკიცებდა მთელის 15 წლის განმავლობაში, რაკი პარტია შექმნილი იყო, „სააგიტაციო“ ფრაზები აღარ მიაჩნდა საჭიროდ, მარტო „უარ-ყოფითი“ პროპაგანდა აღარ აკმაყოფილებდა, ნელ-ნელა პარტია გედთან ერთად დაადგა წყნარ, წესიერ შემოქმედებით მუშაობის გზას. მაგრამ ბურჟუაზიულ ნიადაგზე მუშაობას, დემოკრატიულ პოლიტიკას თავისი ლოგიკა აქვს და ამან ნელ-ნელა მისდა შეუმჩნევლად, დაიმორჩილა გედი და იმისი პარტია. გედი. რომელიც 1880 წლამდე საშინლად ჰკიცხავდა საერ-

თო ამომრჩევლობის სისუსტეს, ვითარცა მუშათა განმათავისუფლებელ სახსარს, უცებ იცვალა და სწორედ ეს მისგანვე განკიცხული სახსარი „მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად გამოგონილი“ მისისავე თქმით, იქნა გამოცხადებული მუშათა განთავისუფლების საუკეთესო და ერთ-ერთ სახსრად;

„მხოლოდ ლეგალურის იარადით.—საერთო საარჩევნო უფლებით,—ამბობს მოჭკვიანებული გედი, კოლლეკტივისტთა მხედრობა აუცილებლად (დედანში—ფატალურად) გახდება მფლობელად რესპუბლიკისა, და მაშინ იგი იმოქმედებს არა ზოგიერთთა სასარგებლოდ, როგორც ეს წარსულ საუკუნის იმ რევოლიუციამ ჰქმნა, რომელსაც თქვენ ჰქომაგობთ, არამედ ყველა მუშების სასარგებლოდ. ეს რესპუბლიკა გამოაცხადებს ნაციონალურ საკუთრებად რკინის გზებს, მადნებს, ქარხნებს და მიწას“. *)

ამ რიგად, ის გედი, რომელიც ამტკიცებდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოველ ლეგალურს სახსრის სისუსტეს სოციალურ საკითხის გადაწყვეტაში, ეხლა თითონ იმეორებს იმ სიტყვებს, რომელსაც წინად მკაცრ კრიტიკას უშვრებოდა. აქ არ შევჩერდებით იმის განსახილველად, თუ რამდენად ტყუილი ან ყალბია ის აზრი, ვითომ მხოლოდ ლეგალური სახსარი—საერთო ამომრჩევლობა—იყოს საკმარისი ბურჟუაზიისთვის სახელმწიფოებრივ ძალის ხელიდან გამოსართმევად; თვითონ გედმა აუგო წესი იმ ბურჟუაზიულ—დემოკრატიულ ყოვლის მომრჩენელ მალამოს, რომელსაც შეცდომით საერთო ამომრჩევლობა ჰქვია და რომელიც ნამდვილად არის მეფობა, შემოუფარგვლელი მონარქია, მქონეთა და მხოლოდ მქონეთა. აქ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ზემოდ მოყვანილი პატარა ფრაზა შეიცავს სარევოლიუციო ბრძოლის

*) იხ. გედის სიტყვა პარლამენტში 1896 წ. 25 ივნისის კრებული გედის საპარლ. სიტყვათა Quatre ans de lutte des classes.

სრულ უარყოფას. მართლაც, რას ნიშნავს ფრაზა: მხოლოდ ლეგალურ იარაღით—საერთო საარჩევნო უფლებით—კოლექტივისტთა მხედრობა გახდება აუცილებლად მფლოფელად რესპუბლიკისა“? რას ნიშნავს ეს მხოლოდ? თუ მართლა მხოლოდ ამ ლეგალურს სახსარს შეუძლია პარტიას გამარჯვება მოუხვეჭოს, ნუ თუ აქედან ცხადად ის დასკვნა არ გამოდის, რომ პარტია აუცილებლად ლეგალურ ნიადაგზე უნდა დარჩეს და ლეგალურ ნიადაგზე მოქმედებდეს? თუ მართლა მხოლოდ ამ სახსარს შეუძლია ჩაუგდოს კოლლექტივისტთ მხედრობა“ რესპუბლიკის მფლობელობა ხელში, ნუ თუ აქედან აშკარად ის დასკვნა არ გამოდის, რომ სხვა სახსრის ხმარება ან მავნებელია ან მეტი? თუ მართლა მხოლოდ ამომრჩევლობაში გამარჯვებაზე არის დამოკიდებული სოციალდემოკრატიის გამარჯვება, ნუ თუ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ ერთად-ერთი პრაქტიკული მიზანი სოციალდემოკრატიისა პარლამენტში თავის წარმომადგენელთა რიცხვის მოშატება უნდა იყოს? ნუ თუ არ უნდა უარვყოთ რევოლიუცია და სარევოლიუციო ზომები, არ უნდა ვებრძოლოთ ხალხში მათი საჭიროების ჩანერგვას, თუ კი შესაძლებელია სოციალურ საკითხის მხოლოდ კენჭით გადაწყვეტა? როგორც სოციალისტნი, ჩვენ ხომ ყოველ სისხლის ღვრის წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ და თუ საჭირო არ არის რევოლიუცია, რაღაზე ვლაპარაკობთ მასზე? სისხლის ღვრის მომხრედ კაცი ხელოვნების სიყვარულით ხომ არ გახდება. სისხლის ღვრა, რევოლიუცია, მოქალაქობრივი ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაამართლოს კაცმა, როცა ასეთ მოქმედებაში ისტორიულ აუცილებლობას ხედავს და თუ კი ვინმე რევოლიუციაში ისტორიულ აუცილებლობას არა ხედავს, თუ კი სოციალურ საკითხის ლეგალურად, კენჭით გადაწყვეტა შესაძლებლად მიაჩნია, ეჭვი არ არის, ყოველის ღონისძიებით უნდა ებრძოდეს ყოველ სარევოლიუციო პროპაგანდას, ყო-

ველ სარევოლიუციო აგიტაციას, ერთის სიტყვით ყველა იმას, რაც ჰქმნის ხალხის სარევოლიუციო ტემპერამენტს, რაც პროლეტარიატს ბრძოლის, შურისძიების „გუნებაზე“ აყენებს.

ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც ბრტყელ-ბრტყელ სიტყვების ხმარება სოციალდემოკრატიაზე ნაკლებ არ უყვარს, სწორედ ისე იქცევა. იგი იმდენად სოციალიზმის იდეას კი არ ებრძვის, რამდენადაც სარევოლიუციო მოქმედებას. სოციალიზმზე აკადემიურ ტონით ლაპარაკის წინააღმდეგი არ არის ბუჟუაზია. სოციალიზმზე რამდენიც გინდათ, იმდენი ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, იმდენი იფიქრეთ, ოღონდ ნურაფერს ნუ მოიმოქმედებთ იმის განსახორციელებლად. ასე იქცევა ლიბერალური, რადიკალური ბურჟუაზია და იგი თავის თვალთ ხედვის მხრივ ლოგიკურად მართალიც არის. მაგრამ განა სოციალისტს შეუძლია ასე მოიქცეს? რა ასხვავებს ასეთ სოციალისტს რადიკალურ ბურჟუაზიისაგან? არაფერი, გარდა სახელისა. მართალია, შეიძლება გვითხრან, რომ რევოლიუციონერობა ამა თუ იმ მოძღვრებისა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, აღიარებს თუ არა ეს მოძღვრება ძალის ხმარებას. დიახ, შეიძლება და ამ ბოლო დროს სოციალდემოკრატიამ იხმარა კიდეც ეს არგუმენტი, რომ გაემართლებია უარყოფა სარევოლიუციო ტაქტიკისა. უპირველეს ყოვლისა შეეცადნენ დაემყარებინათ განსხვავება რევოლიუციასა და აჯანყებას შორის (Revolution, Rebeillon). რევოლიუცია შეიძლება წყნარი, მშვიდი იყოს, რევოლიუცია შეიძლება უომრად, უბრძოლველად მოხდეს და ჩვენც ამისთვის რევოლიუციონერები ვართო. ხოლო რაც შეეხება აჯანყებას, იგი ყოველთვის ომს, ბრძოლას, სისხლის ღვრას წარმოადგენს და ჩვენც ამისთვის აჯანყების წინააღმდეგნი ვართო. განა ეს მართლა ასეა? განა სოციალიზმის რევოლიუციონური მხარე მხოლოდ იმაში იხატება, რომ იმისი უკანა-

სკნელი მიზანი სრულიად ეწინააღმდეგება არსებულ წეს-წყობილებას? განა საკმარისია, ვინმე თეორიულად მიემხროს ისეთ იდეალს, რომელიც არა თავსდება თანამედროვე წეს-წყობილებაში, რომ იგი მართლა რევოლიუციონერი ვახდეს? ამ შემთხვევაში ტოლსტოი ხომ რევოლიუციონერი იქნება, რადგან იმისი იდეალი სრულიად არ ეთანხმება არსებულ წეს-წყობილებას. ჩვენ რომ ამ რევოლიუციისა და აჯანყების *) კატეგორიებად დაყოფის ნიადაგზე დავდგეთ, თუ-კი ლოლიკას არ ვუღალატებთ, იძულებულნი გავხდებით აჯანყებად გამოვაცხადოთ და უარვყოთ საფრანგეთის „ჟაკერია“ (გლეხთა აჯანყება), ანაბაბტისტთა ბრძოლა ერთობაზე დამყარებულ წეს-წყობილების მოსაპოებლად, ჰოლლანდიის დიდი რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნით წინ უძღოდა ინგლისის დიდ რევოლიუციას, ინგლისის რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნე-ნახევრით წინ უძღოდა საფრანგეთის დიდს რევოლიუციას და საფრანგეთის რევოლიუცია, რომელიც ერთის საუკუნით წინ უძღოდა რუსეთისას, რომელსაც ის ძლევს გამგე პრინციპებს—მაგრამ „რეალურ პოლიტიკის“ ნიადაგზე შემდგარ მარქსისტებს ყველა ეს კითხვები არ აწუხებთ. ისინი ხომ უტოპისტები არ არიან. თუ-კი პრაქტიკულ გამარჯვებას მოელი, რათ უნდა იზრუნო დოქტრინის, რწმენის წმინდათ შენახვაზე? ვერაფერი სანუგეშოა მარტო პრინციპების სიწმინდის შენახვაო, **) აცხადებს გედის ერთი ცნობილი ამხანაგი შ. ბონიე. ერთის სიტყვით, თუ სადმე ან რამეში პრინციპებმა, რწმენამ, დოქტრინამ შეგაწუხოს, ნუ გეშინია, უკუ აგდე იგი, ტალახშიც ამოსვარე, მხოლოდ წამით მაინც მიაღწიე შენ სურვილს, გაიმარჯვე, ეს დოქტრინასა და რწმენაზეც უფრო მაღლა სდგას. ამ ნაირ მოქმედებას, ისე როგორც იეზუიტების ორდენთა მოქმედებას, შეიძლება

*) იხ. ამის შესახებ. E. Ferri Le socialisme et la science positive.

**) იხ. Histoire des bourses du travail-ს წინასიტყვაობა sorel-ისა.

მართლა მოჰყვეს გამარჯვება, მაგრამ ამან არ უნდა დაგვა-ვიწყოს, რომ, როგორც იეზუიტთა გამარჯვება ქრისტია-ნობის ნიადაგზე არ აღნიშნავდა გამარჯვებას ქრისტეს პრინ-ციპებისა, ისე სოციალისტების გამარჯვება არა სოციალის-ტურ ნიადაგზე, არა ნიშნავს სოციალიზმის პრინციპების გამარჯვებას. არც შეიძლება ამ გვარად მოპოებული გამარ-ჯვება ხანგრძლივი იყოს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ უპირატესობა, რომელიც მოიპოვა სოციალდემოკრატიამ მუ-შათა მოძრაობაში, ვერ შეირჩინა და ეს არც უნდა გაგვი-კვირდეს. დღეს იგი ძირიანად უარჰყოფს ყველა იმას, რაც თითონ ჩანერგა ხალხის გულში.

ზევით ხომ ვნახეთ, რას ამბობს ეხლა პარლამენტის კუ-ლისებში ჭკუა ნასწავლი გედი თავის პარტიის პრაქტიკულ მისწრაფებაზე. ხომ ვიცით აგრეთვე, რას ფიქრობდა იგი სახელმწიფოზე, ვიცით ისიც, რომ იგი ესწრაფვოდა ისეთ საზოგადოების განხორციელებას, რომელიც უნდა ყოფილი-ყო დამყარებული ინტერესთა გარმონიაზე და რომელსაც ყოველი ცენტრალური ძალდამტანებელი ორგანიზაცია მეტად უნდა გაეხადა. ეხლა-კი ის იდეალი, რომელსაც იგი გვიხა-ტავს სასურველ და სათაყვანო იდეალად, ძლიერ წააგავს თანამედროვე, კერძო საკუთრებაზე დამყარებულ სისტემას, რადგან გედის სოციალისტური სისტემა, ისე როგორც თანა-მედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილება, დამყარებულია აღებ-მიცემობის კანონზე (**Закон спроса и предложенія**), ამ კანონმა, გედის აზრით, უნდა შეიტანოს წესიერება სო-ციალისტურ საზოგადოების წევრთა შორის არსებულ ეკო-ნომიურ ურთიერთობაში.

„თუ თავიდანვე აღზრდილი ჩვეულება შრომისა და აღებ-მიცემობის კანონი საკმაო არ იქნება ზოგიერთ ისეთ რამის გასაკეთებლად, რაც არავის არ იზიდავს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უძლურნი დავრჩებით, ვინაიდან

ჩვენ ხელთ იქნება კიდევ ძალ-დატანების უფლება (რეკვიზიცია)“ *).

ჩვენ ვიცით ზემო მოყვანილ სიტყვებიდან, რომ ბურჟუაზიის ძალ-დატანებაზე უარი სთქვა პარტიამ, გულ-კეთილობა მაინც გამოეჩინა და ბარემ მუშების ძალ-დატანებაზეც ეთქვა უარი, მაგრამ არა. ბურჟუაზიის ძალ-დატანებას თვით კაპიტალისტურ წესწყობილებაშიაც უარჰყოფს პარტია; მუშების მხრივ ძალ-დატანებას კი ინახავს თვით სოციალურ წეს-წყობილებაშიაც. ეგება ვინმემ იფიქროს, რომ ისეთი საშინელი სიტყვა, როგორც რეკვიზიციაა, რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიულ წეს-წყობილებაც კი უკიდურესს ზომად სთვლის, შემთხვევით, უცაბედად ან შეცდომით იხმარა გედმა. რათა ამისთანა შემცდარი აზრი არავის მოსვლოდა თავში, გედმა ახსნა, რომ თუ „ჩვენ იძულებულნი ვიქნებით და რეკვიზიციას მივმართავთ, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ახალ რამეს ვიგონებთ, ჩვენ ამით პატარა ესეხს ავიღებთ თანამედროვე საზოგადოებისაგან, რადგან ეს რეკვიზიცია ჩვენ კი არ გამოგვიგონია, იგი ბურჟუაზიის კოდექსში იმყოფებაო“.**) ეს „რეკვიზიციით“ სავსე იდეალი რომ კიდევ უფრო მომხიბლველი და სიმპატიური გაეხადათ, გედის მოწაფემ—შოვენმა, რომელიც თავის მასწავლებელთან ერთად დეპუტატათ იყო 1893—96 წ., შემდეგი გამოაცხადა: ჩვენის გამარჯვების პირველ დღეს, ჩვენი პირველი მოვალეობა იქნება: დავხვრიტოთ ყველა ანარქისტები, რადგან ისინი რეაქციონერები არიანო. ***)

---

*) იხილე უკვე აღნიშნული სიტყვა იმის საპარლამენტო სიტყვათა კრებულში.

**) იხ. ხსენებული კრებული საპარლამენტო სიტყვათა.

***) იხ. E. Pouget Variati0ns guesdistes p. 36 ეს ფაქტი აღნუსხული აქვს აგრეთვე დ. ნივენგეის თავის წიგნში Le socialisme en denger.

სხვისი გემო არ ვიცით, და ჩვენ კი ძალიან მოგვწონს ეს სოციალისტური იდეალი, სადაც სოციალურ ორგანიზმის წევრთა შორის არსებული ურთიერთობა მოწეს-რიგებული იქნება ერთის მხრით აღებ-მიცემობის კანონით, მეორეს მხრით—რეკვიზიციით, ხოლო მესამე მხრით—სოციალისტთა დახვრეტით. ამისთანა რამის მოგონებას უფრო ღრმა და გამჭრიახი ჭკუა უნდა, ვიდრე „კონსტიტუციონალურ თვითმპყრობელობის“ გამოგონებას.

ასე, ჩვენი ნაცნობი „მემკვიდრე“ 1871 წ. „ცეცხლის წამკიდებელთა“ 1882 წელს, როგორც ეს ზევით ვნახეთ, ანარქისტთა ყუმბარებსაც კი ეთამაშებოდა, ხოლო როცა 1893 წ. პარლამენტში მოჰყვა, „სახელმწიფო მოღვაწეს (L'homme d'etat, როგორც მარატი ამბობდა) დაისახა თავი, „აგიტაციას“ და „რევოლიუციონურ ფრაზებს“ თავი დაანება. სად „რეალური პოლიტიკა“, სად „სახელმწიფო მოღვაწე“ და სად აღგზნებულ ცეცხლით და გრძნობით სავსე სიტყვები მესამოცდა-ათე წლებისა! რა საკადრისია. ეს ვაჟბატონები სულ იმას გვეუნებოდნენ, რომ სოციალიზმის საკითხი კაბინეტის, თეორიის მიდამოდან უნდა გადავიდეს ქუჩებში ბრძოლის ველზედაო, პრაქტიკულად კი მათ ქუჩებში, ბრძოლის ველზედ, სისხლში შობილი სოციალიზმი სალონებსა და პარლამენტის კულისებში გადაიტანეს.

„ფრთხილათ იყავით!—მიმართა გედმა საფრანგეთის ბურჟუაზიას,—ერთ დღეს რომ სოციალიზმი დაიღუპოს, თქვენ დარჩებით უმფარველოდ და კერძო პირთა რეპრესიებისა და შურის-ძიებისაგან ველარაფერი გიხსნით. ჩვენ შევადგენთ სწორედ უდიდეს საზოგადოებას მრეწველობის ფეოდალთა ცხოვრების დაზღვევისას, რადგან ჩვენ ვასწავლით პროლეტარიატს, რომ კოლექტივური განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ პოლიტიკურ მოქმედებით. თქვენთვისვე უარესი იქნება, რომ პროპაგანდა და ორგანიზაცია სოცია-

ლიზმისა შეჩერდეს დროებით, რადგან მაშინ თქვენ პირის-პირ შეხვდებით დაგუბებულ სასოწარკვეთილებას და ზიზღს, რომელთა გადმოხეთქას ხელს აღარაფერი შეუშლის". *)

ეს სიტყვები გედმა წარმოსთქვა პარლამენტში, ვითარცა შეერთებულ სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელმა. მართალი მოგახსენოთ, სიტყვას ველარ პოულობ აზრის გამოსახატავად, როცა ამისთანა რამე გესმის სოციალდემოკრატიის უკეთეს წარმომადგენლისაგან. ნუ თუ ნება არ გვაქვს ამ ოფიციალურ დოკუმენტიდან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომელიც ლოდიკურად გამოდის? ნუ თუ ამ სიტყვებით გედმა აშკარად არ აღიარა, რომ ბურჟუაზია დაინტერესებულია ხელი შეუწყოს სოციალდემოკრატიის ზრდას, რადგან სოციალდემოკრატია იცავს „მრეწველების ფეოდალებს" ხალხურ ზიზღის, სიძულვილის გრიგალისაგან? ეს არის სოციალისტურ პარტიის დანიშნულება, ამ გვარ პროპაგანდით უახლოვებენ ფრანგი მარქსისტები მუშას „აჯანყებულის ტიპს"? ხალხის ზიზღი და სიძულვილი ბურჟუაზიისადმი, მჩაგვრელთა და მყვლეფელთადმი შეგუბებულა, ზღვის მორევად ქცეულა. ერთი წვეთი კიდევ და ის იგრიალებს, რომ გადარეცხოს დედა მიწის პირიდან სისხლი და ცრემლი, მონობა და ჩაგვრა, სიღატაკე და ვაგლახობა, მაგრამ ამ მჩაგვრელ ბურჟუაზიასა და დაჩაგრულ ხალხს შორის სოციალდემოკრატია დამდგარა, რომელსაც თავის მიზნად ის გაუხდია, რომ ამ ზიზღის და სიძულვილის ტალღების გადმოხეთქას ხელი შეუშალოს. განა შეიძლება, რომ კაცმა, თუ გინდ იგი უკიდურესი დიალექტიკოსი იყოს, ნახოს რამე გედის ზემოდ მოყვანილ სიტყვების გასამართლებლად? თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რა პირობებში იყო წარმოთქმული ზემო ნათ-

---

*) სიტყვა 18 ივნისის 1890 წ. იხ. საპარლამენტო სიტყვათა კრებულში.

ქვამი სიტყვები, ამ სიტყვებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა: გედმა ჯერ კარგად დააშინა „თავ-მოსვლეპილთ და ღიპიანთა“ კრება ანარქიზმის მოჩვენებით და მერე წამოაყენა თავისი პარტია ამ ვაჟბატონთა საწყალ თავებისაგან მეხთამრიდ იარაღად. არ ვიცით, მკითხველი რა დასკვნას გამოიყვანს ამ ფაქტიდან, ჩვენ კი ამ სამარცხვინო ვაჭრობის მიზანი აი როგორ გვესმის: „ჩვენ გიხსნით თქვენ,— უნდოდა ეთქვა გედს ბურჟუაზიის წარმომადგენელთათვის, —„ანარქიზმის გიდრისაგან“, ხოლო თქვენ თქვენის მხრივ დაგვანებეთ თავი, ხელს ნუ გვიშლით, ჩვენი საქმე, როგორც გვინდა, ისე წავიყვანოთო“.

რამდენად ყველა ეს კეთილშობილურია, რამდენად იგი რევოლიუციონურ ძალის და გრძნობის გამომხატველია და რამდენად შეჰფერის ამ გვარი ქცევა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის წინამძღოლს და ხელმძღვანელს—ამისი გადაწყვეტა თვით მკითხველისათვის მიგვინდვია; აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს, რათა სწყინს სოციალდემოკრატიას, როცა იმაზე ამბობენ, რომ იგი ასუსტებს პროლეტარიატის სარევოლიუციო ინსტიქტს, აქუცმაცებს პროლეტარიატის სარევოლიუციო მოთხოვნილებებს და მით ხელს უშლის სწორედ ამ „შეგუბებულ ზიზღისა და შურის ძიების გადმოხეთქას“, რომელზედაც თვით გედი ლაპარაკობდა თავის საპარლამენტო სიტყვაში.

ნუ თუ მილლიერანი შემთხვევითი მოვლენაა იმ პარტიის ცხოვრებაში, რომლის წარმომადგენელსაც შეუძლია პარტიის სახელით ისეთი სიტყვები წარმოსთქვას, როგორც ზემოდ მოვიყვანეთ? სრულიადაც არა. მილლიერანი საფრანგეთში ისე, როგორც ბერნშტეინი გერმანიაში, არის შედეგი მთელის სოციალდემოკრატიულ ტაქტიკურ უკუღმართობისა. „მილლიერანიზმი“ ბუნებრივი შედეგია ისეთ „კარგ და შეურყეველ“ სოციალისტების პროპაგანდისა და მოქმედებისა,

როგორნიც არიან გედი და მისი ამხანაგები. აგრეთვე გერმანიაში ბერნშტეინი, ფოლმარი, დავიდ, ჰეინე და სხვები მკვიდრი შვილები არიან „მართლმორწმუნე“ კაუტსკისა, ბებელისა, ლიბკნეხტისა და მთელ „წმიდა ძმობის“ განუყრელ ამხანაგობისა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ამგვარ აზრს, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეხედავენ, მაგრამ საბედნიეროდ, დაცულია დოკუმენტები, რომელთა მეოხებითაც ყოველთვის შეიძლება ამ აზრის საბუთიანი გამართლება. ეს დოკუმენტია ეგრედ წოდებული სენ-მანდეს სიტყვა—პროგრამმა, წარმოთქმული ალექსანდრე მილლიერანის მიერ შეერთებული პარტიის წინაშე. [1]) ეს დოკუმენტი ცხადად ამტკიცებს, რომ თუმცა გედმა და ძმათა მისთა დიდი ყაყანი შეჰქნეს, როცა საქმე გაფუჭდა, საქმის გაფუჭებამდი, ე. ი. 1893—1897 წლის დამლევამდე ყველა ფრანგი სოციალისტი მილლიერანისტი იყო.

მართლა და რა არის მილლიერანიზმი ან ის, რასაც ამ ბოლო დროს მილლიერანიზმი ეწოდება? კულტურული სოციალიზმი. მილლიერანი შორეულ მომავლისათვის სოციალიზმს დღესაც არა ჰყოფს უარს, არა ჰყოფდა უარს მაშინაც, როცა მინისტრის პორტფელი ეჭირა ხელში. შორეულ მომავლისათვის სახელმწიფოებრივი სოციალიზმი და გედის სოციალიზმი მას მერმედ, რაკი მან გარკვევით სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო, სახელმწიფოებრივი იყო, არ ჰყოფს უარს არც დღევანდელი წევრი სარიენის სამინისტროსი სოციალისტი ბრიანი. მილლიერანი აღიარებდა, დემოკრატიის გამარჯვებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყოველი ძალადობით მომხდარი რევოლიუცია მეტი ან არა სასურველი

---

[1]) იხ. A. Millerand. Plateforme electorale. გერმანიისთვის ამავე მნიშვნელობის დოკუმენტი ერფურტის პროგრამმაა, რომელსაც მეორე ტომში შევეხებით.

გახდაო. იმის აზრით, დემოკრატიამ ისეთი იარაღი მისცა მუშა ხალხს ხელში. რომლის საშვალებითაც ის უსათუოდ მიახწევს თავის სურვილს, ამ სურვილის მიხწევისთვის ორი რამ არის საჭიროა: ა) ხელი შეუწყოთ კაპიტალისტურ წესწყობილების მომწიფებას, რომ იგი, რაც შეიძლება მალე მივიდეს თავის თავის უარყოფამდე, რისთვის საჭიროა მუშათა და, საზოგადოდ, სოციალური კანონმდებლობა და ბ) რომ იმ პარტიის წარმომადგენლებმა, რომელიც უფრო დაინტერესებულია კაპიტალიზმის უარყოფაში კოლექტივიზმით, რაც შეიძლება მალე ჩაიგდონ ხელში სახელმწიფო მანქანა. რომ ეს გარდამქნელი პროცესსი, რამდენადაც შესაძლებელია, ააჩქაროს. ორივე მიზნის მისახწევად „მხოლოდ ლეგალური იარაღი—საერთო საარჩევნო უფლება“ არის საჭიროა, აი დედა აზრი მილლიერანიზმისა. შეადარეთ ამას გედის ის სიტყვები, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და ნახავთ, რომ მილლიერანი მხოლოდ იმეორებს თავის მასწავლებლის და აღმზრდელის გედის სიტყვებს.

ყოველი საძაგლობა შეგვიძლია შევწამოთ მილლიერანს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სოციალისტი არ არის, ბურჟუა, რადიკალია, ლიბერალია, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასთან ერთად მთელი საფრანგეთის სოციალდემოკრატია იყო ბურჟუა, რადიკალი, ლიბერალი. მილლიერანის ერთად-ერთი კარგი მხარე ისაა, რომ თავისი პროგრამმა არასოდეს არ დაუმალავს და თუ ის ისე ცუდი არის, როგორც გედისტები ამბობენ, ისიც სთქვან, კვერს რად უკრავდნენ, რად აქეზებდნენ რევოლიუციის და სარევოლიუციო ზომების უარყოფაში? თუ ისინი მინისტერიალიზმის მართლა ისეთნი მტერნი იყვნენ, რად არ აღუდგნენ პარტიაში ამ ტენდენციის ნელ-ნელა შემოსვლას? რად შეჰქმნეს თვითვე ის თეორიული მოსაზრებანი, რომელთაც პარტია ფატალურად მინისტერიალიზმის პრაქტიკამდე უნდა მიეყვა-

ნა? რად დახატეს დემოკრატია პანაკეიათ, რათ შეეცადნენ რომ ჩაენერგათ ხალხში დემოკრატიის კულტი, როცა 15—20 წლის წინად თვითვე აღიარებდნენ მას ხალხის გასაბრიყვებლად მოგონილ იარაღად, თუ თვითვე არ ჰქონდათ გულში სურვილი მინისტერიალიზმის გზაზე დადგომისა? [1])

სად იყო შეერთებული პარტია, მომქმედი გედის თაოსნობით, როცა ჟორესი კიდევ 1895 წ. აცხადებდა: „ფაქტიურად ის კოლლექტივიზმი, რომლის განხორციელებაც ჩვენ გვსურს ეკონომიურ ნიადაგზე, პოლიტიკურ ნიადაგზე უკვე არსებობს“-ო?. [2]) თუ არ დაივიწყებთ, რომ ჟორესს საფრანგეთის ცენტრალისტური რესპუბლიკა ჰქონდა სახეში, სრული უფლება გვაქვს ზემო მოყვანილ სიტყვებიდან ის აზრი გამოვიყვანოთ, რომ პარტია ესწრაფებოდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცენტრალიზაციისთვის ზედ დაემატნა ეკონომიური ცენტრალიზაცია. ჟორესი, როცა ამ სიტყვებს სწერდა, წევრი იყო შეერთებული სოციალისტთა საპარლამენტო ჯგუფისა. მოსთხოვეს ჟორესს ანგარიში ასეთის აზრის პარტიულ აზრად დასახვისათვის? რასაკვირველია არა და ეს ამისთვის, რომ მაშინ მთელი პარტია ასე ფიქრობდა. სად იყო პარტია, როცა მილლიერანმა თავისი ცნობილი სენ-მანდეს სიტყვა—პროგრამმა წარმოსთქვა? გავჩერდეთ ამ კითხვაზე.

სოციალისტური აღაპი იყო. კარგი ლაზათიანი სადილი მეცნიერულ სოციალიზმის წარმომადგენელთაც უყვართ ხოლმე, მაგრამ „მეცნიერული“ სადილი ბურჟუაზიულ სადილისაგან იმით განირჩევა, რომ იქ სადილის ბოლოში უსათუოდ

---

[1]) მეორე რვეულში გამოვააშკარავებთ ფაქტებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ლიბკნეხტს, მაგალითად გულში ჰქონდა ეს მინისტერიალიზმი, სწერდა კიდეც მასზე, მაგრამ გამოქვეყნებას ვერ ბედავდა.

[2]) იხ. Revue socialiste Mars. 1895 წ.

პროლეტარიატი და მისი ვაგლახი სევ-ბედი უნდა მოიგონონ ხოლმე და საშველად რამე პროგრამა შესთხზან. ვინ არ არის გულ კეთილი მაშინ, როცა ყელთამდე მაძღარია? აგრე იყო აქაც. გულ მაძღრები შეუდგნენ პროლეტარიატის გაბედნიერებას. სოციალისტთა შეერთების ქარი ჰქროდა მაშინ. აქ იყო გედთან ერთად ვალიანიც. შეერთების ნიადაგის გარკვევა და დამყარება ა. მილლიერანმა „უძლიერესმა იურიდიულმა ორატორმა“ იკისრა და წარმოსთქვა თავისი სიტყვა-პროგრამა, რომელმაც შემდეგში ისეთი სახელი მოიხვეჭა? აქ მან ცხადად, გარკვეულად, აშკარად დასვა თავის მინისტრობის კანდიდატურა. და მერე გაუწია ვინმემ კამათი? არა, მართალია გედმა სიტყვის თქმის უფლება აიღო, მაგრამ არა იმისთვის, რომ მილლიერანისთვის კამათი გაეწია, არა იმისთვის, რომ ის ოპორტიუნიზმის ფილოსოფია, რომელიც მილლიერანმა წამოაყენა წინ, როგორც დამსწრეთა აზრთ გამოხატულება, არამედ იმისათვის, რომ კვერი დაეკრა იმის სიტყვებისათვის, მიემატებინა რამდენიმე სიტყვა იმავე აზრთ მიმდინარეობაში და კიდევ იმისათვის, რომ ....რამდენიმე კომპლიმენტი ეძღვნა „უძლიერეს იურიდიულ ორატორისთვის“, კიდევ იმისთვის, რომ... გადაეკრა იმ ერთობის სადღეგრძელო, რომელიც დამყარდა მილლიერანის მიერ გარკვეულ ნიადაგზე.

„კოლექტივიზმს არა აქვს პრეტენზია, ამბობდა მილლიერანი თავის სიტყვა-პროგრამაში,—მოაბრუნოს ისტორიის ჩარხი და ან შეაჩეროს კაცობრიობის გარდაქმნის საქმე. პირიქით, იგი იხრება (пригибается) ამ ისტორიის მოთხოვნილებისამებრ. და რადგან სოციოლოგიური კანონი ევოლიუციისა ისეთია, რომ წარმოებისა და გაცვლის (обмѣн) იარაღების კერძო საკუთრება უნდა შეიცვალოს სოციალისტურზე, კოლლექტივისტთა პრეტენზია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეწყობა მსხვილი კაპიტალი-

სტური წარმოება, რომელიც თავის სხივთა ფრქვევით აშრობს და ჰკლავს წვრილ საკუთრებას, გარდაქმნას კაპიტალისტური საკუთრება სოციალურად". ამ გვარად მილლიერანმა ოპორტიუნიზმის ფილოსოფია გამოაცხადა სოციალიზმის ფილოსოფიად და შემდეგ განმარტა კითხვა, თუ როგორ უნდა უცქეროდენ სოციალისტები სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდების (conquete du pouvoir publique) საქმეს: „ჩვენმა სახელოვანმა*) მეგობარმა გ. დევილმა, რომელსაც მომავალ კვირას მე-IV ნაწილი (პარიზის) ჩვენთან ერთათ გაგზავნის პალატაში, მძლავრის და მარტივის ენით უკვე აღნიშნა, რომ სოციალურ ტრანსფორმაციას მოახდენს არა აჯანყებული უმცირესობა, არამედ შეგნებული უმრავლესობა.**) ძალას მივმარ-

*) ეს ვაუბატონები ისე არ იტყვიან რამეს, რომ რამე დიდი „ტიტული" არ უძღვნან ერთმანეთს და ერთმანეთი არ შეაქონ. მილლიერანი „უდიდესი იურიდიული ორატორია",—დევილი „სახელგანთქმული" და სხვა. ყველა მარქსისტს მეორე მარქსისტი ან მართლა მიაჩნია რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენათ, ან და განგებ რეკლამას უკეთებს. მაგალითად, ერთ რომელღაც გერმანულ გამოცემაში ლაპარაკი იყო გედზე და ნათქვამი იყო, რომ იგი საფრანგეთის უდიდესი ორატორიაო. გედი რომ ჩვენ დასისტებზე ცოტა უკეთ ლაპარაკობს, ეს ცხადია, მაგრამ იმისი იმ ქვეყნის უდიდეს ორატორად დასახვა, რომელმაც გამბეტა, ჟიულ ფერრი, პიუ, დემენი, ვალდეკ რუსსო, კლემანსო, ჟორესი. ბრიანი და სებასტიან ფორი წარმოშობა, ცოტა არ იყოს, გადამეტებაა. ასეთია მათი ჩვეულება. მახსოვს, როცა საზღვარ გარედ მივემგზავრვბოდი, ერთმა „დასელმა" დარიგება მომცა: რომ ჩახვიდე ჟენევაში, უსათუოდ გ. პლეხანოვი ნახეო? იგი მესამე მეცნიერია მთელს ევროპაშიო. მას შემდეგ 9 წელიწადი გავიდა და ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარვარ, ვინ უნდა იყოს ორი პირველი მეცნიერი.

**) ეს სიტყვები დევილისა ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზევით. ღირს შესანიშნავია, რომ მილლიერანი დევილის (მაშინ მართლ-მორწმუნე გედისტის) სიტყვებზე ემყარება, რომ თავის ოპორტიუნიზმის ფილოსოფია დაასაბუთოს. იხ. A. Millerand Plateforme electorale p. 13—14.

თოთ? ვის წინააღმდეგ? რისთვის? ეოვლის უწინარეს ჩვენ რეს-პუბლიკანელები ვართ. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია ვისაზ-რდოვოთ სულელურის იმედებით, მივმართოთ რომელსამე პრეტენდეტის პრესტიჟს ან ხმალს რომელისამე დიქტატო-რისას ჩვენის დოქტრინის გასაყვანად.*)

ჩვენ მივმართავთ მხოლოდ საარჩევნო უფლებას.**) ჩვენ მი-სი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლება გვსურს. ჩვენ გვინდა მხოლოდ, დარწმუნების უფლება გვქონდეს. ნუ-რავინ ნუ მოგვაწერს იმ მასხარულ (idèe bouffonne) აზრს, ვი-თომ ჩვენ გვსურდეს ძალას მივმართოთ მაშინ, როცა ცოტა მაგარ ხასიათის რადიკალური მინისტრები საკმაო იქნება მისს ჭკუაზე მოსაყვანად".

მგონი, საკმაოდ ცხადად არის აქ გამოთქმული ის პრინ-ციპიალური ლეგალიზმი, რომელიც გედმა კიდევ უფრო ადრე გამოაცხადა პარტიის მოქმედების დედა აზრად, მაგრამ მილლიერანს რომ კიდევ აშკარად გაეხადა ეს ცვლილება პარ-ტიულ ტაქტიკისა მთელის „მოაზრე საზოგადოებისათვის" და ამ მიზნით ის, როგორც საპარლამენტო ჯგუფის წარმომად-გენელი, აი რას უცხადებს ერთ-ერთ პარიზულ დიდ ბურ-ჟუაზიულ ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც მივიდა მას-თან პარტიის მისწრაფებათა შესატყობად: „რაც შეეხება იმათ, რომელნიც სრულიად უსაბუთოდ გვაწერენ იმ აზრს, ვითომ

---

*) ამ უბოდიშო ჭორს ხშირად ხმაროობენ მარქსისტები. ვითომდა ძალას მხოლოდ ის მოუწოდებს, ვინც პრეტენდეტის ან დიქტატორის მომხრეა. გედმა ეს ჭორი მოისმინა და ყურიც არ შეიბერტყა. როცა ოთხმოცდაათიან წლების მიწურულში დიდი საერთო გაფიცვა მზადდე-ბოდა რკინის გზის მუშებისა, მაშინ, მაგ., სოციალ-დემოკრატებმა, ხმა გაავრცელეს, საფრანგეთის ტახტის პრეტენდეტი ასაზრდოებს თავის ფუ-ლით მოძრაობასაო და ამით ჩაშალეს იგი.

**) შეადარე ამას ზევით მოყვანილი გედის სიტყვები. მათ შო-რის სრული მსგავსებაა.

ჩვენ ჩვენი იდეის გამარჯვებას ძალადობრივ რევოლიუციისაგან მოველოდეთ, ჩვენ შეგვიძლიან ვუპასუხოთ: არაფერი არ არის ჩვენ ყოფა-ქცევაში ისეთი, რაც ვინმეს ნებას აძლევდეს ამ გვარი მისწრაფება შემოგვწამოს“.*) შეადარეთ ეხლა გედის და მილლიერანის სიტყვები და დარწმუნდებით, რომ მილლიერანი მხოლოდ იმეორებს იმას, რასაც გედი ამბობდა. მილლიერანი მხოლოდ გედიზმის პოპულიარიზატორი და პრაქტიკაა. იმას არც რამე გამოუგონებია, არც რამე მიუმატებია იმ ოპორტიუნიზმის ფილოსოფიისათვის, რომელიც გედმა „ძმათა თვისთა“ დახმარებით შეჰქმნა. გედსა და მილლიერანს შორის პრაქტიკულად მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთი მათგანი (მილლიერანი) რეფორმისტურ მოქმედებას და ყოფა-ქცევას თან აყოლებს რეფორმისტურ სიტყვებს და ფრაზებს, მეორე (გედი) აგრეთვე რეფორმისტურად იქცევა, მაგრამ თავის რეფორმისტურ მოქმედება-ყოფა-ქცევას ამკობს და ან აფუჩეჩებს სარევოლიუციო ფრაზებით...

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გედი სწორედ მაშინ, როცა შეუგნებლად თვითვე გზას უკაფავდა მილლიერანის მოვლინებას, ასე არ იყო შეყვარებული რევოლიუციონურ ფრაზებზე (1890—98 წლამდის განსაკუთრებით). რევოლიუციონურ ფრაზებს იგი დაუბრუნდა, როცა შენიშნა, რომ „მილლიერანიზმი“ დამარცხდა და გათახსირდა. 1896 წ. ცნობილ რეზოლიუციით ანარქისტები სრულიად ჩამოშორებულ იქნენ საერთაშორისო კონგრესებს, რომელნიც ამ ჩამოშორების შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ სხდომებად გადაიქცნენ. სწორედ ამ ლონდონის კონგრესის შემდეგ თითქო ანარქისტთა რევოლიუციონარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად, გედმა თავის სიტყვაში, რომელიც Hôtel des

*) იხ. Ecloire 15 მაისის 1896 წ.

vrais amis*) წარმოსთქვა, შემდეგი გამოაცხადა: „უკანასკნელ არჩევნებს კარგი შედეგი მოჰყვა. ჩვენ ადარ უნდა ვიხმართ სიტყვა რევოლიუციონარიზმი. ჩვენ აღარ ვსაჭიროებთ მეტს ამ სიტყვაში, ისედაც იციან, რომ ჩვენ რევოლიუციონერები ვართ.“ ასე, მხოლოდ ლეგალურ სახსრით—კენჭებით—ვიმოქმედოთ და სიტყვა რევოლიუციონარიზმსაც ნუ ვიხმართ—ისედაც კარგი რევოლიუციონერები ვართო. ნამდვილი დიალექტიკა ანუ სოციალ-დემოკრატიულ უკულმართობის ლოლიკაა სწორედ. დღეს კი ისევ რევოლიუციონურ ფრაზას მიუბრუნდა, **яко пес блевотинѣ своей**, როგორც ერთი რუსული თქმულება ამბობს, მაგრამ სავლი პარლამენტარიზმისა, დღეს იმის პავლედ ქცეული, აწი ველარავის მოხიბლავს: დღეს მას მუშები იცნობენ, დღეს მუშათა შორის გედის ქამელეონობა (retournage de veste) ანდაზად არის ქცეული. მართლა და რა პირით, რა სინდისით უკიჟინებს იგი მილლიერანს ოპორტიუნისტობას?

„შეისწავლეთ საპარლამენტო ისტორია საფრანგეთის სხვა ორგანიზაციებისა და ნახავთ, რომ მათი დეპუტატები, რომ გედი, ვალიანი და მათი ამხანაგები სწორედ ისე, როგორც ჟორესი, მილიერანი და მათი ამხანაგები, შეთანხმებით ერთგულად იცავდნენ ლ. ბურჟუას სამინისტროს სისტემატიურად 1895 წ. ნოემბრიდან მოკიდებული 1896 წ. მაისამდე (მეტი ამ სამინისტროს არც კი უცოცხლია).

„რისთვის შველიდნენ ისინი (გედისტები და სხვა მართლ-მორწმუნენი) ამ სამინისტროს? ერთი წევრი სოციალისტურ-რევოლიუციონურ პარტიისა, (მართლ-მორწმუნეთა ფრაქციაა) ენრი ტურო, (Henri Turot) აი რას სწერდა ამის შესახებ: ცენტრალურ, სარევოლიუციო კომიტეტის ერთ გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების, რომელიც ეხებოდა ლონ-

*) იხ. Hamon. Le socialisme et le congrés de Londres.

დონის საერთაშორისო კონგრესზე წარსადგენ რეზოლიუციას, Jonrnal des Dèbats ლაპარაკობს და ჰკვიროობს, რომ რევოლიუციონური დეპუტატები შველა-დახმარებას უწევენ სამინისტროს. ამის ახსნა ძალიან ადვილია.

„სამმართველო ძალის ხელში ჩაგდება ჩვენი მიზანია, რადგან ამ სახსრით მივაღწევთ სოციალურ რესპუბლიკის დაარსებას. მაგრამ იმის მაგიერ, რომ თავი დავაჯეროთ ცოტად თუ ბევრად შორეულ იდეალის ტრფიალებით, ჩვენ, რევოლიუციონერებს, გვსურს წამ-და-უწუმ ჩარეულ ვიყოთ დღიურ ცხოვრების ბრუნვაში. ამ წამში ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავიცვათ რესპუბლიკა ბ. პუანკარეს საარეაქციო განზრახულებათაგან, რომელიც ხმებს უკიდურეს მემარჯვნეთა შორის ეძებს.

„ჩვენი წარმომადგენლები კარგად იქცევიან, როცა იცავენ ისეთ მმართველობას, რომელიც ემყარება მხოლოდ რესპუბლიკანელთა უმრავლესობაზე, როცა ისინი ნებას არ აძლევენ ზოგიერთ პატივ-მოყვარეთ, რომელნიც მზათ არიან ყოველგვარი ღალატი ჩაიდინონ, შეთქმულობა იქონიონ მონარქისტებთან ერთად დემოკრატიის წინააღმდეგ.

„ჯერ-ჯეროობით პარლამენტარული ცდა საკმარისად სჩანს ამ პლანების ჩასაშლელად.

„დაწყნარდეს Debats, კენჭის ხმარება სხვა გვარ ნიჭის გამოჩენას არ უხშობს რევოლიუციონერებს“.*)

მეორეს მხრით პოლ ლაფარგი, გედის მეგობარი და ამხანაგი, საფრანგეთის მუშათა პარტიის ნაციონალურ საბჭოში სწერდა შემდეგს სოციალისტურ პარტიასა და ბურჟუას სამინისტროზე: წინასწარ კაბინეტის წევრებს, რომელი პარტიისაც უნდა ყოფილიყო, ყოფა-ქცევის საინტერესო ერთგვარობა ეტყობოდათ. სულ ყველა ემყარებოდა ცენტრზე და

*) Petite Répnblique du 31 mars 1896 წ.

მარჯვენაზე და რომ მათი გული მოეგოთ, ომს უცხადებდნენ სოციალიზმს, რომელიც ასე ამგვარად გამგეობის იარაღადა ხდებოდა. მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ეს მეტამორეები, რომელნიც ფიცს იძლეოდნენ აეკუწათ (mettre en capitolade) —სოციალისტები, თითონვე ძლეულ იყვნენ სოციალისტებისაგან.

„ბ-ნმა ბურჟუამ, ამ გარემოებისაგან ჭკუა ნასწავლმა, ტაქტიკა გამოიცვალა, მომხრეები მარცხნივ მონახა და იმის მაგიერ, რომ სოციალიზმს შესტაკებოდა და მათთვის მუშტი მოეღერა, მან ხელი გაუწოდა. ამ ახალმა ტაქტიკამ სოციალისტები მინისტერიალისტთა შორის ვერ მოიყოლია, ვერ დააყრევინა მათ იარაღი, მაგრამ ომი შეაწყვეტინა (suspendre les ho-til-tés). ჟორესმა, გედმა, ვალიანმა, მილლიერანმა, გამოაცხადეს საქვეყნოდ, რომ რადგან ახალი სამინისტრო სდგებოდა მათ წინ, როგორც სამინისტრო დამცველი ლეგალიზმისა, ისინი მას ნდობას უცხადებდნენ, სურდათ მისი საქმეში ნახვა.

სოციალისტური პარტია სარგებლობს მმართველ კლასის კარგის და ცუდის წამებით და იზრდება კაპიტალისტურ პარტიების გახრწნის დროს. გუშინ სამინისტრო იღებდა მართველობას თავის ხელში იმისათვის, რომ სოციალისტური პარტია დაემარცხებია და მოეკლა, დღეს ბურჟუას სამინისტრო იმით სცხოვრობს, რომ სოციალისტური პარტია სცემს პატივს, ხვალ იგივე სოციალისტური პარტია აიძულებს მთავრობას, მიიღოს მისი სურვილი“ *).

აი რას ამბობდა რევოლიუციონერი ტურო, მართლმორწმუნე ლაფარგი. თუ მათ პრინციპიალურად უფლება ჰქონდათ დახმარება გაეწიათ ისეთ სამინისტროსათვის, რომელიც მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ მათ პატივსა სცემდა,

---

*) იხ. E. Milhaud la tactique socialiste et les decisions des congrés internationaua.

ჟორესს და მილლერანს ხომ მეტი უფლება ჰქონდათ კიდევ დახმარება გაეწიათ ისეთის სამინისტროსათვის, რომელიც მათ გემოზე დადიოდა? სად არის აქ პრინციპიალური განსხვავება ორ ფრაქციას შორის? ბურჟუას სამინისტრო ძალიან ხან-მოკლე იყო, მაგრამ რაც იცოცხლა სოციალისტების და მათ შორის „მართლმორწმუნეთა“ დახმარებით იცოცხლა. ბურჟუას სამინისტროს რომ თავი დავანებოთ, კომბის სამინისტროს გედის და ვალიანის პარტია უჩენდა დახმარებას და უდგენდა უმრავლესობას. ერთის სიტყვით, ჟორესსა და მილლიერანს არაფერი არ ჩაუდენიათ ისეთი, არაფერი არ უთქვამთ ისეთი, რაც არ ეთქვათ და არ ჩაედინოთ „მართლმორწმუნეებს“. — „მილლიერანშჩინა“ არსებობს იტალიაში, საფრანგეთზე უფრო ადრე არსებობდა იგი ბელგიასა და გერმანიაში. მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია. თუ საფრანგეთში ამ საკითხმა დიდი ალიაქოთი ასტეხა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ პრაქტიკულად დაინახა პარტიამ თავის დალუპვის საქმე, დაინახა, რომ მუშები ჩამოშორდნენ და სხვა გზას დაადგნენ; დაინახა, რომ პარტიის გაუახლებლად პარტია ძველ მნიშვნელობას ვეღარ მოიპოვებდა და ამისათვის პარტიის ქერქის განახლება იყო საჭირო. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს და ნათელ ვყოფთ, თუ როგორ მოქმედებდა გედი და მისი ფრაქცია პარლამენტში, მაგრამ სანამ მათ საპარლამენტო მოქმედებას განვიხილავდეთ. საჭიროა გავიგოთ, თუ როგორ სწყვეტდნენ სოციალდემოკრატები სახელმწიფოს ხელში ნაწილ-ნაწილად ჩაგდების საკითხს.

ჩვენა ვსთქვით და კიდევ ვიმეორებთ, რომ გედს და მის ამხანაგებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ უკიჟინონ მილლიერანს და, საზოგადოთ, რეფორმისტებს მათი ოპორტიუნიზმი. და ეს იმისთვის, რომ ა) ამ რეფორმიზმს თითონ გედმა მოუმზადა ნიადაგი თავის მოღვაწეობით და მოქმედე-

ბით; ბ) თითონ გედი და მისი ამხანაგები მილლიერანზე უკეთესად ვერ იქცეოდნენ პარლამენტში მოღვაწეობის დროს. არ არის არც ერთი შეცდომა მილლიერანისა ისეთი, რომელიც გედს არ ჩაედინოს თავის დროს, თუ მილლიერანმა უარჰყო რევოლიუცია და რევოლიუციური სახსრები ბრძოლისა, გედმა ხომ უფრო ადრევე უარჰყო ყველა ეს. გედისტები არ იყვნენ განა, რომ სისტემატიურად აძლევდნენ ხმას ლ. ბურჟუას სამინისტროს, სწორედ ისე, როგორც ჟორესი, მილლიერანი და მათი ამხანაგები აძლევდნენ ხმას ვალდეკ-რუსოს და კომბის სამინისტროს? გედისტები არ იყვნენ, რომ შავი კენჭი ჩაუგდეს იმ წინადადებას პარლამენტში, რომელსაც აზრად ჰქონდა გაეუქმებინა წინა სესიის მიერ, კაზიმირ პერიეს წინადადებით მიღებული კანონები, პრესსის და კრების თავისუფლების შესაზღუდავად მოგონილი? მერე რა მოსაზრებით მოიქცნენ ასე გედი და მისი ამხანაგები? ამ მართლა და რეაქციონურ კანონების გაუქმება ჩვენც გვსურსო,—ამბობდენ ისინი,—მაგრამ ჩვენ იძულებულნი ვიყავით მათ გამაუქმებელ წინადადების წინააღმდეგ ჩაგვეგდო კენჭი, რადგან ეს საჭირო იყო ლ. ბურჟუას რადიკალურ სამინისტროს დაცემისაგან გადასარჩენადაო. ეს სწორედ ის მოსაზრებაა, რომელსაც მილლიერანი და ჟორესი ხმარობდენ თავის გასამართლებლად. როცა მილიერანის მინისტრობის დროს შალონსა და მარტინიკაში გაფიცვის დროს ჯარმა მუშები დახოცა—დიდი ყაყანი ასტყდა, პარლამენტში დეპუტატები შეეკითხნენ მთავრობას ამ საქმის შესახებ. მოგეხსენებათ, როგორ იმართლებს ხოლმე მთავრობა ამისთანა შემთხვევაში თავს. პარლამენტში ლაპარაკი იმით დასრულდა, რომ რესპუბლიკანურმა უმრავლესობამ და, მათ შორის სოციალისტებმაც (ჟორესის ფრაქციამ) მთავრობას ნდობა გამოუცხადა. რისთვის? სწორედ იმ მოსა-

ზრებით, რა მოსაზრებითაც გედი პრესის და კრების თავისუფლების შემბოჭველ კანონის გასაუქმებელ წინადადებას შავ კენჭს უგდებდა—რომ სამინისტრო ცუდ მდგომარეობაში არ ჩამდგარიყო და არ დაცემულიყო. ბურჟუა-რადიკალურ სამინისტროს დაცვა ამ „საქმის კაცთათვის“ უფრო საჭიროა, უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სოციალისტურ პრინციპების წმინდად შენახვა და დაცვა. გედისტები არ იყვნენ, რომ ჟორესისტებთან ერთად კენჭით უარი სთქვეს გაეუქმებინათ ის განსაკუთრებული დრაკონისებური კანონები, ანარქისტების ჩასაჩუმებლად შემოღებული ბურჟუაზიულ პარლამენტის მიერ, რომელთა ძალითაც შესაძლებელია ერთ ცოცხლად დაწერილ სტატიისათვის კაცს ახალ კალედონიაში გაგზავნა? გედის პარლამენტარულ ჯგუფის თაოსნობის დროს არ იყო, რომ მისმა ამხანაგებმა „საიდუმლო ფონდისათვის“ ფულის მიცემაზე თანხმობა განაცხადეს პარლამენტში კენჭით? ერთის სიტყვით, რა საქციელია ისეთი, რომელიც მილიერანმა ჩაიდინა და გედს და იმის ამხანაგებს კი არ ჩაედინოთ მილიერანზე უფრო ადრე?*)

პარლამენტარულ კრეტინიზმით საფრანგეთში ყველაზე უფრო ადრე გედი გახდა ავად და ეს საშინელი სენი, სოციალიზმისა და სარევოლიუციო სულის მომაკვდინებელი სენი, იმისგან გადაედო სხვებს. გედი არ იყო, რომ ეუბნებოდა მუშებს კაპიტალიზმის სიმაგრეზე იერიშის მიტანა საჭირო არ არის, რადგან იმისი გასაღები ჩვენა გვაქვს ხელშიო? გედი არ იყო. რომ აცხადებდა პარლამენტში: „წარსულ სესსიის დროს ჩვენ ათზე ნაკლები ვიყავით, ეხლა 40 კაცი

*) იხილე ამ ფაქტების შესახებ ერთხელ უკვე ნახსენები წიგნაკი La veritè sur l'union socialiste.

ვართ.*) თუ ასე ვიზარდეთ, 1897 წელს 160 ვიქნებით“-ო და ასე ამბობდა იმისათვის, რათა დაერწმუნებინა ბურჟუაზია, რომ იმის პარტიას მხოლოდ „ბურჟუაზიული ლეგალიზმი სჭიროდა და ჰყოფნიდა“ თავის მიზნის მისაღწევად. ამ ლეგალიზმით რომ პარტიას რაც შეიძლება უფრო მეტად ესარგებლა, აი როგორ იქცეოდა: „ამომრჩევლების მიმხრობა ერთად-ერთ თვალსაჩინო მიზნად გაიხადა პარტიამ და რომ ამ ამომრჩევლებს მოსწონებოდათ პარტია, ნან შესაძლოდ სცნო დოქტრინის შეუბრალებელ ფანატიზმის მიმალვა, თუმცა რეფორმატორებს კიდევ დასცინოდა პარტია, მაგრამ თითონვე ამ რეფორმებს აყენებდა წინ. წარმოადგინეს პროექტი მოხუც მუშებისათვის პენსიის დანიშვნისა, რომელიც ჰგავს პროექტს, უარყოფილს გერმანიის სოციალდემოკრატიისაგან, იმ მოსაზრებით, რომ იგი ბურჟუაზიული სიყალბეა. იქამდის მივიდნენ, რომ სოფლის წვრილ მესაკუთრეებს დამშვიდება დაუწყეს 1896 წ. იცავდნენ ლ.-ბურჟუას სამინისტროს და რომ იგი ცუდ მდგომარეობაში არ ჩაეგდოთ, უარი სთქვეს ანარქისტების წინააღმდეგ არსებულ განსაკუთრებულ კანონების გაუქმებაზე“ **). დიახ, ყველა ეს ჩაიდინეს გედისტებმა, მარქსიზმის წმინდა და შეურყეველმა წარმომადგენლებმა. რა პირით, რა უფლებით უკიჟინებენ ისინი ჟორესს და მილიერანს ოპორტიუნიზმს. განა ჟორეს-მილიერანს ნება არა აქვთ მოუყარონ თავი ყველა იმ შეურაცხმყოფელ, ტალახში ამომსვრელ სიტყვებს, რომელიც მათ გედმა უძღვნა, ამ სიტყვებისაგან ერთი კარგი თაიგული გა-

---

*) ამ ორმოცში მხოლოდ სამი იყო მარქსისტი; რამდენიმეც ბლანკისტი იყო, დანარჩენნი სულ ჟორესის ტიპის სოციალისტები იყვნენ.

**) იხ. D. Halevy Essaie sur le mouement ouvrier en france p. p. p. 223 et 224.

აკეთონ და ისევ დაუბრუნონ გედს და „ძმასთა მისთა“ ასეთის ზედ წარწერით: **De te fabula narratur?**

ვერც ერთი სოციალისტი ვერ დაიქადნის პრინციპიალურ სიწმინდეს, თუ იგი პარლამენტარულ ნიადაგზე მოქმედებს. ყოველ მათგანის ისტორია ცალკე რომ განვიხილოთ, რომ გადავხედოთ აგრეთვე იმ წინადადებებს, რომელიც შეუტანიათ, თუ დაუცავთ პარლამენტში, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც თავის რწმენას არ გადასდგომოდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის საზოგადო პრინციპებს, არ ეწინააღმდეგებოდეს კლასთა ბრძოლის თეორიას, რომელიც სოციალიზმის ქვა კუთხედათ ითვლება. რად უნდა ამოვიჩემოთ მარტო მილიერანი და ჟორესი, რად უნდა ვაგინოთ და ვლანძღოთ მარტო ისინი, როცა ვხედავთ, რომ მათზე უფრო დამნაშავენი სხვანი არიან. ჩვენთვის ცხადია, რომ საფრანგეთში გედს, ლაფარგს და დევილს, გერმანიაში კაუტსკის, ბებელს და ლიბკნეხტს სოციალისტურ მოძრაობის ხასიათი არ დაემახინჯებინათ, არ გამოებერტყათ მათ პარტიიდან ყოველი სარევოლიუციო სული და გონება, ისეთი კაცები, როგორც მილიერანი, ჟორესი, ვივიანი, ბრიანი და სხვანი საფრანგეთში, ფოლმარი, ჰეინე, დავიდი და სხვები გერმანიაში არასოდეს არ შევიდოდნენ სოციალისტურ პარტიაში.

მილიერანმა მხოლოდ ერთი რამ ჩაიდინა ისეთი, რაც გედს არ უქნია: მინისტრის პორტფელი მიიღო. განა ამისათვის აგრე გასაკიცხია, თუ იმის ქცევას განვსჯით არა ანარქისტთა თვალხედვის ისრით, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატს? ჩვენ გვგონია—არა. თუ სახელმწიფოს ხელში ჩაგდება „მხოლოდ ლეგალურის იარაღით—საერთო საარჩევნო უფლებათა“ არის მიზანი პარტიისა, ყოვლად შეუძლებელია პარტიამ ამ მიზანს ისე მიაღწიოს, რომ მას ერთხელ

და ორჯელ არ მოუხდეს სამინისტროს გაზიარება სხვა ბურ-ჟუაზიულ პარტიებთან, ისე როგორც რესპუბლიკანელი-პროგრესისტები ხშირად უზიარებენ სამინისტროს რადიკალებს და რადიკალები რესპუბლიკანელ-პროგრესისტებს, მაგალითად, თუნდ დღევანდელი სარიენის სამინისტრო ავიღოთ. სანამ სოციალისტური პარტია ისე პატარაა, რომ იმისი ასე თუ ისე მოქცევა ვერაფერ გავლენას იქონიებს სამინისტროს სვე-ბედზე, ის არც-კი ითვლება, მაგრამ როცა იგი ხდება დიდ საპარლამენტო ჯგუფათ, რომელზედაც დამოკიდებულია ორიენტაცია საპარლამენტო უმრავლესობისა, მაშინ სამინისტროს არ შეუძლია საქმე არ იქონიოს ამ გვარ ჯგუფთან, რადგან უიმისოდ მას ცხოვრება არ შეუძლია. დღეს საფრანგეთის პალატაში სულ ორმოცდა-თორმეტამდე კაცია სოციალისტურ ჯგუფში, პალატაში-კი სულ ხუთას კაცზე მეტია, მაგრამ მიუხედავად ამისა ხან და ხან პარტიათა ძალები ისე იყოფა, რომ ხშირად სამინისტროს სვე-ბედი მხოლოდ სოციალისტებზეა, დამოკიდებული. მაგალითად, კომბის სამინისტრო არა ერთხელ და ორჯელ გადაარჩინეს სოციალისტებმა, ფრაქციის განურჩევლად, დაცემისაგან. თუ ეს ასეა ეხლა, როცა სოციალისტთა რიცხვი ცოტა არის, რა იქნებოდა მაშინ, გედის სიტყვა რომ გამართლებულიყო და მართლა 1897 წ. 160 დეპუტატი გაეყვანათ პარლამენტში? მაშინ ხომ, თუ-კი ეხლანდელი დაყოფა პარტიებად დარჩებოდა, სოციალისტურ ჯგუფის დაუხმარებლად სამინისტროს ვერ იცხოვრებდა და ვერც თავის საკუთარ სამინისტროს იქონიებდა სოციალისტური ჯგუფი, რადგან 160 ხმა არ არის ამისთვის საკმარისი. ამ შემთხვევაში ან საფრანგეთი უნდა დაეტოვებინათ უმინისტროთ, ან სხვა პარტიასთან კოალიცია შეეკრათ და მაშასადამე, მართველობა გაეზიარებინათ და ან კიდევ თავისი სამინისტრო შეედგინათ. მაგრამ ისეთის პროგრამით, რომელსაც უმრავლესობა, დაახლოვებით

280 წევრი, პარლამენტისა მიიღებდა და არა მარტო 160 დეპუტატი. თუ ის ისურვებდა თავის სამინისტროს ყოლას, ამის ასრულება მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებლად როცა იგი (სოც. ჯგუფი) უარს იტყოდა სოციალისტურ პროგრამის ნიადაგზე მოქმედებისას. ერთის სიტყვით, ასე გასინჯავთ თუ ისე ამ საკითხს, იძულებული ხართ აღიაროთ რომ თუ-კი პარლამენტარიზმი გინდა, ლოღიკურად სამინისტროც უნდა გინდოდეს, რადგან პარლამენტარიზმის იარაღი სამინისტროა და მხოლოდ სამინისტრო.

ეხლაც ასე იქცევა პარტია. სარიენის სამინისტროში ბრიანი შევიდა, როგორც კერძო პირი და არა როგორც პარტიის წარმომადგენელი. პარტია ვითომ სამინისტროში არ იღებდეს მონაწილეობას. ბრიანი აღარ არის პარტიის წევრიო, გამოაცხადეს. ეს უბრალო ხრიკია და მეტი არაფერი: ბრიანი პარტიის წევრი არ არის, მაგრამ მას პარტიის ხმები, კენჭები კი აქვს. სამინისტროსათვის სულ ერთია, ბრიანი წევრია პარტიისა თუ არა, მას სოციალისტთა ჯგუფის ხმები, კენჭები სჭიროდა და ბრიანისთვინ პორტფელის მიცემით მან ეს ხმები, კენჭები მოიპოვა. ამნაირი ქცევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა ამტკიცებს, რომ მისი ტაქტიკა რაღაც მოწინააღმდეგე, უკულმართ პრინციპებზეა დამყარებული. ის ოფიციალურად არ იღებს მონაწილეობას სამინისტროში, ოფიციოზურად კი იღებს. ოფიციალურად არ უნდა იყოს მინისტერიალისტი, ოფიციოზურად კი მინისტერიალისტია. ეს ვულგარული, ბავშური პოლიტიკაა, რომელიც ვერავის ვერ ატყუებს, რომლის სისუსტე კარგად დაინახეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა და კიდეც სარგებლობენ ამ პოლიტიკურ ორჭოფობით. ეს ორჭოფობა ძალიან უყვართ ჩვენ სოციალ-დემოკრატებს, ამ ორჭოფობის დარღვევისთვისაა სწორედ, რომ აიძულეს მილიერანი სოციალისტურ პარტიიდან გასულიყო. რა აიძულებთ სოციალ-დემოკრატთ ორჭოფონ? პრო-

ლეტარიატის მუდმივი და ინსტიქტიური ოპოზიცია ყოველ-
გვარ მთავრობისადმი. პროლეტარიატი არ ადგება და ვერც
დაადგება მინისტერიალიზმის გზას, ამისათვის პარტია პირდაპირ
მინისტერიალისტი თუ გახდა, იგი დაჰკარგავს შინაარს და
ძალას, ამისათვის მინისტერიალისტათ არა ხდება, მაგრამ მისი
ტაქტიკური პრინციპის შინაარი ისეთია, რომელიც მძლავრის
ხელით მიაქანებს მინისტერიალიზმისაკენ. ასეთ ორ ცეცხლ-
შუა იწვის სოციალ-დემოკრატია და რომ, ცოტა არ იყოს,
საქმე გაიადვილოს მალულობიას თამაშობს: ჩუმათ, „კონტრა-
ბანდით“ გაჰყავს მინისტერიალური ტაქტიკა.

თუ მილიერანის შეცდომა—პორტფელის მიღება—შეც-
დომაა, იგი აღიარებული უნდა იქნეს მთელ საერთაშორი-
სო სოციალ-დემოკრატიის შეცდომად. ბელგიაში ანზელმა,
პარტიის ერთმა ბუმბერაზთაგანმა, მილიერანზე უფრო ადრე
განაცხადა სურვილი სამინისტროში მონაწილეობის მიღებისა
და არა რესპუბლიკანურ, არამედ მონარქიულ ქვეყანაში.
რად არ აყაყანდენ მაშინ? იმისთვის, რომ ცდა კიდევ არ იყო
განხორციელებული და არ იცოდენ, რა შედეგი მოჰყვებო-
და სოციალისტის მინისტრობას. როცა მილიერანი მინისტრად
გახდა, პარტიას ნიღაბი მოეხსნა, მისი ნამდვილი სახე დანა-
ხულ იქნა და იმის გაკოტრების დღეც დადგა. ამისთვის
არის რომ ასტეხეს ალიაქოთი. თავში მილერანსაც არ ეპყრო-
ბოდენ ისე უარყოფითად, სულგანაბული იცდიდენ - ვნახოთ,
მოინელებს თუ არა მუშების კუჭი სოციალისტის მინის-
ტრობასაო.

1900 წ. სანამ კონგრესი გაიხსნებოდა, რომელსაც უნ-
და გაერჩია ის საკითხი, შეუძლია თუ არა სოციალისტს შე-
ვიდეს სამინისტროშიო, სოციალისტურმა გაზეთმა **la Petite
République**-მ მიმართა ცნობილ სოციალისტებს ამავე კითხვით.
როცა პასუხებს ვათვალიერებთ, ვრწმუნდებით, რომ უმეტესი
ნაწილი ცნობილ სოციალისტია, ვერ სწყვეტს ამ საკითხს
უარყოფითად.

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი და მისი მოთავე ვან-კოლი ამბობს: „ჩვენი პროგრამა მინიმუმის მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება არ შეიძლება ისე, თუ სოციალისტებს არ ექნებათ ხელში ერთი ნაწილი მაინც სამმართველო ძალისა (pouvoir gouvernemental).... ერთად კი ვერ ჩავიგდებთ ხელში მართველობას, მართველობას ხელში ჩავიგდებთ ნელ-ნელა, მაგრამ მუდმივად დაჭერით ბურჟუაზიულ ელემენტების ადგილებისა მუშათა ელემენტებით. ამ ნაირად გავხდებით ჩვენ მმართველ კლასად და ჩვენი იდეია იმეფებს სახელმწიფოში“. ქ-ლ ბეტრანი (ბელგიელი ამბობს): „სამინისტროში შესვლაზე უარის თქმა იმ მოსაზრებით, რომ მთელი სამინისტრო არ არის სოციალისტური, ისეთივე სისულელეა, როგორც უარის თქმა პარლამენტში ან სამოქალაქო საბჭოში შესვლაზე იმ მოსაზრებით, რომ უმრავლესობას არ შევადგენთო“. ასე უხეჩურად მილიერანსაც არასოდეს არ ულაპარაკნია თავის მინისტრობის სურვილზე. ბებელი იმავე ანკეტაში აცხადებდა, რომ მას შეუძლია დასთანხმდეს სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლას, თუ ამ გვარ ქცევას რაიმე სპეციალური მიზანი აქვს და ისიც პარტიის ნება-რთვითაო. კაუცკი აცხადებს: „არ შემიძლია დავიჟინო, რომ კლასთა ბრძოლა უკრძალავს სოციალისტს ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლას, როგორიც უნდა იყოს პირობებიო“. ვანდერველდი აღიარებს: „თუ კი იმას აღვიარებთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ინტერესები თხოულობს კომპრომისების მიმართვას ვიქონიოთ კოალიცია და კავშირები (alliances), შეუძლებელი ხდება დავიჟინოთ a priori რომ არასოდეს, რაც უნდა იყოს, სოციალისტს არ შეუძლია მიიღოს ნაწილი სამინისტრო ძალისა“. გ. პლეხანოვი აგრეთვე არ იყო წინააღმდეგი სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლისა, თუ ამგვარ ყოფას შედეგად ექნებოდა თანამედროვე

საზოგადოების დაშლის აჩქარება (dissociation de la societè actuelle.

აი აზრი ინგლისელ სოციალ-დემოკრატიის ბელადის ჰაიდმანისა: „არავინ, გარდა ანარქისტებისა, უარს არ ამბობს შევიდეთ სადაც შეიძლება მუნიციპალურ საბჭოებში. რაკი ერთხელ იქ იქნებიან, სოციალისტებს არ შეუძლიანთ არ მიიღონ მონაწილეობა საადმინისტრაციო საქმეში; და ეს თავის მტერთან ერთად, ბურჟუაზიასთან. სოციალისტი მერები, რამდენადაც ვიცი, არიან საფრანგეთში, ისეთებიც არიან, რომელნიც ფრანგ. მუშათა პარტიას (გედისტები) ეკუთვნიან. ინგლისში ჩვენ გვყავს სოციალისტი aldermen-ები (მერი) და მუნიციპალიტეტის წევრები. მათი მოვალეობაა, ეს ცხადია, იხმარონ ის ძალა, რომელიც მათ აქვთ ხელში, რამდენადაც შესაძლებელია, მუშათა ეხლანდელ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოამზადონ ხვალინდელი სრული გარდაქმნის საქმე (Reconstruction de demain). ამასთანავე არ უნდა დაივიწყონ, რომ, როგორც დაჩაგრულების წარმომადგენლებმა, მათ ყოველი ღონე უნდა იხმარონ მოიპოვონ ყველა ის, რაც საჭიროა შემდეგშიაც კლასთა ბრძოლისათვის.მე არ მგონია, რომელიმე ინგლისელი სოციალისტი წინააღმდეგი იყოს იმისა, რომ ჩვენ ავირჩიოთ სოციალ-დემოკრიტი ლონდონის ლორდ-მერად, თუ შევიძლებთ“. აგრეთვე შვეიცარიის სოციალ-დამოკრატები, თითქმის ყველანი, რობერტბლატჩფორდი, ტომმანი და სხვები ფიქრობდნენ, რომ სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლა შესაძლებელიაო. მათი აზრი არ მოგვყავს იმისათვის, რომ ზემო მოყვანილ აზრების უბრალო გამეორება იქნება. უფრო საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მეორე ჰოლანდიელ ბელადის ტრესტრას აზრი, იგი ერთობ დიდ-მნიშვნელოვანია: „ისტორიულ მატერიალიზმის მიხედვით იდეოლოგიური სფერა არის გამოშუქება ეკონომიურ დასაბამისა. ჩვენ

არ შეგვიძლიან ხელიდან წაუვიდეთ ჩვენივე თეორიის შედეგებს. ინდივიდუალურ წარმოების დანგრევამ და სოციალისტურ წარმოების პროგრესმა უნდა ნახონ თავიანთი გამოხატულება საკანონმდებლო ორგანოებში (serefleter dans les organes eègislatits). ე. ი. უნდა თვალსაჩინო იქნეს თანდათანი დაცემა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძალისა და თანდათანი დაჭერა პროლეტარიატის მოზარდ ძალის მიერ მისი ადგილისა კლასთა ბრძოლაში, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, რაოდენიმე კერძო გამარჯვება საჭიროა საერთო გამარჯვებისათვის; ცხადია, რომ სოციალისტური პარტია, რაც უფრო იზრდება მისი ავტორიტეტი, მით უფრო მეტის ძალით დაყენებულ იქნება შემდეგი ალტერნატივის წინ: ან მიაგდოს დღეს თავის ნებაზე ბურჟუაზია, რომ მან განაგოს, როგორც სურს, ან და თითონ დაიჭიროს ის ადგილი, რომელიც მისი ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობისამებრ მას ეკუთვნის“.*)

ასეთი იყო და არის კიდევ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა აზრი სამინისტროს ნაწილ ნაწილად ხელში ჩაგდებისა. ჩვენ კიდევ სოციალ-დემოკრატიის უკეთეს წარმომადგენელთა აზრები მოვიყვანეთ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა იყოს აზრები ისეთის სოციალ-დემოკრატებისა, რომელთაც დიპლომატია არ იციან კარგად და ვერ არჩევენ რის თქმა შეიძლება და რის დამალვაა საჭირო. ყველა ზემოდ მოყვანილ აზრებიდან ცხადად გამოდის ის დასკვნა, რომ სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი არასოდეს არ ყოფილან პრინციპიალურად წინააღმდეგნი სამინისტროს ხელში ნელ-ნელად ჩაგდებისა. ბევრი მათგანი, პირიქით, როგორც სჩანს ზემო მოყვანილ ci-

---

*) ყველა ამ ციტატების შესახებ იხ. Petite Rêpublique 1900 წ. ხსენებული წიგნი ე. მილოსი და Leon Parsons. Le cas Millerand, Paris 1900.

ტატებიდან, მაგალითად, ვან-კოლი, სიამოვნებით ფიქრობდა მინისტრობაზე. ზოგი (მაგ., ტრესტრა) ისტორიულ მატერიალიზმში ეძებს საბუთებს თავის მინისტერიალიზმის გასამართლებლათ და, ვგონებთ, ცუდათაც არ იქცევა. ასე, ინგლისსა, ბელგიასა, ჰოლანდიაში და სხვაგანაც იყვნენ და დღემდის არიან „მილიერანისტები". ეს „მილიერანისტები" მილიერანისაგან იმით განირჩევიან, რომ ისინი პატივცემულნი არიან, ხელმძვანელათ არიან აღიარებულნი სწორედ იმ თეორიისათვის, რომლისთვისაც მილიერანი ამ ცდას შეეწირა, ზვარაკად. ეხლა პარტიამ იცის, როგორ უნდა მინისტერიალიზმის საქმეს დაყენება—იგი უნდა იყოს არა ოფიციალური, არამედ ოფიციოზური. მილიერანი პარტიიდან გავიდა, „მილიერანიზმი" არ დამარცხებულა, ის კი არა მთელი პარტია შეიქნა მილიერანისტი, თუმცა ამ ბოლო დროს რევოლიუციონერიზმის სამოსით შეიმოსა. მაგრამ ამაზე მერე. ჯერ გავარჩიოთ დრეზდენის და ამსტერდამის კონგრესების რეზოლიუციები ამ საკითხის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სოციალისტს მონაწილეობა მიიღოს ბურჟუაზიულ სამინისტროში, პირველად გარჩეულ იქნა პარიზის კონგრესზე 1900 წ. შემდეგ ამ საკითხს დრეზდენის და ამსტერდამის კრებებზე შეეხნენ. ამ კონგრესზე მიღებული რეზოლიუციები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რაც, ცოტა არ იყოს, საძნელოდ ხდის ამ საკითხის ნათლად დაყენებას. ამსტერდამის კონგრესზე საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის (მართლ მორწმუნენი) წინადადებით მიღებულ იქნა ის რეზოლიუცია, რომელიც დრეზდენის კონგრესმა მიიღო ამავე საკითხის შესახებ. აი ეს რეზოლიუცია:

„სოციალდემოკრატიას არ შეუძლია მიიღოს რაიმე მონაწილეობა ბურჟუაზიულ მართველობაში (gouvernement) თა-

ნახმად კაუცკის რეზოლიუციისა, რომელიც მიღებულ იქნა ინტერნაციონალურ კონგრესსზე პარიზში 1900 წ.“

რეზოლიუცია ცხადად, აშკარად უარჰყოფს ბურჟუაზიულ სამინისტროში მონაწილეობას, ამასთან საბუთად ის მოჰყავს, რომ პარიზის კონგრესმა უარ-ყოფითად გადასწვიტა ეს საკითხი. აქედან ის დასკვნა გამოდის ნათლად რომ პარიზის კონგრესი კაუცკის რეზოლიუციით, უარ ჰყოფს სამინისტროში მონაწილეობას. ასე იფიქრებს, ცხადია, ყოველი კაცი, როცა ზემო მოყვანილ რეზოლიუციას წაიკითხავს მაგრამ შესცდება. პოლიტიკამ და პოლიტიკურმა საჭიროებამ სოციალდემოკრატია იქნამდის მიიყვანა, რომ მისი სიტყვა აღარ დაიჯერება. აი ის რეზოლიუცია პარიზის 1900 წ. საერთაშორისო კონგრესისა, რომელზედაც ემყარება ზემო მოყვანილი რეზოლიუცია: „თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკურ მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება არ შეიძლება მოხდეს ერთის ხელის წაკვრით, იგი იქნება შედეგი პროლეტარიატის გძელ და ძნელ ორგანიზაციულ შრომისა ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე; შედეგი იქნება მუშათა კლასის ფიზიკურ და მორალურ განახლებისა მუნიციპალიტეტების და საკანონმდებლო კრებების თანდათან ხელში ჩაგდებისა. (gontuete graduelle). მაგრამ იქ, სადაც მმართველობითი ძალა ცენტრალისტურია, მისი ხელში ჩაგდება არ შეიძლება ნაწილ-ნაწილად. შესვლა ერთის სოციალისტისა ბურჟუაზიულ მართველობაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ნორმალური დასაწყისი პოლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდებისა, იგი მიჩნეულ უნდა იქნას გამორიცხვით და გადამვლელ დროებით ზომად.

თუ კერძო შემთხვევა აუცილებელ ჰყოფს ამ საშიშ ცდას, (სამინისტროში შესვლას კ. ო.)—ეს უნდა განხილულ იქნას, როგორც ტაქტიკური და არა პრინციპიალური საკითხი. კონგრესს საჭიროდ არ მიაჩნია ამაზე თავის აზრის

გამოცხადება, მაგრამ სოციალისტის მიერ ბურჟუაზიულ მართველობაში მონაწილეობის მიღებას კარგი შედეგი შეიძლება მხოლოდ მაშინ მოჰყვეს, თუ სოციალისტურ პარტიის უმრავლესობა თანახმაა ამ გვარ ქცევისა და სოციალისტი-მინისტრი რჩება პაარტიის მანდატერად (მანდატის მქონედ). წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ სოციალისტი-მინისტრი პარტიისაგან დამოუკიდებელია, ან თუ იგი გამომხატველია, პარტიის მხოლოდ ნაწილის სურვილისა, იმის შესვლას ბურჟუაზიულ მართველობაში შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს დეზორგანიზაცია და მებრძოლ პროლეტარიატის არევ-დარევა. ამ ნაირ ქცევას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს პროლეტარიატის შესუსტება და არა გაძლიერება, შესაძლებელია მან შეაგვიანოს პროლეტარიატისაგან სამმართველო ძალის ხელში ჩაგდება აჩქარების მაგივრად.

„ყოველ შემთხვევაში კონგრესი იმ აზრისაა, რომ სოციალისტი უნდა გამოვიდეს სამინისტროდან ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევებში, იმ შემთხვევებში, როცა პარტია აღიარებს, რომ მთავრობა იჩენს მიკერძოებას კაპიტალს და შრომას შორის ატეხილ ბრძოლაში.“ *).

კაუცკის რეზოლიუცია თავდებოდა სიტყვებით „აჩქარების მაგივრად“. შემდეგი სტრიქონები წარმოადგენს დამატებას, რომელიც მიღებულ იქნა გ. პლეხანოვის და ჟორესის წინადადებით.

ჩვენ გვგონია, რომ ამ რეზოლიუციასა და დრეზდენის და ამსტერდამის კონგრესებზე მიღებულ რეზოლიუციათა შორის არსებული წინააღმდეგობა ცხადია ყველასათვის. მართლა დრეზდენის რეზოლიუცია, რომელსაც ამსტერდამის კონგრესიც დასთანხმდა, აცხადებს: „სოციალდემოკრატიას

---

*) Congres de Paris Compte rendu analytique officiel p. 117.

არ შეუძლია მიიღოს რაიმე მონაწილეობა ბურჟუაზიულ მართველობაში“-ო და ამ გადაწყვეტილებას ამყარებს პარიზის კონგრესის მიერ მიღებულ კაუცკის რეზოლიუციაზე, კაუცკის რეზოლიუცია კი, არ უარ-ჰყოფს შეძლებას სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლისას. იგი აცხადებს.

1. სამართველო ძალა პროლეტარიატის მიერ თანდათანობითის სლვით უნდა იქნას მოპოებული;

2. სოციალისტის შესვლას ბურჟუაზიულ სამინისტროში უნდა უცქეროდეთ, როგორც დროებით, გარდამავალ ზომის;

3. კერძო შემთხვევაში კაუცკის რეზოლიუცია თანხმობაა სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლაზე და აცხადებს ამ საკითხს ტაქტიკურ და არა პრინციპიალურ საკითხად;

4. რეზოლიუცია აღნიშნავს იმ პირობებს, რომელშიც უნდა მოხდეს სოციალისტის ბურჟუაზიულ სამინისტროში შესვლა და გამოსვლა. ეს პირობებია: ა) სამინისტროში შესვლისთვის—უსათუო დამოკიდულება სოციალისტ-მინისტრისა პარტიისაგან, ბ) სამინისტროდან გამოსვლისთვის—გამოჩენა მთავრობისაგან მიკერძოებისა კაპიტალს და შრომის შორის ატეხილ ბრძოლაში.

ასე რომ ეს რეზოლიუცია ყოვლად შეუძლებელია მოყვანილ იქნას სამინისტროში შესვლის უარსაყოფად. პირ-იქით, იგი ცხადად აღიარებს სოციალისტისთვის ამ გვარ მოქმედების შესაძლებლობას, მაშასადამე, ან ეს ორი რეზოლიუცია ერთმანეთს აქარწყლებს, ან და ორივე რეზოლიუცია გამომხატველია ორის მოწინააღმდეგე მიდრეკილებისა, რომელსაც პარტიაში ოფიციალურად არსების ნება აქვს.

ამსტერდამის კონგრესის ტაქტიკის კომისიას ორის რეზოლიუციით წინადადება მიეცა, კონგრესის წინაშე ეშვამდგომლა, ეთხოვა 1900 წ. კაუცკის რეზოლიუციის გაუქმება.

მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა კომისიის მიერ. ამ უარყოფილ რეზოლიუციებს ჩვენ მაინც მოვიყვანთ აქ. მკითხველი დაინახავს, რომ რეზოლიუციები მკაცრად და პრინციპიალურად უარყოფს სოციალისტის სამინისტროში შესვლას და სწორედ ამისთვის უარყვეს კიდეც პირველი რეზოლიუცია: კონგრესი „იღებს რა მხედველობაში, რომ ბრძოლა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის არის ბრძოლა განუწყვეტელი და აუცილებელი, ბრძოლა, რომელიც დღითი დღე კი არ სუსტდება, არამედ უფრო მწვავდება.

„იღებს რა მხედველობაში, რომ არსებული მართველობანი არიან მართველ კლასის ნების აღმასრულებელნი, რომელთა მიზანია დაიცონ კაპიტალისტურ ექსპლუატაციის უღელი, რომელიც მუშათა კლასს აწევს კისერზე;

„იღებს რა მხერველობაში, რომ უკანასკნელ საერთაშორისო კონგრესზე პარიზში 1900 წელს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, კაუცკის რეზოლიუციის სახელით ცნობილი, რომლის უკანასკვნელი პარაგრაფი არკვევს შეძლებულებას მუშათა კლასისათვის, რომ მან მიიღოს კაპიტალისტურ მთავრობის ხელიდან ერთი ნაწილი (ერთი ადგილი) ამ მთავრობაში; და აგრეთვე პარაგრაფები, რომელნიც შესაძლოდ სცნობენ (supposent possible) მთავრობის მიუკერძველობას კაპიტალს და შრომას შორის ატეხილ ბრძოლაში;

„იღებს რა მხედველობაში, რომ ხსენებული პარაგრაფები—რომელთა განხორციელება, შეიძლება, შესაძლებელ იყოს ისეთ ქვეყნებში, რომელნიც ჯერ სრულიად არ გამოსულან ფეოდალურ წესწყობილებიდან—მიღებულ იქნა ისეთ პირობებში (როგორც საფრანგეთში, ისე კონგრესზე), რომ ხელს უწყობს შემცდარ აზრების გავრცელებას კლასთა ბრძოლაზე, კაპიტალისტურ მმართველობის ხასიათზე, ტაქტიკაზე, რომელიც—მაგ. შეერთებულ შტატებში, სადაც ფეოდალიზმი სრულიად აღმოფხვრილია—უნდა მიიღოს აუცილებ-

ლათ პროლეტარიატმა თავის კაპიტალისტურ წესწყობილების დასანგრევად ატეხილ ბრძოლაში,

„ადგენს“:

„1. რომ ხსენებული რეზოლიუცია კაუცკისა გაუქმებულია, როგორც საზოგადო პრინციპი სოციალისტურ ტაქტიკისა;

„2. რომ სრულიად გაკაპიტალისტებულ ქვეყნებში, როგორც ამერიკაა, პროლეტარიატს, თავის ინტერესების უღალატოთ, არ შეუძლია დაიჭიროს რაიმე ადგილი პოლიტიკურ მანქანაში, თუ ეს ადგილი მას არ შეუძენია თავის საკუთარ ძალით და თავის საკუთარ ინტერესთა სასამსახუროდ“.

ეს რეზოლიუცია ყოვლად სრული იქნებოდა, რომ ორ ადგილას ისეთი აზრი არ იყოს გატარებული, ვითომ სოციალისტს შეუძლია გზა აუაროს აქ ნაჩვენებ ტაქტიკურ პრინციპს ისეთ ქვეყანაში, სადაც ფეოდალიზმი ჯერ კიდევ არ არის ამოფხვრილი. ჩვენის აზრით თუ სოციალისტს არ შეუძლიან პასუხის გება აიღოს თავის თავზე იმ მოქმედებისათვის, რომელიც მას ელის იმ შემთხვევაში, თუ იგი წევრი გახდება სრულიად გაკაპიტალისტებულ ქვეყნის სამინისტროსი, მას კიდევ უფრო ნაკლებად შეუძლია ასეთი პასუხის გება იკისროს ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად არ განთავისუფლებულა ფეოდალიზმისაგან.

ეს პირველი რეზოლიუცია ხელმოწერილია შეერთებულ შტატების, ავსტრალიის და კანადის socialist Labour Party-ს მიერ. კონგრესსს რომ მინისტერიალიზმის სრული, მკაფიო უარყოფა ნდომებოდა, ამ რეზოლიუციას მიიღებდა და არ ამოეფარებოდა კაუცკის რეზოლიუციას, რომელიც მხოლოდ ფარგლავს და არ უარყოფს მინისტერიალიზმს.

მეორე რეზოლიუცია ხელმოწერილია რუს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მიერ. იგი კიდევ უფრო ცხადად ატარებდა ანტიმინისტერიალურ პრინციპს ტაქტიკისას... აი ეს რეზოლიუცია:

„იღებს რა მხედველობაში, რომ ტაქტიკა სოციალისტურ პარტიისა ესწრაფვის კაპიტალისტურ წესწყობილების საძირკვლის დანგრევას: რომ ყველა ბურჟუაზიულ პარტიების, თვით მოწინავეებისაც კი, ტაქტიკას მიზნათ აქვს დაჩრდილოს ზრდა ანტაგონიზმისა, მყვლეფელთა და გაყვლეფილთა შორის, კონგრესი ადგენს:

„1. არავითარი ხანგრძლივი კავშირი საერთო პოლიტიკის განსახორციელებლად შესაძლებელი არ არის;

„2. ვინაიდან სოციალისტის მონაწილეობას ბურჟუაზიულ მართველობაში შედეგათ აქვს პარტიაზე ბურჟუაზიულ პოლიტიკის პასუხის გების გადმოტანა—ასეთი მონაწილეობა შეუძლებელია“.

ეს რეზოლიუციაც უარყოფილ იქნა. ამ რიგად აღნიშნული დოკუმენტები ცხად ყოფენ, რომ ამსტერდამის კონგრესზე შეტანილ იქნა წინადადება კაუცკის რეზოლიუციის გაუქმების შესახებ და მკაფიო ცხადი ანტიმინისტერიალური რეზოლიუციები, მაგრამ კონგრესმა უარყო პირველიც და მეორეც. მაშასადამე, ამსტერდამის კონგრესმა (1904 წ.) შეგნებულ მიზნისათვის დაიცო 1900 წ. კაუცკის რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციით მინისტერიალიზმი არ ისპობა, მხოლოდ იზღუდება, ირკვევა ის პირობები, რა პირობებშიაც შესაძლოა შესვლა სოციალისტისა სამინისტროში. რეზოლიუცია ცხად ყოფს იმ აზრს, რომ პარტია არ უნდა ეძებდეს მინისტრობას, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს და თუ აღნიშნული პირობები დაცული იქნება, პარტიას შეუძლია მიიღოს ერთი ნაწილი ბურჟუაზიულ მართვა-გამგეობისა. ამნაირად, ის, ვინც პარიზის კონგრესის (1900 წ.) რეზოლიუციას არ იცნობს და მხოლოდ დრეზდენის და ამსტერდამის რეზოლიუციას წაიკითხავს, იფიქრებს, რომ ეს რეზოლიუციები უარყოფენ სოციალისტის შესვლას ბურჟუაზიულ სამინისტროში. მაგრამ თუ კი პარიზის რეზოლიუციას გაიცნობს,

მისთვის ცხადი გახდება, რომ დრეზდენისა და ამსტერდამის რეზოლიუციაც მინისტერიალიზმის კონფირმაციაა.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომ მინისტერიალიზმის ბრინციპიალური უარყოფა არა სურდა, ეს, სხვათა შორის, იმიდანაც სჩანს, რომ პარიზის კონგრესმა (1900 წ.) არ ისურვა მიღება ჟ. გედის რეზოლიუციისა, რომელიც მინისტერიალიზმს მკაცრად უარყოფს. გედისტები პარიზის კონგრესზე კაუცკის რეზოლიუციის წინააღმდეგნი იყვნენ, მათ უნდოდათ თავიანთი სასტიკი რეზოლიუცია გაეყვანათ, რაც შეეხება ჟორესისტებს, ისინი კაუცკის რეზოლიუციის მომხრენი იყვნენ. ასე რომ, კაუცკის რეზოლიუციის მიღებას 1900 წ. ჩვენ უნდა შევხედოთ, როგორც ჟორესისტების გამარჯვებას.

ამ რეზოლიუციების შესადარებლად და ნათქვამის დასაბუთებლათ საჭიროა მოვიყვანოთ გედის რეზოლიუცია, უარყოფილი კონგრესის მიერ:

„მეხუთე საერთაშორისო კონგრესი, შეკრებილი პარიზში, იხსენებს, რომ სამმართველო ძალის ხელში ჩაგდების ქვეშ იგულისხმება: პოლიტიკური ექსპროპრიაცია კაპიტალისტების კლასთა, სულ ერთია როგორ მოხდება ეს ექსპროპრიაცია—მშვიდობიანათ თუ ძალდატანებით. მაშასადამე, წარმოდგენა ამ სამმართველო ძალის ხელში ჩაგდებაზე იგულისხმებს მხოლოდ ისეთ პოზიციების ხელში ჩაგდებას, რომელიც ამომრჩევლობაზეა დამყარებული და რომელთა ხელში ჩაგდება პარტიას შეუძლია თავის საკუთარის ძალით, ე. ი. პროლეტარიატის შეკავშირებულ ძალას კლასიურ ნიადაგზე. კრძალავს აუცილებლად ყოველ მონაწილეობას სოციალისტისას ბურჟუაზიულ მმართველობაში, რომლისადმი სოციალისტებმა უნდა დაიცონ შეურიგებელი ოპოზიცია.“ *)

---

*) იხ. ხსენებული ოქმები პარიზის კონგრესისა, p. p. 81—82

ეს რეზოლიუცია, რომელიც ასე სასტიკად უკრძალავს სოციალისტს სამინისტროში მონაწილეობის მიღებას და არავითარ საზოგადო კანონისაგან გამორიცხვას არ სცნობს, უარყოფილ იქნა კონგრესის მიერ, რომელმაც მიიღო კაუცკის რეზოლიუცია.

ამ ნაირად, ის, რაცა ვსთქვით, როცა პარტიის მილიერანიზმზე ლაპარაკი დავიწყეთ, მართლდება თვით პარტიულ ოფიციალურ დოკუმენტების გათვალისწინებით: პარტიამ იძულებულ ჰყო მილიერანი პარტიიდან გამოსულიყო, მილიერანიზმი კი დასტოვა პარტიაში და თავის რეზოლიუციებით მას პარტიაში ოფიციალურად ცხოვრების უფლებაც მიანიჭა.

პარტიის მოქმედება.

ჩვენ განვიხილეთ ევოლიუცია სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკურ შეხედულებათა, აშკარა ვყავით, რომ სოციალ-დემოკრატია დასაწყისში ქადაგებდა ნამდვილ კლასობრივ ბრძოლას, რომ მისი იდეოლოგია დასაწყისში იყო კლასობრივი, პროლეტარული იდეოლოგია. თანახმად ამისა, დასაწყისში სოციალდემოკრატიის მოქმედებაც სარევოლიუციო და კლასობრივი იყო. შემდეგ, როცა, აღნიშნულ მიზეზთა ზედგავლენით, შეცვლილი იქნენ პარტიის მოქმედების გამგე პრინციპები, თვით მოქმედებასაც გამოეცვალა ხასიათი. უწინ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა მუშათა ორგანიზაციას წმინდა სოციალისტურ ნიადაგზე, მუშათა ბოძოლას პატრონთა და სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოების ნიადაგზე ეკონომიურ სახსრების დახმარებით, მაგრამ ამგვარი მოქმედება სოციალდემოკრატიისა ძლიერ მოკლე ხნოვანი იყო, მალე მან ეს ნიადაგი დასტოვა და დემოკრატიულ-რეფორმისტულ მოქმედების ნიადაგზე შესდგა. ამ დღიდან თვით პროპაგანდასაც ეცვალა ხასიათი, სულ სხვა გვარ ნიადაგზე იწყეს მუშათა ორგანიზაციების აშენება, სულ სხვა „ლოზუნგების სროლას“ შეუდგნენ. ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მოქმედება გედისტებისა იწყება ოთხმოციან წლების დამლევიდან და და ჩვენც ამ დროდან განვიხილავთ მათ მოქმედებას. წინა დროს არ შევეხებით, რადგან მაშინ სოციალდემოკრატების მოქმედება ცოტათი განირჩევოდა ანარქისტების მოქმედებისაგან.

რა გააკეთა სოციალდემოკრატიამ ამ დღიდან მუშათა ორგანიზიციის მხრივ? როგორი იყო მისი მონაწილეობა

ყოველ-დღიურ ბრძოლაში? რა ხასიათი ჰქონდა და აქვს იმის პროპაგანდას?—აი კითხვები, რომელზედაც ვეცდებით მიუგოთ რაც შეიძლება მოკლედ. ეს იქნება იმავე დროს დასკვნა, რომელიც გამოდის ლოდიკურად ყველა ზემო ნათქვამიდან.

რაში მდგომარეობს პრაქტიკული მოქმედება პარტიისა? ამ კითხვაზე ერთად-ერთი პასუხი შეიძლება: იმის პარლამენტარულ მოქმედებაში პარლამენტარიზმი ერთად-ერთი სახსარია—რეფორმა ერთად-ერთი მისი მიზანი. თუ პარტია აკავშირებს მუშებს, თუ იგი აქა-იქ ჰქმნის მუშათა ორგანიზაციებს, თუ ასე თუ ისე ერევა ხოლმე მუშათა ყოველ დღიურ ბრძოლაში მეპატრონეთა წინააღმდეგ, ყველა ამას მხოლოდ ერთად-ერთი პრაქტიკული მიზანი აქვს: პარტიის პარლამენტარული გაძლიერება, მისი პარლამენტარულ მოქმედებისთვის ახალ მომხრეთა მოხვეჭა; ერთის სიტყვით, მთელ პარტიის მოქმედებას განაგებს პარლამენტარული მიზანი, რომელიც თვით ეკონომიურ ნიადაგზედაც-კი პარტიის მოქმედების გამგე პრინციპად გადაქცეულა. აიღეთ მთელი პარტიული ლიტერატურა, წიგნები, ბროშიურები, აიღეთ პარტიული ორგანოები, ყველას ერთი და იგივე ბეჭედი აზის, ყველა ერთისა და იმავე პარლამენტარულ მისწრაფებით არის გამსჭვალული. იწერება ბროშიურა, სტატიები—ყველას ერთი და იგივე მიზანი აქვს, გააღვიძოს მუშის გულში სიმპატია პარლამენტარულ მოქმედებისადმი, შეაგნებინოს მისი მნიშვნელობა, ერთი სიტყვით, გამოიყვანოს მისგან შეგნებული სოციალდემოკრატიული ამომრჩეველი. როცა ამ ლიტერატურას კითხულობთ, როცა სოციალ-დემოკრატთა საპროპაგანდო და საა-გიტაციო სიტყვები გესმით, რწმუნდებით—და ძნელიც არის, რომ არ დარწმუნდეთ, რადგან ყოველი მათი სიტყვა ნათლად ხატავს ამას—რომ, მათის აზრით, უპირველესი მოვალეობა მუშისა იმაში მდგომარეობს, რომ მან ოთხ წელიწადში ერთხელ კენჭი ჩაუგდოს სოციალდემოკრატიის კანდიდატს, თა-

ვის ინტერესების დამცველი ამოირჩიოს. ლიტერატურა და პარტიული ორგანოები ამ სოციალდემოკრატიის კანდიდატისათვის თეთრი კენჭის ჩაგდებას და პროლეტარიატის ინტერესების სამსახურს სინონიმებად ხდის, რადგან ამავე ლიტერატურით და პარტიულ ორგანოებით სოციალდემოკრატიის კანდიდატის და პროლეტარიატის ინტერესები სინონიმებად არის დასახული. გაღვიძება მუშის გულში სურვილისა, რომ მან თეთრი კენჭი მისცეს სოციალდემოკრატიის კანდიდატს არის ამავე ლიტერატურის და ორგანოების აზრით, მუშის გონებაში კლასიურ თვითშეგნებულობის გაღვიძება.

ასე, ამ გვარად პარლამენტარიზმი, პარლამენტარულ ნიადაგზე მოქმედება და გამარჯვება ის ბრწყინვალე ვარსკვლავია, რომელიც გზას უჩვენებს წყვდიადში და ხელმძღვანელობს სოციალ-დემოკრიტიის პრაქტიკულ მოქმედებას. ყველა ის, რასაკვირველია, რაც არ ეთანხმება პარტიულ მოქმედების პარლამენტარულ ინტერესს, სასტიკად დევნილია, პარტიისაგან. უკიდურეს სოციალისტურ პარტიასთან კავშირიც იმისთვის არის უარ-ყოფილი, რომ ის ბურჟუაზიას იარაღს მისცემს სოციალისტებთან საბრძოლველად. „ანარქისტებთან კავშირი, თუ ისინი დარჩებიან კონგრესზე, შემთხვევას მისცემს ბურჟუაზიას ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქროსო“, აცხადებს დეპუტატი რუანე ლონდონის კონგრესზე. ვეცადოთ ფრაზებით ნუ დავაფრთხობთ ხალხსო, გაიძახის მეორე. არჩევნები მოახლოებულია რა დროს გაფიცვაა, გაფიცვას ამისთანა დროს, პროვოკატორი თუ არა, სხვა ვერავინ ურჩევს ხალხსო*), გაიძახის მესამე, საზოგადოდ, გაფიცვა არ არის პატივცემული სოციალდემოკრატიისაგან. ან-კი რა არის მათგან პატივცემული გარდა პარლამენტარიზმისა? ისინი არა თუ უარ-ჰყოფენ, არამედ მტრულის თვალით უყურებენ ყოველ ცდას არსებულ წესწყობილებისას, „მატერიალურ კრიტიკით“

*) კოლექცია Voix du Peuple-ისა. II année რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.

უარყოფისა ყოველ ფაქტიურ ბრძოლას არსებულ ძალმომრეობის წინააღმდეგ, ყოველ ფაქტიურად დამოუკიდებლობის გამოჩენას. მას მყრმედ, რაკი ენგელსმა დასწერა ცნობილი წინასიტყვაობა მარქსის წიგნაკისა, ფრანგ მარქსისტებმაც მიასვეს ფეხი და შემთხვევას არ უშვებდნენ არ გამოეცხადებინათ, რომ აჯანყებათა დრო, დრო ბარიკადებისა გაჰქრა, როგორც შარშანდელი თოვლიო. და მართლაც, გადახედეთ მათ ლიტერატურას, მათ ნაწერებს ამ ხასიათის ცდების შესახებ—იქ თქვენ ყოველ კერძო ცდის, ყოველ აჯანყების შესახებ მხოლოდ დამამცირებელ და შემლახავ ფრაზებსა ნახავთ. სამაგიეროდ, ყოველ ფურცლებზე ნახავთ ქებას ბურჟუაზიულ ლეგალიზმისას, რომელიც, მათის აზრით, კმარა ბურჟუაზიის მოსაკლავად. პრაქტიკული საქმე? პრაქტიკული საქმე ის იქნება, თუ ვეცდებით ბურჟუაზიულ ლეგალიზმის ნიადაგზე შეკავშირებული პროლეტარიატი გავხადოთ მძლავრ, შთაბეჭდილების მომხდენ პოლიტიკურ ძალად რომელმაც უნდა შესძლოს და ღირსი გახდეს მიიღოს ის სამმართველო ძალა, რომელიც ნელ-ნელა უსხლტება ხელიდან მმართველ ბურჟუაზიას. საერთო გაფიცვა? საერთო გაფიცვა გამოცხადებულ იქნა ერთსა და იმავე დროს ბურჟუაზიულ გამოგონებად*) და ანარქიულ „დამნაშავე უტოპიად". ყველა პარტიულ კონგრესზე დელეგატები გასაკვირველის თანხმობით უარჰყოფდნენ საერო გაფიცვას. გვაკვირვებს ეს თანხმობა. თანხმობა გედისტთა შორის ხშირი მოვლენა არ არის, მაგრამ საერთო გაფიცვის უარის ყოფა კი

*) იხილე ლილის კონგრესის ოქმებში გედის სიტყვა საერთო გაფიცვის შესახებ. ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ საერთო გაფიცვა ბურჟუაზიამ გამოიგონა და იხმარა პირველადაო. რა უნდოდა ეთქვა გედს? ან უბრალო ჭორის გავრცელებას ლამობდა ან და ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, რა არის საერთო გაფიცვა—ლოკაუტი ჰგონია.

დიდის თანხმობით ხდებოდა ყოველთვის. სოციალდემოკრატია, „შეგნებული წარმომადგენელი“ პროლეტარიატის, აგერ 25 წელიწადია საშინელის სიმკაცრით ებრძვის საერთო გაფიცვის იდეიას, მიუხედავად იმისა, რომ შეგნებული პროლეტარიატი თავის ორგანიზაციების კონგრესებზე 1888 წ. ბორდოს კონგრესიდან მოკიდებული აგრეთვე დიდის თანხმობით უცხადებს სიმპატიას საერთო გაფიცვას, ადიარებს მას თავის უკეთეს და უძლიერეს სახსრად.

„საერთო გაფიცვა კაპიტალისტებმა გამოიგონესო“, ამბობდა გედი ხსენებულ ლილის კონგრესზე, და შემდეგ ასე განაგრძობდა: „საერო გაფიცვამ, როგორც ლოზუნგმა, უკვე დიდი ზიანი მოიტანა. საერთო გაფიცვა! და მუშებს სხვა ორგანიზაციები (გარდა მუშათა ორგანიზაციებისა), აქ აღარ უნდათ. საერთო გაფიცვა! და აღარ უნდათ კენჭს მიმართონ საერთო გაფიცვა! და პოლიტიკანები შეიძულეს, როგორც მათ ხარჯზე მცხოვრებნი. საერთო გაფიცვას და სოციალიზმს შორის შეურიგებელი ანტანგონიზმი სუფევს“. უნდა მოგახსენოთ, გედი თავიდანვე საშინელის სიმკაცრით სდევნიდა საერთო გაფიცვის იდეიას განსაკუთრებით მკაცრი პოლემიკა ჰქონდა ფერნანდ პელუტიესთან ერთი იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი ანარქისტი იყო, მეორე იმისთვის, რომ პელუტიე იყო ერთი ინიციატორთაგანი იმ მოძრაობისა, რომელსაც სარევოლიუციო სინდიკალიზმი ეწოდება და რომელიც ამ ბოლო დროს ისე ძლიერი შეიქნა ლათინთა შორის და განსაკუთრებით საფრანგეთში. პოლემიკაში, მუშათა აზრით, გამარჯვება პელუტიეს დარჩა, რადგან უმეტესი ნაწილი ფრანგ შეკავშირებულ მუშათა იმ გზას დაადგა, რომელზედაც პელუტიე უჩვენებდა. როცა ამ რამდენისაგე წლის წინად პელუტიე გარდაიცვალა, გედმა ისარგებლა თავის მოწინააღმდეგის იძულებულ სიჩუმით და კიდევ დაუბრუნდა ძველ პოლემიკას და მეათასეჯერ გაიმეორა თავისი ჭორები

საერთო გაფიცვის შესახებ. საფრანგეთის მუშათა კავშირის ოფიციალური ორგანო Voix du peuple ჩაერია პოლემიკაში ჯერ ერთი პელუტიეს ხსოვნის დასაცველად, მეორე იმისთვის, რომ მეათასეჯერ გაემეორებინა „წითელ იეზუიტისათვის“ (ეგრე იყო გედი წოდებული სტატიაში), რომ საერთო გაფიცვის იდეის დანგრევა ჭორებით არ შეიძლება, რომ მუშებს აღარ სურთ აქეთ-იქით ეძებონ მხსენელები, რომ მათ სურთ თვითვე განაგონ თავიანთი სვე-ბედი, თვითვე „გასჭედონ თავიანთ ბედნიერების საქმე“, ამ შემთხვევაზე უჩვენებთ ჩვენ, როგორც ერთ იმ ათას მაგალითთაგან, რომელნიც ნათლად ამტკიცებენ, რომ გედი შემთხვევას არ უშვებდა, რომ იდეა საერთო გაფიცვისა დაემცირებინა მუშების თვალში და ამ გვარად შეეფერხებინა მისი პროპაგანდა. რისთვის იქცეოდა გედი ასე? ამ კითხვის პასუხი გედის ზემო მოყვანილ სიტყვებშია.

მეორე ვარსკვლავი საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიისა ბ. ლაფარგი, რომელსაც თავი ყოვლის უმალ იმით მოსწონს, რომ იგი თვით მარქსის სიძეა და რომელიც ამის გამო, ცოტა არ იყოს, მეტ ნებას აძლევს თავის თავს, აცხადებს: „საერთო გაფიცვის იდეა საკუთარ პარტიის დაარსების მოსურნე დემაგოგებმა გამოიგონესო“. რა პასუხი უნდა მიუგო ასე მოსაუბრე ადიმიანს?! ნუ თუ ლაფარგმა ამაზედ უკეთ არ იცის მუშათა მოძრაობის ისტორია? ნუ თუ არაფერი არ გაუგონია ინგლისში მომხდარ (ორმოციან წლებში) საერთო გაფიცვების შესახებ? ნუ თუ არაფერი არ სმენია იმ უზარმაზარ წმინდა მუშურ მოძრაობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1885—6 წწ. ამერიკის შეერთებულ შტატებში? ნუ თუ არაფერი არ იცის 1873 წ, ესპანიაში ბაკუნისტების და რესპუბლიკანელებ—ფედერალისტების მიერ საერთო გაფიცვით გამოწვეულ რევოლიუციაზე? ნუ თუ დაავიწყდა კართაგენში გამოცხადებული სოციალური რევოლიუცია იმა-

ვე წელს, სადაც ყოველ ოფიციალურ დაწესებულების შენობებზე წითელი დროშა იყო გამოკრული ზედწარწერით: სოციალურ რევოლიუციას გაუმარჯოსო*) ნუ თუ დაავიწყდა ეს უკანასკნელი ფაქტიცა? თითონ ხომ ამ დროს ესპანიაში იყო. მართალია, ლაფარგი იქ სარევოლიუციოდ არა ყოფილა. არა, იქ ის ჭორებს ჰკრეფავდა, რომ მასალა მიეცა ენგელისათვის იმ ბროშურის დასაწერად, რომელიც, ეჭვი არ არის, როცა ხალხი გაიგებს თუ რა სიყალბეზე, რა ჭორებზეა აშენებული იგი, შესაფერად დააჯილდვებს მის ავტორს**) დიახ, ამისათვის იყო იქ ლაფარგი, მაგრამ ფაქტი მაინც არ უნდა დავიწყებოდა.

როგორც გედის, ისე ლაფარგის სიტყვებიდან ის დასკვნა გამოდის, რომ მათ საერთო გაფიცვა არ უნდათ იმისათვის, რომ იგი მათ პარტიულ ინტერესებს არღვევს. როგორც პირველს, ისე მეორეს ჰგონია—და ამაში ისინი სრულიად მართალნი არიან,—რომ საერთო გაფიცვის ტაქტიკა ვერ ეგუება პარლამენტარიზმს. საერთო გაფიცვა და მუშები „კენჭობიას“ აღარ ეტანებიან; საერთო გაფიცვა და პოლიტიკანები მოიძულესო, გულმოკლული ამბობს გედი. და, მართლაც, ვინც დაუკვირდება დღევანდელ მოძრაობას საფრანგეთში, შენიშნავს, რომ მუშათა ფსიხოლოგია სრულიად გამოიცვალა, ის აღარავისგან აღარ ელის ხსნას, მას მთელი თავისი იმედი საერთო გაფიცვის განხორციელებაში ჩაუდვია. იმაში ხედავს განხორციელებას ინტერნაციონალის დიდ პრინციპისას: მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა კლასის მიერ, რომელიც იდგომილება ყოველ ავტორიტეტს, როგორც ზეციერს, ისე ქვეყნიერ პოლიტიკანურს გარე-

---

*) იხილე ამის შესახებ Histoire des bourses du travail. წინასიტყვაობა Dave-ისა.

**) ეს ბროშურაა Bakunisten an der Arbeit, არის რუსული თარგმანიც Бакунисты за работой.

შე. მხოლოდ ამ საერთო გაფიცვის იდეის სრულ გამარჯვების შემდეგ იწყება ნამდვილი მუშათა მოძრაობა, რადგან მხოლოდ ამას მერმეთ ჩაუდგნენ მუშები სათავეში მუშურ მოძრაობას.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმის გამოსაკვლევად, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მუშათა მოძრაობაში საერთო გაფიცვის საკითხს, არ შეუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რა საგიტაციო, საპროპაგანდო და საორგანიზაციო როლს თამაშობს საერთო გაფიცვა თანამედროვე მუშათა მოძრაობაში. ქვევით ამას მთელ თავს ვუძღვნით. აქ საკმაოა აღვნიშნოთ, რომ მუშათა მოძრაობის დედა ძარღვი დღეს ეს საკითხია. მერე როგორ ეექცეოდენ სოციალ-დემოკრატები ამ საკითხს? დიდის ზიზღით. მთელ პარტიულ ენერგიას ამა თუ იმ კანდიდატურის მომზადებას ანდომებდენ, მთელის კვირობით მსჯელობდენ ხან ერთ და ხან მეორე უმნიშვნელო ფრაზაზე, ჟურნალ-გაზეთების ლაყბობით, ერთმანეთის ქებითა და სხვისი ლანძღვა-გინებით ავსებდენ და საერთო გაფიცვაზე მოსალაპარაკებლათ კი დრო არა ჰქონდათ ან და არ სცნობდენ საჭიროდ იმისთანა „სულელურ“ რამეზედ ლაპარაკს, როგორიც საერთო გაფიცვაა. ზოგი ამ საერთო გაფიცვას „დამნაშავე უტოპიად“ აცხადებდა, ზოგი დემაგოგების გამოგონილ ეშმაკობად და ზოგი კიდევ— „ზარმაცების რევოლიუციად“. და მართლაც, განა საკადრისია მეცნიერ გვამთათვის უტოპიით და ისიც „ანარქისტულ“ უტოპიით აღტაცება? და აი მთელი ოცი წლის განმავლობაში მათი პრაქტიკული მოქმედება ეკონომიურ ნიადაგზე ამ საერთო ეაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლით სულდგმულობდა. ეთხელაც არსად არ წამოყენებულა ამ საერთო გაფიცვის კითხვა, რომ სოციალ-დემოკრატებს არ გაელაშქრათ მის წინააღმდეგ. არ არის არც ერთი ცდა საერთო გაფიცვისა, სადაც სოციალ-დემოკრატები ყოფილიყვნენ ინიციატორებათ. ეკონომიურ ნიადაგზე მათი მოქმედება იხატე-

ბოდა სინდიკალისტებთან, ანარქისტებთან ბრძოლაში. აიღეთ მთელი მათი ლიტერატურა, მთელი მათი პრაქტიკული მოქმედება. არ არის არც ერთი სერიოზული აზრი ამ საკითხის შესახებ, გარდა ერთ-ორ სხარტად ნასროლ ფრაზისა, არც სერიოზული პროპაგანდა ეკონომიურ ბრძოლისა. პირიქით, ყველგან ის აზრია გამოხატული, რომ ყოველი ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურად უნდა გადავაქციოთო. იქ რომ ჩვენებური პოლიტიკური პირობები იყოს, მაშინაც არ იქნება გასამართლებელი ეს ფრაზა, რადგან ბრძოლა ცალ მხროვანი არსად არ არის კარგი, მაგრამ იქ ხომ ჩვენებური პოლიტიკური პირობები არ არის და ამისათვის იქაურ პირობებში მათი ცდა—გადააქციონ ყოველი ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურად, არის ცდა სარევოლიუციო ბრძოლის საპარლამენტოთ გადაქცევისა, ცდა პირდაპირ ბრძოლისა მეპატრონეთა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ორატორთა მამლაყინწობად გადაქცევისა.

ზევით მოყვანილი ფაქტები, ვიმედოვნებთ, საკმაოდ ამტკიცებენ, რომ ამნაირი ქცევა თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისა ლოგიკური შედეგია იმ ტაქტიკურ პრინციპებისა, რომელიც პარტიულ დოგმად იქნა აღიარებულ განსაკუთრებით ამ ბოლო დროს (90 წლ. მოკიდებული). რაკი პარტიამ საჭიროთ ნახა დამდგარიყო ბურჟუაზიულ ლეგალიზმის ნიადაგზე, რაკი მან ბურჟუაზიული ლეგალიზმი ბურჟუაზიის დასაძლევ საკმაო იარაღად აღიარა, ლოგიკა თხოულობდა, რომ ყველა ის სახსარი ბრძოლისა, რომელიც არღვევს ამ ბურჟუაზიულ ლეგალიზმს, განდევნილ ყოფილიყო სოციალისტთა სამოქმედო პროგრამიდან და ეს ასეც იქნა. აქ არაფერი არ არის გასაკვირველი, გასაკვირველი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავის პარლამენტარულ ინტერესებს ზვარაკად შესწირა მთელი მუშათა მოძრაობა, მან არჩია პარლამენტარულ ინტერესთა უარყოფას მუშათა მო-

ძრაობის მოშორება. ეს გასაკვირველია, რადგან სოციალ-დემოკრატია თავის თავს პროლეტარიატის მოწინავე რაზმად სახავს. საქმით კი გამოდის, რომ შეგნებული პროლეტარიატი სულ სხვა გზით მიდის, სოციალ-დემოკრატია კი—სხვა გზით. შეგნებულ პროლეტარიატსა და სოციალ-დემოკრატიას შორის დღეს შეურიგებელი ანტაგონიზმი სუფევს. სოციალ-დემოკრატიამ უარეო შეგნებულ პროლეტარიატის მიერ მხსნელად აღიარებული სახსარი, შეგნებულმა პროლეტარიატმაც უარეო სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა. ის კავშირი, რომელიც ერთხანათ სუფევდა სოციალ-დემოკრატიასა და პროლეტარიატს შორის, დაირღვა. დღეს პროლეტარიატის პარტია, „პარტია შრომისა“ (Parti du travail) და სოციალ-დემოკრატიის პარტია ორი ერთმანეთზე მიზნით, სახსრით და იდეოლოგიით დაშორებული პარტიაა. დღეს სოციალ-დემოკრატიის პარტიას ისე უყურებს პროლეტარიატის პარტია, როგორც სხვა ბურჟუა რეფორმატორულ პარტიებს. თვით შედგენილება ამ ორ პარტიისა სხვა და სხვა ნაირია. სოციალ-დემოკრატია, რაკი შესდგა ბურჟუაზიულ რეფორმიზმის ნიადაგზე, გაივსო წვრილ ბურჟუაზიით, პროფესიონალურ ინტელიგენციით, ლიბერალურ პროფესიათა წარმომადგენლებით. გადახედეთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა სიას ვისა ხედავთ შიგ? სოფლის მასწავლებლებს, უადგილო ინტელიგენტებს, „ოტსტავკაში“ გამოსულ ჩინოვნიკებს, ხანდახან „ოტსტავნოი“ მხედრობის კაცებს, მაგალითად, პოლკოვნიკ სევეს (seva), რომელმაც თავი იჩინა კომუნის დროს პროლეტართა ჟლეტით, მასწავლებლებს, პროფესორებს (რამდენიმე კაცი), ექიმებს, მრეწველებს, მემამულეებს, მაგალ. ქ-ნ სორგეს ცნობილ წევრს შეერთებულ პარტიისას, სარევოლიუციო ფრაქციის მომხრეს, რომელსაც ამ ბოლო დროს ბევრი ქება-დიდება შეასხეს, რადგან „თავის გლეხებს“ 8 საათის სამუშაო დღე უთავაზა... მომავალ 1 მაისის შიშის ზეგავლენით და კიდევ ადვოკატებს, განსა-

კუთრებით ადვოკატებს და ეს გასაკვირველიც არ არის, ლაპარაკს ტყუილა ხომ არ სწავლობენ. აი რა ხალხის, რა საზოგადოებრივ ჯგუფის წარმომადგენელი შეიქნა ამ ბოლო დროს საფრანგეთის სოციალ-დემოკრატია. ეჭვი არ არის, ამნაირი შემადგენლობა თავის ელფერს აძლევს პარტიას და პარტიულ მოქმედებას. რა სცხელა ეკონომიურ, პირდაპირ ბრძოლისა ამ ხალხს? რაში სჭირიათ მათ გაფიცვა, საერთო თუ კერძო? რას მოელიან ისინი „კანონის დარღვევისაგან“? ვინ ატანს მათ ძალას, რა აჩქარებთ მათ? რა უშლით მოიცადონ? განა მათთვის ისე ძნელი ასატანია არსებული წესწყობილება, რომ ვერ მოითმინონ? თუ გაფიცვა და „კანონის დარღვევა“ არაფრად მოსწონს ამ ხალხს, „კენჭობიას“ სამაგიეროდ იგი ძლიერ ეტანება, „კენჭობია“ მათ ხელობათ გადაიქცა ამ ბოლო დროს. „კენჭობია“ შეძლებას აძლევთ ღირსებით ემსახურონ ერთსა და იმავე დროს თავის პროფესიას, რომელიც, რაც უნდა იყოს, ძლიერ საჭირო არის თანამედროვე ცხოვრებისათვის“, და პროლეტარიატს. უკეთეს შემთხვევაში, ეს სოციალისტები უბრალო ჰუმანიტარისტები არიან. ჰუმანიზმი ძლიერ პატივსაცემი გრძნობაა, მაგრამ იგი კიდევ არ არის საკმაო სოციალისტურ მოძრაობის გამგე პრინციპად. დღეს კი სოციალ-დემოკრატია ისეთ ელემენტთაგან შესდგება, რომ მას არ შეუძლიან დაიჩემოს, ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებას კლასთა ბრძოლის პრინციპი განაგებსო. უკეთეს შემთხვევაში იმის მოქმედებას განაგებს ზემო აღნიშნულ ჭრელ და გამოურკვეველ ელემენტთა ჭრელი და გამოურკვეველი ჰუმანიტარიზმი.

მიუხედავად ყველა იმისა, რაც ჩვენა ვსთქვით, სოციალდემოკრატიამ ამ ბოლო დროს მაინც მიიღო საერთო გაფიცვა. სოციალდემოკრატიამ მიიღო საერთო გაფიცვა! ეჭვი არ არის, რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო, რასაც უნდა აეძულებინა პარტია, რომ მიეღო მისგანვე გა-

თელილი და შელანძღული იდეა; უეჭველია, ეს დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა იმათთვის, ვინც აგერ 25 წ. მეტია იცავს ამ საერთო გაფიცვას. მაგრამ ამან არ უნდა დაგვავიწყოს ის, თუ რა მიზეზთა ზეგავლენით იქმნა მიღებული საერთო გაფიცვა და რა მიზანი დაესახა გაფიცვას იმის ახალ მომხრის სოციალდემოკრატიისაგან. ის საერთო გაფიცვა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს, არავითარ ახალ სახსარ სოციალურ ბრძოლისას არ წარმოადგენს, იგი ძველის-ძველი სახსარია. მართლაც, სოციალდემოკრატიამ პოლიტიკურ დემონსტრაციას უწოდა საერთო გაფიცვა და მიიღო მასსიურ გაფიცვის სახელით მშვიდი პოლიტიკური დემონსტრაცია, როგორც განსაკუთრებულ პირობებში სახმარებლად ვარგებული სახსარი: ამისათვისაა სწორედ, რომ ამ გვარ საერთო გაფიცვის მიღების საჭიროებას, როგორც საფრანგეთსა, ისე გერმანიაში უფრო ცხარი დამცველები ჰყავდა მემარჯვნე სოციალდემოკრატთა შორის, ვიდრე მემარცხენეთა შორის.

ამასთანავე უნდა არ დავივიწყოთ ის მეორე არგუმენტი, რომელიც წამოაყენეს საერო გაფიცვის მიღების მომხრეთ. ამ მეორე და უძლიერეს არგუმენტს ხმარობდნენ ბლანკისტები რათა დაეჯერებინათ თავიანთი მოკავშირე გედისტები, რომ ძველებური უხეში სიტყვები აღარა კმარა ეხლა საერთო გაფიცვის უარის საყოფად. აი რაში მდგომარეობს ეს მეორე არგუმენტი. ბლანკისტები თუმცა იაკობინელები არიან ისე, როგორც სოციალიდემოკრატები, მაგრამ მათ რაც უნდა იყოს, უფრო მეტი რევოლიუციონური უნარი აქვთ. ბლანკისტებმა მშვენივრად შენიშნეს, რომ მუშათა ორგანიზაციებში სამუდამოდ გაიმარჯვა საერთო გაფიცვის იდეიამ. მშვენიერად დაინახეს აგრეთვე, რომ მუშებს ეს იდეია საერთო გაფიცვისა ისე მოეწონათ, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა მუშურ ხასიათის მიცემა, თუნდ გარეგნულადაც, იმ პარტიისათვის, რომე-

ლიც უარს ჰყოფდა საერთო გაფიცვას. ერთის სიტყვით, მათ მშვენივრად დაინახეს, რომ თუ საერთო გაფიცვას არ მიიღებდნენ, არა თუ ახალ მომხრეთ ვერ შეიძენდნენ მუშათა შორის, ძველი მომხრეებიც ჩამოშორდებოდნენ, და ამისათვის, რაკი მეტი გზა აღარ იყო, მიიღო ეს საერთო გაფიცვა. ის ფაქტი, რომ ბლანკისტებმა საერთო გაფიცვა მიიღეს იმ შიშით, რომ თუ ასე არ მოვიქეცით, მუშები აღარ მოგვიდგებიან და სხვებთან წავლენო, დამალული ფაქტი არ არის, ამაზე ხმა მაღლა იყო ლაპარაკი ლილის კონგრესზე. როცა გედისტები და განსაკუთრებით გედი გაუჯიუტდა, მაშინ ქა—ნმა სორგემ საჯაროთ იხმარა ეს არგუმენტი: „თუ თქვენ საერთო გაფიცვას არ მიიღებთ, გახსოვდეთ, რომ მუშები ანარქისტებს მიემხრობიან“-ო *). ამასთანავე როცა ლაპარაკი გვაქვს იმაზე, თუ რისთვის მიიღო სოციალდემოკრატიამ, თუნდ გარეგნულად, საერთო გაფიცვა, სახეში უნდა ვიქონიოთ თვით შეგნებულ მუშა სოციალდემოკრატების ჩარევა საპროგრამო და ტაქტიკურ საკითხებში. პარლამენტარიზმი, პარლამენტარიზმი, მაგრამ ეს პარლამენტარიზმი რომ ტყუილი გამოდგეს, განა არ უნდა გვქონდეს ერთი უდიდესი არგუმენტი. რომლის ხმარებაც შეგვეძლოს თუ პარლამენტარიზმი არაფრათ გამოდგა? ამგვარი კითხვა ხშირად ებადებოდათ მათ თავში და ამაზე თავიანთ ხელმძღვანელთაგან თხოულობდენ გადაჭრილ პასუხს. მართალია სოციალდემოკრატებს ამგვარ კითხვაზე შეეძლოთ ეპასუხნათ: თუ პარლამენტარიზმით ვერ მივახწევთ ჩვენს მიზანს, მაშინ... რევოლიუცია, ქუჩაში გამოსვლა და ბრძოლაო. ამ არგუმენტს კიდეც მიმართა გედმა, იმ გედმა, რომელიც ქადაგებდა და კიდევაც ქადაგებს: ჩვენის გამარჯვების იარაღი ლეგალური სახსარი—საარჩევნო უფლებაა. და როცა გედმა ეს არგუმენტი იხმარა, ყველამ

---

*) ოქმები ლილის კონგრესისა Mouvement socialiste № 139—140.

იგრძნო, რომ იმის მხრივ ეს უბრალო საპოლემიკო მანევრი, ხრიკი იყო ამისათვის მას არავინ ყურადღებაც არ მიაქცია. რევოლიუცია ფაფა ხომ არ არის?! შეიარაღება არ უნდა? შეიარღების საკითხი კი სოციალდემოკრატებს ისეთ სისულელედ მიაჩნიათ, რომ ასეთი წინადადება რომ მისცეთ, უსათუოდ პროვოკატორად გამოგაცხადებენ. თვით გედი პროვოკატორად დასახავს ამგვარ წინადადების ავტორს. მაშ რაღა აზრი აქვს იმის სიტყვებს: „რევოლიუცია“, „ქუჩაში ბრძოლა“? არავითარი. სრულიად სამართლიანად მის რევოლიუციასა და ქუჩაზე საპოლემიკო მიზნით წარმოთქმულ სიტყვებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. თუ გედის მიერ წამოყენებულმა არგუმენტმა, ვერავისზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია, სამაგიეროდ ბლანკისტების არგუმენტმა კონგრესზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს არგუმენტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ საერთო გაფიცვას არ მივიღებთ, მუშები ჩამოგვეცლებიანო, ახასიათებს როგორც იმათ, რომელნიც ამგვარ არგუმენტს ხმარობენ, ისე იმათ, რომლებზედაც ამგვარი არგუმენტი შთაბეჭდილებას ახდენს. ოღონდ მუშები კი გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარზე და თუ საჭირო იქნება ჩვენს სამოქმედო პროგრამაში ისეთ მუხლებს შევიტანთ რომელიც ჩვენ თვითონ არ გვწამს! ასე უნდა ფიქრობდეს როგორც ის, რომელიც ხმარობს ზემო აღნიშნულ არგუმენტს, ისე ის, რომელზედაც ზემო აღნიშნული არგუმენტი შთაბეჭდილებას ახდენს.

ყველა ზემო ნათქვამიდან გამოდის, რომ სოციალდემოკრატიას ეს დამახინჯებული საერთო გაფიცვაც არ მიუღია საკუთარის ნებით. იმ გავლენათა შორის კი, რომელთაც სოციალ-დემოკრატია აიძულეს ასე თუ ისე მიეღო საერთო გაფიცვა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ:

1. გავლენა იმ მუშებისა, რომელნიც ჯერ კიდევ სოციალდემოკრატიულ პარტიაში იმყოფებიან, მაგრამ ნელ-ნე-

ლა მასზე გული უცივდებათ, რადგან ეკარგვით ყოველი რწმენა პარლამენტარიზმის სარევოლიუციო მისიისა.

2. გავლენა მათთან შეკავშირებულ მეტ სარევოლიუციო ტრადიციის და უფრო პატივ-საცემ წარსულის მქონე ბლანკისტთა.

3. შიში იმისა, რომ მუშები სულ ანარქისტებისაკენ წავლენ, თუ ჩვენც არ მივიღეთ საერთო გაფიცვაო.

ასეთ ზედგავლენათა შედეგია სოციალდემოკრატიის მიერ საერთო გაფიცვის შესახებ მიღებული რეზოლიუცია და რასაკვირველია, იგი ორგული და ორაზროვანია, ესეც არის და ისიც, თეთრიც არის და შავიც. სხვებმა რაც უნდათ ისა სთქვან ამ რეზოლიუციაზე, ჩვენ კი იმ აზრისა ვართ, რომ მისი პრაქტიკული მიზანი მხოლოდ ერთია: რაც შეიძლება უფრო მეტად არივ-დარიოს ამ საკითხის გადაჭრის საქმე და ბუნდოვანი გახადოს ეს მკაფიო და ნათელი, ნამდვილი „მუშის გულის თქმა“. მაგრამ საბედნიეროდ, საფრანგეთში მუშებმა დაჭკარგეს ნდობა თვალთმაქცურ პოლიტიკანურ სოციალისტთა: ამ ზემო აღნიშნულ რეზოლიუციის მიღების შემდეგ მუშათა სინდიკატები უფრო კი არ დაუახლოვდნენ სოციალ-დემოკრატებს, ისინი მათ ძველებურად უყურებენ, როგორც საერთო გაფიცვის დაუძინებელ მტერთ.

*
* *

კი არავინ იფიქროს, რომ სოციალ-დემოკრატია ასე მტრულად ეპყრობა მხოლოდ საერთო გაფიცვის იდეას. ისინი ასევე ეპყრობიან სხვა საეკონომიო ბრძოლის სახსარსაც. უკვე აღვნიშნეთ, რომ ყოველ აჯანყებას, ყოველ ფაქტიურ ბრძოლას, როგორც სამრეწველო, ისე აგრარულ ნიადაგზე, არა თუ უარყოფენ, არამედ იქ, სადაც ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს, სთვლიან შედეგათ შეგნების ნაკლულევანებისა.

თვით კლასიკური სახსარი კლასობრივ ბრძოლისა—გაფიცვა ვერ პოულობს შეწყალებას სოციალ-დემოკრატთა წინაშე, ისინი მას ან სრულიად უარყოფენ, როგორც ბრძოლის სახსარს, ან და, თუ აქა იქ ხმაროობენ, უსათუოდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ.

„საჭიროა გავანათლოთ მუშათა კლასი,—სთქვა ერთმა დელეგატმა ლიონის კონგრესზე.—საჭიროა შევაკავშიროთ იგი გაფიცვათა წინააღმდეგ, რომელიც ხშირათ დამღუპველია..... ჩვენთვის საჭიროა შევქნათ სინდიკატები არა იმისთვის, რომ გაფიცვები მოვახდინოთ, არამედ იმისთვის რომ ვიქონიოთ გავლენა პოლიტიკურ ფაქტორებზე“.*) ამ განცხადებიდან ადვილი დასასკვნელია, თუ როგორი უნდა იყოს მონაწილეობა გედისტებისა გაფიცვებში. მათთვის, როგორც მათისავე სიტყვებიდან სჩანს, ძლიერ ცოტა მნიშვნელობა აქვს გაფიცვის ეკონომიურ მხარეს. მათი მიზანია ეს კლასიური ფორმა ეკონომიურ ბრძოლისა პოლიტიკურად გახადონ, ე. ი. ამოაცალონ ყოველი შინაარსი. გაფიცვა ეკონომიური მოვლენაა, იგი შედეგია იმ კლასობრივ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში მეპატრონესა და მუშას შორის, მისი შინაარსი და დანიშნულება ეკონომიურია; ასეთი დანიშნულება მიეცა გაფიცვას თვით ისტორიით და ისტორიულ მსვლელობით, მაგრამ სოციალ-დემოკრატები, თუმცა ხშირათ ლაპარაკობენ ისტორიასა და ისტორიულ მსვლელობაზე, მაგრამ ისტორიას და ისტორიულ მსვლელობასაც თითზე იხვევენ და საითაც უნდათ, იქით გასწევენ, თუ კი ამას მათი პარტიული ინტერესები მოითხოვენ. იმათ, ვიმედოვნებთ, კარგად იციან ეკონომიური მიმდინარეობა და დანიშნულება გაფიცვისა, მაგრამ მათი პარტიული ინტერესები არ ეთანხმება არც ერთსა და არც მეორეს და ისინიც

---

*) იხ. ოქმები.

სრულიად ხელოვნურად გაფიცვას იმ შინაარსს აძლევენ, რომელიც უფრო ეთანხმება მათ პოლიტიკურ მიზნებს. ადვილი მისახვედრია ამას მერმედ, თუ რად ებრძვიან ისინი სინდიკალისტებსა და ანარქისტებს, რომელნიც ყოველ კერძო გაფიცვის გაფართოვებას სცდილობენ, რომელნიც სცდილობენ გაფიცვას მისცენ ხასიათი მშრომელ ხალხის, მშრომელთ დამმონავებელთა წინაღმდეგ შეგნებულ აჯანყებისა. არ არის არც ერთი გაფიცვა, რომელშიაც გედისტების ჩარევას ცუდი შედეგი არ მოჰყოლოდეს, ეს იმით აიხსნება, რომ გედისტები კიდევ უფრო მეტის უხეშობით, ვიდრე სხვა სოციალ-დემოკრატები, ჩაერევიან თუ არა გაფიცვაში, მაშინვე შეეცდებიან ხოლმე მის საარჩევნო აგიტაციად გადაქცევას. ამ საარჩევნო აგიტაციაში კი შური და ზიზღი შეაქვთ, რადგან, საწყლებს, ამ ნიადაგზედაც ძალიან ძვირად ღირსებიათ გამარჯვება, თვით გედი მხოლოდ ერთხელ იყო დეპუტატად ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულნი არიან.

გაფიცვას იმათის აზრით, ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი აიძულებს ბურჟუაზიას პროლეტარიატი მოპირდაპირე იურიდიულ პირად იცნას დი იკადროს მასთან მოსარიგებლად ლაპარაკი. ამისთვის ისინი გაფიცვაში სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგენი არ არიან. სახელმწიფო უნდა ჩაერიოს შრომასა და კაპიტალს შორის ატეხილ ბრძოლაში, აცხადებს, მაგალითად. იგივე გედი. „სახელმწიფოს პროლეტარიატისადმი მოვალეობა აქვს ასასრულებელი; ეს მოვალეობა მართლმსჯულობის აღდგენაა“ (devoir de redressement et de reparation vis a vis des exploitès) *) ამგვარია კლასობრივი თეორია „მეცნიერულ“ სოციალიზმის მომხრის. იმასა სწამს, რომ სახელმწიფო, რომელიც, კლასობრივ წესწყობილებაში მაინც, სხვა არაფერია, თუ არა გამოხატულება პრივილეგიისა

*) იხილე L. Seihac. les greves. გედის განცხადება.

და მმართველობის მქონე კლასის ნებისა, რომელსაც აზრადა-
აქვს დაიცოს თანამედროვე კლასობრივი ურთიერთობა და
იმაზედ აშენებული მონობა—გახდება მართლმსაჯულების
აღმადგენელად მუშათა კლასისათვის! ხშირად ლაპარაკობენ
გედისტები „დამნაშავე უტოპიაზე“ და სწორედ ეს მათი შე-
მოუფარგვლელი რწმენა სახელმწიფოსი შეადგენს, თუ გნე-
ბავთ, დამნაშავე უტოპიას, რადგან ჩვენ არ ვიცნობთ სხვა
პრინციპს, რომლის გავრცელება ხალხში უფრო მავნე იყოს,
ვიდრე ის რწმენა, ვითომ სახელმწიფოს შეეძლოს დაჭერა
ნეიტრალურ პოზიციისა კაპიტალსა და შრომას შორის. მორ-
წმუნე იმისა, რომ სახელმწიფო, მუდმივად თუ არა, ხანდა-
ხან, დროებით მაინც, შესძლებს არ მიეკერძოს არც შრომას
და არც კაპიტალსო, ბევრია სოციალ-დემოკრატთა შორის.
მკითხველს გავახსენებთ ჩვენს ზემოთ მოხსენებულს კაუ-
ცკის რეზოლიუციის დამატებას, რომელიც ხელმოწერი-
ლია, სხვათა შორის, პლეხანოვის მიერ. რეზოლიუციაში ნა-
თქვამია, რომ სოციალისტი მნისტრი უნდა გამოვიდეს სამი-
ნისტროდან, რა კი მართველობა მიკერძოებას გამოიჩენს
შრომასა და კაპიტალს შორის ატეხილ ბრძოლაშიო. ამ სი-
ტყვებიდანაც ის დასკვნა გამოდის, რომ სახელმწიფოს შეუ-
ძლია არ გამოიჩინოს ეს მიკერძოება, რაც, ჩვენის აზრით,
ყოვლად შეუსაბამო, ყოველ ღირსებას მოკლებული ბავშური
რწმენაა. თუ კლასობრივი თეორია მართალია, იგი მართა-
ლია სახელმწიგოს კრიტიკაშიც, ხოლო თუ იგი სახელმწი-
ფოს კრიტიკაშიაც მართალია, ყოვლად შეუძლებელია, რომ
სახელმწიფომ მშრომელთა და კაპიტალისტთა შორის ატეხილ
ბრძოლაში, თუნდ ერთის წამით, ნეიტრალური პოზიცია
დაიჭიროს, რადგან თვით სახელმწიფო კლასობრივი ორგა-
ნოა, მას კაპიტალისტთა ინტერესების დაცვა აბარია, იგი,
მარქსის თქმის არ იყოს, კაპიტალისტთა „აღმასრულებელი
კომიტეტია“ და, მაშასადამე, მისი პოლიტიკაც ყოველთვის
და ყველაფერში მიკერძოების პოლიტიკაა.

სახელმწიფოებრივი უტოპია მეცნიერების ანტაგონისტ— „მეცნიერულ“ სოციალიზმის მომხრეთა ადვილი მისახვედრია: მათ სახელმწიფოებრივ წარმოდგენას სოციალურ ცვლილების მოხდენაზე აუცილებლად უნდა მოჰყვეს შემცდარი წარმოდგენა, როგორც სახელმწიფოზე, საზოგადოთ, ისე ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე—კერძოდ. მაგრამ დიალექტიკის წყალობით ასეთი „წვრილმანი“ შეცდომები სოციალ-დემოკრატიას ვერ შეაწუხებს. ყოვლის შემძლე დიალექტიკა შეძლებას აძლევს მათ თეორიულად აღიარონ კლასობრივ ბრძოლის პრინციპი, პრაქტიკულად კი მუშათა კლასის დასაცველად ვექილობა გადასცენ სახელმწიფოს, რომლის ისტორიული დანიშნულებაც სწორედ ის არის, რომ დაიცვას თანამედროვე კლასობრივი ურთიერთობა. ცხადია, იმ პარტიის ჩარევა საეკონომიო ბრძოლაში, რომელიც ამგვარად უყურებს გაფიცვას, ვერავითარ კეთილ შედეგს ვერ მოიტანს და, მართლაც, გათვალისწინება საფრანგეთის პროლეტარიატის ყოველ-დღიურ ბრძოლისა გვიმტკიცებს, რომ არავითარი შემოქმედებითი შედეგი არა ქონია სოციალ-დემოკრატთა საეკონომიო ბრძოლაში ჩარევას. საერთოთ გაფიცვაში პარტია არასოდეს არ იჭერს გარკვეულ პოზიციას, ის მეპატრონეთა და პროლეტართა შუაში სდგას და მოამრიგებლის და არა მებრძოლის როლს თამაშობს. სადაც სოციალ-დემოკრატიას მეტი გავლენა ქონდა, იქ მუშათა მოძრაობას კიდეც დაუკარგა საერევოლიუციო ხასიათი (მაგ. საფრანგეთის ჩრდილო ნაწილში). იქ არსებულმა მუშათა ორგანიზაციებმა ინგლისის ტრედ-უნიონთა ხასიათი მიიღეს, იმ განსხვავებით, რომ საფრანგეთში ეს ტრედ—უნიონული ორგანიზაციები იმავე დროს საარჩევნო ბიუროთა როლს თამაშობდენ. საფრანგეთის სოციალ-დემოკრატია არა სცნობდა მუშათა ორგანიზაციას ისეთ სარევოლიუციო ორგანიზაციებად, რომელთაც პირდაპირი ბრძოლა უნდა დაეწყოთ მეპატრონეთა წინაა-

ღმდეგ. მუშათა პროფესიონალური სინდიკატი ისეთი იურიდიული პირია, რომელიც უნდა ეცადოს აიძულოს ბურჟუაზია, პროლეტარიატთან კანონიერი შეთანხმება იქონიოს. იძულება ბურჟუაზიისა შეიძლება გაფიცვით, ხოლო, როცა ბურჟუაზია სთანხმდება შეიმუშაოს ორისავე მხრისათვის სავალდებულო იურიდიული ნორმები, მაშინ როლი პროლეტარიატისა თავდება და სოციალ-დემოკრატია გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც წარმომადგენელი მუშათა კლასისა. მათის აზრით, სოციალ-დემოკრატია ბუნებრივი, ანუ თვით ღვთისაგან დანიშნული ვექილია მუშათა კლასისა. სწორედ ამისათვის იგი ვერ მიმხვდარა, თუ რისთვის, რა უფლებით სცდილობს მუშა ხალხი გამოვიდეს მათი ხელიდან. მას ვერ მოუთმენია და შეურაცხყოფად სთვლის, რომ მუშათა ორგანიზაციები ითვისებენ სარევოლიუციო ორგანიზაციათა სახელს. მათის აზრით, სოციალისტურ და სარევოლიუციო ორგანიზაციის სახელი მათი საკუთრება და მონოპოლიაა. სინდიკატები კი უფრო დაბალის როლით უნდა დაკმაყოფილდენ: გროშებისთვის ბრძოლა, მდიდარ კასების დაარსება, რომელშიაც ხელის ფათურის თავისუფლება შეზღუდული უნდა იყოს პარტიისათვის,—აი როლი სინდიკალიზმისა, მათის აზრით ეხლაც კი, როცა სინდიკალური მოძრაობა საშინლად განვითარდა და მოისურვა, რომ თავისი ორგანიიაციები გარდაქმნას საბრძოლ ორგანიზაციებათ დამოუკიდებელ, სარევოლიუციო კლასის, კლასიურ ნიადაგზე მოქმედების ორგანოებად, რომელთაც მისსიათ უნდა გაუხდეს ბრძოლა პროლეტარიატის სრულ განსათავისუფლებლათ პროლეტარიატისავე იარაღ-სახსრებით: ეხლაც კი, როცა სინდიკალური მოძრაობა გახდა ერთად ერთ მართლა და მუშურ კლასობრივ მოძრაობად, მარქსისტები და საერთოდ სოციალ-დემოკრატები იმეორებენ ძველ დაზეპირებულ ფრაზას, რომელშიაც კიდევ უფრო ძველი, ძველის აღთქმის

დროინდელი, დახავსებული აზრია მოთავსებული და რომელიც იმაში მდგომარეობს, ვითომც მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები იყოს ორგანიზაციები უფრო მდაბალის საფეხურისა, ვიდრე სოციალდემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციები, თუ მუშას სურს გამოვიდეს ამ დაბალ საფეხურის ორგანიზაციიდან, ან თუ მას, დაბალ საფეხურზე მდგომს, სურს ფეხი შესდგას მაღალ საფეხურზე, სოციალ-დემოკრატიის წევრად უნდა ჩაეწეროს, თუ არა და შეუძლია დარჩეს დაბალ საფეხურის ორგანიზაციაში, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს იმ როლით, რომელიც შეეფერება ამ საფეხურზე მდგომს, სოციალურ ბრძოლაში მეორე ხარისხოვან როლის მოთამაშე ორგანიზაციას. ამ მეორე ხარისხოვან ორგააიზაციას კი ისინი არავითარ სარევოლიუციო მნიშვნელობას არ აძლევენ. ცხადია ამისათვის, რომ ყოველ სარევოლიუციო და საეკონომიო ბრძოლაში სოციალ-დემოკრატები ნამდვილ დამძინებელთა როლს თამაშობდენ განუწყვეტელის მშვიდობა-კანონიერების ქადაგებით და აგრეთვე განუწყვეტელის ცდით უნდათ გადააქციონ ყოველი მკაფიო და მკაცრი კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ წესწყობილების წესიერების ხელის შემწყობ და მომმაგრებელ მოძრაობად.

ამ როლით სინდიკატები არ კმაყოფილდებიან. მათ სოციალიზმის მხრივ სოციალდემოკრატებისაგან არაფერი აქვთ სასწავლი და იმათ ვექილობასაც სრულიად უარს ჰყოფენ, უარს ჰყოფენ აგრეთვე მათთან ყოველსავე ურთიერთობას,— აი მიზეზი ბრძოლისა ამ ორ მიმართულების შორის. ეს ბრძოლა შინაარსია ამ ნიადაგზე სოციალდემოკრატიის მოქმედებისა.

აშკარაა, სოციალდემოკრატიის მოქმედებას საეკონომიო ნიადაგზე დეზორგანიზატორული გავლენა აქვს. ეს როასე არ იყოს, მუშათა ორგანიზაციები, სინდიკატები არ ჩამოშორდებოდნენ მას; ყოვლად შეუძლებელია მარტო ანარ-

ქისტთა გავლენას მივაწეროთ ის გარემოება, რომ მთელი პროფესონიალური მოძრაობა სულ ერთიანად გაშორდა სოციალდემოკრატიას, შესწყვიტა მასთან ყოველი კავშირი. ცხადია, ამ განშორებას ანარქისტთა პროპაგანდამ დიდად შეუწყო ხელი, მაგრამ ისიც ცხადია, თვით სოციალდემოკრატიის ყოფა-ქცევით რომ არ მომზადებულიყო ნიადაგი სოციალდემოკრატიის და მუშათა მოძრაობის განსაცელკევებლათ, ვერც ანარქისტული პროპაგანდა იქონიებდა დიდ გავლენას. თანამედროვე სინდიკალიზმი და მასთან ერთად ანაანარქიზმი დიდ მნიშვნელობას აძლევს გაფიცვას, როგორც აღმზრდელ და გამწვრთნელ სახსარს. ამისათვის სწორედ ეს გაფიცვის საკითხი ამწვავებს ძლიერ მათ შორის ურთიერთობას, ჯერ ერთი იმისათვის, რომ ის მარტო თეორიული საკითხი კი არა, პრაქტიკული საკითხიც არის, რომელსაც ადგილი აქვს ყოველ-დღიურ-ბრძოლაში. სოციალდემოკრატთა შეხედულება გაფიცვაზე, როგორც უკვე ვიცით, ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი ისე მოქმედება გაფიცვის დროს, რომ მან მუშათა ორგანიზაციების ინტერესები არ დაარღვიოს. მუშებს უნდათ ისარგებლონ გაფიცვით თავიანთ ეკონომიურ მიზნის განსახორციელებლად და თავიანთ ეკონომიურ ორგანიზაციების განსაძლიერებლად, სოციალდემოკრატებს კი სურთ გაფიცვა საარჩევნო აგიტაციად გადააქციონ. როგორ შეიძლება ამ ორ პრაქტიკულ მიზნის შეთანხმება? „ჩვენ გვაცხადებენ გაფიცვების გამომწვევლებად. მაგრამ ეს მართალი არ არის“, ეუბნება გედი ერთ ჟურნალისტს და შემდეგ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ გაფიცვა კაპიტალისტურ წეს-წყობილების ატრიბუტია და მერე დასძენს: „როცა მუშები იძულებულნი არიან თავი დაიცონ, ჩვენ ვეხმარებით; ეს სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ

გაფიცვა არაფელს არ შველის, რომ იგი არ არის სახსარი საზოგადოების ტრანსფორმაციისა. ვიმეორებ, ჩვენის ბრძოლის მეთოდი მხოლოდ პოლიტიკურია. ჩვენ გვსურს ეკონომიური ბრძოლა გადავაქციოთ პოლიტიკურად, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლიან გამარჯვება მოგვიხვეჭოს". *) პოლიტიკური ბრძოლა-კი სოციალდემოკრატიის ენაზე პარლამენტარიზმსა ნიშნავს. გაიმართება თუ არასადმე გაფიცვა, სოციალდემოკრატი ერევა შიგ თავის პროგრამა-მინიმუმით, რათა „მოუმზადოს ნიადაგი კლასსიურ დიქტატურას". რადგან სოციალდემოკრატი თავის ვიწრო პროგრამით ერევა გაფიცვაში, სხვა პარტიებიც, რასაკვირველია, უკან არა რჩებიან: ამას გარდა ვერც ერთ ადგილს ვერ იპოვნით საფრანგეთში, სადაც ანარქისტებს მომხრენი არ ჰყავდეთ, რომელნიც მოქმედებენ სინდიკალისტებთან ერთად სრულის თანხმობით. სოციალთემოკრატი ჩაერევა თუ არა გაფიცვაში, ამ სხვა და სხვა მიმართულების მუშათა შორის უთანხმოება და ბრძოლა იბადება და, რასაკვირველია მუშათა სოლიდარობა ირღვევა, გაფიცვა იფუშება. ყოვლის უმალ ამ გარემოებამ აიძულა მუშათა, ორგანიზაციები განშორებოდნენ სოციალდემოკრატებს.

ამ გარემოებამ აიძულა მუშათა ორგანიზაციები დაენახათ, რომ პრაქტიკული წინააღმდეგობაა სოციალდემოკრატიისა და მუშათა ორგანიზაციებს შორის. და მართლაც, რა კი მუშათა ორგანიზაციები ჩამოშორდნენ სოციალდემოკრა-

---

*) იხ. J. Huret. Enquète sur la question sociale p. 362.

ტიის ორგანიზაციებს, მათ შორის უფრო მეტი სოლიდაროობაა, თვით ეკონომიური ბრძოლა უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა და გაფიცვათა რიცხვმაც იმატა. მაგრამ ყველაზე უფრო ღირს შესანიშნავი ის არის, რომ მას შემდეგ რაც სოციალ-დემოკრატები არ ერევიან საეკონომიო ბრძოლაში, მას შემდეგ რაც სოციალდემოკრატები აღარ ეხმარებიან „მუშათა ორგანიზაციებს“, თვალ საჩინოდ იმატა იმ გაფიცვათა რიცხვმა, რომელიც მოგებით თავდება.

კ. ორ—იანი.

ახალი გალაშქრება სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ.

ტაქტიკა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიისა ანარხისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

„ანარხისტი ისეთი კაცია, რომელიც, თუ ჯაშუში (сыщик) არ არის, ისეთი მაინც არის, რომ მუდამ და ყოველგან უნდა მიაღწიოს წინააღმდეგს თავის სურვილისა“.

(გ. პლეხ.: „სოციალიზმი და ანარქიზმი“).

* * *

„მე არავითარ საშვალებათა წინაშე არ შევსდგები თქვენ მოსასპობათ“.

(ვ. ლიბკნეხტის სიტყვა ანარხისტთა მიმართ გენტში)

* * *

„როდესაც ჩვენ ჩავიგდებთ ხელში ძალას, ჩვენი უპირველესი საქმე იქნება ანარხისტების დახვრეტა“.

(სიტყვა ს.-დემოკრ. დეპ. შოვენის).

ბურჟუაზიული მთავრობა და სოციალდემოკრატია.

I

ჰოლანდიის რევოლიუციონერი დომელა ნიუვენგუისი, ერთ-ერთ თავის მოხსენებაში „მილიტარიზმზე“ ამბობს: „რეაქციონურს ძალას შეიცავს ყველა სახელმწიფოებრივი პარტია, რომიდან ს.-დემოკრატიამდე, პაპიდან მარქსამდე. ყველა ესენი შეადგენენ რეაქციონურ მასსას, რომლის წინააღმდეგ სდგანან მხოლოთ ანარხისტები“. ეს სიტყვები ნამდვილ წინასარმეტყველურად ხდებიან, ნამეტნავათ ეხლანდელს დროში, როდესაც „ტაქტიკა გაძრომისა“ სახელმწიფო დაწესებულებებში თანდათან იძენს მოქალაქეობრივ უფლებას ს.-დემოკრატთა ბიუროკრატიულს წრეებში: და „ლიდერებთან“ ერთათ მთელი სოციალ-დემოკრატია ურიგდება მას და გულახდილათ აღიარებს სოციალისტების მონაწილეობის მიღებას ყველა ბურჟუაზიულს მართველობებში, მონარქიის და რესპუბლიკის განურჩევლათ.

„სოციალისტი“ მილლიერანი, ოდესღაც ამაშფოთებელი მთელი ქვეყნის სოციალისტებისა თავის მინისტრათ მოვლინებით, დღეს დანაწილდა ათ და ათას, „პატარა მილლიერანებათ“, რომლებითაც აივსო ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატების პარტია. ეს ბატონები შეძვრენ რა ყველა თანამედროვე ბურჟუაზიულს დაწესებულებებში, სცდილობენ დაარწმუნონ პროლეტარიატი, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისინი იქ უმრავლესები იქნებიან და მშვიდობიანი გზით მიახწევენ „პოლიტიკურ უფლების ხელში ჩაგდებას“ და შესძლებენ განხორციელებას მრავალ სოციალისტურ რეფორმებისას, რომლებსაც მიყავს კაცობრიობა კოლლექტივიზმის სამეფოში:

ამგვარი თავისებური ევოლიუცია სახელმწიფოებრივი სოციალიზმისა ჩვენ სულაც არ გვაკვირვებს, რადგან ის ლოლიკურათ გადმომდინარეობს მათი ძირითადი პრინციპებიდან. ბურჟუაზიულ დემოკრატიის ნაშობმა, ჩვენი დროის სოციალ-დემოკრატიამ, შეინარჩუნა ყველა მისი ტიპიური თვისებები.

აღიარა რა „კომუნისტურ მანიფესტის“ სიტყვებით რევოლიუცია კომუნიზმის სახელით, აჯანყება იარაღით ხელში, ის ნელნელა მივიდა თანდათანობის ქადაგებამდე, პასსიურ მოქმედებამდე, ლეგალიზმამდე და საბრალო სოციალურ რეფორმებამდე, როგორიცაა დამახინჯებული სახელმწიფოებრივი კოლლექტივიზმი და ყველა რევოლიუციონურ ბრძოლის საშვალებათა უარის ყოფა. ტყვილად ფიქრობენ ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანები, რომ „რევიზიონური“ სოციალ-დემოკრატია თითქოს დიდათ განსხვავდებოდეს ეგრედ წოდებულ „რევოლიუციონურ“ ს.-დემოკრატებიდან. განსხვავება მხოლოდ სიტყვებშია. ანარხისტებისათვის, მილლიერანები, ჟორესები, ფოლმარები, ბერნშტეინები უფრო პირდაპირი და მართალნი არიან, ვიდრე მათი „რევოლიუციონერი“ თანამოძმენი, პლეხანოვი, გედი, ბებელი და კომპ., რომლებმაც ძველ „რევოლიუციონურ“ დროთაგან შეინარჩუნეს მხოლოდ რევოლიუციონური ფრაზეოლოგია. „რევოლიუციონური“ სოციალ-დემოკრატია, როგორც იმისი, ცრუ ანტიპოდი, იგეთივე ოპპორტიუნისტულია. როგორც ერთი, ისე მეორე განუწყვეტლივ ჭკრავენ პირობებს თანამედროვე ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან. მხარს უჭერენ საჯარო თანხას პოლიციურ ბიუდჟეტს, ფლოტის შეიარაღებას, გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს პარლამენტში, მუნიციპალიტეტებში, სადაც ისინი თავიანთი, წინამძღოლების სიტყვით, ასრულებენ „სულელების ხელობას“ და „გემაროიდების“ სამსახურს უწევენ ბბ. „ბურჟუებს“. არ არის ისეთი ადგილი, ისეთი უფლება თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, რო-

მელსაც არ ინაწილებდეს მმართველ კლასებთან ერთად ეს მრავალნაირი „ინტერნაციონალური სოციალიზმი“. ეკლესიებში, სატუსაღოში, სასამართლოში, პრეფექტუკრებში, პოლიციის ნაწილებში, გენერალურ შტატებში და სხვა და სხვა აქციონერულ კომპანიებში, მესაკუთრე სინდიკატებში, მესაზღვრე დარაჯებში და ყველა თანამედროვე სახელმწიფო დაწესებულებაში თქვენ შეხვდებეთ „რევოლიუციონურ სოციალისტებს“. მაგალითებისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. მოვიყვანთ ჩვენ პირველ მოხვედრილს ფაქტებს, ვფიქრობთ, რომ ესენიც იკმარებს ზემო ნათქვამის დასამოწმებლათ.

დავიწყოთ რესპუბლიკანურ ქვეყნებიდან: შვეიცარიაში ბევრი ს.-დემოკრატი „სახელმწიფო საბჭოს წევრია“—ადმინისტრატორია. 27 სოციალისტი დეპუტატები ქ. ცურიხში არიან: კომერსანტები, პასტორები, მიკიტნები, პოლიციის დირექტორი (ფიშერი), პოლიციის კომმისარი (ვოლცგანგერი) ⁄ სხვ. საკვირველი „პროლეტარული“ პარტიაა! წავიდეთ ქვევით. ქალაქს ვევეში „მუშათა კავშირის“ სათავეში სდგას ს.-დემოკრატიის დეპუტატი ბ. ფონ-დერ-აა, რომელიც ამავე დროს ამ ქალაქის პოლიციის უფროსია. (იხ. Хлѣб и Воля 2 №-რი). ჟენევაში სასამართლოს რამოდენიმე წევრები გენერალური საბჭოსი და საბაჟო უწყებებისაც კი - სოციალ-დემოკრატები არიან.

„შვეიცარიის სოციალისტური პარტია“ არ უშლის თავის წევრებს დაიკავონ რანაირი ადგილიც უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოში. იქნება ის ადგილი პროკურორის, პოლიციის უფროსის, თუ მესაზღვრე დარაჯთა (пограничной стражи).

ლუიდჟიდან ბერტონის კორრენსპოდენციაში, „მუშათა მოძრაობის შესახებ შვეიცარიაში“ (2 №-რი (Хлѣб и воля) ვკითხულობთ: „ჩვენში ს.-დემოკრატიული პარტია მოსალოდნელზე მეტათ გაბურჟუავდა... რამდენიმე წლის წი-

ნათ შვეიცარიის მთავრობამ დაარსა მუშათა სეკრეტარიატი. და აძლევს ფულით შემწეობას "შვეიცარიის მუშათა კავშირს". ამნაირათ, „სოციალისტურ" და მუშურ პროპაგანდას ეწევიან მთავრობის მოხელეები, ანუ სეკრეტარები დაქირავებულნი მთავრობისგან." მიუმატებთ კიდევ, რომ შვეიცარიის ს.-დ—ია რაცხს თავის პარტიაში წევრებათ არა ერთსა და ორს ჟანდარმს... ჩვენ დიდი ხანი არა წავიკითხეთ „Vorwärts"-ში, რომ დაწესდა შვეიცარიაში „ფერეინი*) ს.-დემოკრატ პოლიციელებისა". ამგვარივე . მაგალითების ჩვენება ჩვენ შეგვიძლია მეზობელ საფრანგეთშიაც: მას ყავდა არა მარტო სოც—ტი მინისტრი, მილლიერანი, არამედ ბბ. „სოციალისტები"—ციხის უფროსების როლში, პრეფექტათ, (მაგ., ალჟირის სუ-პრეფექტი „სოციალისტია") და სხვა სახელმწიფო მოხელეებათ. შეერთებულს შტატებში, სოციალ-დემოკრატიამ დიდი ხანია უკვე რაც წამოაყენა თავის კანდიდატი „ამხანაგი განფორდი" გუბერნატორის ადგილზე ნიუიორკის შტატში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გასულა ფონს, რაიც გვაუწყა „ისკრამ" 71 №-ში.

ჩვენ გვეტყვიან, რომ ყველაფერი ეს ხდება რესპუბლიკანურ ქვეყნებშიო. დიახ.... იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობა არა ერთხელ და ორჯერ უწყალოთ მოქცევია ხალხის მწუხარე ამოკვნესას, სადაც მუშათა სისხლი ინთხეოდა: ფურმის ქუჩებში, პარიზში, ჟენევაში, კოლორადოს და სხვა ურიცხვს ქალაქებში, სადაც ნამდვილ რევოლიუციონერების, ანარხისტების, წინააღმდეგ მზადდება ახალი „განსაკუთრებითი კანონები„, სადაც მატულობს გადასახლება, დატუსაღება, დევნა, სადაც ბურჟუაზიული მთავრობა სჩადიოდა და სჩადის რეაქციონურ მონარქიაზე არა ნაკლებს უმსგავსოებას! და აი ამ მთავრობასთან ერთათ „თანამშრომლობენ" ხალხის წარმომადგენელნი „სამეცნიერო სოციალიზმის მომხრენი".

---

*) ფერეინი—კავშირი.

როგორია ს. დ. დამოკიდებულობა უმაღლეს ადმინისტრატიულს ადგილებთან თანამედროვე ბურჟუაზიულს სახელმწიფოში ჩვენ დავინახეთ სოციალ-მინისტრის მილლიერანის მაგალითიდან.

შეერთებულ შტატებში ს. დ. წარმომადგენლები სცდილობენ იშოვნონ კანდიდატურა რესპუბლიკის პრეზიდენტის ადგილზე. მათი იტალიელი თანამოძმენი გადაჭრით აღიარებენ საჭიროებას სოციალისტების მონაწილეობის მიღებაში მონარქიულ სამინისტროში. ამნაირადვე მსჯელობენ გერმანიაშიც. საკითხი ვიცე პრეზიდენტის ადგილის დაჭერის შესახებ ბერლინის რეიხსტაგში გადაჭრილი ჯერ სრულიათ გადაწყვეტილია. მხოლოთ უთანხმოება, ეგრე წოდებულს, „რევოლიუციონურ“ ს. დ. და ბერშტეინის მიმდევართა შორის არსებობს, ისიც ერთს მუხლში: ვალდებულია თუ არა ს. დ-ი პრეზიდენტი, რომ დაიცოს პარლამენტში მეფის წინაშე ყველა ცერემონია? უნდა გამოეჭიმონ იმპერატორს ვილგელმს თუ არა? საკვირველი „რევოლიუციონერებია“! განა ამათ არ იოსტატეს და „Berliniche Freie Presse“ ფურცლებზე გამოუშვეს სტატია, სადაც ამტკიცებდენ რომ ს. დ-ზმი წინააღმდეგ ლიბერალურ დემოკრატებისა. არც ისე მტრობს მონარქიასა“ო! „თეორიას ყოველთვის სდევს პრაქტიკაც ვინ იცის იქნება სოც.-დემოკრატიზმსაც ეყოლოს თავისი კონსტანტინე, როგორც ქრისტიანიზმს ჰყავდა თავისი. თითქმის ყველა მონარქიულს ქვეყნებში რუსეთის და სათათრეთის გარდა ჩვენ ვხედავთ ამასვე.

დანიაში ჩვენ ვხედებით სოციალისტ ბურგომისტრს, რომელიც იგრიხება და იმანჭება სამეფო სასახლეში იმპერატორ ვილგემის წინაშე. (Przedswit 9 №) გერმანიაში ამ ს. დ-ულს თუ „სოციალისტურ აკვანში“. ს. დ. ლიდერებათ და დეპუტატებათ არიან: ნეგოციანტები (3) მიკიტნები, მსხვილი მრეწველნი (7) და თვით მილიონერი ზინგერი.

ასეთ მუშათა წარმომადგელებისა და მუშათა შორის უთანხმოება ღებულობს ხანდახან თავისებურს ხასიათს. ვ. პოსსეს თავის წიგნში, (გამოცემა მე III), „რგორი უნდა იყოს პროგრამმა რუსეთის პროლეტარიატისა? „მოყავს ფაქტები, საიდანაც ერთს ჩვენ აქ მთლათ ამოვიწერთ.

ბანტში (გერმანიაშია) მოხდა გაფიცვა ამშენებელ (строительных) მუშებისა. ს. დემოკრატები აღმოჩდენ არა მარტო გაფიცულებთა შორის, არამედ თვით ხაზეინებიც. ს. დ. ხაზეინები იბრძოდნენ ს.დემოკრატ მუშათა წინააღმდეგ სწორეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ ებრძვიან კაპიტალისტები მუშებს. ს.-დ. ხაზეინებმა გაფიცულების მაგიერ მიიღეს იტალიელები, რომლებიც ნაკლებ ფასათაც და 14 საათსაც მუშაობდნენ დღეში.

დამარცხებულმა მუშებმა საჭიროთ სცნეს მოეთხოვათ პარტეიტაგიდან განდევნა გამარჯვებული ხაზეინებისა.

საქმემ გაიარა ყველა პარტიის ინსტანციებში და ბოლოს პარტეიტაგშიც ხაზეინებთა სასარგებლოთ გადაწყდა. მსჯელობა არა ჩვეულებრივათ მოკლე იყო ამ საკითხის შესახებ, იმდენათ მოკლე, რამდენათაც გრძელი და ცხარეა გერმანულ ს დ-ების პარტეტიგზე მსჯელობა, როცა საქმე ეხება პროლეტარიატისათვის „დიდ მნიშვნელოვან საკითხს“, რომელიმე ორი ჟურნალისტის ურთიერთ შორის დანძდვა გინებას.

ს. დემოკრატ ხაზეინების დმცველები უთითებდენ პრინციპზე, რომლითაც ეკონომიურს გაფიცვაში ს. დემოკრატი ხაზეინები სარგებლობდენ მუშებთან თანასწორი უფლებით. რამოდენიმე ორატორები ისე ცხარეთ იცავდნენ „ხაზეინებს“ რომ ბანტელმა დელეგატმა გემოლმა, რომელიც მხარს უჭერდა მუშებს, ირონიულათ შენიშნა, რომ როგორ არ მოაგონდათ მწარმოებელებს, ხაზეინებს პარტიიდან გამორიცხვის მოთხოვნა გაფიცულ მუშებისაო. საქმის გარჩევის დროს გომელმა მიუთითა, რომ „იგივე მეპატრონენი რომლებიც როგორც ამხანაგები იცავდნენ 8 საათის სამუშაო დღეს, იტალიე-

ლებს ამუშავებენ დღეში 14 საათს „და როცა ეს ჩვენს წრეში ხდება შესაწყნარებელია, თუ არაო?“ „თუ ასეა, მაშ მიიღეთ პარტიაში ჯუშმენერობებიც და კრუპებიცაო!“ (ცნობილი გერმანიის ბურჟუებია). პარტიის გამგეობის თავმჯდომარე გერეში, დამცველი ხაზეინებისა და მუშათა მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით იმისთვის ღელავდა, რომ მუშებმა გააფიცვის შემდეგ გამოუშვეს მოწოდება, რომელეშიც სთხოვდენ სხვა ქვეყნების ამხანაგებს არ მოეწოდებინათ მათ თავიანთი სამუშაო ხელი ბანტოველ ხაზეინებისათვის. გერეშის სიტყვისშემდეგ, მიუხედავათ უმცირესობის პროტესტისა კრება დაიხურა და პარტეიტაგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აცხადებდა, რომ „თუმცა ყოფა-ქცევა ამხანაგ ხაზეინებისა არ არის უმწიკვნელო, მაგრამ პარტეიტაგმა ვერ დაინახა მაინც საკმარისი საბუთი მათ პარტიიდან გამოსარიცხავათ“.

ასეთი მაგალითებით სავსეა გერმანიის ცხოვრება!

მხარის დაჭერა ჯარისა და პოლიციის ბიუდჟეტისათვის, უკვე ჩვეულებათ გახდა. და აი სულ ეხლა ხან ცნობილმა ს. დ-მა კლასსმა შტუდგარდის „საბჭოში“ ხმა მისცა, რომ მიეცათ ჯილდო პოლიციელებისათვის, „რომელნიც „იცავენ წესიერებას“ გაფიცვის დროს. „ყოველი შრომა უნდა დაჯილდოვებულ იქმნეს“ ამბობდა ის.

თუ რომ გადავალთ ბალკანიის ნახევარ კუნძულზე იქაც ამასვე დავინახავთ მხოლოთ მონათლულს აზიურ-ვიზანტიურ ადათზე.

რუმინიაში არის, მაგალითად რამოდენიმე ს. დ. ჩინოვნიკი, სტრუდზის ლიბერალურს სამინისტროში, „სოციალისტი“ პრეფექტი ანტონასიო, რომელიც იჭერს რუსეთის ანარხისტებს ბალაცში.

ბოლგარიაში რას ვხედავთ? (хлѣб и воля № 8) მოთავსებულია საინტერესო კორესპოდენცია, სადაც იტყობინებიან, რომ თავმჯდომარეთ ადგილობრივ ს. დ. პარტიასა არიან ქ.

ვარნში სასამართლოს მოხელე (სტოიანოვი) ბ ბოქაული, რუ-
შჩუკში—ვექილი და პოლიციის აგენტი (ტოპანკოვი) სადგურ
ზაგორაში ბოქაული; სოფიაში სხვა და სხვა მოხელენი იუ-
სტიციის სამინისტროსი და სახალხო განათლებისა. ამასთან
მრავალი ჟანდარმები ბოლგარიაში ირიცხებიან პარტიის წევ-
რებათ. ცნობილია 3 ასეთი წევრი გერმანიაშიც. განა ეს პრო-
გრესი არ არის „სოციალიზმისა"?

ზემო მოყვანილ მაგალითებიდან მკითხველი დაინახავს,
თუ როგორია ს. დემოკრატების დამოკიდებულება მსოფლიო
ბატონობასთან და თანამედროვე მთავრობასთან.

„ისკრის" სიტყვებით ისინი აცხადებენ, რომ უარის
ჰყოფა აქტიურ მონაწილეობის მიღებაზე თანამედროვე პოლი-
ტიკურ სინამდვილეში, როგორი უმზგავსოც უნდა იყოს ის,
ანარხისტების ტაკტიკაა და არა სოციალ-დემოკრატების"ო.
განმარტება აღარაა საჭირო თუ, როგორი უნდა იყოს
ასეთი „სოციალისტების" დამოკიდებულება ჩვენთან, ანარ-
ხისტებ-კომუნისტებთან, შეურიგებელს მტრებთან ყოველ-
გვარ სახელმწიფოსთან, ყოველგვარ ბატონობასთან (власти),
ყოველგვარ ბურჟუაზიულს საზოგადოებასთან. რასაკვირვე-
ლია, რომ მათი დამოკიდებულობა სხვაფერი არ იქნება, თუ არ
უკიდურესი მტრული. მათ სძაგთ ანარქიზმი, ვითარცა მათი
მკაცრი კრიტიკა და როგორც რევოლიუციონური მოძრა-
ობა, რომელიც იწვევს პროლეტარიატს ენერგიულს რევო-
ლიუციონურს ბრძოლისათვის და ბურჟუაზიულ მსოფლიოს
სრულიათ დანგრევისათვის. ბბ. თანდათანისტები, ლეგალისტები
ს.-დ. ყველა ელფერისა, ებრძვიან ანარქიზმს, როგორც თა-
ვიანთ ანტიპოდს. და ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის სო-
ციალ დემოკრატთა გულ-ახდილობა, რომლებიც ოდესღაც
სწერდნენ ანარქისტებზე: „ეს ხალხი ძირს უთხრიან, მთელს
ჩვენს დიადს ორგანიზაციას; მათ უნდათ ჩვენი ლეგალური გზიე
ანგრევა, სხვაფრივ რომ ვსთქვათ მუშაობენ მტრების სასარ-

გებლოთ... „მაშასადამე, ეს ხალხი, ან დაქირავებულია პოლიციიდან, ანუ იდიოტებია?“ ჩვენ ვიცით ეხლა თუ რისთვის ეჯავრებათ ს.-დემოკ. ანარქიზმი; ეხლა ვნახოთ რა საშვალებას ხმარობენ ისინი ანარხისტებთა წინააღმდეგ. რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მათზე, ჩვენ დავიწყებთ უფრო აშკარა მაგალითებიდან „ინტერნაციონალის“ ეპოქიდან.

„Histoire de I' internationale“-ში არის მრავალი მაგალითები, რომელიც გვიჩვენებს ს. დ-თა დამოკიდებულობას ნორჩ ანარქისტულ მოძრაობასთან.

როდესაც ბაკუნინი, და გილიომი ლათინთა „ინტერნაციონალის“ წარმომადგენელებთან ერთათ გაძევებული იყვნენ „საერთაშორისო მუშათა საზოგადოებიდან“, (მარქსის) გენერალურმა სათათბირომ მოითხოვა გამოემჟღავნებინათ სიდუმლონი „კავშირისა“, რომელიც დაარსებული იყო ბაკუნინის მიერ, იმ მოსაზრებით, რომ ეს „კავშირი“ თავის მიზნის მისახწევათ არ ზოგავს არავითარს საშვალებას“ (მაგალითად ნეჩაევის საქმე). ჰ. ლაფარგი უფრო შორს წავიდა და გამოაქვეყნა საფრანგეთის გაზეთებში საიდუმლო სია ანარხისტ „მუშათა საზოგადოების“ ისპანიის სეკციის მონაწილეთა. მარქსის მინდობილებით, რუსის ემინგრანტი უტინი შეუდგა ბაკუნინის მოქმედების გამოსაქვეყნებლათ ცნობების შეკრებას. ამაზე წინეთ გაზეთ „Neue Rheiniche Zeitung“-ში, რომელსაც რედაქტორობდა მარქსი იმართებოდა ბაკუნინის წინაამდეგ ნამდვილი გალაშქრება.

ბაკუნინს სწამებდნენ ისეთს ცილს, ვითომ ის ყოფილიყოს რუსის მთავრობის აგენტი. ეს ცოტა იყო. მარქსის გაზეთი ამტკიცებდა, რომ ბაკუნინის მოქმედების წყალობით ბევრი გულ-უბრყვილო პოლონელი რევოლიუციონერი გახდა რუსის მთავრობის მსხვერპლი რუსეთშიო. ასეთს მძიმე ბრალს სდებდნენ ისეთს დაუღალავს რევოლიუციონერს, როგორიც იყო ბაკუნინი.

როგორც უნდა იყოს, მაგრამ ასეთმა ცილის წამებამ ძლიერ შეუშალა ხელი მის საქმეს და არა ერთხელ შეუჩივლია თვით ბაკუნინს, რომ ასეთი ცილის წამების წყალობით „ბევრი გერმანელი ამხანაგები, ზურგს მაქცევენ და ეჭვის თვალით მიყურებენო“.

ბაკუნინმა მაშინვე გამოითხოვა მარქსი პასუხის საგებლათ გაზეთ Allgemeine Oder-Zeitung“-ის საშვალებით ქ. ბრესლავლში, რის შემდეგ, ერთი თვის მერმე გამოცხადდა ცილის წამების უარის ჰყოფა მარქსის გაზეთში.

საინტერესოა მოვიხსენიოთ ბაკუნინის ამ ისტორიის დასაწყისი*)

პირველათ ამ გვარ ცილის წამების გამავრცელებლათ შეიქნა მეფის მთავრობის ელჩი კისელიოვი, რომლი სმეცადინობით ბაკუნინი განდევნილ იყო პარიზიდან.

თავისი იეზუიტური ტაქტიკით კისელიოვი ახორციელებდა თავის მისწრაფებას. ევგენია ვეცტფალენი (კ. მარქსის ცოლი), ახლო ნაცნობი ელჩის სახლობისა, იყო ამ ჭორის და ცილის წამების პირველი გამავრცელებელი ემინგრატებთა შორის**). ამან დიდი სამსახური გაუწია ნემეც ს.-დემოკრატებს, რომელიც სასტიკათ მტრობდენ ბაკუნინს.

---

*) ამ ფაქტებს ჩვენ ვიღებთ ვ. დავის წიგნიდან Michel Bakounine et k. Marx. ანალოგიურ ფაქტებს იუწყება თავის „მანუსკრიპტებში ბაკუნინის ბიოგრაფია“ ანარხიზმის ისტორიკოსი ნეტლაუ და გერცენი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ თხზულებებში.

**) ჩვენ გვაგონდება ერთი რეფერატი შვეიცარიაში, რომელზედაც პლეხანოვმა განაცხადა, რომ ჭორია, ვითომც მარქსს ოდესმე ბაკუნინისათვის ცილი დეწამებინოსო, რამდენადაც მაგონდება პლეხანოვი ლაპარაკობდა მაშინ ჩვენს ლეგალურ გაზეთში მოთავსებულს ტუგან ბარანოვსკის სტატიის შესახებ, სადაც ლაპარაკობენ „ამა სიცრუეზე“. და დაგვპირდა ახლო მომავალში ბეჭდვითი სიტყვით გამორკვევას. გავიდა წელიწადი და კი არსადა სჩანს დაპირებული.

აი რას გადმოვგვცემს ამის შესახებ მ. დრაგომანოვი თავის წიგნში: „მ. ბაკუნინი და მისი მიწერ-მოწერა“.

„გერცენი მოგვითხრობს, რომ კარლ მარქსი ძლიერ კარგად იცნობდა ბაკუნინს და მიუხედავათ ამისა, ის რუსის ჯაშუშათ გამოაცხადა თავის „Neue Rheinische Zeitung“ -ში მან შეთხზა მთელი ისტორია, ვითომ ჟორჟ-ზანდს გაეგონოს ლედრიუ როლლენისაგან, რომ როცა იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრათ, უნახავს ბაკუნინის ჩირქის მომცხები მიწერ-მოწერა. მ. ბაკუნინის ამხანაგი ა. რეიხელი შეეკითხა შესახებ ამისა ჟ. ზანდს. უკანასკნელმა მიწერა წერილი „Neue Rhein-Zeit“. რედაქციას, სადაც დიდი შეგობრული გრძნობით იხსენიებდა ბაკუნინს. მარქსმა ოსტატურათ იპოვა თავის გასამართლებელი საშვალება და მოითავსა წერილი ჟ. ზანდისა განმარტებით, რომ წერილი ბაკუნინის შესახებ გაზეთში მოთავსებულიყო მარქსის სხვაგან ყოფნის დროს.

ერთი წლის შემდეგ „მარქსის შაიკამ“ კიდევ განიმეორა საზიზღარი ცილის წამება ბაკუნინზე ინგლისურ ჟურნალში: „Morning Abvertiser“, სადაც მოთავსებული იყო შენიშვნა ასეთი სათაურით: „იყო თუ არა ბაკუნინი რუსის ჯაშუში“? და რედაქცია ამაზე დამამტკიცებელს პასუხს იძლეოდა, კიდ. იმავე მარქსმა რეაქციონურ-ბურჟუაზიულ (აუგსბურგსკის) გაზეთში დაბეჭდა უსახელო წერილი, რომ გერცენი, ნამდვილ წყაროებიდან ვიცით ღებულობს დიდს ფულს ნაპოლეონ მე III-ან. მისი მასთან ახლო დამოკიდებულობა с Palais Royal, თან წინათაც საეჭვო არ იყო“ო.

ბაკუნინზე გამხედრებას. ს. დ-ები განაგრძობდნენ მე 48 წწ. შემდეგაც, როცა პირველი მონაწილე დრეზდენის რევოლიუციის, ჯაჭვებით შებორკილი მრავალ თვეებს იტანჯებოდა სიკვდილით დასჯის მომლოდინე საქსონიის და ავსტიის ციხეებში, ეს ბატონები ურცხვათ იმეორებდნენ თავიანთ ცილის წამებას და მესამედ დაბეჭდეს „Sree Press“-ში

წერილი, როცა გასამართლებული ბაკუნინი წლობით (8 წ. მეტი) იჯდა შლისენბურგის სიმაგრეში და შემდეგ გაიგზავნა ციმბირში, საიდანაც გაიქცა ინგლისში. გერცენმა, გოლოვინმა, ოგარევმა და სხვა რუსეთის ემინგრანტებმა გამოაცხადეს მკაცრი პროტესტი საზიზღარი ცილის წამების წინააღმდეგ (იხილე сборникъ „Колокола“). თვით ბაკუნინმა კი საჭიროთ გამოაცხადა, რომ მისი „კეთილ-შობილი“ მეგობარი, შეფი გერმანელ კომმუნისტებისა კ. მარქსი, რომ ხელს აწერდეს თავის ცილის წამებას, „მაშინ ის უპასუხებდა მას არა კალმით ხელში, არამედ ხელით უკალმოთ“.

ამის შემდეგ მარქსი ერიდებოდა ბაკუნინთან ბრძოლას და მოქმედებდა თავის კლევრეტების ნ. უტინის (შემდეგ ცნობილ რენეგატის), ვ. ლიბკნეხტის, ვოლფის და ბებელის საშვალებით. ვ. ლიბკნეხტი, რომელიც თავის მასწავლებლის ხელობას არა სტოვებდა, ერთხელ უნდა წამდგარიყო „საამხანაგო სასამართლოს წინაშე“ ბაზელში, რომელზედაც თავმჯდომარეობდა უძველესი რევოლიუციონერი იოანე ბეკკერი. ლიბკნეხტის ცილის წამება ბაკუნინისადმი ერთხმათ იყო უარეოფილი და ლიბკნეხტი ვალდებული გახდა ბაკუნინის წინაშე საჯაროთ ბოდიშის მოხდის. რის შემდეგ შერიგების ნიშნათ ვან გაუწოდა ხელი რუსის ანარხისტს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ლიბკნეხტი ნანობდა ასეთს თავის ქცევას, რაიც განაცხადა ბაზელის კონგრესზე. მისი მეგობარი ბებელი კი ურცხვათ აცხადებდა, რომ მ. ბაკუნინი არის ბისმარკის აგენტი და მასთან დამოკიდებულება დაიჭირა შვეიცერ ლასალიანელის რეკომენდაციითა“-ო! ჭეშმარიტი მიმდევარნი თავიანთი ეზუიტიური ტაქტიკისა, გერმანელი ს.-დ. წარმომადგენელი, მთელს სიცოცხლეში არ ასვენებდენ ბაკუნინს და განაგრძობდენ ასეთს ცილსა და ჭორებს. მაშინაც კი როცა ის თავს სწირავდა ბარიკადებზე, როცა მისი სახელი „ამ საყოველთაო დაგრევის მოძღვრისა“ მთელს ბურჟუაზიულ ევროპას შიშის

ზარსა სცემდა, როცა ინგლისის მუშები სალამს უძღვნიდენ „ძმური მეგობრული სიყვარულით ცნობილ რუს რევოლიუციონერს მ. ბაკუნინს“.

უნდა სამართლიანი ვიყოთ და ვაღიარებთ, რომ ძლიერ მტკიცე მიმდევრობით შეასრულეს ცილის წამების საქმე მათგან მოძულებულ ანარხისტის წინააღმდეგ.

გერმანელ ს.-დ. მეთაურთა (вождей) ტაქტიკა მემკვიდრეობით გადადის ყველა ქვეყნის მათ ადეპტებზე. ანარხისტებთან ბრძოლაში ისინი ხმარობენ ძველს გამოცდილს მეტოდს. მაკიაველის და კომპ. რეცეპტით. ებრძვიან ანარხისტებს, როგორც რევოლიუციონერ ტერორისტებს. ისინი თესავენ დაუნდობლობას მათდამი ათასი ჭორითა და ცილის წამებით, რათა ამით შეაშინონ და ჩამოაშორონ მათ მუშათა მასსა. მოვისმინოთ თუ როგორ ახასიათებენ ეს ბატონები სხვადასხვა ქვეყნის ანარქისტულ მოძრაობას.

ვ. ადლერი ავსტრიის ს.-დ. ათი წლის არსებობის გამო. (Рабочее дѣло № 2—3-ში) სწერს შემდეგს:

„ანარქისტულ და ტერორისტულ მოძრაობას ავსტრიაში, ‖ქონდა მთავრობიდან დასაწყისი, როგორც კერძო ისე ძირითად მიზეზებშიც. ის გამოწვეული იყო არა მარტო აგენტ-პროვოკატორებით და გაძლიერებული წესიერების დაცვით ვენაში და პრაგაში, არამედ, უმთავრესათ, მთავრობის კაცების მოქმედებით“.

აი როგორ ახასიათებს ს.-დ. მე-80 წწ. მოძრაობას, რომელიც ეხლა გამოიხატა ბოგემიის რუდოლპების მიერ მძლავრ ფედერაციის „ომლადინის“ შექმნაში, მღელვარე გაფიცვებში ტრიესტის პროდეტარიატისა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ანარხისტები და სხვა ანალოგიურ მოძრაობაში.

კარგი ყოფილა თქვენმა მზემ მოქმედება მთავრობის კაცებისა, თუ რომ ასეთს შედეგს გამოიწვევს.

მაგრამ გავყვეთ ადლერს. მისი რწმუნებით გერმანიაში ჩვენ ვხედავთ იმავეს, რასაც ავსტრიაში. მხოლოდ აქ ანარხისტული მოძრაობა უცებ ჩაქრა; სეკტამ ი. მოსტისამ ვერავითარი კვალი ვერ მოიპოვა.

აქ სიმართლეც ურევია, ჩვენ ვიცით, რომ ანარქისტული მოძრაობა გერმანიაში სუსტია, თუმცა უკანასკნელ წლებში გამოდის ახალი ორგანოები. არსებობს წრეები ანარხისტ მუშათა და აგრეთვე დიდი ინტერესი აქვთ ანარქისტულ ლიტერატურისა. მაგრამ ბ. ადლერი არ ლაპარაკობს თუ რისთვის „ამოიფრხვა“ ანარქისტული მოძრაობა გერმანიაში მე-80 წლებში? „ამოიფხვრა“ ის გერმანელ უცნაურ პირობების გამო, მთავრობის რეპრესიით, დასჯით და გადასახლებით ერთი მხრით და მასთან გერმანიის ს.-დ. მეცადინობით, რომლებიც მთელი ძალ-ღონით სცდილობდენ დაეხჩოთ ნორჩი, ახლათ აღმოცენებული ანარხისტული მოძრაობა. მოვიყვან რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტებს. და სრული ცნობებისთვის მიუთითებთ მკითხველთ მაშინდელ დროის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ბ. აკსელროდის სტატიაზე: „ჯამი, (იტოგი) ს.-დემოკრატიის პარტიისა გერმანიაში“. („Община“ № 8—9). ამბობს შედეგს: „გამოვიდა თუ არა გერმანიაში ნემენცური ანარხისტული გაზეთი. „Ardeiter Zeitug“ მაშინვე დაუწყეს მის გამავრცელებელთ დევნა. როდესაც მასში იყო დაბეჭდილი კორესპოდენცია გოტსკის კონგრესის შესახებ (1877 წ.), რომელშიაც ნაჩვენები იყო ს.-დ. პარტიის ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან დემორალიზაციის შეტანაზე, ამის შესახებ ლეიპციგში რამდენიმე კრება მოიწვიეს. თუმცა ეოველთვის კრების წინ აცხადებდენ, რომ კრებაზე მსჯელობა იქნებოდა კონგრესის შესახებაო, ნამდვილათ კი ამ კითხვას გვერდს უვლიდენ და იყვნენ იმის სჯაში და გარჩევაში, თუ ვინ გაბედა დაწერა ზემოხსენებული კორესპოდენციის? ბოლოს ეჭვი მიიტანეს ერთ მუშაზე, რომელიც კრებაზე ავრცელებდა დასახელებულ გაზეთს.

მუშათა დეპუტატი მოტტელერი გამოვიდა მის წინააღმდეგ: „აი იქ (აჩვენა თითით) ზის ერთი ბატონი კარანდაშით ხელში და რაღაცას წერს. ეს უთუოთ კორესპოდენტი იქნება „Arleiter Zeitung“-სა. ჩვენს თვალწინ ის ავრცელებს ჩვენს სამტრო გაზეთს, ის უთუოდ იმ კორესპოდენციის ავტორია... საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არის ის? ის თავის თავს ბერშტეინს ეძახის. შეიძლება ბერშტეინი არ იყოს?*)

შემდეგ სდგება რაშში, მკონი, ექსხედიტორი „Vorwarts-“ სისა; „გამოტყდეს ის ავტორიკ კორესპოდენციის თუ არა?“ ისიც სდგება უნდა ისარგებლოს შემთხვევით და გამოსთქვას თავის შეხედულობა. „არა არ ილაპარაკოთ! გვიპასუხეთ. ან ჰო, და ან არა“!

— მომეცით სიტყვა მაშინ მოგახსენებთ უპასუხებს ბერშტეინი.

„არა არ მისცეთ“! ყვირის გამწყრალი მოხელე.

მოინახა ძლივს ერთი პროტესტანტი: „თქვენ ხომ აძლევთ სიტყვას ლიბერალებს? მაშ რათ უშლით ლაპარაკს სოციალისტს სხვა მიმართულებისას? თქვენ სდგებით წინანდელ ლასალიანცების კავშირის გზაზე, სადაც ლიბკეეხტი ოპოზიციაში მდგომი ჯაშუშათ გამოაცხადეს. და ჩვენშიც ასეთი დეშარალიზაცია იწყება“, ეჩვენერშა არ უშველა.

— „ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი შინაურული თავისუფლებით და აღუკრძალოთ მას ჩვენ კრებაზე შემოსვლა, ყვირის რაშში, მას განხეთქილება შემოაქვს ჩვენ ორგანიზაციაში“. გათავდა მით, რომ ბერნშტეინს აკრძალული ჰქონდა ლეიპციგის სოციალისტთა საზოგადოების კრებაზე შესვლა.

---

*) აკსელრდის შენიშვნა: ბერშტეინი ცხოვრობდა ფალშივი სახელით, უიმისოთ მას 8 წლის ციხე ელოდა. ეს ბერნშტეინი. ნამდვილათ ანარხისტი ა. რეინსდორვი იყო, შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ნიდერვანლდენში.

როდესაც ინტერნაციონალურ კონგრესზე გენტში ლიბ-კნეხტს გამოუცხადეს ნემეც დელეგატ-ანარქისტებმა, რომ მისმა ამხანაგებმა გერმანიაში კინალამ არ გასცეს არა ლეგალურათ მცხოვრები კაცი, და თვით ისინიც გამოქცეულები არიან სამხედრო ბეგარისაგან, „და თუ გაგზავნეს გერმანიაში პოლიციის ხელში—ჩავარდნა მოელის სოციალისტების წყალობითა“ო. ლიბკნეხტმა უპასუხა „მე არავითარ ზომებს არ დავერიდები თქვენს მოსასპობლათ“ო.

და კიდევაც შეასრულა თავის სიტყვა. ეს უკიდურესი მტერია ანარქიზმისა, რომელსაც ტყუილა არ დაარქვეს გერმანიის ამხანაგება შესაფერი სახელი „anarchisten-fresser»!

გავარდა თუ არა პირველი ანარქისტების ტყვია გედელისა და ნებლინგის ხელიდან ბერლინში მთავრობის მხრით გაჩაღდა რეპრესიები. სოციალისტთა წინააღმდეგ იყო გამოცემული განსაკუთრებული კანონი, რამაც ძირელ შეაწუხა ს. დემოკრატების ლეგალური მუშაობა. მრავალი ჟურნალი აკრძალეს, მოძრაობის მეთაურნი დაატუსაღეს. დევნიდნენ მუშებს, უველგან იოესებოდა პროვოკაცია, ანარხისტემის დევნას საზღვარი არ ქონდა მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი. იოანე მოსტის, ვერნერის დ ა. რეინსდორფის საშვალებით ასწავლიდნენ პროლეტარიატს თავიანთ რევოლიუციონურს მეცნიერებას და იწევდნენ მათ ბურჟუაზიასთან შეურიგებელს ბრძოლაში.

როგორ მოიქცენ ამ ტრაგიკულ მომენტში შეფიები ს.-დ-ბისა? როგორ უცქეროდენ გედელის და ნობილინგის მიერ მეფის სიკვდილის განზრახვას?

გერმანიის „სოციალისტური“ პარტია შეუერთდა ბურჟუაზიულს პრესის და პოლიციის ქაქანს, და უკანასკვნელთან ერთად სდევნიდენ წამებულს ტერორისტებს, რომელთაც გილიოტინა მიუსაჯეს! კიცხავდენ რა მათ უარს ამბობდენ მათთან ყოველივე სოლიდარობაზე „საზიზღარ მკვლელებთან“. პარტიის ოფიციალურმა ორგანომ „Vorwärts“-მა გედელის შესახებ დაბეჭდა

სტატია: „გიჟია“ო, უმტკიცებდნენ მუშებს. ასეთს მოქმედებაზე წავა მხოლოთ ტვინით ავათმყოფი ანუ პოლიციის „პრავაკატორი“. დანარჩენი ს. დ.-ული პრესსა სავსე იყო ბილწი უმზგავსო ცილისწამებით დასჯილი გედელის მიმარ. ასე გასინჯეთ ლიბკნეხტმაც არ ირცხვინა, რომ წარედგინა მეფის მოხელეთათვის გედელის საწინააღმდეგო ცნობები, მისი წასულის ცხოვრებიდან. იცოდა რა, რომ უკანასკვნელი იყო ახლო დამოკიდებულობაში ბერლინის ანარქისტებთან ვ. ლიბკნეხტი სწერდა თავის გაზეთში, რომ ანარქისტი ვერნერი, რომელიც დატუსაღებულია საიდუმლო ტიფოგრაფიის ქონების გამო, სწორეთ ის არის ვისთანაც თათბირობდა გედელიო*).

მეორე ტეროორისტულ აქტის შესახებ „Vorwärts“-ი სპეციალურ დამატებაში სწერდა: „ნობელინგის ტყვიის სროლაში ს.-დ—ების პასუხის მგებლათ გახდა იმას ნიშნავს, რომ 600,000 ამომრჩევლები, რომლებიც სოციალისტურ დეპუტატებს ხმას აძლევენ გახადოთ **მკვლელის თანამოაზრეთად**“.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი („Pioner“ № 24) სწერდა ხუმრობის კილოთი: „მეორე საზიზღარი დანაშაული, ჩადენილი მაიორის შვილიდან, რომელიც ეკუთვნის განათლებულს კლასს“...

ან როგოგორ მოექცა ს.-დემოკრატია ანარქისტს ავგუსტ რეინსდორფის და მისი ამხანაგების განძრახვას, რომელთაც უნდოდათ დიამინტით აფეთქება „შეერთებულ გერმანიის“ ძეგლის, და ყველა იქ მსხდომი, იმპერატორების, კაროლების, ჯრონპრინცების და კაპიტალისტების გაწყვეტა. მან მხოლოდ ბილწი ცილისწამებით ავ. რეინსდორფზე აღნიშნა ეს ამბავი

---

*) ყველა აქ მოყვანილი ფაქტებით ჩვენ ვსარგებლობთ აკსელროდის „итоги соціалдемократіи“ წიგნიდან, და ვ. ჩერქეზიშვილის ანარქიულს ბროშურიდან: „Rages d'histoire socialitte“ და დალის, „Documents socialiste“.

და თანაც მუდმივ ეძახდა რეინსდორფს პრუსიის ჯაშუშს და ჩაჩუმდა მხოლოთ მაშინ, როცა თავი ამ ანარქისტისა დავარდა პრუსიის გელიოტინის დანის დაკვრით.

აპატივებს კი ისტორია მათ, და მომავალში კაცობრიობა ასეთს საქციელს, წამებულ რევოლიუციონერთა შეურაცყოფას?

ეხლა ჩვენ ვიცით როგორ ებრძოდენ ს.-დ—ბი ანარქისტებს გერმანიაში. როგორი იყო მათი დამოკიდებულობა ანარქისტულ ან ტეროროისტულ მოძრაობასთან სხვა ქვეყნებში?

იგივე აკსელროდი გვაძლევს ჩვენ თავის „ობშჩინაში“ ამის შესახებ მთელს წყება ცნობებს. ს.-დ—ული „თავისუფალი ბერლინს პრესა“ იქნამდის მივიდა, რომ ლიბერალებს უმტკიცებდა, რომ ს.-დ—ბი კი არა ლიბერალები ადიდებდით ვერა ზასულიჩის „ბოროტ-მოქმედებასო.“

კაზანის დემონსტრაციის მონაწილეთ, რომელთა შორის გ. პლეხანოვიც ერია ბიბერგალი და სხვ. „Vorwarts“-ი უცქერდა, როგორც „კომენდანტებს ანუ პოლიციის აგენტებს“. ვ. ლიბკნეხტი, რომელიც გააფრთებული ეწინააღმდეგებოდა ყოველ რევოლიუციონურ აქტს, სადაც არ უნდა ჰქონოდა ამ აქტს ადგილი, ამავე დროს ცილს წამებდა და ჭორიკანობდა დომელა ნიუვეუგისს (ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის წინამძღოლს) და იხსენიებდა როგორც შარლატნებს ანუ პოლიცის პროვოკატორებს, კაფიეროს მსგავს კაცებს.

როდესაც 1887 იტალიელ ანარხისტებმა მოაწყვეს ბენევენტოში აჯანყება ბერლინის ს.-დ—ბი გაყვიროდნენ, რომ კაფიერო, ე. მალატესტა და მისი მეგობრები, რომელთა შორის იყო რუსის რევოლიუციონერი სტეპნიაპნიაკიც—არიან ყველა აგენტები და პროვოკატორებიო.

რუსი ემინგრანტები „ზემლევოლცები“ არა ერთხელ ყოფილან იძულებული მე-70 წლებში ეწერათ ბილწი ჭორი-

სა და ცილის წამების წინააღმდეგ, რომელთაც მათ ეგრე უდიერად თავს ახვევდენ მათი „გერმანელი თანამოძმენი.“

ამ გვარათ ექცეოდა სხვა ქვეყნის რევოლიუციონერებს გერმანიის ს.-დ—ია. ასე ურცხვათ ებრძოლა თავისსავე წინანდელს ამხანაგებს, რომლებიც ანარქისტების მხარეს გადადიოდენ. ისინი აცხადებდენ მათ, გონებრივ და ზნეობრივ დაცემულათ, ასეთი ლანძღვა-გინებით და ცილის წამებით სავსეა მთელი ლიტერატურა ვ. ლიბკნეხტისა, ელეონორა მარკსისა და სხვათა. (хлѣб и воля № 11). ამ გვარს ზომებს ხმარობდა მთელი ქვეყნის ს.-დ—ტია ანარხისტებთა წინააღმდეგ. 1893 წ. იურსკის მუშებმა შვეიცარიაში მოახდინეს მანიფესტაცია თავიანთ გამამწარებელ ექსპლოატატორის გოგაისის ზავოდის წინ. ამ შემთხვევამ მისცა საბუთი შვეიცარიის მთავრობას სენტ-იმერის ანარქისტების დევნის. ალკივიადი, დიუბუა და სხვები დაიჭირეს და გაგზავნეს ციხეში, სადაც რამდენიმე თვე ისხდნენ ბიენნში, და შემდეგ ხელახლა მიუსაჯეს ციხე. როგორ გგონიათ ვინ დაიჭირა ისინი? ვისი განკარგულებით? შვეიცარიის მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრების განკარგულებით, რომელიც შესდგებოდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატებისაგან (см. „Société nouvelle“ примѣчаніе к рѣчи М. Бакунина на собраніи секціи в Курпилари).

ამის შემდეგ სრულიად არ გვაკვირვებს „სოციალისტ“ პრეფექტის ატონასიოსაგან რუმინიაში რუსის ანარქისტების დევნა; მაგალ. მან დაიჭირა გალიაცში რუსი ანარხისტი, რომელიც ყავდა დატყვევებული მინამ არ გაიგო ვინ იყო იგი, როცა შეიტყვეს იმავე „სოციალისტ“ პრეფექტის განკარგულებით გაძევებული იქნა გალაციდან. ბოგემიაში ანარქისტულ გაზეთის შესახებ „Neues Leben“, ავსტრიის სოციალისტებმა ცირკულიარი გამოსცეს და არწმუნებდენ მუშებს ს.დ—ლ ლიტერატურის გარდა არა ეკითხათ რა, რადგან მუშები

არ არიან დაცული იმ ხიფათისაგან, რომ სხვა ლიტერატურას არ გამოსცემენ „ბოროტი ხალხი“ იმ მიზნით, რომ მათ მოძრაობას ავნოს. განსაკუთრებით უნდა უფრთხილდენ და დევნონ „Heues Leben“-ის ფურცლები, რომელსაც ავრცელებენ ჯაშუშები და საზოგადოების ნაძირალა ხალხი.

ეხლა გადავიდეთ საფრანგეთში. აქ სოციალ-დემოკრატიას არასოდეს არ ჰქონია ძლიერი გავლენა პროლეტარიატზე. უკანასკვნელს ძველი რევოლიუციონური ტრადიცია არ აძლევდა ნებას ეგრე ცინიკურათ გაეთახსიერებინათ რევოლიუციონერები, რასაც ჩვენ ვხედავთ გერმანიაში. ამას გარდა ს.-დ—ტიკ იძულებული იყო პირველ გამოსვლის თანავე სერიოზული ანგარიში გაეწია ანარქიზმისათვის, რომელმაც მძლავრი ფესვები გაირთხა მუშათა მასსაში; ამას ჩვენ ვამჩნევთ მათ ლიტერატურაში, მაგრამ როგორია მისი ხასიათი თვით მკითხველმა გასაჯოს.

გედი თავის სტატიაში „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში“ (სოციალ დემოკრატი № 3) სწერდა 80 წწ.-ზე: „აქ მძვინვარებდნენ ანარქისტები. ზოგი თავისებურ ტრაბახით და ლაქლაქით, მეორენი ემორჩილებიან პოლიციის შთაგონებას (ყოფილი პრეფექტი პოლიციის ანდრიე, ტრაბახობს თავის გავლენაზე „წერილებში“). ესენი აშინებენ მასასს თავიანთ დინამიტურ ფრაზელოგიით და ლაპარაკობენ მხოლოთ მეფურნეების გაცარცვაზე, ხაზეინების გაწყვეტაზე, ნამდვილათ კი არც ერთი ხაზეინი არ დაშავებულა—ფაბრიკების დაწვაზე, ამ კაპიტალიზმის კატორგულ ციხეებზე: „La Revolution Social“ და სხვა პროვოკატორული ჟურნალები მამართული განსაკუთრებით წინააღმდეგ სოციალისტთა, რომელთაც ისინი იხსენიებენ პატივ მოყვარეებათ და დამაძინებელ მეკენჭეებათ რომლის მეოხებით დიადი გავრცელდა მუშათა შორის მათდამი ზიზღი უნდობლობა და სოციალიზმის უარის ყოფა“.

საკმარისია წაიკითხოთ წიგნი ფვით ბურჟუაზიულ მწერლის დიუბუასი: „Peril anarchiste“, რომ დარწმუნდეთ, რამდენათ ცალ-მხრივი და მიდგომითია ჟ. გედის მიერ დახასიათება.

გადავიდეთ მე 90 წწ. ეპოქაში, რომელსაც საფრანგეთის ბუარჟუაზია დინამიტის ხანას ეძახდა. როცა 1892 წ. Bous Enfants-ის ქუჩაზე ემილ ანრის ბომბა გასკდა, რამაც ჟანდარმებს თავზარი დასცა, რესპუბლიკანურმა პოლიციამ გაა. ფთრებულათ გამოილაშქრა „ვეშაპ ანარქისტების“ წინააღმდეგ. გამეორდა იგივე რაც გერმანიაში გედელის მოქმედების შემდეგ. ანარქიული გაზეთები მიჰკეტეს, კრებები აკრძალეს, ანარქისტებით აავსეს ციხეები. დეპუტატთა პალატა ერთი მეორეზე სცემდა „განსაკუთრებულს კანონებს“. არ სძინავდა სისხლიან გიოლიოტინასაც და ღებულობდა მსხვერპლათ რავაშოლს, ვალიანს, ანრისა და სხვას. *).

ამ საზარელს დროს, ნაციონალურმა კონგრესმა საფრანგეთის მუშათა პარტიისამ გამოსცა „მანიფესტი“, რომელსაც ხელს აწერდნენ ს. დ-ბის ბელადნი: ჟ. გედი პ. ლაფარგი, ფერულია, პრევო და სხვა. ამათ მიმართეს საფრანგეთის პროლეტარიატს შემდეგის სიტყვებით: „საფრანგეთის მუშებო! ამხანაგებო! ძველი წლის განმავლობაში ეს მეხუთეთ გაუპატიურეს დინამიტი“.

ბურჟუაზიული გაზეთები „les Temlps“ და „Les Debats“ ამტყუნებდნენ მანიფესტის ავტორთ სიმხდალეში და სიცბიე-

---

*) ნუ იფიქრებს ბულ-უბრყვილო მკითხველი, რომ ანარქისტების ბომბამ გამოიწვია რეპრესია და „განსაკუთრებითი კანონები“. დინამიტის ერა, რომელიც რავაშოლიდან დაიწყო, გამოწვეული იყო ცხოვრებაში რესპულიკანელ პოლიციის სიმხეცით და შევიწროებით, ფურმაში პროლეტარიატის დარბევით და პირველ მაისის მანიფესტანთა სისხლის ღვრით.

რეში. უკანასკნელნი თავს იმართლებდნენ და მეორეთ გამოაცხადეს № 114. „le Socialiste» თავიანთი მწუხარება დინამიტის რავაშოლისგან და კომპ. „გაუპატიურებაზე“.

ბრძოლა ფრანგ სოციალისტებისა ანარქისტებთან ხან და ხან ღებულობდა პატოლოგიურ ხასიათს და გვაგონებდა მე 70 წწ. გერმანიისას. ხომ ეყო კიდეც გამბედაობა „ს. დეპუტატს შოვენს ცინიკურათ განეცხადებინა: „როდესაც ჩვენ ჩავიგდებთ უფლებას ხელში, პირველი ჩვენი საქმე იქნება ყველა ანარქისტების დახვრეტა“ო. მანამდე კი ისინი მეცადინეობდნენ ანარქისტების მოსპობას ლიბკნეხტის და მისი ამხანაგების რეცეპტით.

„Le Revolte“ № 1—2-ში მოთავსებული იყო შემდეგი დამხასიათებელი კორესპოდენცია: „ანარქისტი ჟირიე, ლორიანი 1889—90 წ. ეწეოდა პროპაგანდას ჩრდილოეთს საფრანგეთში და ხშირათ გამოდიოდა ჟ. გედის, დელორის, დიუკკერომის, ტივრიეს და სხვათაგან გამართულს კრებებზე სადაც უწევდა მათ იდეიურს წინააღმდეგობას. ს. დ. რასაკვირველია, არ იყვნენ კმაყოფილნი, რადგან ლორიანის გავლენა მუშებზე თანდათან ძლიერდებოდა. ასე რომ 21 აპრილს 1890 წ. მოხდენილს მანიფესტაციაში, მუშები მიეგებნენ ანარქისტებს ყვირილით: „გაუმარჯოს რევოლიუციას“. „გაუმარჯოს ანარქიზმს“. და ანარქისტებთან ერთათ გაიარეს რუბეს ქუჩა რევოლიუციონური სიმღერით. რომ თავი დაეხსნათ ისეთ არა სასიამოვნო კაცისაგან, როგორც მათთვის ლორიანი იყო. „სოციალისტებმა“ გაავრცელეს მასზე ხმა, რომ ის მთავრობის აგენტია“.ო სოციალისტურ ჟურნალში „La Defause des Travailleurs“ რომელიც გამოდიოდა „Saint Quentin“-ში, მას ეძახდნენ კონსტანის აგენტს*). როალისტურმა გაზეთმა „Le Depeche“-მ დაი-

*) კონსტანი ერთ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

ხვია ხელზე ეს ცილის წამება და არა ჩვეულებრივი გულ-მოდგინებით ავრცელებდა ამ ჭორს. როდესაც ლარიონმა შეხედა რომ პოლიცია ისე სასტიკათ სდევდა მას დასაჭერათ, რომ რუმეში არ ედგომებოდა, გაიქცა გავრაში. სოციალისტთა ორგანომ ჟურნალ „Le Cri du Travailleur"-მა დაასახელა ადგილი, სადაც იმალებოდა ანარქისტი ლორიანი. შემდეგ ამისა ლორიანს სურდა საჯარო კრებაზე გამოემჟღავნებინა ბილწი ქცევა სოციალისტებისა, მაგრამ ამ დროს ის დაჭერილ იქნა თავვანწირულ წინააღმდეგობის შემდეგ პოლიციისაგან, გაგზავნილ იქნა კატორგაში, სადაც გარდაიცვალა. ამ საქმეზე „ანარქისტთა წრემ" გამართა რუბეში საპროტესტო მიტინგი, რომელზედაც ზიზღით გაჰკიცხეს „Le Cri du Travalleur"-ის რედაქცია სამარცხვინო დანოსებისათვის. დამსწრე სოციალისტები სდუმდნენ, და ვერ ბედავდნენ დაეცოთ თავიანთი ორგანო, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მიწვეული იყვნენ ანარქისტების მიერ, რათა ჰქონოდათ თავის მართლების საშვალება. ანარქისტები პირდაპირ იწვევდნენ მათ და ეძახდნენ მათ ორგანოს ჯაშუშების ჟურნალს, რაზედაც იყო გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია. ეს ჟურნალი იმავე დროს „აღტაცებით ეგებებოდა დაჭერის დროს ლორიანის გმირულ ქცევას. ანალოგიური ფაქტები მოყავს ანარქისტ ლიარ კურტუას, თავის წიგნში: „Souvenir de lague"-ში რომელიც მოგვითხრობს, როგორ შეხვდა ის ერთხელ ერთს მუშათა მიტინგზე შალეში სოციალისტ-დეპუტატს ლავის. უკანასკნელმა მიუხედავათ იმისა, რომ მას ძლიერ კარგათ იცნობდა, კრებაზე გამოაცხადა ის ჯაშუშათ. როცა ლიარ-კურტუამ დაიწყო სიტყვა, რამაც გამოიწვია დაუსრულებელი მაღალი ტაში, ლავი ავიდა ტრიბუნაზე და ყვიროდა: „მოქალაქენო, „ეს კაცი ჯაშუშია, აგენტია კონსტანის," კრებამ არ მისცა მას ლაპარაკის ნება.

ლიძულვილი და დევნა სოც. დე-ბის ანარქიზმისადმი ყველგან იჩენდა თავს, მაშინაც კი როცა უკანასკნელნი სასტიკათ იდევნებოდნენ ბურჟუაზიულ პოლიციისაგან. ს. დ-ია მომთხოვი პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ამნისტიისა, უარს ყოფდა ასეთ მოთხოვნას გვიანაში და ახალ კალედონიაში გაგზავნილ კატორგაში ტანჯულ ანირქისტებისათვის? ვინ იყო თუ არ სოციალ-დემოკრატია, ურცხვათ, რომ სდუმდა და ერთს სიტყვასაც კი არ სძრავდა თავის უკმაყოფილობის გამოსათქმელათ, როცა საფრანგეთის მთავრობამ დაატყვევა და შემდეგ გააძევა საფრანგეთიდან კროპოტკინი. ან სად იყვნენ ს.-დემოკრატ. 1900 წ., რომ ხმას არ იღებდნენ როცა მთავრობა სარგებლობდა „განსაკუთრებული კანონებით“ და დაუშალა ანარქისტებს „საერთაშორისო კონგრესის“ გამართვა პარიჟში?

როცა დეპუტატთა პალატაში ოპოზიციურ უმცირესობის მიერ წამოყენებული იყო კითხვა ამ „საზიზღარი კანონების“ გასაუქმებლათ, ს. დ-ბმა ჟ. გედის მეთაურობით გაუქმების წინააღმდეგ მისცეს ხმა. მართალნიც იყვნენ! განა აქვთ რამ საერთო რევოლიუციონურ ანარქისტებს, რომელნიც შეურიგებელს ბრძოლას უცხადებენ ბურჟუაზიულს მსოფლიოს და სახელმწიფოს, „სოციალისტურ“ ბელადებთან, რომელნიც ეკეკლუცებიან ამავე ბურჟუებს? რა არი საერთო ვალიანებში, ანრებში, ფილდელებში, სპაისამებში, მამაცურათ, გმირულათ თავის იდეალისათვის ეშეფოტზე წამებულთა და „სოციალისტური დეპუტატების შორის, რომლებიც სხედან ევროპიულ პარლამენტების მყუდრო სავარძლებში? „კაცის მკვლელთ“, „ქურდებს“, რავაშოლებს, დიუვალებს ს.-დემოკრატიულ ფონ დერ-აასთან, ატონასიოსთან, პოლიციის კომისსიარებთან „ოლიგანერებთან“ და სხვათა შორის რაა საერთო? დიახ, ამ ორ ანტიპოდებთა შორის არ უნდა არსებობდეს არავითარი ასსიმილიაცია!

თუ ჩვენ მივმართავთ „სოციალისტურ“ ლიტერატურას აქაც საკმაოთ მდიდარს მასალას ვიპოვნით ანარქიზმთან ბრძოლის დასახასიათებლათ. როცა 1887 წ. სენ-გალენში მოხდა ს. დ-ლი კონგრესსი, რომელზედაც გამოიტანეს რეზოლიუცია წინააღმდეგ ანარხიზმისა, ვითარცა არა სოციალისტურ თერიაზე. ვ. ლიბკნეხტმა წაიკითხა ანარხისტების წინააღმდეგ რეფერატი. და მოიყვანა ანარხისტების დასახასიათებლათ სამი კატეგორია: 1) აგენტები, პრავაკატორები 2) კაცის მკვლელნი და საზოგადო მყუდროების დამარღვეველნი, რომელნიც თავიანთ ბოროტ მოქმედებას ანაქიულ კომლში ხვევენ. 3) ეგრედ წოდებულნი საქმით პროპაგანდის დამცველნი, რომელთაც სურთ რევოლიუციის მოხდენა ინდუვიდუალური აქტებით.

ასეთი დახასიათება დაკანონდა ამ კონგრესებზე და შემდეგ მიიღო სამოქალაქო უფლება ს.-დემოკრატიულ ლიტერატურაში. და ის იმდენათ ჩვეულებრივი გახდა, რომ ხელოვნურ ლიტერატურაშიც იხსენიებენ ამ გვარათ. მაგ. პშებიშევსკის რომან „Hmoo sapiens-ში“ ფალკი ეუბნება ჩერსკის: „თქვენ სოციალისტი კი არა უფრო ანარხისტები ხართ და თქვენ ხომ იცით, რომ სოციალისტები უცქერიან ანარქისტებს, როგორც შპიონებს“.

პოლონეთში „სოციალისტებმა“ გამოსცეს სახალხო წიგნაკი: „რა არის ანარქიზმი?“

!ადაც ანარქისტებს ადასტურებდენ, როგორც საეჭვო კაცებს თანაც ამბობდენ, ეჭვი არა გვაქვს რომ ანარქისტების შორისაც მოიპოვებიან პატიოსანი ბ კეთილშობილი ადამიანები, რომელთაც გულწრფელათ სურთ პროლეტარიატისათვის სიკეთე, მაგრამ სამწუხაროთ ისინი სდგანან ცრუ გზაზე და სარგებლობის ნაცვლათ, მხოლოდ ზიანი მოაქვთ, საერთოთ ანარქისტთა შორის უფრო ხშირათ ხვდებით ხალხს ცხოვრე-

ბიდან გამორიყულთ, ნიადაგ გამოცლილთ, რომელნიც ჯავრს იყრიან და შურს ძიობენ თავიანთი პირადი, ნამდვილი თუ საეჭვო უსამართლოების გამო. ანარქიზმი მათ იზიდავს მხოლოთ მისთვის, რომ ნებას აძლევს მათ არაფერს არ შეუშინდნენ და გაყვენ თავიანთ გულის ლტოლვას ყველა კარგს და ცუდს გზებზე".

გედისტების გაზეთში, „Le Petit Sou" (რომელსაც 1900 წ. სცემდა ავანტიურისტი მილლიონერი ედვარდსლი) ანარქისტებს ამგვარადვე იხსენიებდენ.

გერმანიაში ს.-დ—ლს გაზეთში „Metallarbeiter Seitung" (№ 7—8) „საზოგადო გაფიცვის" განყოფილებაში რედაქცია აცხადებდა ახალ ანარქისტულ წიგნის შესახებ: პოლიციის აგენტმა, ნახტის პსევდონიმით, გამოსცა წიგნაკი: „საზოგადო გაფიცვა და სოციალური რევოლიუცია".

როცა რუმინიაში 1898 წელს, რუმინიის მთავრობამ შეიპყრო და შემდეგ განდევნა სამეფოს ტერიტორიიდან რამდენიმე ანარხისტი, ს.-დ—ტი ნადაჟდე „Sumea Nowa"-ში სწერდა, რომ ყველა განდევნილები იყვნენ პოლიციის ჯაშუშებიო.

ინგლისის ჟურნალი „The Social-Democrat", ერთს ადგილს ამტკიცებდა, რომ ყველა ანარხისტები ან გიჟებია ან დაბადებიდან ბოროტ-მოქმედნიო.

ბელგიის სოციალისტები სპრიმონტში ამოსარჩევ აფიშაში, (в избирательных афишах) სოციალისტ დეპუტატის ლევოს არჩევის გამო, სწერდნენ ანარქისტების წინააღმდეგ, როგორც ბურჟუაზიიდან და კლერიკალებიდან მოსყიდულ ხალხზე „რადგან ისინი ასრულებენ თავიანთ ჭუჭყიან საქმეს", როცა ეუბნებიან პროლეტარიატს, რომ არ მისცენ ხმა და არ მიიღონ მონაწილეობა პარლამენტარულ ბრძოლაშიო.

ამ გვარი მაგალითებით სავსეა „სოციალისტური" პრესა. ჩვენ მოვიყვანეთ ის ფაქტები, რაც პირველათ ხელში მოგვხვდა,

მაგრამ ჩვენი დახასიათება არ იქნება სრული თუ გვერდს აუვლით ცოტათ ცნობილ რუსის რევოლიუციონერებიდან გ. პლეხანოვის წიგნს. „Anar'chisme et Socialisme". ეს წიგნი კლასიურია და ოდესმე ისტორია დაუთმობს მას საპატიო ადგილს ანარქიზმის წინაღამდეგ მიმართულ ლიტერატურაში პრეფექტ ანდრიოს საპატიო შრომასთან, „ჯაშუშ" გორონის თხზულებასთან („პოლიციის აგენტის წერილებთან") ბურჟუა გერკნერის და სხვ. ანალოგიურ ნაწარმოებთან ერთად.

პლეხანოვის წიგნი ფართო კრიტიკას უშვრება ყველა ანარქიზმის პრინციპებს. რამდენათ ის სამართლიანია თვით მკითხველმა გასაჯოს. ჩვენ კი უმთავრესათ გვაინტერესებს ანარქისტული მოძრაობა თავიანთი წარმომადგენლებით პლეხანოვისგან დასურათებული. აი ესეც რამდენიმე სიტყვით: პრუდონი—„პედანტიური ფილისტერია". მ. ბაკუნინი—„უტოპიზმის დეკადენტია". პ. კროპოტკინი—„აჯანყებული ბიუროკრატია". ე. რეკლიუ—ხო სხვა არავინ, თუ არ „სანტიმენტალური ბურჟუა". დანარჩენი-ანარქიზმის ეპიგონები—„ავანტიურისტები და ანარქისტები ერთსა და იმავე დროს". „მოგზაური მძორები", ყოველ იდეალს მოკლებულნი". „ურწმუნო უზნეო არსებანი", განათლებული ქურდები და ცარცვის აპოლოგეტები, კაცის მკვლელნი, რომლეთაც სწყურიათ ძლიერი შთაბეჭდილებანი. გადაიკითხავთ რა ანარქისტულ პროცესების ანგარიშებს საფრანგეთში 92—95 წწ. თქვენ შეხვდებით ამ გვარს დახასიათებას ანარქისტებისას პროკურორის, პოლიციის აგენტების, ბ მოსამართლეების „რეჩებში". „რე—ნერი" პლეხანოვი ლაპარაკობს ნამდვილ ბურჟუაზიის ენით. შესაძენელი სოლიდარობაა!! რუსეთში მე 70 წ. მეფობდა რეაქციონური ბელეტრისტიკა, რომელიც ასურათებდა მრავალ რიცხოვან ხელოვნურ ნაწარმოებში: „Бѣсы" „Пануровo стадо" „Взбаломученное море" „Марево" და ბევრ სხვ. ნიგილისტთა ტიპებს, ამ „უცნაურ მოჩვენებათა", რომელთაც

არაფერი წმინდა არ აქვთ. ეს გვაგონებს „დამნაშავეთა ტიპს“ ანარქისტებისას დასურათებულს „სოციალისტურ“ თხზულებაში „რევოლიუციონერ“ ჟ. გედის ფერრისაგან, პლეხანოვის და კომპანიისაგან?

სიტყვები მოხუცი დომელა ნიუვენგუისა, რომლითაც დავიწყეთ წერა, სრულიათ მართლდება: „რომის პაპა ისე შორს არ არის სოციალიზმის პაპის მარქსიდგან, რამოდენადაც უკანასკნელია ანარქიზმთან, და, შეიძლება, ერთს მშვენიერს დღეს ვნახოთ კიდეც, რომ ორივე პაპა შეერთდენ „საზიზღარი“ ანარქიზმის მოსასპობლათ, მაგრამ ეს არ არის საშიშარი, რადგან დასჯილი ის აღსდგება მეორე დღესვე.

არ შეიძლება ანარქიზმის სიკვდილი, რადგან არ შეიძლება თავისუფლების მოკვლა კაცობრიობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცთომათა გასწორება.

გვ.	სტრ.	არის.	უნდა იყოს
IV	7	ზემოდან „სოციალიზ“	„სოციალიზმ“
14	13	ქვემოდან ფანოზ	ფანოს.
15	15	ზემ. მიზეზე	მიზეზზე.
16	16	ზემ. პრიციპად	პრინციპად
17	13	ქვემ. მიშინ	მაშინ
19	3	ზემ. დამოკრატიისა	დემოკრატიისა.
20	7	ქვემ. შ მთხვევისა	შემთხვევისა.
23	5	ქვემ. გამოლის	გამოდის.
26	7	ზემ. უარჰყფფს	უარჰყოფს,
27	9	ქვემ. მეცნირების	მეცნიერების
28	12	ზემ. მამაც	მანაც.
29	11	ზემ. გაუძეხვით	გაუძეხით,
29	4	ქვემ. ჩეენ	ჩვენ.
30	7	ზემ. გვეყოდა	გვეყო და,
30	8	ქვემ. დიალეკტიურტ	დიალექტიურ.
30	9	ქვემ. მეტაფისიკაში	მეტაფიზიკაში ,
31	11	ზემ. წარმობილია	წარმოშობილია,
31	9	ქვემ. დაირღვას	დაირღვეს,
32	10	ზემ. შეუძლებილი	შეუძლებელია.
32	1	ზემ. შესაძლებებლი	შესაძლებელი,
33	2	ზემ. პროფაგორას	პროფაგორის,
34	4	ქვემ. ანგალიუცინაციაში	ან გალიუცინაციაში
35	22	ქვემ. მეცნიერებისა თვის	მეცნიერებისათვის

36 17 ზემ. ჰროცესს—პროცესს.
36—9 ქვემ. რადაგნ—რადგან
39—3 ზემ. შემენყბაში—შემეცნებაში.
39—4 ქვემ. ურცხვობა—ურცხვობამ.
43—1 ქვემ. აკტი—აქტი.
44—3 ქვემ. ცეალებადი—ცვალებადი.
44—2 ქვემ. ცხაქდი—ცხადი.
44—1 ინდუქ—ტეზის—ინდუქცია სინტეზის,
46—9 ქვემ. და სხვა-და-სხვა—და სხვადა სხვაობა.
47—1 ქვემ. абстракцій абстракцій
47—10 ქვემ. დამამტკიცებელიში—დამამტკიცებელი.
56—12 ზემ. სპებულიატიურ—სპეკულიატიურ.
57—4 ქვემ. კროპატკინი—კრაპოტკინი.
58—5 ქვემ.—ინტროპოლოგია—ანტროპოლოგია.
58—3 „უნდივიდუმის—ინდივიდუმის,
59—19 „ექნება—იქნება,
100—5 ქვემ. იქმნება—იქნება,
116—8 „ქვემ. განაგრძოას—განაგრძობს,
112—7 „ქვემ. ხელმძრვანელობდენ—ხელმძღვანელობდენ
119—9 „სოციალდევმოკრატიულ—სო.-დემოკრატიულ
133—9 „პოლატიკურად—პოლიტიკურად.
135—11 „ქვემ. კონტრიქტისა კონტრაქტისა.
138—4 „ქვემ. საეტმწიფომ—სახელმწიფომ.
141—6 ზემ. ცპოვრება—ცხოვრებამ.
154—16 ქვემ. „პროგრამი“—„პროგრამაში“.
154—10 ქვემ. პერანგეს—პერანგს,
166—14 ზემ ისტორიიში—ისტორიაში.
170—14 ქვემ. ინტერ ციონალში—ინტერნაციონალში.
198—6 ზემ. ინტისემიტობის—ანტისემიტობის

250—7 ზემ. ხელმძვანელათ—ხელმძღვანელათ.
260—7 ზემ, მ კითხვაზე—ამ კითხვაზე,
170—13 ქვემ. საერო—საერთო.
276—8 ქვემ. სახელმწიგოს—სახელმწიფოს.
278—8„ ქვემ. ორგანიები—ორგანიზაციები.
279—15 ქვემ. თამიშობდენ—თამაშობდენ.
279—8 „სრულიიდ—სრულიად.
381—6 ზემ. არასადმე—არა სადმე:
286—3 ზემ. პრეფექტუკრებში—პრეფექტურებში.
310—8 ზემ ედვარდსლი—ედვარდსი.
89—16 ზემ. Dtationavre—Stationaire
186 შენ. 3. ქვემ. Apersu—Apercu
191—2 ქვემ. Delitte—de Lune
191—2 ქვემ. Classs—Classes
242—2 ქვემ. Essaie—Essai
309—14 ქვემ. Hmoo—Homo
311—3 ზემ. Anar chisme—Anarchisme